

ჭოროხი

გამოცემის 57-ე ნომერი

მარტი-აპრილი

№2

2015 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
დავით თაღლიძე

სარედაქციო საბჭო

ცისანა ანთაძე

როინ აბუსაელიძე

გიორგი (იური) გივილიაშვილი

ბენი დოლიძე

ანა დუნდუა

რამაზ სურმანიძე

ბელა ქაჯურია

ვანტანა ლლონტი

თინა შიოშვილი

მალხაზ ჩოხრაძე

ამირან საბაძი

ნანა ხახუთიაშვილი

მთავარი რედაქტორი
სანდრო ბერიძე

რედაქტორი

ლალი კონცელიძე

პროზისა და პოეზიის

განყოფილების გამგე

ანზორ კუდაბა

კრიტიკის, თარგმანისა და
პუბლიცისტიკის განყოფილების გამგე

ბენიამინ ქუთათიაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღაზაძე

გამომცემელი

საქართველოს მწერალთა

კავშირის აჭარის ორგანიზაცია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

© „ჭოროხი“, ბათუმი, 2015

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

ჟურნალი გამოდის
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

ჟურნალი დაიბეჭდა
ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“
პოლიგრაფიულ ცენტრში,
ბათუმი, კლდიაშვილის, 27

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)).
ამასთან, რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება

შინაარსი

ჯეოგრაფია, ჯიოგრაფია

ჯეოგრაფია (სარბის) ჯიოგრაფია – სატანა და იობი (მოთხრობა)	3
ქეთევან ბიორბაძე – ლექსები	14
შორენა დოლიძე – ლექსები	17
ანა დუნდუა – ლალატი (ნოველა)	20
ლევან ანანიძე – ლექსები	28
პაატა სურბანიძე – ლექსები	34
ბიორბი რომანაძე – ლექსები	36

თეატრი

შან-ფრანსუა ბლადი – ათასფერა (ფრანგულიდან თარგმნა ნანა ახალაძემ)	37
--	----

ჯიოგრაფია, ჯიოგრაფია

თეატრი აგოლაძე – პოეტური ბიოგრაფია	44
ზურაბ ხაბაძე – უმისამართოდ და უსათაუროდ	67
ანანი ბროველი – გაიყვანა თუ არა დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია სხვადასხვა ასპარეზზე ზნეობამ?	78
თეატრი ბენძეხაძე – ქართველი მუშები	85

ისტორია

ოთარ გოგოლიშვილი, გეგა მაკარაძე – სამართალწარმოება ბათუმის ოლქში	92
სიმონ გოგოლიძე – მუჰაჯირობა კირნათის თემის სოფლებში	94

ტოპოგრაფია

ანზორ ლორთქიფანიძე – პალიასტომისა და ტომაშეთის ეტიმოლოგია	100
---	-----

წიგნი

ცისანა ანთაძე – ღმერთის მოსაწონ კაცს გაუმარჯოს	107
ნაზი მიქელაძე – ვახტანგ ლლონტის პოეზიის ზოგიერთი ნიმუში	111



ჭაშაღ (სარბის) ჭაქაღი

სატანა და იობი

(მოთხრობა)

დამთავრდა ღმერთისა და სატანას მწვავე კამათი. ღმერთმა გადაწყვიტა მისი უღმობელოდ დასჯა, და ბრძანა – დღეიდან შენ იქნები ქვესკნელში. არაფერი არ გესაქმება ცაში; ქვესკნელის სიბნელიდან ველარ გამოხვალ. ამის მიზეზი არის შენი ურჩობა, თავხედობა, ბოროტება და თავისთავზე ძალიან დიდი წარმოდგენა.

სატანამ მოკრიბა ძალა, სატანური ქმედების ნიჭი და ცბიერად უთხრა.

– უფალო, შენც ხომ ჩემისთანა არ ხარ, სამაგიეროს რომ მიხდი თავისთავზე დიდი წარმოდგენის გამო. ყველა მოაზროვნეს თავისთავზე დიდი წარმოდგენა აქვს. ყველას სურს განდიდება, ნატრობს ყველაზე დიდი იყოს. ასეთი სურვილების გამო მე, ანგელოსთა გუნდის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ წარმომადგენელს სატანას მსჯით, – უფსკრულიდან ქვესკნელში მაგდებთ. დაფიქრდით. თქვენი ღვთაებრივი სიღიადისადმი პატივისცემის ნიშნად მომისმინეთ, სიმართლე არ დამიკარგოთ.

– გისმენთ – ბრძანა უფალმა.

– ქვეყნად რამდენი აღმართიც არის, სწორედ იმდენი დაღმართია. აღმართი და დაღმართი ერთმანეთის საპირისპიროა. ერთია ამ-

ამაღლებელი, მეორეა დამამდაბლებელი. განა იმ ამამაღლებელს ექნება ფასი დამამდაბლებლის გარეშე? განა სიცოცხლე სიკვდილით არ ფასობს?! ამიტომ შენ რომ უკეთ დაფასდე შენს გვერდით უნდა იყოს სატანა. რატომ მიმტყუნებთ სურვილს ვიყო დიდი, თუნდაც შენსხელა. აღმართ-დაღმართი ხომ თანაბარი სიდიდეა, ღმერთი და სატანაც თანაბარი სიდიდისა არის. შენ მე უსამართლოდ მჩაგრავ.

თავისი ეშმაკობისა და ცბიერების ჯადოსნური ძალით ღმერთი თავის გადანყვეტილებაზე დააფიქრა. სატანამ ისარგებლა ამ „დათბობით“, ყურადღებით და თქვა:

– გავშალოთ ფრთები და დავაზომოთ. ჩემი ფრთები სწორედ შენი ფრთებისტოლია.

– მე მთელი სამყაროს დამცველი და განმგებელი ვარ; როგორ ბედავ ჩემზე ფრთების დაზმანებას, უსახურო სატანავ.

უფალის განრისხებაზე შეირყა ზეცის ბლონდები, მეცხრე ზეცა საბედისწეროდ გადაერწო – გადმოერწო, სატანა რალაცა უხილავმა ძალამ ასწია და თავბრუდამხვევად დააბზრიალა.

სატანამ გაიგო, რომ მისი საშველი არ არის და გულში ჩაიდო საშინელი შურისძიება, – ანუ მთელ სამყაროს, მლოცავ ხალხს ბოლომდე შეაძულოს ღმერთი და დაარწმუნოს თავის სიმართლეში, დაარწმუნოს, რომ ღმერთი არ არის მისი „უმმეთის“ დამცველი და პატრონი. საამისოდ შეახსენოს ქვეყნად ის უბედურებები, რაც კი გაგონილა: ცუნამები, მიწისძვრები, ცივილიზაციების განადგურება, ქალაქების ჩაძირვა, ქვეყნების დაქცევა. დიახ, ეს ყველაფერი როგორ მოხდებოდა თუკი ღმერთის ბრძანება არ იქნებოდა. აკი ამბობს ხალხი, რომ ხეზე ფოთოლიც არ გაექანება ღმერთის ნების გარეშეო. დიახ, ღმერთის სიყვარული

არ შეიძლება! როგორ შეიძლება ლოცულობდე იმაზე, ვინც მონაპოვარს გინადგურებს.

ამ თავხედობისათვის ღმერთმა აღარ დააყოვნა, სატანა გადმოაგდო ციდან.

* * *

ასჯერ ნათქვამსა და ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი და მოსმენილი სჯობიაო – გაიფიქრა სატანამ და გადაწყვიტა, თავისი ცნობილი მაქციობის საშუალებით მიეღო ადამიანის ჰაბიტუსი და გასულიყო ხალხში ერთი დიდი სურვილით, – გაეგო რატომ ლოცულობდა ხალხი ღმერთზე და რას ამბობს ხალხი მასზე, რომელიც არანაკლებ დიდი, ძლიერი და ყოვლისშემძლეა. მიიღო ადამიანური სახე სრული სიზუსტით, ჩაიცვა და დაიხურა სწორად ისე, როგორც საფელში აცვიათ და ახურავთ, მიიღო მეტყველების სწორედ ისეთი ფორმა, აიღო ხელში ჯოხი და მიადგა ერთ სოფელს, რომელსაც მართალაური ერქვა.

ემამ დანახა დუქნის წინ შეკრებილი ხალხი. ისინი, თუთუნს ეწეოდნენ, ლუდს სვამდნენ და რითაც შეეძლოთ, იმით ერთობოდნენ.

სატანა-ადამიანმა გადაწყვიტა აქედან დაენწყო თავისი საქმე. როგორც კი მიუახლოვდა, საკმაოდ ხმამაღლა თქვა:

– გამარჯობა თქვენი, კაი კაცებო.

– ღმერთმა გაგიმარჯოსო, – თითქმის ყველამ ერთად თქვა და დაუმატეს, – სტუმარი ღვთისაა. თქვენ სტუმარი ბრძანებით ბრძანდებით, ჩამოჯექით, დაისვენეთ, ერთი კათხა ლუდი დალიეთ და მერე ენით თქვენს სანადელს. ხალხის დალოცვილ კაცს ღვთის წყალობა შარავანდედით ადგას.

– სატანა ჩამოჯდა გაჩორკნილ სკამზე და გულისტკივილით გაიფიქრა: – აგერ ნახევარი წუთის განმავლობაში ღმერთი სამჯერ დიდი პატივით მოიხსენიეს: ღმერთმა გაგიმარჯოსო, სტუმარი ღვთისააო, ღვთის წყალობაო... მონამლული არიან ღმერთის სიყვარულით და იმედით. სატანა აბა რისი სატანაა თუ მაგინს აზრი არ შეაცვლევინა, ჯიუტებს თუ ჭკუა არ ასწავლა.

– ადამიანი სიტყვის თქმას რომ დააპირებს, ცოტა ჭკვიანად უნდა იყოს ანუ სიტყვას სათქმელად რომ მიიტანს ენასთან, ის სიტყვა უკან უნდა ჩააბრუნოს, დაფიქრდეს და ისე მოიტანოს ენაზე. ორჯერ დააბრუნებდეს ჯობია, მაგრამ ერთჯერ მაინც უნდა დააბრუნოს... თქვენ ნახევარი წუთის განმავლობაში სამჯერ ღმერთი დიდი სიყვარულით ახსენეთ. გენმარებათ ღმერთი რამეში? ვხედავ, ზოგს გაცვეთილი ქალამნიდან ცერი მოუჩანს, მეორეს ძველ შარვალზე ნაჭერი აქვს ჩაკერებული, გვერდი არ გამომიჩნდესო, ზოგს ქამარი არაა აქვს და ხარის ტყავზე ჩამონაჭერი ღვედით შეუკრავს წელიო, კიდეც გინდათ გითხრათ?... თუ გინდათ ერთ „მესელეს“ გეტყვიო – წყალში ღრმად შეცურა კაცმა, რომელმაც ცურვა კარგად არ იცოდა. უცებ... ნახა რომ იხრჩობოდა. ნაპირზე მსხდომ დამსვენებლებს დაუძახა, ხალხო, ნახეთ, უკანასკნელად ვყვინთავ.

– რატომ არ დაიძახა, ვიხრჩობი და მომეხმარეთო, – კითხეს.

– დაავინყდა სიტყვა – ვიხრჩობიო.

– მერე რითი დამთავრდა ეგ სატირალ-საცინარი ამბავი?

– ყურადღება რომ არავინ მიაქცია, ღმერთო, მიშველეო, აყვირდა. ვილაცამ დაუძახა – გაანძრე ხელი და გეშველებაო, ღმერთი საიდან ჩამოგწვდება და როგორ გიშველისო. მართლაც, ინვალა, მაგრამ მაინც გამოვიდა. ასეა, ღმერთი ყველას და ყველაფერს კი ვერ შველის.

– რას ამბობ, – შეეკამათა ერთი გლეხი, სახელად იმანო. – ღმერთის ნების გარეშე ხეს ფოთოლიც არ ექანება.

სატანა მიხვდა, რომ აქ საუბარი და კამათი უაზრობა იყო. გული იმით მოიოხა, რომ ერთი უგემური ფრაზა გადმოუგდო იმათ და წავიდა.

– ღმერთი იყოს შენი შემწე, – მიაძახეს. – ალბათ ესეც მისი ნებაა, რომ შენ ღმერთ-გამჩენზე ძვირი წაგცდა.

სატანა შედგა, მათკენ სიძულვილით მოიხედა და ქალამან დახეულ ჩოფურა გლეხს მიაძახა:

– შეეხვეწე ღმერთს ქალამნები გადმოგიგზავნოს და თუ თხოვნა შეგისრულა, დაიჯერე, თუ არა და – არა.

ემმა-სატანა მიდიოდა და ფიქრობდა: „რატომ უყვართ ღმერთი, თავს რად სწირავენ მის სახელს, დღეში ხუთჯერ რატომ ლოცულობენ მასზე?! მე თუ ამათ არ შევადულო ღმერთი, არ ვიყ ემმა-სატანა.

ამასობაში დაინახა, კაცი ღობის უკან ვირს ჭედავდა, ახალი პლაკუნა ნალები უყიდია და ვირს ფლოქვებს უმშვენებს.

– გამარჯობა, კაი კაცო! – დაუძახა ემმა-სატანამ.

– ღმერთმა გაგიმარჯოს, ბატონო!

– ღმერთმა როგორ უნდა გამიმარჯოს, თუ მე არ გავიმარჯვე, თუ მე არ შევეცადე?!

– თქვენ სამლოცველოში დადიხართ, ბატონო?

– ჩემი სამლოცველო ჩემი მოხერხებაა, შენი სამლოცველო – შენი ოსტატობა, აი ფაქტიც ზედვება, როგორ ლამაზად ჭედავ, თვალდახუჭული აკეთებ შენს საქმეს, დაოსტატებული ხარ შენს საქმეში. სამლოცველო მოგცემდა მაგ შესაძლებლობას?... გლეხი გაჯავრდა და ისე დაუდევრად დაჰკრა ჩაქუჩი, რომ პრტყელთავიანი მუხი ასცდა სწორ მიმართულებას და სახედარს ქაჩაჩში კი არა, პირდაპირ ფლოქვის შუაგულში უნია, ვირმა ნიხლები აიქნია, ჯერ კიდევ ნალში ნახევარად ჩარჭობილი ლურსმანიანი ნიხლი კაცს შუბლზე მოხვდა და თვალი ამოულამა.

კაცი გამწარდა. თფუი ეშმაკს! – გამოსცრა კბილებში და გაიმეორა „ქორ შეითანუნ ჯანინე და ბაშინე“... ჭირი დავაყარე ეშმას თავზე, როგორ გამაბრუა.

ემმას გუნებაში გაეცინა. ისევ გაბრაზდა, რომ ყველა „ყეზაზე“ ეშმას აგინებენ. რა შუაშია ეშმა, როცა მან ჩაქუჩი სწორად ვერ დაჰკრა ლურსმანს.

„არა, ამასთან ლაპარაკი არ ღირს“, – მწარედ გაიფიქრა და წავიდა.

მიდის და ფიქრობს, როგორ შეაძულოს ხალხს ღმერთი. გაიარა სოფლები ყიყამაური,

ტეფშაძეები, მიწიური, გალახეთი, ბაკანოლები, ჭალადიდი, აგინეთი, ქაროსანიძეები და მიადგა ერთ მჭიდროდ დასახლებულ სოფელს.

პირველივე შემხვედრის არსაცნობლად მიესალმა და კითხა,

– რა ჰქვია ამ სოფელს?

– რაში გაინტერესებს, ბატონო, სოფელი სოფელია. სახელი არ ცვლის საგანს. ქვისთვის რომ პური დაერქმიათ, ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა. არავის არ გაუკვირდებოდა, რომ ეთქვათ ქვა გამოვაცხვე და ვჭამოთო.

– თქვენ რა გქვიათ? – კითხა სატანამ.

– მე მქვია მაგანო. ჩემთვის რომ დაერქმიათ ამანო, მხოლოდ ამ სახელით ვიცხოვრებდი მაგრამ ჩემში არაფერი შეიცვლებოდა.

– მაინც რა ქვია ამ სოფელს?

– ბლუკუნეთი ქვია, ბატონო, ეს ჩვენი სოფელი ყველაზე დიდია მიწითაც და ადამიანებითაც, მადლობა ღმერთ-გამჩენს, კაი სოფელი რომ მარგუნა და ყველა კარგი მეზობელი რომ მყავს. ვენაცვალე მთელი ქვეყნისოდენა შემოქმედს, დიდ ღმერთ-გამჩენს.

– ღმერთი ქვეყნიერებისოდენაა? – იკითხა ნანყენმა ეშმამ.

– დიახ, ბატონო, მისი ყული ვართ ჩვენ ყველა.

– ეშმა გაგიგონია?

– ოჰ, როგორ არ გამიგონია. რამდენი წყევლაც ვიცი, ყველას ეშმას ვახარჯავ.

– ღმერთს რას უძღვნი?

– ოჰ, ლოცვას, ბატონო.

– ეშმა რამოდენაა? ღმერთი თუ მთელ ქვეყნისხელაა, ეშმა რამოდენაა?

– ეშმა ბოროტი სულია, ბატონო. სულს სიდიდე ზომა-წონა არ გააჩნია, შეუბერავ და არსად არ არის...

– რა სიკეთე გიქნა ღმერთმა, ამხელაზე თავს რომ დებ მისთვის, მის სიდიდეს და სიდიადეს აღიარებ?

– მაგი იობს კითხე, ბატონო, ღმერთის სიყვარულმა კაცი რაოდენ გაამდიდრა. დღე და ღამე მასზე ლოცვილობს, უყვარს თავისთავ-

ზე მეტად, სიცოცხლეს შესწირავს ღმერთის სიყვარულს, მის სახელდიდებას. მე რას მეკითხები, იობს კითხე, ჩვენ ყველა ღმერთის სიყვარულსა და ერთგულებაში ვეჯიბრებით, ვბაძავთ იმ დალოცვილ იობს, მის გზაზე ვდგავართ.

გლეხის ამ სიტყვებმა ერთ დიდ გადანყვეტილებამდე მიიყვანა ეშმა-სატანა – როგორმე გააჩანავოს იობი, მიწასთან გაასწოროს, ღმერთის ძვირი დააცდენინოს, რომ მასზე აღარ ილოცონ. მთელი ქვეყანა დაინახავს, იობმა ღმერთის გმობა დაიწყო. ამას დაინახავს ყველა და თვითონაც დაგმობენ ღმერთს. არა და მისი მაგალითი მთელი ქვეყნისათვის მისაბაძი და სასურველია. გაჭირვებული კაცი როცა ხედავს, რომ ღმერთის სიყვარულმა და მისმა ერთგულებამ დიდზე დიდი შედეგი გამოიღო, ბაძავენ. როცა დაინახვენ, რომ იობი ღმერთს გმობს, თვითონ, მთელი მისახლეობაც ადვილად დაგმობს.

ეშმა ჩაფიქრდა, ერთხანს ხმა არ ამოუღია, ბოლოს იმ გლეხს, სახელად მაგანოს, აგდებით კითხა:

– ამ თქვენს ბლუკუნეთში ყველა შენსავით ბლუკუნებს?

– მე არ ვიცი, თქვენ რას მეუბნებით, მაგრამ ერთი რამ არ მეშლება, ღმერთის წყალობით მიყვარს ჩემი სოფელი, ჩემი ხალხი, მთელი ჩემი ქვეყანა და რუდუნებით შექმნილი ოჯახი.

– ეშმამ უსმინა, უსმინა და უკან მოუხედავად წავიდა.

* * *

ცხოვრებაში ბევრი რამაა საჭირო, ვინ იცის, როდის რა დასჭირდება, ამიტომ სატანამ გადანყვიტა ბოლომდე გაითავისოს ბოროტ სულთა თვისებები, რომ საჭირო დროს წარმატებით გამოიყენოს.

გადაწყვიტა მიბაძოს ძველსპარსულ თქმულებაში შენახულ არიმანს, გოგის და მაგოგის, ეშმას, ჯინს და სხვა, იგი უკვე გარდაისახა და

რამდენიმე ხანში გახდა არიმანი, გოგი და მაგოგი, ჯინი და სხვა.

უპირველესად – ეშმა, რადგან ეშმა არის მაქციობით აღჭურვილი, რაც უნდა, იმად გადაიქცევა, გოგი არის შიშისმომგვრელი, თავზარდამცემი ვინმე, მაგოგი – მისი მხარდამჭერი, ამასობაში კარგად გამოიყენოს შემთხვევა, როცა ღმერთმა სასტიკად დასაჯა ადამიანი, რომელმაც ხალხს სიკეთე უყო – ცეცხლი მიჰგვარა.

მაგრამ სანამ ხალხს დაარწმუნებდა ღმერთის სიძულვილში, გადანყვიტა ერთხელ კიდევ გასულიყო ხალხში და უშუალოდ მათგან მოუსმინა მისი სიდიდის შესახებ. ამ მიზნით ჩაუარა საფიხვნოს, ანუ სალაცხოს, იგივე თემბელხანას, იქ მუდამ მსხდომ ზარმაცებს და უქნარებს, ზოგჯერ კი მეტად საქმიანებს კითხოს, სატანა სიდიდით ღმერთის ტოლა არის თუ არა.

საფიხვნოს თავში იჯდა მეტად დინჯი და სიმპათიური თეთრწვერა კაცი: მუხლებს შორის თავმოკაუჭებული ყავარჯენი ეჭირა. მასზე ორივე ხელით ჩამოყრდნობილი ოდნავ წინწახრილ იყო და მავანთა ლაყაბს ანუ სიტყვას ისმენდა. ეს ლაყაბი, ანუ საუბარი შეეხებოდა ჭიანჭველიდან დაწყებული ღმერთის ემრამდე, ყველაფერს. საუბარში თუ ვინმე რამე პრობლემას არასწორად შეაფასებდა, სიმართლეს დასადგენად მიმართავდნენ ამ დარბაისელ კაცს, ბრძენის იერიით რომ აკვირდებოდა ყველაფერს.

ამ დროს მივიდა ეშმა, იგივე მაქციობის ქარჩხით ადამიანად „ქცეული“, საკმაოდ მხიარული სახით, მოლიმარი სატანა და თავაზით მიესალმა მათ.

– თქვენს მეჯლისობას გაუმარჯოს, ბატონებო! – თქვა და საფიხვნოს თავში მჯდომ დარბაისელ მამაკაცს ცბიერად მიმართა: – მიხარია, რომ თქვენი სახით წარმოსადგე და ესოდენ ბრძენ ხანდაზმულს შევხვდი. ხნიერები აღარ არიან, თქვენ ჯეულად გამოიყურებით.

– დაბრძანდით! – უთხრეს და სკამზე მიანიშნეს. გვერდით მჯდომმა დასძინა:

– მაგ სკამს ფეხი აქვს მორყეული და ფრთხილად იყავით, არ წაიქცეთ.

ვილაცამ იკითხა, – რა ეშმაკმა მოურყია ფეხი, გუშინ კარგად იყო.

მეორემ დასძინა.

– დიდი ღმერთის გარდა არავინ არ იცის ეშმაკი სად რას აფუჭებს, იგი დაძვრება. დღეს აქ არის, ხვალ იქ... მაგის ასავალ-დასავალს ვერავინ გაიგებს.

– მაინც რამოდენაა ეშმა? – ყასადად იკითხა თვით ეშმამ.

– რა ვი! ღმერთს სიდიდეში ეტოლებოდა, ღმერთი გაჯავრდა და ციდან გადმოაგდო, ქვესკვნელში მიუჩინა ბინა მაგ დაწყევლილს.

ეშმამ ეს ყველაფერი შორს დაიჭირა და თქვა:

– ადამიანი მაშინ გახდა ბედნიერი, როცა აღმოაჩინა თანაბრობა. ყველაფერს აქვს თავი და ბოლო, მარჯვენა და მარცხენა მხარე, ჯოხს ორი ბოლო აქვს, ადამიანს ორი მხარე, მარჯვენა და მარცხენა. ადამიანი მარცხენა მხარეს აუგით იხსენებს, მარჯვენას – აქებს. ადამიანის სიდიდე შუბლიდან დაწყებული ფეხების შესაყართან ჩამოსვლამდე არის თანაბარი. ასე რომ დადებითი და უარყოფითი არის თანაბარი, აღმართისა და დაღმართის სიდიდე არის თანაბარი, ჰო და ღმერთი თუ დადებითია და სატანა უარყოფითი, რატომ არ არიან ისინი თანაბარი სიდიდის? სიტყვამ მოიტანა და იმიტომ გეუბნებით. მინდა ვთხოვო საფიქვონოს თავში დაბრძანებულ ბრძენს, გვითხრას, მართალი ვარ თუ არა.

– ღმერთი დიდი და ყოვლისშემძლეა, – ბრძანა დარბაისელმა მოხუცმა და დაუმატა: – მისი ნების გარეშე არაფერი არ ხდება, ხეზე ფოთოლიც არ ირხევა.

– მაღლობთ მაგ საინტერესო პასუხისათვის, რომელმაც კიდევ ერთი შეკითხვა ყურით მოათრია და დამიდო წინ.

– ბრძანეთ! – უთხრეს

– თქვენ ბრძანებთ, რომ ღმერთი დიდი და ყოვლისშემძლეა. ასე არა?

– დიახ, მასეა...

– აბა, მასე თუა, მიბრძანეთ, ყოვლისშემძლე ღმერთს შეუძლია თუ არა ისეთი ქვის გაკეთება, რომელსაც თვითონ ვერ ზიდავს. თუ შეუძლია ისეთი ქვის გაკეთება, რომელსაც ვერ ზიდავს, მაშინ არ ყოფილა ყოვლისშემძლე, თუ ასეთი ქვის გაკეთება არ შეუძლია, ესეც დამაფიქრებელია.

საიდანღაც შეკითხვა შემოესმა:

– ეშმა-სატანა გააკეთებს მაგისთანა ქვას?

ეშმა-სატანა არ დაიბნა და თქვა

– ეშმა შეიძლება ვერ გააკეთებს, მაგრამ იგი მაქციობით არის აღჭურვილი, მას ვერავინ მოატყუებს. ან თუნდაც ღმერთმა ვერ გაიტანა ანგელოსთა შორის დიდი ანგელოსი, რომელიც სატანად იქცა და ციდან გადმოაგდო. მისი ნება არისო ყველაფერი, ბრძენებით. ასე თუა ქვეყანაზე რაც ხოცვა-ჟლეტა იყო, ხალხების გადასახლებები, ეს ღმერთის „დამსახურება“ ყოფილა. გარდა ამისა, საშინელი მოვლენები, მინისძვრები, ვულკანები, გრიგალები რომელმაც განადგურა იაკუტანი, რომელმაც უამრავი ხალხი იმსხვერპლა, ცუნამი, ქალაქების ჩაძირვა დაწყებული ატლანტისიდან დიოსკურიამდე, ბერმუდის უბედურებები – ეს და მრავალი ამისთანა ღმერთის ნება ყოფილა. რას იტყვით, ბატონო – ცბიერად მიაშტერდა ბრძენ მოხუცს – კიდევ დალოცავთ ღმერთს?

– ყველაფერ მაგაში სატანას ხელი ურევია...

არც სატანა დაიბნა:

– სატანას ბრალიც ღვთის ნება ყოფილა. და თუ არა, სატანა ღმერთზე დიდი ყოფილა.

– თქვენ გინდათ გაიგოთ სატანას „გევდე“ რამოდენაა, სატანა ღმერთივით დიდი არის თუ არა?!

– რაკი სიტყვამ მოიტანა, კი მინდა გავიგო, სატანა რამოდენაა, რა სიდიდე გააჩნია, ოღონდ არ ვიცი როგორ გავიგო, ვის ეცოდინება ეს, ვინ მეტყვის სიმართლეს.

– სოფელ აგინეთში ერთი კაცი ცხოვრობს, სახელად ყილიფა, თავს ნათელმხილველობით

ირჩენს. იმან ყველაფერი იცის. აგინეთი არაა შორს, მიბრძანდით და მოუსმინეთ, რასაც გეტყვის, დაუჯერეთ.

– გმადლობთ, ბატონო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მე მაგ ნათელმხილველს ვეახლები...

წავიდა სატანა, განვლო სოფლები: ყიყამაური, ტეფშაძეები, მენიაური, გალახეთი, ბაკინოლლები, ქედსიქედი და მიაღწია ყილიფას სახლამდე, რაკი ყილიფა თურმე ნახელმწილველია, ეშმა-სატანამ მაქციობის ქარჩხით დაიბრუნა თავისი ნამმვილი სახე, გუნების გამფუჭებული შეხედულება და ყილიფას სახლის კიბესთან ქვაზე ჩამოჯდა. ცოტა ხანში გამოიხედა ყოლიფამ და რა დაინახა სატანა, პირჯვარი გადაინერა, ეშმას მიაფურთხა.

– თფუი, ეშმას! რა გინდა სატანა, რატო მოდი ჩემთან?

– ერთი სათხოვარი მაქვს, ბატონო და სწორედ მითხარი.

– ჩემთან რა სათხოვარი უნდა გქონდეს, სატანავ, ხომ არ გეშლები ვინმეში?

– არა! – თქვა და შავი, ბანჯგვლიანი ყურები საზარლად ააბარტყუნა. – არსებობს კეთილი და ბოროტი, ისინი ტოლები არიან. ღმერთი დიდიაო, იჩემებთ და მასზე ლოცულობთ, სატანას ბოროტს ეძახით და წყევლით. ღმერთი დიდიაო, ამბობთ, რამოდენაა სატანა?

ყილიფამ უსმინა, უსმინა და ბოლოს უთხრა:

– დედაჩემი პატარა ქალია. კედელზე კალათა ჩამოვკიდე და შიგ ჩავსვი, რომ თბილად და კარგად იყოს: თოჯინისოდენაა, მაგრამ ჩემთვის ღმერთივით დიდია. ვკითხვოთ მას, რამოდენა ხარ შენ, ოლონდ ცუდად ესმის, – თქვა და დედამისს შეეხმინა – ეს სატანაა, ძალიან აინტერესებს, გაიგოს მისი სიდიდე. ქალი შემოუბრუნდა სატანას და უთხრა:

– ამოდი, აგერ ყურის ბიბილოზე ჩამოჯექი კარგად რომ გავიგონო, და მითხარი, რა გინდა.

ყურის ბიბილოზე ჩამოჯდომა რომ გაიგონა, მიხვდა, რომ სატანა ღმერთისოდენა კი არა, მაგენის წარმოდგენაში ნამცეცა ყოფი-

ლა, და წავიდა. წასვლის ხანს დასძინა – არიქა, ილოცეთ ღმერთზე...

– სანამ იობი ლოცულობს, ჩვენც ვლოცავთ, იობი ამ ლოცვით ღმერთმა სიკეთით აავსო, ღმერთია ჩვენი პატრონი, ყველა სულიერის შემნე...

– იმასაც დავინახავ, შენ რას მოგქცემს ღმერთი, – თქვა და წავიდა. ძალიან დიდი გადანყვეტილებით, – როგორმე იობი გაანადგუროს და ხალხი დაარწმუნოს, რომ იობი გამობს ღმერთს. ამით ერთადერთ დიდ მიზანს მიაღწევს, ჯინას იყრის ღმერთზე, რომელმაც დასჯის მიზნით ზეციდან გადმოაგდო და ქვესკნელში მიუჩინა ბინა. მეორეს მხრივ წამოაჩენს თავის სიდიდეს.

* * *

„ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ, მაინც ღმერთს ვმადლობ, – ეშმაკს შემურდა“.

ვაჟა

იობი იყო ყუცის ქვეყნიდან, ღვთისმოშიში... ყავდა ათი შვილი, შვიდი ვაჟი და სამი ქალი, იყო უსაზღვროდ მდიდარი, დაუდიოდა დიდძალი საქონელი „შვიდიათასი სული ცხვარი, სამიათასი აქლემი, ხუთასი ხარი, ხუთასი დედალი ვირი, უამრავი მსახური, აღმოსავლელთა შორის ყველაზე სახელოვანი იყო ეს კაცი“ (ბიბლია).

იობი ამ სიმდიდრეს ღმერთისადმი უკიდურეს ერთგულებად მიიჩნევდა და აასკეცებდა ღვთისადმი ლოცვა-სამსახურს. ვერავითარი ძალა ვერ ათქმევინებდა ღმერთისადმი აუგს.

სატანამ გადანყვიტა შებაელებთან დაახლოება იმ დიდი სურვილით, რომ ამ ძალას, თავზე ხელაღებულებს, რამე მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინათ იობისათვის, დაემტკიცებინათ, რომ ღმერთი მას აღარ წყალობს, და მისი ლოცვანიდიდება ღვთისადმი ამაოა. შებაელები დათანხმდნენ სატანას – ოლონდ ჩვენ ნურაფერს წავვიხდენ, ნუ გვავენებ და მაგ იობს გავამწარებთო.

შედგა საკმაოდ ბინძური გარიგება, – შებაელები სატანისა და ყოველგვარი ბოროტე-

ბისაგან თავისუფალი იქნებოდნენ და ამის სანაცვლოდ იობს დიდ ზიანს მიაყენებდნენ. ასეც მოხდა.

შებაელებმა იობის ხარები გარეკეს და მსახური ბიჭები დახოცეს. თვალს არ აცილებდა სატანა იობს, აინტერესებდა, ამ დიდი ზარალის შემდეგ რას იზამდა, გულისტკივილს როგორ გამოხატავდა, ღმერთს გამობს დაუნყებდა თუ არა.

იობს, ცხადია, ენყინა ხარების გარეკვა ავაზაკების მიერ, მაგრამ გული უკიდურესად ატკინა მსახური ბიჭების დახოცვამ.

რწმენით თქვა:

– დიდება უფალო, შენს სახელს, მე შიშველი მოვედი (დავიბადე) ამ ქვეყნად და ის ყველაფერი შენ მომეცი... დიდება შენს სახელს, – და ლოცვად დადგა.

ეს რომ დაინახა სატანამ, ლამის ჭკუიდან გადადგა. სიმნარის გამო ფრჩხილები წაიკვნითა და ახალი გადანყვეტილება მიიღო. ამ მიზნით იგი დაუახლოვდა ქალდაველებს და იგივე პირობა მისცა, როგორც შებაელებს, და დაავალა იობის უსაზღვრო გამნარება, რომ ღმერთისადმი აუგი დასცდენოდა.

– დაენყვეთ სამ რიგად, დაეცით იობის აქლემებს და გარეკეთ, იობს აქლემები ძალიან უყვარს, უწყინარი არიანო, და გაამნარეთ.

მართლაც, რამდენიმე ხანში ქალდაველებმა დასახული მიზანი აღასრულეს სატანის გულის გასახარებლად და იობის გულის უკიდურესად დასანყვეტად.

იობმა რწმენით თქვა:

– დიდება უფალო, შენს სახელს, მე შიშველი მოვედი (დავიბადე) ამ ქვეყნად, ის ყველაფერი შენი ნყალობაა, შენ მომეცი. დიდება და მარადისობა შენს სახელს!

ღმერთსადმი იობის ლოცვა ვედრებამ მოსვენება დაუკარგა სატანას: ჯერ შუბლში იტკიცა გრძელფრჩხილებიანი, ბანჯგვლიანი ხელი, მერე მკერდზე დაირტყა, ხელი მეტად მომჯილა და მკერდზე ბანჯგვლები მობლალა. იმდენად გამნარებული იყო იობის გამო, რომ ტკივილი არ უგრძნია.

პირქვე ჩაემხო სატანა და მიეცა ფიქრებს. ბოლოს გადანყვიტა მიეგნო იმ საიდუმლოებისათვის, რომელიც ინვეს გარეშე ძალების გააქტიურებას. ერთი ასეთ იყო ჭექა-ქუხილის მინიერი გამოვლინება ცეცხლოვანი მეხი, რომელსაც ღვთის ცეცხლი უწოდა სიძულვილით.

ეს მცდელობა დიდი წამატებით დაამთავრა. ჭექა-ელვა და მეხი მლოცავების მიმართ დიდ მუქარად და სიძულვილად მიიჩნია და სამიზნეს არ ასცდა.

„ღვთის ცეცხლი ჩამოვარდა ციდან...ესეც ღმერთისადმი თქვენი სიყვარულის სამაგიეროდ, დაგმეთ იგი...“

ამიერიდან სატანა განაგებდა გარეშე ძალებს, იობს უთვალავი ცხვარი ჰყავდა, რომელსაც აძოვებდნენ მსახური ბიჭები. უცებ მოხდა საოცრება „ცეცხლი ჩამოვარდა ციდან“ და ყველაფერი გაანადგურა, გადაბუგა და გააჩანაგა ცხვარიც და მისი მოყურიადე ბიჭებიც.

ეს რომ იობმა გაიგო, ისე მაგრად ენყინა ცოცხალი არსების, ცხვარისა და მსახურების გადაბუგვა, რომ ერთი კვირის განმავლობაში იტირა. შემდეგ წამოდგა, ცრემლები მოიწმინდა და თქვა: „დიდება შენს სახელს ღმერთო. ზარალს არ ვჩივი. მე შიშველი მოვედი (დავიბადე) ამ ქვეყნად, ის სიმდიდრე შენი მოცემული იყო და შენვე – წამართვი, დიდება შენს სახელს!“ – და ღვთის გამობის ნაცვლად, რასაც ძალიან ელოდა სატანა, დაიწყო ღვთის ლოცვა-დიდება.

სატანას მისმა მოთვალთვალე ჭინკამ მოახსენა, რომ იობი გაამნარა ზეცის ცეცხლის ჩამოვარდნამ...

სატანამ სიხარულისაგან სიტყვა წაართვა ფარული მოსმენის და ჩაშვების მესაიდუმლე ჭინკას და სიხარულით შესძახა:

– მაშ, გამნარდა იობი, რა კარგია. მისი დასასრულიც ეგ გამნარება და ღვთის გამობაა.

საიდუმლოდ მომუშავე – მოთვალთვალე ჭინკამ შეჰკდრა სატანას და თითქოს მისი ბრალი იყო, უთხრა:

– ადრეა სიხარული, ჩემო ბატონო...

– რა მოხდა?

– ამ უდიდესი გამნარების მიუხედავად, მან მინაზე შიშველი მუხლებით დაიჩოქა და ღმერთის მიმართ ლოცვა-დიდება დაიწყო: „დიდება უფალო შენს სახელს. მე შიშველი მოვედი (დავიბადე) ამ ქვეყნად, რაც მომეცი და შენვე წამართვი... დიდება შენს სახელს“.

ეს რომ მოთვალთვალე, ჩამშვები ჭნკასაგან მოისმინა, სატანა გაჯავრდა, ავარდა-დავარდა და მოიფიქრა ყველაზე საშინელი რამ, რასაც შეეძლო იობი ისე გაემნარებინა, რომ ღმერთის ლოცვა-დიდების ნაცვლად გამობანყველა დაეწყო!

თავისი გადანყვეტილება და ვერაგობა ერთხელ კიდევ გასინჯა და თქვა:

– იობს ვერაფერი ვერ გამნარებს, შვილების დახოცვის გარდა.

მართლაც, მაცნე მივიდა იობთან და უთხრა:

– შენი შვიდივე, ერთმანეთზე უკეთესი ვაჟები მათ სამივე დასთან ერთად ისხდნენ და მოილხენდნენ – ჭამდნენ და სვამდნენ. უცებ ამოვარდა უდაბნოს ქარი „ეძგერა სახლის ოთხივე მხარეს“, მოარღვია სახლის ჭერი – კედელი, იგინი მოიმწყვდია და ერთიანად დახოცა.

ეს რომ გაიგო იობმა ცეცხლის, არა როგორც ცეცხლის მწველობა, გაცილებით უმწვავესი კიდება იგრძნო. თითქოს მთელ სხეულზე მოედო მწველი ალი ნაკვერჩხლებიანად და ამოფუფქა. შევიდა საბნელოში და ერთ თვეს იქედან არ გამოსულა.

სატანა დაქიჩმაჩებული ხარობდა და ელოდა, – როდის გამოვა იობი და ღმერთის გამობასკი არა, უკიდურეს გინებას დაუნყებსო, თავის ჭინკას დაავალა თვალი არ მოეცილებია საბნელოს კარებისათვის და ზუსტად გაეგო, იქედან იობი რომ გამოვიდოდა, რას მოიმოქმედებდა.

დამთავრდა საბნელოში იობის გლოვა – ტირილი და გამოვიდა. მოთვალთვალე ჭინკა ფიქრობდა, ახლა მოხდება ის, რითაც გავახარებ ჩემს მეუფე სატანას, ვეტყვი თუ როგორ გამო-

ვიდა იობი საბნელოდან ეს ცოცხალ-მკვდარი, დასუსტებული და გაყვითლებული, ლანდად ქცეული კაცი და როგორ შეუდგა ღმერთის გამობას, ლანძღვა-გინებას ბილწსიტყვაობის ყველა არსენალის გამოყენებით.

ჭინკამ დაინახა სასწაული: იობმა შიშველი მუხლებით დაიჩოქა მინაზე, ხელები ცისკენ აღაპყრო და გამობის ნაცვლად დაიწყო ღმერთის ლოცვა-დიდება

– ნეტარება შენს სახელს ღმერთო! მე შიშველი მოვედი (დავიბადე) ამ ქვეყნად, არაფერი არ მქონდა, შენ მომეცი ყველაფერი, – ქონება, სიმდიდრე, შვილები, სახელ-დიდება და შენვე წამართვი. დიდება შენს სახელს!

ეს რომ გაიგო სატანამ, მის მოკავშირე ჭინკას დასჯის მიზნით თმა გადაპარსა, საჭინკაო ფრჩხილები დააძრო და განაძევა, – ესეც შენ ცუდი ამბის მოტანისათვის.

ვერ აღისრულა სატანამ თავისი სანუკვარი სურვილი, – იობს დაანყებინოს ღმერთის გლობა, ამით ხალხი ადვილად დაარწმუნოს, რომ უფლისადმი ამდენი ლოცვა და თაყვანისცემა საჭირო არაა; რომ იგი არაა ისეთი დიდი და უზენაესი, როგორც გონიათ, რომ „მარცხენა და მარჯვენა თანაბარია, მე ყველა ანგელოსზე დიდი ვარ...“

გადაწყვიტა იობის ჩაუჯდეს „კრიჭაში“ ანუ გაიჩინოს ეგრეთწოდებული მოენეები და იობის ყველა მოძრაობა, სურვილი, იმედი ისე გააცნობიეროს, რომ არ გაჭირდეს მისი ბოლომდე შესწავლა არა თუ ნამოქმედარის, არამედ იმისაც, თუ რას ფიქრობს... საამისოდ მოიწვია ლელის, ლობისძირი, ნასახლევის ჭინკები და დაავალა, რათაც შეეძლოთ, იმით გაელიზიანებინათ იობი.

პირველი, რაც დაავალა, ეს იყო იობის ლოცვების წიგნის მოპარვა.

...და გაქრა იობის ლოცვების წიგნი. ის ხომ დღემდე ყველაზე დიდ დროს ლოცვებს უთმობდა.

ვერსად ვერ იპოვა თავისი ლოცვების წიგნი და ღმერთს თხოვა პატიება, – წმინდა წიგნი მომპარეს, ეს ჩემს უყურადღებობად არ ჩათ-

ვალო, შემოჩენილი მყავს ეშმაკები! – და დადგა ღმერთის სადიდებელ-სალოცავად.

სატანამ ყველას განუცხადა, რომ იობი სულით ავადმყოფია, ეს რომ ასე არ იყოს, ათი შვილის დამმარხველი ღმერთს მადლობას როგორ გადაუხდისო.

შავი ჭინკების მეშვეობით თანამედროვენი დაარწმუნა, რომ იობი თვალთმაქცია, ხალხის დასანახავად ღმერთს ყველაფრისათვის მადლობას უხდის, მასზე ლოცვილობს, მოდის სახლში და როცა დარწმუნდება, არავინ არ უსმენს, ღმერთს წყევლის, ხელის გულზე გვის... ცბიერია იობი, არავინ დაუჯეროს და არც ახლოს გაიკაროს, მოიკვეთონო...

იობი მაინც თავისას აკეთებდა, – ლოცულობდა და ადიდებდა ღმერთს, მართალია, როგორც ადამიანს დანაკარგების გამო ჭირის ცეცხლი ეკიდებოდა, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ ის ყველაფერი ღმერთმა მისცა, თვითონ არაფერი შეუქმნია, ღმერთმა აჩუქა და ისევე ღმერთმა წაართვა. ლოცვებით იქარვებდა ჯავრს და ეშმას წყევლიდა უკიდურესი სიტყვებით...

სატანამ გადაწყვიტა იობისათვის წყალი გადაეკეტა, სულ რაღაც წვეთწვეთობით მიეცა და, როგორც იტყვიან, წვეთ წყალში დაეხრჩო. ამასაც შეეგუა იობი, თქვა, ალბათ ესეც ღმერთის ემრია, თორემ ადამიანზე წყალი როგორ დაიშლებო, და პირზე ღუმლის მოჰორი დაიდო.

საზღვარი არ ჰქონდა სატანას გაშმაგებას იმის გამო, რომ წყლის გადაკეტვას შეეგუა უბედური იობი.

ჰუმანური ადამიანის სახით გამოეცხადა სატანა იობის ცოლს და უთხრა. – მე თქვენ მეცოდებით ასე დუხჭირად რომ ცხოვრობთ თქვენი ქმარის, გუდა-ფშუტა მლოცველის ახირებით. უთხარი, დაგმე ღმერთი და ყველა სიმდიდრე და ბედნიერება დაგიბრუნდება თქო.

იობის ცოლი ასე რომ დამოძღვრა, იმავე დღეს კიდევ ერთი „წიხლი“ ჩასცა იობს, – ადგა და სინათლე წაართვა. ჭინკების მეშვეობით

ყველა სანთელი მოპარა და გადაუდნო, ესეც არ იყოს, ის გზა საშინელად გადაუთხარა და გაუპარტახა, რომლითაც იობი დადიოდა. ამ გზაზე თავ-კისერს იმტრევდა იობი, მაგრამ ამასაც იტანდა – ღმერთის ნებაა ეს და ჩვენ მის ნებას პატივი უნდა ვცეთო.

ცოლმა უსმინა, უსმინა ქმარს და ბოლოს გულამოსკვნით უთხრა: ერთხელ ცხოვრობ ამ ქვეყანაზე და ჩვეულებრივ ადამიანურად ხომ უნდა იცხოვრო. ერთი სიტყვის უთქმელობის გამო იტანჯები, თქვი, ამიერიდან ვგმობ ღმერთს თქო, შენი დაგმობით ღმერთს არაფერი დააკლდება, შენ კი მოგემატება! სულიერად და ფიზიკურად მოისვენებ, შენი ამდენი მცდელობა და პრინციპი სატანისეულია და ვერ ხვდებიო.

იობმა ქალს უსმინა, უსმინა და დამაჯერებლად უთხრა:

– „უგუნურ დედაკაცივით მელაპარაკები! სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისაგან, ავის ატანა კი არ გვინდა!“

ცოლისადმი ეს პასუხი სატანამ გაიგო თუ არა, მოსვენება დაეკარგა. განრისხდა, იხმო ჭინკები და დაავალა, – გინდათ თუ არა, აცთუნეთ იობი, თორემ თავს დაკარგავთო.

ამასობაში იობი ავად გახდა.

სატანას გაეხარდა, – ექიმს ვეტყვი, რომ მოაკვდინოს იობიო. მონამლოს ან ისეთი წამალი შეუშხაპუნოს, რომელიც გაასულელებს და გამოათავყვანებს. ხალხი დაინახავს, რომ იობი გასულელებულა და ღმერთისადმი მის სამსახურს აღარ დააფასებენ, აღარაფრად მიიჩნევენ.

იობი ნამდვილად უბედურ დღეში ჩავარდა. მანუგეშებელი არავინ ყავდა. მისი ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ ელიფაზ თემერელი, ბილდად შუხელი და ცოფან ნაყამათელი. გაიგეს იობის უბედურება და მივიდნენ სანუგეშებლად. როგორც კი მიუახლოვდნენ, პირკატა ეცათ: იობი კაცს აღარ გავდა, დასუსტებული, ჩამოხეული, შინაგანად განადგურებული იყო, გარეგნულადაც საბრალო შესახედავი. ყველა უბედურებასთან ერთად ქეციც დამარ-

თნოდა. გული ძალიან ეტკინათ მეგობრებს, რადგან ხედავდნენ, რომ იობი დარდისაგან დატანილი იყო და არავითარი სამძიმრი აღარ შველოდა. ისხდნენ მინაზე და არ დგებოდნენ, შვიდი დღედაღამის განმავლობაში ასე მინაზე მსხდომი უთანაგრძნობდნენ მეგობარს. „მეტისმეტი იყო მისი სატანჯველი“.

მეგობარმა ელფეზმა დიდი დუმილის შემდეგ აღალო პირი და უთხრა იობს:

– შენ ხომ დაუძღურებულ მკლავებს ღონეს უბრუნებდი, შენ ხომ ხალხს ამხნევებდი, ჭკუას არიგებდი, ნაქცეულს ფეხზე აყენებდი...

იობმა უპასუხა, – ამ ბოლო ხანებში მე კი არა – ჩემი ყოველი ძვალი შიშმა შეაძრწუნა. რომ ანონილიყო ჩემი ტანჯვა, ყველა ლოდსა და ზღვის ქვაზე უფრო მძიმე იქნებოდა, გადაწონიდა.

ბალდად შუხელი შეეცადა დაემშვიდებინა იობი და ნუგეშის მსგავსად უთხრა: ნუ გეფიქრება, ღმერთი დიდია, იგი შეცვლის სამართალს, შენი მტრები აღიგვებიან პირისაგან მიწისა. ისინი სატანისეულები არიან. სატანის ყველაზე დიდი მტერია ღმერთი – გამჩენი. მაგ ოხერს მიუზღვევს თავისას. ოღონდ გული გაიმაგრე და ერთხელ არჩეული გზიდან არ გადახვიდე.

ცოფარ ნაყამათელი შეუერთდა მეგობარს ლაპარაკში და იობს უთხრა:

– ყველა უბედურება, რაც თავს გადაგხვდა, ღმერთისაგან არ არის. მასში სატანის ხელი ურევია. ღმერთმა შენდამი დიდი სიყვარულით აგავსო. ილოცე, ღმერთის სადიდებელი თქვი. იქნებ ღმერთი გცდის, უნდა ბოლომდე გაიგოს შენი გულითადობის ამბავი. როცა დარწმუნდება, რომ შენ მისთვის იგივე ხარ, ამდენი უბედურების გამო მასზე ძვირი არ დაგცდენია, იგი მისი ბოლხაზინადან ისევ გაგიტობს გულს. ღმერთს არაფერი ეჩქარება! გული არ გაიტეხო.

იობმა მადლობა გადაუხადა თავის მეგობარს ცოფარ ნაყამათელს, შემოუბრუნდა, ცრემლი შეიშრო და უთხრა:

– ჩემო მეგობარო ცოფარ, „მე ჩემს სიმართლეზე ვდგევარ მტკიცედ და არ მოვეშვები;

არ დავუგმევარ ჩემს გულს ჩემი დღე და მისწრება. შეირაცხოს ჩემი მტერი, როგორც ბოროტისეული და ჩემი წინაღმდგომი – როგორც უკეთური“.

უფალმა იობის გამოცდა საკმაოდ მიიჩნია და მას შემდეგ როცა იობისაგან მოისმინა დიდი შინაგანი სიმტკიცის გამოხატველი სიტყვები, სასიკეთოდ გამოიღო ხელი.

უფალს მეტად ხიბლავდა იობის სიტყვები:

– მე შიშველი მიველ (დავიბადე) ამ ქვეყნად და ყველაფერი ღმერთმა მომცა!... რატომ არის, რომ ღმერთისაგან წყალობას ვიტანთ და თუ რამე გაგვიჭირდება, ვსაყვედურობთ.

სწორედ ამის გამო „აღუდგინა უფალმა იობს მისი დოვლათი... უკურთხა უფალმა იობს დარჩენილი დღეები წინანდელზე უფრო მეტად: მისცა თოთხმეტი ათასი ცხვარი, ექვსი ათასი აქლემი, ათასი უღელი ხარი და ათასი სახედარი, შესძინა შვიდი ვაჟი და სამი ასული ერთ დღეში ერთი წლისანი გაიზარდნენ. ერთს სახელად დაარქვა იემიმა, მეორეს – კეციყა, მესამეს – კერენ-ჰაფუქი“ ძალიან ლამაზი ქალიშვილები იყვნენ. იშვიათად თუ სადმე შეხვდებოდნენ მათ მსგავს ასულებს. იობმა თავის ვაჟებთან ერთად ამ მშვენიერ ასულებს მისცა სამკვიდრო. ამის შემდეგ „იცოცხლა იობმა ასორმოცი წელი და მოესწრო თავის შვილებს და შვილთაშვილებს მეოთხე თაობაში“ (ბიბლია).

* * *

გაიგო თუ არა სატანამ მის მიერ გამობილი და მუხანათურად დაკნინებული იობის ხელმეორედ აღზევება, გული მოუკვდა, შვიდ დღე და ღამეს იტირა. გარს ეხვეოდნენ მისი ბრძანების უსიტყვო შემსრულებელი ჭინკები და ანუგეშებდნენ

გამოეცხადა სატანას ბოროტ სულთა მბრძანებელი და მეტად დამაჯერებლად უთხრა:

– შენ მწვავედ უნდა დაისაჯო სატანა!

– რატომ, ასეთი რა ვქენი? მე სატანა ვარ და გავაკეთე ის, რაც მევალებოდა, – სატანური ბოროტება.

– ბოროტებაც არის და ბოროტებაც. შენ ცთომილების მაგივრად დამსჯელობითი ხერხები გამოიყენე, შენი ვალია პიროვნების ცთომილება, მისი შესწავლა. შენ კი, მართალ კაცს საქონელი გაუნადგურე, შვილები დაუხოცე, რამდენი ერთი ჩამოვთვალო. ამაზე ამბობენ, სატანურ მოვალეობას გადააჭარბაო. ამიტომ უნდა დაისაჯო.

– მაპატიეთ ბატონო.

– უპატიებელია იობის ათი შვილის ერთად დახოცვა, რაც შენი ხელიდან მოდის. სანთლები მოპარე და გაუნადგურე, რომ სიბნელეში ყოფილიყო და როგორმე ღმერთის გმობა დაეწყო. წყალი გადაუკეტე და თქვი, ერთ წვეთ წყალში უნდა დავახრჩოო მართალი იობი, ღამით ქუჩა გადაუთხარე, ავადმყოფ იობს, წინააღმდეგობის განევა რომ აღარ შეეძლო, ხელები გადაუგრინე და სანამღავით მისი გამოთავანება სცადე, ოდნავ რომ მოკეთდა, ღამით, მის ახლოს, შექმენი ჯოჯოხეთური ხმაური, რომ მისთავის მოსვენება დაგეკარგვინებინა და შეგეშინებინა. იობს შენი ხელქვეითი ჭინკები მიუჩინე, რომ რამე ძვირი დასცდენოდა და შენ ეს შენს სასარგებლოდ გამოგეყენებინა. ესეც არ იყო, შემოიარე სოფლები ყიყამაური, ტეფშაძეები, მენიური, გალახეთი, ბაკინოლები, ჭალადედი, აგინეთი, ქაროსანიძეები და ბლუკუნეთი. ყველგან ღმერთის სიკეთეში დამაეჭვებელი ფრაზებით გააბრუე მართალი ხალხი. ამის გარდა შენ ბევრი სისაძაგლე ჩაიდინე. ღმერთზე დიდი ვარო, ამტკიცებდი

და ერთმა სხაპარმა დედაკაცმა დაგარწმუნა, რომ შენ არარაობა ხარ, მეტადრე მაშინ, როცა გითხარა, სმენა დამიქვეითდაო, მოდი, ყურის ბიბილოზე ჩამომაჯექიო და მითხარიო. ღმერთისადმი ხალხის სიყვარულმა და შენდამი სიძულვილმა გაგაბოროტა და იმის გამო, რომ ხალხს იობი არ ყოლოდა დიდ ნიშანსვეტად ღმერთისადმი სიყვარულში, ადამიანს რა არ დამართე.

ღმერთმა ორმაგად აღუდგინა იობს დანაკარგი, შენ კი ასეთ დღეში ჩაგაგდო.

ბოროტ სულთა წესრიგგამრიგემ დამსჯელებს უბრძანა სატანასათვის მოეტეხათ ცალი ფეხი, დაევისოთ ცალი თვალი, დაეძროთ საეშმაო ფრჩხილები და ჯოჯოხეთში ჩაეგდოთ, საიდანაც ის ვერასოდეს ამოვიდოდა – მას, გარდა ამისა, ზურგსა და გვერდებზე დაეხატათ ობობა. ზურგზე დიდი, კუდის ძირამდე, გვერდებზე – პატარები. ეს აღიარებული სიმბოლოა ბოროტების, ცილისწამების, სხვის უბედურებაზე დიდი სიხარულის გამო. ვისაც ასეთი სასჯელი ერგო, ის ჯოჯოხეთში დაინვა, მისი დავალების შემსრულებელ ჭინკებს კი ისეთი დღე ნაკიდეთ, რომ ყველა მათ აფურთხებდეს, ყველამ უბედურების მოციქულებად მიიჩნიოს! – დაამთავრა სიტყვა და ბრძანა სატანასათვის სასჯელის აღსრულება დაუყოვნებლად მყისიერად. სატანის გაანადგურებამ დაეჭვებული ხალხი მოასვენა.



ქართვან პირობაძაძა

მოლექული კაფები

ჯამბაზობა არასოდეს მიტაცებდა,
მაგრამ ყოველთვის მიყვარდა ფრიდონი
სილალით რომ გადაუგდებდა თოქს
ქაჯეთისკენ,
გაჰყვებოდა და ფარ-იარალით გადაიყვანდა
სიყვარულსა და თავგანწირვას.
მომწონდა ფრიდონი ავთანდილზე მეტად.
...და მერე, როცა ვიქეცი მასწავლებლად
ყვევბოდი ფრიდონზე იმ თოქიდან
მორღვეული ძაფით...
და თოქზე მოფარფატე სული მე ვიყავი...
ძაფი ხშირად იკარგებოდა...
და მაშინ მზერამორღვეული
ვიღაც გადარბოდა ქაჯეთისკენ.
და ჩვენც სულიდან მოლექული ძაფებით
ერთმანეთს ვამრთელებდით.
...და მაშინ... მიყვარდა ტარიელი,
მიყვარდა ავთანდილი..
მიყვარდა ფრიდონი
მიყვარდა... სიყვარულზე მეტად.

* * *

ვარ მასწავლებელი,
ვცხოვრობ ჩაკეტილ სამყაროში,
როგორც თევზები აკვარიუმში უჟანგბადოდ.
მაშინებს მკვდარი თევზის თვალები
და ვკანკალებ.
კანკალში კანკალი კანკალებს.

რა ვუყოთ მკვდარ თვალებს, რომელსაც
ვემალები,
რომელსაც ეშინია აკვარიუმიდან ამოხტომის...
ასე მგონია თქვენც აკვარიუმიდან ამომხტარი
თევზები ხართ
სევდა რომ გასცურეს ინტერნეტით.
ჩემში ბანალური აზრებია,
თევზები არაფერზე ბრაზდებიან...
უბრალოდ, ვერ სძლებენ უჟანგბადოდ.

ურიტმო ფიქრები

გონებით აწონილი
ჩემი ურიტმო ფიქრები ისე მიიპარება
ინტერნეტში,
როგორც სიყვარული,
რომელიც დიდი ხანია ჩვენი თვალებიდან
გავაძევეთ,
გ ა-ვ ა-ძ ი-ძ ა-ვ ე თ.
უკვე აღარ ვიყავით კეთილები,
მაგრამ თავისმართლებისთვის ყველას
სჭირდება
კეთილი ძიძა,
რომ საკუთარი თავიდანაც
არ გავძიძავდეთ.
წლები გასულან...
მომნატრებისხარ სიყვარულო
თბილი კურცხალით,
ბავშვის თვალებით, რითმიან ლექსში
აუზომავი, აუნონავი და უძიძაო...
მომნატრებისხართ ისეთები როგორებიც ხართ –
მზერანათელი, უეჭვო და დაუბინდავი...

დრომ ჩვენს გრძნობებთან
მზა მორალით წაიმკითხავა
ვერ ვაკაკუნებ თქვენს კარებთან
დაუკითხავად.

* * *

ის სიკვდილის წინ იკერავდა მოცისფრო კაბებს –
თეთრი მარმაშით, კოპლებიან ჭიამაიებს
და შემოსაზღვრულ სამყაროსგან მალავდა
თვალებს

ურითმო ლექსებს – სიცოცხლისთვის
დაღვრილ ბაიებს...

წავიდა დედა, გადასახლდა წარსულში აწმყო...
შავ-თეთრ კლავიშთან ვათამაშებ დედისფერ
ხელებს...

მეც ვარჩევ კაბებს – კოპლებიან ჭიამაიებს
და მიმონამქრულ სამყაროსთან ვაცოცხლებ
ფერებს...

მზე ამოჰყვება სულის სკნელში მიმალულ
თვალებს,
რომ ვილაც ჩემშიც განმეორდეს მერე და მერე...

* * *

შენ კი ლექსები, როგორც გეგონა
დამარხე სადღაც მორუხო ცაში.
გადაიქნიე მერე ხელები
და ველარაფრით აგნებდი ნაპირს,
ჰო მერე... როცა გწენდნენ და გგლეჯდნენ
შენც დამნაშავე იყავი მაშინ.
ჩაკვნიტე ბაგე ვერმიშველების,
უსუსურობის აწყვეტილ მარშში.
გადმორბოდი და არაფერი
გეგულებოდა გარეთ თუ სახლში.
შენ კი ლექსები, შენი ლექსები
დამარხე მაშინ მორუხო ცაში,
რადგან ეს იყო შენი სამშობლო
ამორეკლილი ცრემლჩამდნარ თვალში.

რომ მბონი...

სიკვდილი აქვე გადმორბის
გაუხეშებულ ბილიკებზე:
მკვდარი მეგობრობის,
მკვდარი სიყვარულის ნაკვალევზე

დაყარა დამჭკნარი ყვავილები.
ალარ მეკითხებიან ვინ ვარ და რა ვარ,
მე უკვე მკვდარი ვარ
ცივი პრაგმატიზმის კანონებით –
ესაა სიკვდილის კანონები!
დაუნდობლად მიმერეკება სადღაც,
იქ გზას ვერ გავიგნებ
გალაქტიკების „ბნელ ხვეულებში“
დამრჩა ძველ რვეულებში
ჰერბარიუმად ქცეული სიყვარული...
აქ გზას ვერ გაიგნებ...
დავკარგე თვალები...
ან გვექონდა თვალები,
რომლითაც ერთმანეთს ვათბობდით?..
არ შეიძლება სამყაროს გალხობა ირონიით!
ან იქნებ თვალებსაც დასცვივდა ყვავილები?
სად არის ყვავილები?
ყვავილნაირებით...
რომ ნაბიჯარეული,
რომ როგორც მთვარეული
მოვიდე შეთან და გითხრა,
რომ მგონი... ცოცხალი ვარ.

* * *

გიგ ზავნი ამ ლექსს,
რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს მარაოს ფასი,
რადგან არასოდეს მიცხოვრია შეჰერაზადის
წარმტაც ზღაპართა ლაბირინთებში,
არც იქ, სადაც ლამაზმანებს მაქმანებიან
მარაოებით
მიაქროლებდნენ ლურჯი ეტლები
სიზმარეთისკენ.
ჩემს ზღაპარს უბრალო ხამლის კაბა ეცვა...
ჩასძინებოდა თვალცრემლიანს, ობოლს ხის
ძირას...
ბლავილ-ბლავილით გადმორბოდა გზიდან
წიქარა
მოჰქონდა დანა თავგანწირვის გადასარჩენად...
ცხოვრება კიდევ მკბენარებით დაჭმულ გულს
ჰგავდა
ველარ გიხმობდი სიყვარულო სულის

სალხენად...

„აბესალომის დანაო, ჯიბეს მიდეგხარ თანაო,
ამოვიღებ და დავიცემ მარცხენა ძუძუს
თანაო“...

ჩემს ზღაპარს უბრალო ხამლის კაბა ეცვა,
მენამული მზე მოჰხვეოდა ყელთან
სარტყელად...

გიგზავნი ამ ლექსს ამოღებულს თვალის
ფსკერიდან,

გიგზავნი ამ ლექსს ამოკანრულს სულის
სკნელიდან

გიგზავნი ამ ლექსს,

გიგზავნი ამ ლექსს

გიგზავნი ამ ლექსს

მარტოობაში

მარტოობაში სიყვარულის გადასარჩენად.

რეჰვიჰი

რ-ს

ახლა, როცა სიკვდილი მიწოლილა
შენს ჩალამებულ თვალებთან,
ყველაფერი ნაღდი უნდა იყოს;
ისეთი ნაღდი,
როგორიც თავად სიკვდილია.

მაინც ვკეკლუცობ და სიყმანვილეს ვუხმობ
ოცი წლის წინანდელი სიხარულებიდან.

იქ, სადაც შენი თმის შოლტები მილიმიან,
ურჩი თვალები და სიცოცხლის სიყვარული
აღმა მიუყვება ნაპირს

– ახლა გამხმარი თმის ღერები მშოლტავენ და
მზარავს გაყინული დარდი.

მოდით მეგობრებო,

სიკვდილის სარეცელთან

ყველაფერი ნაღდი უნდა იყოს...

სიკვდილივით ნაღდი.

აბვისტოს ომში დაღუპულებს

არ ვიცი, იქნებ ჩემი ბრალია

შენს თვალებში რომ მზეა ჩამქრალი.

წაგებულ ომებს – სულის გალიას

აურევიათ ტყუილ-მართალი.

ჩემი თაობა, შენი თაობა,

სისხლიან ზოლთან გულის კანკალი...

გადაჰყოლია ამ უთაობას

არც ზღვარი სჩანს და აღარც საზღვარი.

გადაჭრილია თითქოს აორტა,

და მეომრები საფლავგამქრალი

ამოჰყვებიან სულეთს საომრად

და ქავის კართან წყდება გზა-კვალი.



შორანს ღოღლიძე

სიჩუმისა და
დარდის კედლებს
ვეომე ერთმა,
და ყოფნის ჭაში,
ცარიელ
და ამომშრალ ჭაში,
საკუთარ თავთან დარჩენილი
მიპოვა ღმერთმა...

* * *

ამ შესართავთან,
სადაც ზღვაში ჩაედინება
მძიმედ ჭოროხი,
ამ შესართავთან,
მიუხვდები ჩქარ დინებას
დაბადების მელანქოლიას...
მოგკვდები აქვე,
შავ ზღვასთან
და მრუმე მორევთან,
თუმცა სამშობლო არ მთავრდება ახლა
და აქვე...
ამ შესართავთან,
აქ იწყება მტერთან მორევა!
ამ შესართავთან მოვიდიე მოვის პერანგი,
ჩემი მზე-ბიჭის მოგონება,
ჩემი ჭოროხი!

* * *

საკუთარ თავს რომ დავეკარგე,
ქუჩაში,
კართან...
ოთხ კედელს რომ გამოვექეცი,
სიჩუმის კედლებს,
დაგმანულ და შესუდრულ ფანჯრებს.
ქუჩის ბოლოში
ულამაზეს ნარცისებს რგავდნენ,
ქუჩის თავში ცხოვრობდა ბავშვი,
რომელიც მგავდა.
ხოლო ჩემს ნაცვლად,
ბნელ კუთხეში ეძინათ კნუტებს...

* * *

ჩემო ქმარო!
სამფლობელოს,
სადაც დევებს და ოჩოკოჩებს
აუკრძალე ბორიალი,
სადაც საზღვრების გადმოლახვა
დალუპვას უდრის... გამოვალნიე,
და გულის ნაცვლად
მოჩხრიალე კენჭები დამაქვს...
წამო ბელელთას,
იქ ცა ათას ვარსკვლავს აელვებს,
ჩავუყვებთ კიბეს,
ნაცრის ბილიკს სასაფლაოსკენ,
სადაც წვანან მოხუცი ძვლები
და ჩვენი შვილის თოთო ცხედარი,
ჩამოვსხდეთ,
იქნებ ისევ შევძლოთ
ცრემლის ჩამოყრა,
და მერე გვანცას ქვაბულებში
გადავსახლდეთ...
მაგრამ შენ,
თუკი მიატოვებ შენს სამფლობელოს,
ჯადოსნური სირმით მოსირმულს,
მოვლენ დევები,
ჩემს თავს წაგართმევენ
ყამარივით გამმეტეს...
ჩემო ქმარო!
შენი სამფლობელო,

სადაც აუკრძალე
დევებს და
ორკოჩებს ბორიალი,
ერთად დავიაროთ,
დავადოთ ბეჭედი სამშობლოს საზღვარს –
– შენს სამფლობელოს!

მეუღლეს

(ზურაბისეული რიტმით, რითმით, სიტყვით...)

„ჩოლოქ გაღმა გოგო ვნახე,
გულგუნდა და თვალმაყვალა“ ...
ცამ ჩინჩხლები შენს თავზე და
ჩემს თავზედაც ჩამოჰყარა,
მერე რაცხამ შემაშინა,
იცო, ვინაც გადამმალა,
მაგრამ გულმა რეჩხი უყო,
ნდობამ თავის გაიტანა,
მერე აქეთ წამოგყევი,
ჩოლოქ აქეთ, ბიჭო, განა,
სავსე პეშვით მოგიტანე
სიყვარული სახლიდანა,
იმის იქეთ ცამ იბარტყა,
ღერომ გამოისხა ყანა,
ტკბილ ნანაში დაგიზარდე
მგლის ლეკვები ხარითვალა,
შიგნით ნულარ იფუფქები,
გამო გარეთ, ბიჭო, განა,
ხმამალალი უნდა იყოს
შენი ჯიშის განდაგანა.

* * *

მეგონა, სამშობლო მომკვდომიყო,
მეგონა გზას ვადექით არსაით...
თურმე სამშობლოს სძინებოყო,
დინებას მინდობოდა წყლის...
მეგონა ქართველობა მომკვდომიყო,
გაყიდულიყო ცაც,
თურმე ქართველობას სძინებოყო...
ჭოროხს ჩახვეოდა ღრმად...

* * *

იბრძოლებ,
იფართხალებ,
ცოცხლად გაფატრული კალმახით,
ჩაყლაპავ ათობით ყლუპ
მონამლულ ჟანგბადს..
ქერცლებს თითო-თითოდ დაიცლი,
და ვერასოდეს ვერ მიხვდები –
რაც კაცში მოკვდა,
მომკვდარა შენშიც!
და ველარაფერს ვერ უშველი
დაკარგულ სიყრმეს,
თვალეებთან ნაოჭს,
გულში დარდად
ჩამოქნილ ყინულს...
იბრძოლებ,
რადგან...
სხვანაირად
არ ღირს სიკვდილი,
იფართხალებ,
ქერცლებს
თი
თო-
თი
თოდ
დაიცლი...

* * *

იმ უდღეური
ბიჭვით ვარ,
წიქარასავით,
დაუსრულებელ ბრძოლაში
რომ ამოხდა სული...
მეც,
იმ ბიჭვით,
წამიგია სიკვდილთან ომი...
და ვიდრე
ბოლო
სიმართლესაც გამოვარკვევდე,
დავხეტილობ შარა-შარა
და კენჭებს ვისვრი.


* * *

გახსოვს, რომ გწერდი
 არას და ჰოს შუა...
 ახლა იქა ვარ და დღეებს ვითვლი,
 რალაც მგონია ვილაცის რითმას
 ვიღებ თაროდან
 და ლექსად გიწვდი...
 ეზოში მზეა,
 ჩვენ პალატაში...
 ოთახი ქვია,
 მაგრამ ქვა არის...
 გული ლოდია,
 ზედ წვიმად წვეთავს
 ცხოვრება –
 ყუთში მომწყვდეული
 შიშველი ბავშვი...
 მგონი რალაცა ავურიე,
 ვილაც გავქურდე,
 რითმაც და რიტმიც არ მგონია,
 ჩემი რომ იყოს,
 მაგრამ შენ წევხარ,
 პალატაში აღწევს მზის სხივი,
 ხოლო სანოლთან ჩამუხლულა
 დრო-აგონია,
 გახსოვს რომ გწერდი
 არას და ჰოს შუა...?
 ახლა იქა ვარ და დღეებს ვითვლი,

რალაც მგონია ვილაცის რითმას
 ვიღებ თაროდან
 და ლექსად გიწვდი.

* * *

მეტრფე ვარ შენი,
 ზანზალაკი წკარუნობს ქარში,
 მე ვდგავარ კართან,
 გულის კართან
 ტრიალებს ქარი...
 მეტრფე ვარ შენი,
 ველოდები
 ქარის ჩადგომას,
 ზანზალაკები გაჩერდეს და
 გამიღო კარი.
 მეტრფე ხარ ჩემი,
 ზანზალაკი წკარუნობს ქარში,
 შენ დგახარ კართან,
 გულის კართან
 გრიალებს ქარი...
 მეტრფე ხარ ჩემი,
 ელოდები
 – ჩადგება ქარი,
 ზანზალაკები ჩამოვხსნა და
 გაგიღო კარი...



ანა დუნდუა

ღალატი

ნოველა

„დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
იმითა გვტანჯავს გამჩენი –
სულ მუდამ გვაცოდვილებსა“.

ხალხური

ეს ნამდვილი ამბავი ჩემმა მეგობარმა ქალბატონმა თამარ სახიევამ მომიყვა. მე მხოლოდ მხატვრული სახე მივეცი. რამდენად შევძელი ეს ჩემმა უღალატო მკითხველმა განსაჯოს.

* * *

ქვეყანას უღრუბლო ცა დაჰყურებდა, როცა ეს შეხვედრა მოხდა. საოცარი და საკვირველი არაფერი მომხდარა. ცხოვრების მდინარე წესით და რიგით მიდიოდა. მეგობრის დაბადების დღეზე შეხვდნენ ერთმანეთს. შოთა ქვარიანმა, თავად უბადლო ვაჟკაცმა, რომ შეხედავდი, იტყოდი ავთანდილია „ვეფხისტყაოსნიდან“ გადმოსულიო, გაიცნო მირანდა ქართველიშვილი. მშვენიერი გოგონა, შავთვალა და შავნარბეზა. შეუყვარდათ ერთმანეთი. „ფერი ფერსა და მადლი ღმერთსა“ – იტყოდი მათი დანახვისას. მირანდას, როგორც იტყვიან, „ნამეტნავად“ შეუყვარდა შოთა ქვარიანი. გულში სულ შოთა – შოთას იმეორებდა. შოთას სახელის ხსენებისას ბუმბერაზი შოთა რუსთაველი წამოიძვრებოდა მის თვალწინ, რომლის „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში ამოიშვე-

ვა. რუსთაველის გმირებს რომ ერთგულება შეუძლიათ, ნეტავ ისეთი ერთგული იქნებოდეს ქვარიანი – ნატრობდა. ნეტავ რას ვეპოტინები ჰეროიკულ წარსულს. დღეს „ვეფხისტყაოსანის“ მსგავსი არაფერი იწერება, თუმცა დღეს ტოლსტოისთანა მემობოხე სული უფრო სჭირდება ქვეყანასო. მერე ის განცდა ეუფლებოდა „სიყვარული აგვამალლებსო“ და ისიც მალდებოდა. თუ შევუღლებით, სიყვარულიც დამთავრდებაო – ფიქრობდა.

ალბათ, სწორად წერს ოტია იოსელიანი: „შოთა რუსთაველი მანამდე წერდა „ვეფხისტყაოსანს“, სანამ ტარიელი იპოვიდა ნესტანს. მერე ყველაფერი დამთავრდაო“. – არა – წამოიძახა, – ჩემს გულში ქვარიანის სიყვარული არასოდეს დამთავრდება... სიყვარულის ძაფი თუ განწყდა, ეს ქვარიანის ინიციატივით იქნებაო მხოლოდ.

როცა შოთა ქვარიანი შეიყვარა, მირანდას ხშირად აგონდებოდა მეზობელი აფროსინე ბებია, ომში წასულ და ვერდაბრუნებულ შვილებს რომ დასტიროდა: შოთოია დედა, შოთოია შვილო, ბუკულა დედა, ბუკულა შვილო, თქვენ შემოგველოთ დედა, თქვენი გულდამწვარი დედა, შვილებო!..

* * *

ფანჯარასთან მივიდა. ოთახში ფანჯრიდან მთვარის ვერცხლისფერი შუქი შემოპარულიყო. რადიოში ვილაც ჯუმბერ ჯანდიერის ლექსს კითხულობდა:

ფიქრით შენს სუნთქვას ვდარაჯობ,
მიყვარდი ძირის ძირამდი,
ათასი გული რომ მქონდეს,
ყველას შენ შემოგწირავდი.

ლექსი გულზე მოეფინა. ირგვლივ აპრილს ფრთები გაეშალა და ველ-მინდვრებს მოდებოდა. „აპოლონი და დიანა ზევსის შვილებია.

ჰერკულესი ზევსის მამა იყო, ხოლო მისი ძმა პოსეიდონი – ზღვის ღმერთი“... გემოდღვრავდა ვილაც რადიოდან.

გარეთ გაავებული ქარი ბობოქრობდა და ხის ფოთლებს აკვნესებდა. ფანჯარასთან მივიდა. ღამის მსუბუქი ნიავი შუბლზე ელამუნებოდა. ის დრო არასოდეს დადგება ქვარიანის სიყვარული ქარს რომ გავატანო – ფიქრობდა. ძილი მოერია. მერე ყველაფერი რძისფერ ნისლში ჩაიძირა. სიზმარში ქვარიანი სამეფო ტოგაში გამონყობილი იხილა. რომ გაიღვიძა და სიზმარი მოაგონდა, გაელიმა.

მირანდას ისეთი თვალეები ჰქონდა, გეგონებოდა სხივებს აფრქვევსო. შორიდან გაუჩინარებული ბავშვობა დალანდა – რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, როცა მხოლოდ ჩემიანები მიყვარდა. ახლა კი... თავს მაინც ბედნიერად გრძნობდა, რადგან სიყვარული ეწვია, გაზაფხული ეწვია თავისი ფერადოვნებით, სიხალისით და სილალით.

– ჯერ სამხედრო ვალდებულება უნდა მოვიხადო, ჯარში წავალ და რომ დავბრუნდები, მაშინ ვიქორწინოთო – უთხრა ქვარიანმა მირანდას. მირანდა დაეთანხმა, თუმცა სხვა რა გზა ჰქონდა.

* * *

ვარსკვლავებით დაჭორფლილი ცა ჩამომხობოდა დედამინას. მთვარე ჯერ არ ჩანდა. მიჰყვებოდა ფიქრთა დინებას მირანდა და იმ ადგილას ჩერდებოდა მათ შორის სიყვარულის ძაფი რომ გაიბა. ორი წელი ლოდინი არაა ცოტაო – ფიქრობდა. ამ ბოლო დროს, რატომღაც, ეჭვის ჭია ღრღნიდა, თან იმასაც ფიქრობდა, სიყვარულის ლამპარი ნეტა კვლავ თუ ანთია მის გულში.

თითქოს გული უგრძნობდა, რომ მათ სიყვარულს კარგი ბოლო არ ექნებოდა. რატომღაც საშიშროებას ქალები უფრო ადრე გრძნობენ, ვიდრე მამაკაცები. – როგორ მენატრება! – ამოკვნესა, – სულ დარდათ გადავიქეც... რაა სადარდო! ჯარშია და დაბრუნდება. „და იყო

ღამე მყუდრო, იღუმალი, ღამე მთვარიანი და მქონდა გული სევდიანი, გული ჯავრიანი“. ვისი ლექსია? მგონი, ინგა აბაშიძის. მონატრება ასე ძლიერი თუ იქნებოდა არ მეგონა. მეჩვენება, რომ მისი სახე ჩემს თვალწინ ტრიალებს. იცოდეს მაინც მასზე ფიქრით რომ ვცოცხლობ. გრძნობის გამოგონება შეუძლებელია.

ყოველდღიურობა მაინც გაანადგურებდა იმას, რასაც რომანტიკა ჰქვია, ის ჭეშმარიტებაც უნდა გავითვალისწინო, რაც ყოველდღე შესაძლებელია, სანატრელი არაა.

მასთან რომ ვიყავი, ასე მეგონა ფრთები მქონდა და რომ მომენდომებინა გავფრინდებოდი. ყოველ საგანს ახალი თვალსაზრისით ვხედავდი. გრძნობდა, რომ ასეთი ბედნიერი არასოდეს ყოფილა, როგორც იმ წუთს ქვარიანი რომ გაიცნო.

ყოველთვის სჯეროდა, რომ მოვიდოდა დრო და მის გულს სიყვარულის მზე გაათბობდა. მოვიდა კიდეც.

ქვარიანის ფიქრები... ღამაზე ქალზე მშვენიერი ბუნებას არაფერი შეუქმნია. მირანდა მშვენიერია. მე მიყვარს მირანდა. იგი გულში ჩაღვრილ სიყვარულს ყოველ წამს გრძნობდა. მერე ამ სიყვარულს გულის პატარა კუნჭულში მიუჩინა ბინა, რომელიც მხოლოდ ზოგჯერ შეახსენებდა თავს.. ერთხელ დაესიზმრა, ვითომ დაგვებრუნებინოს თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები ტრაპიზონამდე, საქართველოს ტერიტორიების მესამედი დღეს ხომ თურქებს ეკუთვნის. სადღაც ღამი პოეტის სტრიქონები გაკრთა, თამარ მეფეს რომ მიმართავს: „ერთხელ კიდევ გამაგონე ის ტკბილი ხმა, ჩვენიო ტრაპიზონის იმპერია...“

* * *

ირგვლივ ნისლივთ ჩამონოლილიყო სიჩუმე და ცაში უთვალავი ვარსკვლავები მიმობნეულიყო, რომელთა ციმციმს დასასრული არ ჰქონდა. მსუბუქი ქარი მინდორზე დაყრილ ფოთლებს აშრიალებდა. ცაზე ნამგალა მთვარე ეკიდა.

როგორ ყოველდღიურ საქმიანობად ვაქციე ჩემი სიყვარული – ფიქრობდა მირანდა. დავდივარ, ვჭამ თუ მძინავს, სულ ქვარიანზე ვფიქრობ. ცხოვრება მოლოდინი და იმედი ყოფილა, მეტი ალაფერი.

ვერ გარკვეულიყო ქვარიანის სიყვარული გულწრფელი იყო თუ მოჩვენებითი. თავად ისეთ ვნებათაღელვაში გადავარდნილიყო, თავგზა ერეოდა. ქვარიანის ჩამოსვლამდე თვეები ილა რჩებოდა. კანტი-კუნტად გამოგზავნილი ბარათები ვერ შველოდა საქმეს. ცხოვრება მირანდას დიდ განსაცდელს უმზადებდა.

ამბობენ, სიყვარული რომ შეინარჩუნო, ცოლად არ გაჰყვე მას, ვინ გიყვარსო. ნუთუ ეს აქსიომაა და დამტკიცებას არ საჭიროებს?!

გაბმული სატელეფონო ზარი და ქვარიანის სანატრელი ხმა.

– როგორა ხარ, მირანდა?

– მე კარგად როგორ ვიქნები უშენოდ.

– მირანდა, მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ვიცი, შენ ყოჩალი გოგო ხარ და ყველაფერს ადვილად გადაიტან. მე ერთ ქალთან მქონდა ურთიერთობა, ჩემგან დაფეხმძიმდა და იძულებული გავხდი ცოლად შემერთო. შენ კი ცხოვრება წინ გაქვს. ჩემს თავს გაფიცებ, არ იჯავრო. ამის გაგონებაზე მირანდას გული შეეკუმშა, თითქოს მასში რაღაც ჩაკვდა.

– უსვინდისო ყოფილხარ შენ, ქვარიანო! გულში გარენარი და არამზადა უნოდა, მაგრამ არ თქვა.

– რაც გინდა დამიძახე, ოღონდ შეეგუე ამ მდგომარეობას.

მირანდას ყურმილი ხელიდან გაუვარდა და გონება დაებინდა, თითქოს უცნობ განზომილებაში მოხვდა. გონზე რომ მოვიდა, მიხვდა, რომ ცხოვრება დიდი იმედგაცრუება ყოფილა, რატომ შევიყვარე კაცი, რომელსაც გულში ღალატი ედო. „ღალატი რუქაია“. თითქოს ოთარ-ბეგის ტრაგიკული ამოძახილი მოესმა. არადა ყოველ წუთს მის სიახლოვეს და გულში ჩაღვრილ სიყვარულს გრძნობდა. იგი მუდამ ჩემი ტკივილი და სასჯელი იქნება,

რადგან მიღალატა. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია. თავის მოკვლა გადწყვიტა. – მე იგი სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა და უმისოდ მაინც ვერ გავძლებ. შარფს წამოავლო ხელი, კიბეები ჩაირბინა და მდინარისაკენ დაადგა გზას. რატომ მიღალატა, „საკითხავი ეს არის“. შექსპირი წამოეშველა. მკერდქვეშ გული უკვე ეყინებოდა. გადწყვეტილება მტკიცე იყო. მე უმისოდ ვერ ვიცოცხლებ. ფეხს აუჩქარა, რომ მდინარემდე ჩქარა მიეღწია და გადწყვეტილება არ შეეცვალა. ჩემი სიყვარული უკვე ჩავლილი მატარებელია და იმას ვერაფერი შეცვლის. როგორ გამწირა სამარადჟამოდ. გაუსაძლისი ტკივილი სიკვდილის მომასწავებელი ყოფილა. რა იყო ეს? ნიაღვარივით მოვარდნილი სიყვარული და მერე ღალატი. სხეულში სიცარიელე ჩასახლებულიყო. სხეული კვლავ ქვარიანის მონატრების სიგნალის იმპულსებს იჭერდა. მწველი იყო მისი დაშორებით გამოწვეული ტკივილი, გამოსავალი კი ერთი იყო... „არ გაბედო სიკვდილი, ვიდრე ცოცხალი ხარ“... ნუთუ ამ ბრძნულ ფრაზას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ჩემთვის?

ცაზე დიდი მთვარე ამოსულიყო, რომელიც ალვის ხის ფოთლებში ლიცლიცებდა. ღრუბლები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიიჩქაროდა.

შორიდან მოლივლივე ცხენისწყალი მოჩანდა. ხეებში ქარი ტიროდა..

შინაგანი ძალა წყალისკენ ეწეოდა. ამ ქვეყნიდან ადრეულად წასვლა რატომ გადწყვიტა, რა ეჩქარებოდაო – იტყვიან მერე.

ეშინოდა, მაგრამ რაღაც ძალა მიაქანებდა წინ, მდინარისკენ. ცხენისწყალი თავგამეტებით მიარღვევდა მღვრიე ტალღებს – ლეღვის დროს მდინარეში შესვლა არ შეიძლება – მატაბეზიას დარიგება გაახსენდა.

ქვარიანი ალბათ დაიტანჯება იმის გამო, რომ მისი გულისთვის თავი მოიკლა ქალმა, მასზედ უნაპიროდ შეყვარებულმა ქალმა.

დარდით გატანჯულს, ყველაფერი ღრუბლისფერი ეჩვენებოდა. თავი შეებრალა, რომ

მარტო იყო ამ უზარმაზარ სადარდებელთან. ცხოვრება ქვარიანის გარეშე არ უნდოდა და ამიტომ გადაწყვიტა თავის მოკვლა.

გული მწყდება მწერალი ქალი ასე უსახელოდ რომ ვკვდები. რა შევქმენი ჯერ? ქვეყნის სულიერების გადასარჩენად წარმოებულ ბრძოლისათვის მაინც შეემწირა თავი?!

მდინარესთან მისვლამდე თითქოს გზას დასასრული არ ჰქონდა. მის სმენას სწვდებოდა წყლის ჩურჩული და მოშრიალე ფოთლების კვნესა.

ახალგაზრდა „ვერთერის ვნებანი“ მოაგონდა. რა საბრალოა ადამიანიო – ამბობდა. მართლაც რომ საბრალოა ადამიანი უსასრულობაში ჩაძირული.

ეს იყო ალბად ჩემი ფატუმი. ვერგამხელილი სევდა დაგუბებულყო მის თვალებში, სევდა ულევო. დაბინდულ გონებას სადღაც შორიდან, თითქოს, ქვარიანის სიტყვები მოესმა: არ გასულელდე, მირანდა, თავი არ მოიკლა, წინ ჯერ კიდევ ცხოვრებაა. უშენოდ ცხოვრება, ცხოვრება არ იქნება, ქვარიანო. გულში გაეპასუხა, სევდანარევი სიმშვიდით ვტოვებ ამ ქვეყნიერებას და სინანულითაც, რატომ შევიყვარე უგულო კაცი. გაივლის დრო და ეგებ ინანოს კიდევ, ასე შუა გზაზე რომ მიმატოვა, მერე როგორც ზღაპრებშია: „იყო და არა იყო რა, რა იქნებოდა ნეტავი?!“

მახსოვს თოვლიანი ზამთარი – ერთმანეთს ვეჯობებოდით ვინ უფრო მეტ ლექსს იტყოდა თოვლზე. „ფიფქები სცვივა და ფიფქები მღერიან. გამოდი, გამოდი, ნაძვები გელიან“. ციდან თოვლის ფიფქები კი არა, ცისფერი ოცნებები ცვივოდა. ხეებს თოვლი გამოესხა. აწი შეჯიბრიც არასოდეს გაიმართება. ნეტავ იმ დროს, რა ბედნიერი ვიყავ მაშინ და რა უბედური ვარ დღეს. „ნუ დაბრუნდები – შენი მოსვლა იცი არც მინდა...“ საიდან აეკვიტა ეს სალექსო სტრიქონები. ახლა სიყვარულის ვნებათა ღელვანი მოაგონდა... აბესალომ და ეთერი, ტარიელი და ნესტანი, ანა კარენინა და ვრონსკი, ჰამლეტი და ოფელია, ნაპოლეონი და ჟო-

ზეფინა, ფრედერიკ შოპენი და ჟორჟ სანდი, „დე გრიეს და მანონის სევდიანი რომანი...“

მიუხედავად ლალატისა, ქვარიანი მაინც ჩემი ცხოვრების ნაწილია, ჩემი წარსული. „ყველაფერი სიზმარივით გათავდა, რასაც გული მასზე დამიხატავდა“. განშორება ანადგურებს ადამიანურ გრძნობას. სხეულში სიცოცხლე ჩასახლებულიყო. თავზე ქარიშხლის მაუნყებელი პირქუში ცა ადგა.

რა ძალაა ის ძალა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე რომ დაატარებს ადამიანს? მირანდას თავზე შავი ღრუბელი ეკიდა და არაფრის შეცვლა შეეძლო. იმისათვის, რომ თავის მოკვლა გადაწყვიტო, აუცილებლად უნდა დაგამცირონ? ფეხქვეშ გაგითელონ თავმოყვარეობა? მინასთან გაგასწორონ? ნუთუ ესაა ცხოვრება?

დოსტოვესკის ფრთიანი ფრაზა: „სილამაზე გადაარჩენს კაცობრიობას“, არ მიმაჩნია სწორად. მე სწორედ სილამაზემ დამლუპა, თორემ ქვარიანის შეყვარებას ვერ გავბედავდი.

მირანდას სული არაქარგამოცლილი იყო განცდებით. მთელი სხეული შიშისაგან უცახცახებდა. სიკვდილის შიში იყოს ეს.

როცა ცხენისწყლის ნაპირს მიუახლოვდა, ჯერ კიდევ იდო მის გულში დაუძლეველი სიცოცხლის წყურვილი. დავბრუნდე?.. არა... სწრაფი ნაბიჯით გასწია წინ. ორი ნაბიჯი რომ გადადგა, ჩაიკეცა და სიმწრისაგან თვალები დახუჭა. რომ გაახილა, ირგვლივ მიმოიხედა. მუხის ხის ძირში რალაც გახვეული შენიშნა. წამოდგა, ახლოს მივიდა. ბალახზე ზენარში შეხვეული ჩვილი დალანდა. ვინ იცის, რამდენმა საუკუნეებმა გადაიარა ამ მუხის თავზე, რა ქარტეხილებს არ მოსწრებია. ალბათ, პირველადაა პანია მის ძირში ასე უპატრონოდ მიტოვებული. ყველაფერი დაავიწყდა, თავის მოკვლაც, ლალატიც. შეხვეული ჩვილი ხელში აიყვანა. მე უნდა ვიცოცხლო ამ პანიას გადასარჩენად, – მიიღო მყარი გადაწყვეტილება. პანიას უშფოთველი ძილით ეძინა. ვინ დატოვა ასე უპატრონოდ?! რამეს რომ შეეჭამა?! ვისოცკის სიმღერა მოაგონდა: „Почему аборигены съели

Кыка?“ მერე ისიც გაახსენდა შტეფან ცვაიგმა და მისმა ცოლმა თავი რომ მოიკლეს.

ღმერთმა გადამარჩინა, საჩუქარი მომიძღვნა. მის სიცოცხლეს მიზანი მიეცა. – მე მას გაეზრდი, – მტკიცედ გადანყვიტა. ბავშვის ხილვამ რაღაც ზეამაღლებულ განწყობილებაზე დააყენა. თითქოს სულის ღალადისი იწყებოდა. სიკვდილის შიში, ადამიანის თანდაყოლილი თვისება, უკვე გამქრალიყო და იგი სიხარულით შეცვლილიყო. ახლა მხოლოდ ამ პატარაზე ზრუნვით იყო გამსჭვალული. თუ ბიჭია, შალვას დავარქმევ. გუგუნავას „თამარიანი“ მოაგონდა: „შალვა, ჩემო სიხარულო, სიცოცხლეზე მეტად ტკბილო, ჩემი თავის საწუგეშოდ ნაშობო და გამოზრდილო“.

როცა პანია ხელში აიყვანა და გულზე მიიხუტა, იგრძნო სიცოცხლესთან შერწყმის სურვილი მეტი იყო, ვიდრე სიკვდილთან შერწყმის.

რაღაც გამაოგნებელი სიმშვიდე მეფობდა ირგვლივ, მეხსიერება ნისლში ეხვეოდა, ქვარიანის სახე თანდათან ფერმკრთალდებოდა და მის ადგილს უსურვი პანია იკავებდა, რომელიც პირველყოფილი უმანკოებით იღიმებოდა. ახლა სიკვდილი კი არა, სამუდამოდ ამ პანიასთან ყოფნა უნდოდა. ადრე თუ მოგონებებში, განცდებში და ხილვებში იხვეოდა, ახლა კი ნანატრი სინამდვილე ედგა თვალწინ – მთვლემარე პანია.

– სძინავს, – თქვა თავისთვის და ლოყაზე ხელი მოუთათუნა. იქვე რაღაც ქალაქი შენიშნა. ამოიღო, ბარათი აღმოჩნდა. გაშალა და წაიკითხა: „მოისხით მადლი და გამზარდეთ. ჩემს ამბავს არავინ მოიკითხავს. გევედრებით, აქ არ დამტოვოთ“.

– მე მას ერის კაცად გაეზრდი, – წამოიძახა. რატომღაც დარწმუნებული იყო ბიჭი იქნებოდა და არც ცდებოდა. გმადლობთ, ღმერთო, ამ დიდ სიხარულს რომ მაზიარე და ამით თავის მოკვლა გადამაფიქრებინე.

მთვარე ღრუბლებში შეცურებულებოდა. შემოდგომა იწყებოდა და ხეებს მუქი სიყვითლე ჰქონდათ შეპარებული.

ირგვლივ ყველაფერი მისთვის ახლობელი გამხდარიყო, მდინარე ცხენისწყალი და მის ირგვლივ მოშრიალე ჭადრები და ის ბებერი მუხაც, რომლის ძირში პანია იპოვა. ირგვლივ მშვიდი სინყნარე იდგა. ახლა წყლის დუდუნი ისმოდა. სიყვარული და სიძულვილი განსჯის საგანია, ახლა უდაოდ სიცოცხლისადმი სიყვარული იმარჯვებდა, ის სიყვარული, ამ ერთ ციციქნა ბაღისაგან რომ წარმოიშვა.

ბავშვი რომ აიყვანა, მაშინ მიხვდა – სიკვდილ-სიცოცხლის კანონში სიცოცხლეს გაემარჯვა. სულში რაღაც ნათელი დატრიალდა. აქამდე თუ სიმარტოვეში გული ეწურებოდა, მიხვდა სიმარტოვე დამთავრებულიყო.

ბავშვით ხელში ხალისით დანაღმული მოაბიჯებდა და სიხარული სულის წიაღიდან მოფრინავდა.

აშარი ქარი მდინარის პირას დანავარდობდა. ცხენისწყალი მდორედ მოედინებოდა. ქვარიანის მონატრებას კი მაინც ვერაფერი აყურებდა.

რაღაც აუხსნელი განცდა ამოტივტივდა მის გულში. ეს, პირველ რიგში, ჩვილის სიბრალული იყო. აქვე იყო იმედი უკეთესი ხვალისდელი დღის გათენებისა. იგრძნო, ცხოვრების ბორბალი მის თავზე წაღმა დატრიალდა. გაოგნდა. უდანაშაულო მიატოვეს. სირცხვილის განცდა დიდი იყო, მაგრამ აქვე იყო დიდი სიხარული ჩვილის ხილვით გამოწვეული.

უკვე იმედი მოსავდა მის ლამაზ სახეს, არისტოკრატიული სიფერმკრთალე რომ გამოარჩევდა ყველასგან. ეგონა გულისკარი მარტო ტკივილებსთვის ჰქონდა ღია. ეს არ ყოფილა მართალი. ბავშვის ხილვამ მისი ცხოვრების დინება შეცვალა – ერთ შვილს მაინც გაეზრდი ქვეყანას. შერიფ ხიმშიაშვილს, თურმე, ოცი შვილი ჰყოლია. რა ბედნიერებაა...

იგი გრძნობდა, რომ სიძულვილის სიტყვები უნდა წაეშალა მეხსიერებაში და მხოლოდ სიყვარულის და სიბრალულის სიტყვებით დაეფარა იგი. მორწმუნენი ხომ თავის მოკლას ცოდვად მიიჩნევენ. კიდევ კარგი, რომ გადავიფიქრე.

ბავშვი გაუჩერებლივ ტიროდა. უდავოდ შიოდა. კიბეები სასწრაფოდ აირბინა, კარები გააღო, ბავშვი საწოლზე დაანვინა და მეზობელთან გავიდა, რომელსაც რძე გამოართვა, წყალი გაურია, დაატკბო და ბაღს კოვზით დააღვინა. ბავშვი დაწყნარდა და დაიძინა. თვითონ აფთიაქში გაიქცა, სადაც საწოვარა, ბავშვის საკვები და ჰამპერსები იყიდა. რომ დაბრუნდა, ბავშვს ისევ ეძინა. მირანდა გრძნობდა, რომ სევდა, სევდა უღევი სადღაც ცის დასალიერში დაკარგულიყო.

* * *

ცაზე ღრუბლები დათვის ბელებს ჰგავდნენ. მერე ეს ბელები წეროებად გადაიქცა და დასავლეთისკენ გაეშურა. ჰაერში ქარისგან მავთულები სისინებდა. თოვლის ფიფქები ეფინა ფანჯრის მინებს. გარეთ ხვავრიელად თოვდა. „თოვს, თოვს, თოვბუქავს...“

რადიოდან სასიამოვნო სიმღერა ისმოდა:

„ნითელი მზე, შავი ზღვა, ზღვაზე თეთრი აფრები, ამ საღამოს ერთად ვართ, არ დამიწყო ზღაპრები, ზღაპრები“...

მშვენივრად ამბობს გალაქტიონი: „დღეები რბიან ვით კამათელი...“ დღეები კი არა, წლები რბიან. არც კი ვიცი, როგორ გაიქროლა ოცდახუთმა წელმა. როგორ გაიზარდა ჩემი, წყლის პირას ნაპოვნი შალვა, როგორ დაამთავრა უმაღლესი და როგორ ითხოვა ცოლი. ხომ გაგიგონიათ: „კარგი ცოლი ფასდაუდებელი განძია ქმრისთვის, ცუდი კი წყლულია მისთვის“ – ამას სხვათაშორის თაღმუდი ამბობს.

ერთ დღეს მწერალთა კავშირიდან გვიან დავბრუნდი. პარმენ ლორიას შვილთან, ალექსანდრე ლორიასთან, გვქონდა შეხვედრა. კარებს რომ მიუახლოვდი, ხმამაღალი ლაპარაკი მომესმა, შევჩერდი და მოვუსმინე.

– ოცდამეერთე საუკუნეში დედასთან ვინ ცხოვრობს, მაგრამ შენ ხარ დებილი. დავახურდავოთ ბინა და ვიცხოვროთ ცალკე.

– მე დედისერთა ვარ. ჩემს მეტი დედაჩემს არავინ ჰყავს და მე ვერ მივატოვებ, თან ბავ-

შვებისთვის გიჟდება.

– კარგი, ნუ გააბუქე, ყველა ბებია მასეა. ბავშვებს მივუყვანთ კვირაში ერთხელ. სხვებს თუ არ უჭირს დედის მიტოვება, შენ რა უბედურება გჭირს, დედალი ხარ, მთავარი არ იცი, თორემ ერთ დღეს არ გაჩერდები დედაშენთან.

– რაა?..

რაიმე უბედურება რომ არ ეთქვა, მე კარები გავაღე. შევატყვე, რომ არ ესიამოვნათ ჩემი მისვლა. მერე ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ავიღე. მეგობარი თათული თოფურია მირეკავდა. იგი გაუთხოვარია და მარტო ცხოვრობს.

– მირანდა, ეს თურქული სერიალები რომ არ იყოს, ალბათ, გამიჭირდებოდა ცხოვრება. შენ არ უყურებ?

– სად მცალია მაგისტვის.

– მართლაც შესანიშნავი ფილმია „დიდებული საუკუნე“. ვულგარულად რომ ვთქვა, ის ტეხავს მხოლოდ, ჩემს ქრისტიანულ ოჯახში დიდება ალახსო რომ ისმის. მეგობარი მყავს ლაზი, იაშა თანდილავა, იმან მითხრა ოცდათექვსმეტმა სულთანმა 39 უფლისწული მოახრჩო მეტოქეობა რომ არ გაენია ერთმანეთისთვისო.

– რას ამბობ, რა უბედურებაა შვილების მოხრჩობა.

– ის კი არა ზევსის მამა კი, სანამ ზევსი ეყოლებოდა, ყველა შვილებს ყლაპავდა, თურმე, რომ არ შეცილებოდნენ ერთმანეთს. ზევსი კუნძულზე გადამალეს, თორემ იმასაც გადაყლაპავდა... გადაღების თვალსაზრისით, „დიდებულ საუკუნეს კინო ვერ შეედრება“. მისი რეჟისორი მილიარდერია, თურმე, გვარად სამანჯი. ყოჩაღ, სამანჯო!

– ყოჩაღ შენ, რომ სერიალებისთვის იცლი, მე კი ვერ ვიცლი.

* * *

გარემოს ამომავალი მზის შუქი ეფინა. ვაშლის ფოთლები მზის სხივებს ირეკლავდა. მინდორში ატმის ყვავილის თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებდა.

მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, ჩემი შვილი მხეცად გადაიქცა. გაბრაზებულმა ერთხელ ხელიც კი აღმართა ჩემზე, თურმე ნაბუშარი ვყოფილვარო. ცემის ფაქტს მეზობლები შეესწრენ და იმ წამსვე საჩივარი შეიტანეს სასამართლოში. სასამართლოზე ადამიანური ღირებულებებისაგან გაძარცვული შვილი ვიხილე.

იმედი, რწმენა, შვილის გამო რომ ედო გულში, გაქრობის პირას მისულიყო. მომაკვდინებელი ნაკლი ჰქონდა მის შვილს. ეს ნაკლი ზღვარგადასული უმადურობა იყო...

– შალვა, – მიმართა მოსამართლემ, – რამ შეგაძულა დედა. დედა ხომ ცხოველსაც კი უყვარს.

– ეგ არ არის ჩემი დედობის ღირსი. მის გამო მაყენებენ შეურაცხყოფას, ნაბუშარს მეძახიან.

– ვინ გეძახის ნაბუშარს?

– ვინ და ჩემი ცოლი. აბა მეზობლები მაგის მხარესაა და საჩივარიც კი შემოიტანეს სასამართლოში.

– ამიტომ აღმართე ხელი დედაზე? მეზობლებმა ვერ აიტანეს უსამართლობა და ამიტომ დაწერეს საჩივარი.

– რაღაც მოგონილი გვართ ვცხოვრობ ამ ქვეყნად. მამაშენი აფხაზეთის ომში დაიღუპაო მეუბნებოდა. – სურათი, სურათი, მეთქი.

– ალბომი სოფელში წავიღე დედასთან, იქ დამრჩა, ხანძარი გაჩნდა და სახლთან ერთად ალბომიც დაიწვაო. სიცრუეზე იყო აგებული მთელი ჩემი ცხოვრება... დედაჩემს რატომ დაავიწყდა, რომ ადამიანის უმთავრესი ღირსება – პატიოსნებაა. ბუმი რომ გააჩინა, არ ფიქრობდა ამაზე? მართალია, ლამაზი ქალი იყო, მაგრამ ქალი რაც უფრო ლამაზია, მით უფრო პატიოსანი უნდა იყოს. მხოლოდ პატიოსნება გაუწევს წინააღმდეგობას იმ ზიანს, რისი მოტანაც შეუძლია მის სილამაზეს. ისიც მესმის, რომ ზნეობა უმძიმესი ტვირთია და მისი ზიდავა ყველას არ შეუძლია.

გულში დაუტეველი ტრაგედიის ექო აღმოხდა მირანდას. – ვაიმე, რა დღეს მოვესწარ, – წამოიძახა უძირო სევდის რეგისტრში მყოფმა.

– ის თუ გახსოვს, რას ამბობდა ილია დედა-შვილურ სიყვარულზე? – ეკითხება შალვას მოსამართლე.

– არა, არ მახსოვს.

– დედა-შვილური სიყვარული მძლეთამძლეთაო. ყველა შვილმა დედა საცემრად რომ გაიმეტოს, დედამინაზე ბოროტება იზეიმებს. მხოლოდ ავადმყოფური სულით აღვსილი კაცთმოძულე ადამიანი მოექცევა დედას ისე, როგორც თქვენ მოექცეცით.

შალვას თავი დაეხარა. შვილის შემხედვარე მირანდას, თითქოს, კალთაში იმედი ესვენა, გარდაცვლილი იმედი. ირგვლივ შიშისმომგვრელი სიჩუმე მეფობდა.

მოსამართლემ სიტყვა მირანდას მისცა. მირანდა ეხლაც ლამაზი იყო. თავი ამაყად ეჭირა, ეტყობოდა საკუთარი ღირსების გრძნობა სისხლში ჰქონდა გამჯდარი.

– მეშინია, შვილო, უზნეობის ქაობში არ ჩაიხრჩო. მე ხომ სულ შენზე ფიქრში ვათენებდი და ვალამებდი.

– ჰო, ყველა დედა მასე იქცევა.

კვლავ ხსოვნას ათოვდა შვილის ადრე ნათქვამი სიტყვები: ვისთან წაიბოზე, ვისი ნაბუშარი ვარ, რა ჰქვია იმას... სულიერ ღირებულებათა მცნებაში ეს უარყოფითი სიტყვები მირანდას გულში ჩასახლებულიყო და სულს უწამლავდა.

– ისე ვიცხოვრე, – განაგრძობდა მირანდა, – ჩემი ქალური ღირსება ფეხქვეშ არასოდეს გამითელია. ღმერთია მოწამე, რომ არ ვტყუივარ.

ყველანი გრძნობდა, რომ ქალი არ ტყუოდა. მის ნაამბობს ჭეშმარიტების ელფერი ჰქონდა. პატიოსნება, კეთილშობილება, სინმინდე – აი რა ჩანდა მირანდას ცრემლმორეული თვალებიდან.

გაუჭირდა, მაგრამ მაინც თქვა: – შალვა ჩემი შვილი არ არის. იგი აყვანილი მყავს. ოცდახუთ წლის წინანდელი ამბავია. მე მილალატეს. ჩემმა რჩეულმა სხვა ითხოვა, მე იგი სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა. ლალატი ვერ ავიტანე და თავის მოკვლა გადავწყვიტე. მიწოდდა თავი მდინარეში დამეხრჩო... მდინარეს რომ მივუახ-

ლოვდი, თეთრ ზენარში გახვეული ბალდი შევნიშნე. მაშინვე ხელში ავიყვანე, გულზე მივიხუტე. ნამში გადანყვეტილება შევცვალე. უკვე სიცოცხლე მინდოდა ამ პანიას გადასარჩენად. ყოველთვის მახსოვდა, ქალის ერთადერთი და მთავარი დანიშნულება დედობაა. როცა წლები გავიდა და იმ საბედისწერო საღამოს ვიხსენებ, თავის მოკვლა რომ მინდოდა და ბავშვი ვიპოვე, თავს ბედნიერად ვთვლი... სიცოცხლისკენ ამ პატარამ მომახედა, როცა პანია ხელში ავიყვანე, მივხდი, რომ ლალატით გამონვეული გაუსაძლისი სევდა სადღაც შორს გაფრინდა და აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

მაშინ პატარას უბეში ბარათი ვიპოვე. ეს ბარათი საჯარო რეესტრში გავატარე იმ რიცხვით, როცა ბავშვი ვიპოვე. ვიცი სიმართლეში ეჭვი არ შეგეპარებათ. გთხოვთ ეს ბარათი წაიკითხოთ. მირანდამ ბარათი მოსამართლეს გადასცა. მოსამართლემ ხმამაღლა წაიკითხა იგი... „მოისხით მადლი და გამზარდეთ. ჩემს ამბავს არავინ მოიკითხავს. გვედრებით, აქ არ დამტოვოთ“.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შალვა გაოგნებული იყო და დედას ცრემლიანი თვალებით შესცქეროდა.

– რაიმეს ხომ არ დაამატებდით, ქალბატონო მირანდა.

– კი... შვილი ჩემი ყოველდღიური სიხარული იყო. მისი სახე კი ჩემს მოგონებებში ყოველთვის გაიელვებდა, მაგრამ შვილზე საყვარელი არავინ მეგულებოდა. რაც შეეხება ზნეობას, ამ მხრივ უმნიკლო ვარ. მე იგი უმანკო ქალიშვილმა ავიყვანე. როცა სასამართლოს უწყება მივიღე, მივხვდი, ზნეობის ნორმის დასამტკიცებლად მარტო სიტყვები არ კმაროდა. გინეკოლოგს თავი გავასინჯვინე და მან მომცა ცნობა, რომ მე ქალწული ვარ. მაღლა ღმერთია მოწამე, რომ, როცა ბავშვი ავიყვანე, მერე გათხოვებაზე არ მიფიქრია და არც ის დამიკარგავს, რასაც სინმინდე ჰქვია.

მირანდამ ცნობა მოსამართლეს გადააწოდა. მოსამართლემ შალვას მიმართა:

– „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა სიცრუითა“ – არ გაგიგონია, შალვა? მერე და, რასაც ცოლი ჩაგძახებს, ის უნდა ამოიძახო? ჭური ხომ არა ხარ. შალვა დუმდა.

– ყოჩაღ, ქალო! მარადისი სიცოცხლე მოგანიჭოს განგებამ. რა სამადლო საქმე გაგიკეთებია, – უთხრა მოსამართლემ აღტაცებულმა.

დარბაზში ტაშმა იგრიალა.

შალვა მირანდასთან მივარდა.

– დედა, ჩემო გატანჯულო დედა, მაპატიე, მაპატიე თუ შეგიძლია. მან დედის წინ მუხლებზე დაიჩოქა. მირანდამ შალვას თავზე ხელი გადაუსვა.

– მე ყველაფერს ვპატიობ ჩემ შვილს – ჩაილაპარაკა მოსამართლის გასაგონად.

მირანდას გულში გაბრაზება გზას შვილის სიყვარულს უთმობდა, იმ შვილისა, რომლის გამოც თავის მოკვლა გადაიფიქრა. ხშირად ის დროც აგონდებოდა, ბედნიერი რომ იყო სიყვარულით გაცისკროვნებული. მერე კი ლოდინისაგან დაღლილს სიმწრით გული ეწურებოდა და კვლავ ცხარე ცრემლებით მისტიროდა პირველ სიყვარულს, ჯერაც ჩაუმქრალს.

ახლა სიყვარული და სიცოცხლე ერთ სიგანეზე იყო განლაგებული და არასოდეს დაშორდებოდნენ ერთმანეთს, რადგან სადაც სიცოცხლეა, იქ სიყვარულია, სიყვარული უნაპირო, დაუსაბამო...

რადიოში ვილაც ციციწო გვრიტიაშვილის ლექსს კითხულობდა:


რა შეაჩერებს მეტეხის მორევს

და დაანყნარებს ლექსს ნიავქარულს,

მტკვარში ცოცხალ თევზს ვერვინ გამოლევს,

გულში – ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს!

ირგვლივ ოქროსფერი შემოდგომა ბატობოდა, კავკასიონის ბუმბერაზ მთებს თეთრი საბურველი მოესხა.



ლევან ანანიძე

მეგობრული გაშაირება

ჰინ დაიცავს უცოდინარს?

კვირა დღეა და ვშაირობთ
ერთად გოგო-ბიჭები,
ერთმანეთის ცოდნას ვარკვევთ,
სახლში გაშაირებით.

სიცილს იწვევს ჩიტის მსგავსად
გაბმა უცებ მახეში,
ცოდნა, ცოდნა საჭიროა,
ცოდნა უმხურვალესი.

ვინ დაიცავს უცოდინარს?
ოფლდასხმული ჩერდება,
სიმშვიდეს მას ვერ მოუტანს
სიოს შემოქროლება.

არ იბნევა, ვინც სწავლაში
არის გამორჩეული,
შევიკრიბეთ: გია, ელზა,
თინა, მზია, ზაური.

ზოგი კითხვა ისეთია,
ყველამ უნდა იცოდეს,
პასუხს ვინც რომ აგვიანებს,
ვარქმევთ მას ზარმაცს და ლონდრეს.

დღეს ზაურიმ წამოიწყო,
შეეკითხა მან მზიას:

– ნაიბი და მისი ცოლი
რომელ მოთხრობაშია?

მზიამ უმაღ უპასუხა
არ დაიბნა ის ახლა:
– გოგებაშვილის ნაწერში
იავნანამ თუ რა ჰქმნა.

– სად წერია, ტახტზე იჯდა
თამარი ეშხიანი?
– ხომ ვისწავლეთ? არის ბიჭო
დიდ კარგ ლექსში „სიზმარი“.

– ვინ დანერა? მითხარ აბა,
იქნებ არის ვაჟასი,
– წერეთელმა, ეგ რომ ვერ ვთქვა,
თავზე ლაფი დამასხი.

– უსამართლო შირვან შაჰზე
ვინ მოგვითხრო? თქვი აბა,
– ვიცი, მახსოვს, არ შემცდებთ,
იგავთმწერალმა საბამ.

– ბარბაროზებს როგორ სიტყვებს
ეძახიან, თუ გახსოვს?
– უცხო სიტყვებს ლექსიკონი
მის შესახებ გვიამბობს.

– რით ვანსხვავებთ ლექსს და პროზას?
ამას ფიქრი არ უნდა,
– ვიცი ბიჭო, პროზა ამბავს
თხრობით აცნობს ხალხს მუდამ.

– მიპასუზე, თუ რას ნიშნავს
მზია, ალეგორია?
– გადატანით მნიშვნელობას
ბევრჯერ გაგვიგონია.

– ახლა მითხარ როგორია
გოგო სიტყვა ანკარა?
– ომონიმი არის ბიჭი,
ვთარგმნით, ვმჯელობთ სამგვარად.

– რითმა თქვი რას ეწოდება?
– ბგერის გამეორებას,
– პორტრეტი რის აღწერაა?
ვიცი, გაგახსენდება.

– მოქმედ პირის გარეგნობას
გვისურათებს მწერალი,
– პროლოგი რას ნიშნავს მეტყევი?
– ეგ არის შესავალი.

– ეპილოგია პროლოგისგან
განასხვავე, როგორც გსურს,
– ვისწავლეთ და მახსოვს კარგად,
მას ვეძახით დასასრულს.

კვირადღის სიმხიარული

გაშაირდნენ მხიარულად
ბოლოს ზაური, გია:
– მკითხე, მკითხე, ამონვდილი
ხმალი არ ჩამიგია.

– აბა მითხარ, თუ რას ნიშნავს
სარკაზმი და სატირა?
– სარკაზმია ძლიერ მძაფრი,
ღვარძლიანი დაცინვა.

სატირაც დაცინვა არის,
მაგრამ განსხვავებულად,
– როგორია ბრძენ აკაკის
კარგი ლექსი „ღამურა“?

– სატირული, – ვინ ამხილა?
ის, ვინც თვისტომს ღალატობს,
– მართალი ხარ, კარგია, რომ
შაირები დღეს გვართობს.

– დიალოგს თქვი რას ვეძახით?
– მოქმედ პირთა საუბარს,
– ათლეტი რას ნიშნავს მეტყევი?
– გოლიათზე შესადარს.

– ლირიკული გმირის მიმართ
მითხარ, გეცოდინება,
– დამავიწყდა ეგ რატომღაც,
გაკიცხვა მეკადრება.

– არ ველოდი, თუ ეს კითხვა
გქონდა დავიწყებული, –
ლექსში აზრი საკუთარი
არის გადმოცემული.

– პეიზაჟი თქვი რა არის?
იქნებ გადაგავიწყდა,
– ბუნების აღწერას ნიშნავს,
არ მახსოვდეს, რად მინდა?

– ფოლკლორი რას ეწოდება?
– ზეპირ სიტყვიერებას,
– კომპოზიცია რას ნიშნავს?
– მიზნობრივ განლაგებას.

– ლექსიკა რა არის ბიჭო?
– სიტყვის მარაგს ვეძახით,
მშობლიური ერთი სიტყვა
გვხვდება მუდამ ბევრი სახით.

– პერსონაჟად ვინ ითვლება?
– ის, ვინც არის მოქმედი,
ზოგი სამაგალითოა,
ხოლო ზოგია ყბედი.

– მითხარ, თემას და იდეას
განსხვავება თუ რა აქვს?
– თემა გვაცნობს შინაარსს და
იდეა კი აზრს მთავარს.

– ინტონაცია რას ნიშნავს?
– ემოციას მთქმელისას,

ზოგი სამწუხარო არის,
გვახსოვს იგი ჩვენ დიდხანს

– ბიჭო, დიალექტიზმები
რაა ხშირად გვაფიქრებს,
– ვიცი, კუმბოზურ სიტყვებს ჰქვია,
მათ ვეძახით კილოებს.

კლასიკოს მწერლებზე მითხარ,
ვინ გვყავს გეცოდინება,
– გვაამაყებს მათი ღვანლი,
ითვლებიან მშვენიებად.

ლექსებით და მოთხრობებით
გვზრდიან ყოველდღიურად,
გვასწავლიან, რომ სიძნელე
ჩვენც დავძლიოთ გმირულად.

კუდაბზიკა საბრალო

გაშიარდნენ მხიარულად
შემდეგ ელზა და თინა,
იუმორით, კარგ კითხვებით
ელზამ ყველა აცინა.

– ჰიპერბოლას რას ვეძახით?
გეხსომება ეს კითხვა,
– გოგო გინდა რაღაც რთული
მკითხო, ოჰ, შენ რა გითხრა?

– ნუთუ თინა ეს არ იცი?
ეს არ გეპატიება,
დაგავინწყდა? ვეძახით მას
რამის გაზვიადება.

– ძილქუშელად ვინ ითვლება?
ძილის გუდა, ძინგურა,
აღვიძებენ, ის სკოლაში
ბევრჯერ გვიან მისულა.

ამ ჩვენ დროში ვის ვადარებთ
ლუარსაბ თათქარიძე?

– წიგნები ვინც შეიძულა,
თავი მოსწონს მაინც დღეს.

იმისთანა კუდაბზიკას
ცოდნა გასაკვირია,
ვაჟა-ფშაველას დანერილს
მიაკუთვნებს ილიას.

კითხვა უჭირს და ბორძიკობს
როგორც დაბალკლასელი,
ეზარება, არ სურს ზარმაცს
რომ მოკიდოს წიგნს ხელი.

– პოეტს ლადო ასათიანს
ვიცნობთ კარგად რა ლექსით?
– მისი ყველა ქმნილებაა
ტკბილი, უმხურვალესი.

– ახლა მითხარ მოთხრობას და
ნოველას რით ვანსხვავებთ?
– ნოველაში ავტორი ჩვენ
არ აგვიწერს ბევრ ამბებს.

– თქვი სკოლაში რომელ ბავშვებს
თუთიყუმებს ვეძახით?
– მათ, რომლებსაც გაკვეთილზე
უყვართ ძლიერ კარნახი.

„ხათრი გათრევს“ ... ნათქვამია,
ბევრჯერ მიკარნახია,
მასწავლებელმა გამლანძღა,
– მართლა? – დიახ, - ახია.

– ორიანი აიცილეს,
– არ გეგონოს ეგ კარგი,
– ეჰ, მათ გამო ფეხზე ვიდექ,
როგორც ორაგუტანგი.

ცუდი ჩვევა გაგანვალებს,
ჩემი ცოდვა ზარმაცებს,
– ნუ იბრალებ, ვინც გაკვეთილს
სახლში არ მოამზადებს.

ბრინჯის მსგავსად დაბნეულობა

შემდეგ თინამ წამოიწყო:

– გია, შენი რიგია,
– გავშაირდეთ, მკითხე აბა,
ხმალი არ ჩამიგია.

– ისე მზად ხარ, თითქოს, ბიჭო,
ხელთ გიპყრია ფარ-ხმალი,
– მკითხე, მკითხე, ველოდები,
– ვინ იყო გორგასალნი?

– ვახტანგ მეფე. მან ააგო
ჩვენი თბილის ქალაქი,
იქ, სადაც დგას მისი ძეგლი,
არის წმინდა ალაგი.

– გადათარგმნე, სპარსულია
თინა სიტყვა გორგასლან,
– არ მახსოვს, – მგლისათავა,
– მავნიყდება ხანდახან.

– გეხსომება ვინ დანერა
გია, „თხმელი წიფელი“?
– ვაჟა-ფშაველამ, – რა ხერხით?
კითხვა არ არის ძნელი.

– გაპიროვნებით, ხმელი ხე
თინა აამეტყველა,
თქვა: სჯობია ათას ცოცხალს
ერთ მკვდარი ბევრჯერა.

– სად გავეცანთ გია ამბავს
გორჩაზე და ხვიჩაზე?
– „მამლუქში“, მეც ცრემლი უცებ
გადმომდინდა წამწამზე...

ხომ კარგია, გავშაირდით
და კარგ კითხვებს გთავაზობ?
– კი, ბატონო, – ვის ეკუთვნის
„საქართველოვ ლამაზო“?

– გალაკტიონს, ცნობილ მგოსანს,
– შეცდი, გზა დაგენისლა,
ეგ ლექსია სასიმღერო
ანა კალანდაძისა.

– ვახ, ვახ, როგორ ჭკვამ მიმტყუნა,
– ბრინჯივით ნუ იბნევი,
სხვა დროს აღარ შემეშლება,
არ შემცდება გპირდები.

– ახლა თქვი რას ეძახიან
ალბატროსს და პერიკანს?
– ოჰ, რა ძნელი შეკითხვაა...
ძნელ შეკითხვას ვერ ვიტან

გამეცინა მადიანად,
რატომ არ უფიქრდები?
დაგავინყდა? ხომ ვისწავლეთ
გია, ზღვის ფრინველები?..

ქართველი კლასიკოსები

მიულოდნელი გამოცდა

მიზნობრივი შეკითხვები
ჰქონდა სტუდენტს იამზეს,
მან ეროვნულ ქმნილებებით
გამომცადა სახლში დღეს.

როგორ მიყვარს მე ქართველი
ბრძენი კლასიკოსები,
მათ წიგნებს თუ ერთ დღეს მოვწყდი,
უნებურად ვლონდები.

მოთხრობების და ლექსების
ვარ ყოველთვის სწავლაში,
ვუფრთხილდები მათ ქმნილებებს,
წიგნებს კრძალვით გადავშილი.

ტანძიაში ბავშვობა ვინ
გაატარა? მითხარი,

– სულხან-საბამ. იქ აღედრა
ცოდნა შეუპოვარი.

– ის რომ ბერად აღიკვეცა,
რატომ? ხარ გარკვეული?
– ვიცი, ამის მიზეზია
მარცხი პოლიტიკური.

ქვეყნად ყველა მას მივიჩნევთ
მეცნიერად, დიდ მწერლად,
– აბა, მითხარ რომანი ჩვენ
საბამ რა დაგვიწერა?

– რომანი არ შეუქმნია,
წერდა იგავ-არაკებს,
მისი ბრძნული თხზულებები
მთვარესავით ანათებს.

– გონიოში რა შეემთხვა
ევროპიდან მომავალს?
– ყაჩაღები დასხმიან – მას,
ჩირად თვლიდნენ მის გზა-კვალს.

– წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“
დაუფიქრდი, თუ მეტყვი:
არის რამდენი არაკი?
– ას ორმოცდა თორმეტი.

– ახლა თქვი ლამისყანაში
ვინ შეიპყრეს ლეკებმა?
– იქ დავით გურამიშვილი,
ყოველთვის მაგონდება.

– რას ნიშნავს მისი ლექსები
მრავალფეროვანია?
– ბევრ საკითხზე უწერია,
ჩვენს გულს იპყრობს ძალიან.

– ქართლის ჭირს და საკუთარ ჭირს
თქვი ვინ აკავშირებდა?
– გურამიშვილი საბრალო,
არ ასვენებდა სევდა.

– თუ იცი „ქაცვია მწყემსი“
დანერა რა თემაზე?
– პრობლემურად მსჯელობდა ის
მასში მიჯნურობაზე.

– „სადღეგრძელო“ პოემაა,
შექმნა ვისმა კალამმა?
– პატრიოტიზმს მიუძღვნა ის
გრიგოლ ორბელიანმა.

– „თერგი რბის, თერგი ღრიალებს“...
ამგვარად რას გვიხატავს?
– ბუნების სიმშვენიერეს,
ჯადოქრულად მომხიბლავს.

ცოდნის გზა ბაიკვალა

შემდეგ სტუდენტმა იამზემ
წიგნები გადაშალა,
გამოცდა პირმლიმარედ
მან ჩემი და ლამარა.

გოგოს ამ გამოცდის გამო
ფერი არ შეეცვალა,
შეკითხვებზე არ დაიბნა,
ცოდნით გზა გაიკვალა.

– ბავშვობისას სახელს ტატოს
ვის ეძახდნენ? თქვი, ერთ დროს,
– ბარათაშვილს, ჩვენს დიდ მგოსანს,
სახელოვან გენიოსს.

მას და გრიგოლ ორბელიანს
თქვი რა აკავშირებდათ?
– ეფემია, და გრიგოლის
ყოფილა მისი დედა.

– ყვარელში ვინ იზრდებოდა?
– დიდი ბრძენი ილია,
– მიზანსწრაფვას თუ იცვლიდა?
– არასდროს შეუცვლია.

– გოგო, „მგზავრის წერილებში“
რა გაგვაცნო მგოსანმა?

– გადაშალა ჩვენს წინ ცხადად
სამწერლოებს პროგრამა.

– ლელთ ლუნისას საუბარმა
მგზავრს რა გააგებინა?

– გაჭირვების გამო გლებკაცს
ნახევრად არ ეძინა.

– ნატურალიზმს რას ვეძახით?
აბა, მითხარ, თქვი ახლა,

– საგნის ფოტოგრაფიულად
წარმოდგენას, ასახავს.

– სიმბოლიზმი რას ასახავს?
საიდუმლოს,

– იცი ამის მაგალითი?
ადიდებს არარსებულს.

– რეალიზმი ემყარება
რას? თუ მეტყვი გულწრფელად?

– სინამდვილეს არ გავრბივარ
როგორც ყვავი, თხუნელა

– მაგ პასუხით გამაცინე,
ჩანს ბევრი რამ გცოდნია,
სულ არ გავხარ ცოდნით ღარიბს,
ჩამორჩენილს, ცოდვიანს.

– „რაც არ იწვის, არ ანათებს“...
ეს ვისი სტრიქონია?

– ვიცი, მახსოვს, ეს აკაკის
ნათქვამი მე მგონია.

– დიახ, გოგო, არ შემცდარხარ,
– მადლობა ღმერთს არ შევცდი,
– სწავლას უფრო გააგრძელებ,
სიბეჯითის იმედით.

– მეთორმეტე კლასში სწავლობს,
ბეჯითობს და ლამარა,
კლასიკოსთა ქმნილებებით
ცოდნის გზა გაიკვალა.



კანცა სურმანიძე

ბობო

გოგო მოდის სოფლიდან
მოაქვს ფქვილი ბარქაშით,
მოვინმინდე ოფლი და
გავისწორე ქარქაში.

ისე ნაზად აბიჯებს
ქვები სულ არ ტანტალობს,
ჩემი ძმაც ტაბიძე,
ტანჯვით ვგავარ ტანტალოს.

ჩვენს შორისა ბოსტანი
მოზიზინე თალიშით,
ცოლადაც ვარ მომყვანი
გამნაწილე ბალიშის.

გოგო მორცხვი ტანადი,
გული სხვაფრად ბაგუნობს,
ღმერთო მომკალ მანამდის
მე თუ არდა მარგუნო.

ქ-რ-ი-ს-ტ-ი-ს

მიმძიმს მარტოდ ყოფნა სახვალიოდ,
რადგან ყოველი დღე მემარტება..
გზები სიარულით არ გალიო
რადგან ეს სიშორე მემატება.

ღილით შენს ფეხებთან ვინამები,
იქნებ გაგიღვიძო ჟრუანტელი.

სულით ყოველ ღამე გინათებდი
ხატს და სალოცავებს ვუსანთლებდი.

ჩემი სიყვარული ეს-მას, ქრისტის,
მისი პოეტი ვარ ჭეშმარიტი.
ვარდად ვეყოლები მე იმ იას,
ირგვლივ გაზაფხულის ზეიმია.

ღრუბელს ნუ ეფარვი სხივოსანო,
რადგან აღარ ძალმიძს ვიმგოსანო,
ღამით ვარსკვლავი ხარ ცისა ყველა,
ღღისით ნვიმის მერე ცისარტყელა.

მიმძიმს მარტოდ ყოფნა სახვალიოდ
რადგან ყოველი დღე მემარტება...
გზები სიარულით არ გალიო,
რადგან ეს სიშორე მემატება.

მომენატრა ლაციცი

აგერ ღვინის ტიკჭორა და
აგერ არყის ქინთი,
ქარმა ქართან ჭორა და
ამინდია ფინთი.

არ ხარ ჩემი მხევალი და
ნუ ხარ სხვისი მონა,
ბარში გიხმობ მწვერვალიდან,
გრუქნი ლექსის კონას.

გაპობილი ალებარდით
გული დაძგერს ძლივსლა,
მომიტანო მალე ვარდი
დაგრჩენია ისლა .

მომენატრა ლაციცი და
მოფერება ქრისტი,
მეყვარები რაც იცი და
ნუ მიმეტებ სხვისთვის.

ბოლო სონეტი

მივდივარ მიწას მივაბარო უნდა ეს გული,
ვიცი ჩემს მერეც გეყოლება ბევრი ერთგული.
მივდივარ ვტოვებ ჩემი სულის ლამაზ ნაქარგებს,
ვიცი გიყვარვარ შენც არ იცი რატომ დამკარგე.

მე წავალ მამა არ მერქმევა არც ერთი ბავშვის.
სიკვდილი ბოლოს, სიცოცხლე კი მაჩუქე თავში.
მე წავალ მთვრალი, სიყვარული ტუჩებით მასვი
მე წავალ, რადგან არ არსებობს დღეს შენი მსგავსიც.

ვერ ვრჩები აქით, პოეზიას მივყავარ იქით...
იცოცხლე ჩემთვის მომიგონე ძვირფასო ჭიქით.
მე წავალ შენთვის – ვატარებდი სიყვარულს დღემდე
რისთვის ნავედი, ალბათ ყველა გამიგებთ შემდეგ.

დუეტი შენთან – არ მეღირსა, მაქ სოლო პოეტს
და ვწერდი ღამე გარდაცვლილი ამ ბოლო სონეტს.

პიორები რომანაძე

* * *

სიყვარულის ფერებით, ცა მოვხატე ხელებით,
დაგიკრიფე ვარდები, დავახატე ეკლები,
გენს ლარნაკში ჩავანყე
მთლად სურნელით დაგათვრე,
ფანჯარასთან დავდექი,
როკ ენ როლის ჰანგებით.
მოგიტაცე ბგერებით, გაგაბრუე ლექსებით,
გაზაფხულს კაბა მოვპარე
მაგ შენს ტანზე მოვარგე,
ფერიებმა დაგაბეს
ოქროსფერი ღილები,
რძიან აბაზანაში
ჩაგიყარეს იები.
ლურჯი ღამის სურნელმა,
და გიტარის ჰანგებმა,
გაგაგიჟა შეგშალა, მთლად ჭკუიდან შეგყარა,
მთვარემ, თითქოს მკრთალი შუქით,
მოგანათა ღიმილით,
იმ ღამესვე შიგიყვარდი
დაგავინყდა ტკივილი...

ხალხი ყინულის პირამიდაში

მინაში ჩაფლულ ირმის რქებს ვეზიდები,
ვცდილობ გავაცოცხლო მკვდარი შველის ნუკრი,
გალიას ვუხსნი დამწყვედულ მტრედებს,
გასროლილ ტყვიებს უკან ვაბრუნებ,
თოკზე ჩამოხრჩობილი გრძნობებს ვხსნი ხიდან,
ეშმაკის ჯალათებს ვჩეხავ დიდ კლდიდან,
ქუჩაში დაკარგულ სიმშვიდეს ვეძებ,
ხმაურს რომ მოუკლავს, სადღაც დაუმარხავს
ვხედავ გაყინულ პატარა ქალაქს,
ხალხის ცივ სალამს –
თან რა მიძიმედ ამბობს ეს ხალხი ამას.
მივდივარ სადღაც, აღარ ვჩერდები
გზას ისევ ისე ფეხით განვაგრძობ,
რადაც მანუხებს, მაგრამ არ ვამბობ
და ამ ნუხილის დახრჩობას ვლამობ,
ვხედავ, უსასრულო დარდთა ჰორიზონტს
გზისპირა სანღში ვუსმენ მორისონს –
სიმღერას მღერის უცნაურ ხალხზე

ბაიკერების შტორმია გზაზე,
მინდა ვისეირნო ვისკების მთაზე,
ოცნება ვატარო რეალურ ზღვარზე.

* * *

მუსიკა არის საცხოვრებელი ამ ჩვენი სულის,
დამანყნარებელი, დამამშვიდებელი,
მძვინვარე გულის.
არ მომბეზრდება არცერთი წამით
მოსმენა როკის, ჯაზის და ბლუზის.
მაშინ მავინყდება სევდა და ბრაზი,
მაშინ მავინყდება დარდი და ვალი,
მუსიკა არის ჰაერი, ქალი,
ნარკოტიკია, ის აბი არის,
მუსიკა არის ცხოვრების წამი,
მწყურვალისათვის სასმელი წყალი,
მე მასში ვხედავ სულ სხვა სამყაროს,
ის არის რაღაც განსხვავებული,
მას როცა ვუსმენ, თავიდან ვჩნდები,
სუნთქვას ვინყებ და ვიბადები.

დაბრუნება

მე მინდა შენი თმების სურნელი ვიგრძნო,
მაგ თმებს შევეხო და აგიჩეჩო,
ლამაზ თვალეში მინდა ჩაგხედო
და მიგიზიდო.
შენს ტკბილ ტუჩებზე,
მაგ ლამაზ ყელზე,
მინდა შეგეხო და გეამბორო,
ჩაგიკრა გულში, ჩაგწვდე სულში
და მოგეხვიო,
ბგერების თაიგული მინდა გაჩუქო,
ლამაზი ჰანგებით მინდა დაგათრო,
ჩემი თვალიდან გადმოსული ცრემლებით
ავავსო ჯამი და ფეხები დაგბანო,
ფეხქვეშ გაგიფინო ვარდი და იები,
რომ შენი უმანკო ფეხები არ დაისვაროს,
მინდა შეგასხა ლამაზი ფრთები,
რომ მოფრინდე ჩემთან
და ვიყოთ ერთად.

ქან-ფრანსუა პლანდი

ათასფერა

ზლაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ტყის მჭრელი ქვრივი, რომელიც ცხოვრობდა პატარა ქოხში, დიდი ტყის შუაგულში, თავის შვიდ ვაჟთან ერთად.

ერთ დღეს, მამამ შვიდივე ვაჟს თავისთან მოუხმო და განუცხადა:

– შვილებო! თვითონაც კარგად ხედავთ, თქვენი გულისათვის წელებზე ფეხს ვიდგამდი სარჩო რომ გქონოდათ, ახლა, როცა უკვე გაიზარდეთ და დავაჟკაცდით, წადით, იმუშავეთ და თქვენივე ოფლით მოიპოვეთ ლუკმა-პური. მე ჯერ კიდევ შემწევს ძალა მონყალების სათხოვნელად არ გავინვდინო ხელი, ხოლო როცა დავჩაჩანაკდები და აღარაფერი შემეძლება, ხურჯინს ავიკიდებ და კარდაკარ ისე ვივლი, როგორც მოიქცა თავის დროზე იესო ქრისტე.

– მამა! ჩვენ მზად ვართ აქედან გასამგზავრებლად, ფულს როცა ვიშოვით, თავად მოგიტანთ და მონყალების თხოვნაც აღარ დაგჭირდებაო, – უთხრეს ვაჟებმა.

– მაშ, გზას დაგილოცავთ! უფალი ღმერთი გფარავდეთ. მაგრამ სანამ აქაურობას დატოვებდეთ, მინდა თითოეულ თქვენგანს საჩუქარი გადმოგცეთ. მაშინ მოხუცებულმა ტყის მჭრელმა გახსნა თავისი სკივრი, სადაც შენახული ჰქონდა ჭრელ-ჭრელი ფერის ნაჭრებით

ნაკერი ტანისამოსი და ასევე ქისა, რომელშიც ექვსი ოქრო ედო. მან სათითაოდ ჩამოურიგა ისინი შვილებს; დაიწყო უფროსიდან, სულ უმცროსს, მეშვიდეს, კი აღარაფერი შეხვდა. ექვსივე ვაჟი, როგორც კი მამისგან დასაჩუქრდა, გამოემშვიდობა მშობელს, აიკიდა გუდა-ნაბადი და შორეულ გზას გაუდგა. ტყის მჭრელი თავის ნაბოლარას მიუბრუნდა:

– ჩემო შვილო! სამწუხაროდ, შენ მხოლოდ ეს ნაკერებიანი ტანსაცმელი გერგო. აიღე ის. ოღონდ ძმებისა არ შეგშურდეს, დღეიდან შენ ათასფერა გერქმევა, – უთხრა მამამ.

თქმა და საქმე ერთი იყო. ვაჟი მამას გამოეთხოვა და გაემგზავრა.

მზე უკვე ჩასული იყო, როცა უმცროსმა ვაჟმა დიდ ტყეს მიაღწია. მერე მუხის ძირას ჩამოჯდა და ღამის გათევაც იქ დააპირა, უკვე ძილიც მოერია, მაგრამ, მოულოდნელად ხის ტოტებიდან ხმაური და ჭყივილი შემოესმა. ეს იყო სასონარკვეთილი დედა-შაშვი, თავის ბუდესთან ჩამომჯდარი, რომელმაც დაინახა როგორ მისრიალებდა გველი ზემოთ ბარტყების შესაჭმელად. ჭაბუკმა აიღო რკინის ჯოხი და გველი ორად გააპო. ქვენარმავალი თურმე იმ ჯიშისა ყოფილა, დამალულ ოქროს მინისქვეშ რომ მარხავს. მას მუცელში ოქროს თორმეტი ლუიდორი და ამდენივე ესპანური კადრეპლი აღმოაჩნდა.

– კეთილი! ლუიდორებს ჩემთვის დავიტოვებ, ხოლო კადრეპლს მამაჩემისათვის გადავინახავო, – თქვა თავისთვის ჭაბუკმა.

მერე ათასფერა ხის ძირას გაიშოტა, დიდებულად გამოიძინა და განთიადის დადგომისთანავე გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა, გზის პირას მდგარ ერთ სამიკიტნოსთან შეჩერდა. როცა შეხვლიბა ერთი მათლაფა სუფი და ერთი ბოთლი სიდრიც თან დააყოლა, მიკი-

ტანს ფული გადაუხადა და ჰკითხა, გზას ხომ არ მიმასწავლი ძმობილო, არ ვიცი, საითკენ წავიდეო.

– ათასფერა ჭაბუკო, აბა, კარგად მიგდე ყური! სულ პირდაპირ თუ ივლი, პარიზში სამ დღეში ჩააღწევ, მარჯვნივ თუ წახვალ, ზუსტად შუადღისათვის შიმშილის და წყურვილის ქვეყანაში შეადგამ ფეხს, მერე აღარ ვიცი, საითკენ უნდა წახვიდეო.

ათასფერამ მარჯვნივ სავალი გზა აირჩია, ზუსტად შუადღეზე შიმშილის და წყურვილის ქვეყანაში ჩავიდა, სადაც არ იყო არც მდინარე, არც ნაკადულები, არც ქები და არც შადრევნები მოჩქეფდა. მიწა ისე იყო გამომშრალი, როგორც ღუმელის ფსკერი და სადაც ადამიანები, დიდი თუ პატარა და საერთოდ ყველა სულდგმული, ბალახები და ხეები მზის სიმზურვალისგან ხმებოდა და იღუპებოდა.

ჭაბუკმა, უჭმელმა და უსმელმა, სამი დღე და სამი ღამე იარა. გზაში მიწაზე დაგდებული მკვდარი კაცი იპოვა, რომელსაც ხელში რკინის ჯოხი და ასი გირვანქა სიმძიმის ტვირთი ეჭირა. მან მიცვალებული დამარხა და მისთვის ილოცა, მერე ჯოხი და ტვირთი აიღო და დილაზე იარა. მზის ამოსვლამდე უკვე დატოვა შიმშილისა და წყურვილის ქვეყანა, მაგრამ წინ სალ კლდესავით სწორი მთა აღიმართა, ას ტუაზზე¹ მეტი სიმაღლისა. მის ძირას კი შეამჩნია ერთი სახლი, რომლის კარ-ფანჯრები ფართოდ იყო გაღებული. ეს სახლი „უსულო სხეულის“ საკუთრება იყო. ის კი ამ დროს გარეთ შემოვლაზე იყო გასული.

ათასფერა სახლში შევიდა და სუფრის ხორაგიდან პურის კვერი აიღო, ღვინის ამოსატანად სარდაფში ჩავიდა, მერე დაჯდა და გემრიელად შეექცა ვახშამს. ცოტა ხანი რომ გავიდა, მალლა საწოლზე აძვრა, რკინის ჯოხი და მძიმე ტვირთი, იქვე, ხელმისაწვდომ ადგილას დადო და შუალამემდე ძილს მიეცა. უცებ ხმაურმა გამოაღვიძა. ეს „უსულო სხეული“ იყო, რომელიც გასეირნებიდან შინ ბრუნდებოდა.

¹ ტუაზი – სიგრძის საზომი ერთეული საფრანგეთში.

– ოჰო, ერთი ამას დამიხედეთ, მართლა არ დაპატრონებია ჩემს სამეფოს?! დამაცადე აბა, შე ქურდბაცაცა შენა, ახლავე გაგაფრთხობინებ სულს!

ათასფერა საწოლიდან ჩამოხტა და რკინის ჯოხითა და ასგირვანქიანი ტვირთით შეიარაღდა. მათ შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. სამ საათს ეჭიდებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს ათასფერამ „უსულო სხეულს“ თავში რკინის ჯოხი უთავაზა და ძირს გააგორა.

– ათასფერავ! გთხოვთ იკმაროთ, მეტს ნუღარ მანამებ. შენ მე ვერასდროს მომკლავ. ვერ შეძლებ ამას, რადგან მიწინასწარმეტყველეს, რომ ქვეყნის აღსასრულამდე არ გარდავიცვლებოდი. შემიბრალე და ყველაფერს შეგისრულე, რასაც მიბრძანებო, – უთხრა „უსულო სხეულმა“.

– კარგი, „უსულო სხეულო“! იყოს ნება შენი. მაგრამ უნდა მასწავლო, როგორ ავიდე ამ მთაზე. შენ კი პირდაპირ იარე, თუ ისე არ მოიქცევი, როგორც მე მსურს, ჩემი რკინის ჯოხი არ აგცდება!

„უსულო სხეულმა“ ათასფერას სწორი გზა უჩვენა, თვითონ კი თხასავით აძვრა მაღალ, შავ კლდეზე. უცბად ათასფერამ ხარივით ზორბა მგელი დაინახა, რომელიც ხახადაღებული მისკენ მთელი სისწრაფით მოექანებოდა.

გაინტერესებთ, როგორ მოიქცა ათასფერა? მან მძლავრად მოუქნია მგელს თავისი რკინის ჯოხი და სასიკვდილოდ დასცა მიწაზე.

– ჭაბუკო, – უთხრა მგელმა – შენ პირველი არ ხარ, ვინც გადაკვეთა შიმშილისა და წყურვილის ქვეყანა, ცოცხალი გადარჩა და „უსულო სხეულს“ მბრძანებლად მოევლინა. ამ მხარეში მე მათი უმრავლესობა გადავსასლეს, თუმცა ზოგიერთებმა მაინც გააღწიეს და დღეს იქ იმყოფებიან, სადაც მალე შენც უნდა მოხვდე. რადგან შენი ხელით ვკვდები, შეჭამე ჩემი ხორცი და დალიე ჩემი სისხლი. სატანჯველს რომ გაუმკლავდე, მხნეობა გჭირდება.

ათასფერა დაელოდა, სანამ მგელი სულს დალევა. შემდეგ გასინჯა მისი ხორცი და

შესვა მისი სისხლი. იმნამსვე იგრძნო, რომ ძალა უორკეცდებოდა. ერთ საათში თავზე მოექცა მთას, რომელიც პირდაპირ წყალში, ასტუაზზე მეტ სიღრმეში იდგა, ნახევარი ლიეს სიგანის მდინარეზე, რომელიც საშინელი ხმაურით, ქარივით სწრაფად მოედინებოდა. მდინარის მეორე მხარეს ისეთი თვალწარმტაცი ბუნება მოჩანდა, გეგონებოდათ, მწყალობელი ღმერთის სამოთხეაო.

მთის წვერზე ათასფერამ უამრავი ხალხი იხილა, რომელთაც უზარმაზარი ენერჯია დაეხარჯათ აქ ამოსასვლელად. მათ შორის ზოგიერთი სასონარკვეთილებას მისცემოდა და ცრემლად იღვრებოდა, ხელებგადაჯვარედინებული, მუხლებზე დაჩოქილი გაიძახოდა:

– მაღალო ღმერთო! გემუდარებით, აქედან გაგვიყვანე, აქედან გაგვიყვანეო.

მაშინ ათასფერამ გაიფიქრა: „ღმერთი იმათ არ შველის, ვინც თითსაც არ გაანძრევს თავის გადასარჩენად და მისი წყალობის მოიმედეა. არა, ეს ხალხი აქედან ვერ გავაო“.

მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც გაუთავებლად ბჭობდნენ, მაგრამ ვერაფერი გადაეწყვიტათ და სულ იმეორებდნენ:

– მთავარია აქედან უხიფათოდ გავიდეთ, აჩქარება არ ივარგებს, დრო კიდევ გვაქვს, დრო კიდევ გვაქვსო...

– აი, მოლაყბენი! ცხოვრებაში ერთი კეთილი საქმეც რომ არ გაუკეთებიათ განკითხვის დღემდე, ლაპარაკსაც თავის დრო აქვს და საქმის კეთებასაც. ბრძენთ უთქვამთ: მცდელობა ნახევარი საქმეაო. მორჩა და გათავდა! ეს ხალხი აქედან ვერასდროს დააღწევს თავსო, – ფიქრს განაგრძობდა ათასფერა.

თუმცა ამ ხალხს შორის ისეთებიც ერივნენ, ერთმანეთს რომ აქეზებდნენ, მოდით, ყველანი ერთად გადავეშვათ წყალში, ერთიმეორეს შევეშველოთ და ერთად გადავცუროთ მდინარეო.

– ეს ჩანაფიქრი ყველაზე უფრო გაბედულია, მაგრამ აზრი არა აქვს, განსაცდელს მაინც ვერ დააღწევენ თავსო...

ამასობაში ორმა-სამმა კაცმა გაბედულება მოიკრიფა და წყალში გადაეშვა, მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ ეცურათ, ისინი მალ-მალე უკან, იმათკენ ბრუნდებოდნენ, ვინც მთის სიმალიდან აკვირდებოდა მათ მოძრაობას და უკიჟინებდა:

– აბა, მარჯვნივ! აბა, მარცხნივ! არა, ასე არ ივარგებს, თქვენ განწირულები ხართო.

ამ ხალხმა მართლაც ვერ მიაღწია ნაპირამდე და მათი სიცოცხლეს ტალღებმა შთანთქა და აქ, წყლის ფსკერზე დაიდეს სამუდამო განსასვენებელი.

– ახლა მე ვიცი, როგორ მოვიქცეო, – თქვა თავისთვის ათასფერამ. კლდეს ამოეფარა, ტანსაცმელი გაიხადა, დაახვია რკინის ჯოხზე და ზურგზე მიიბა, მერე პირჯვარი გადაიწერა და თავი გაიმხნევა.

– აბა, ყოჩაღად, ჩემო მეგობარო!

ჭაბუკი უშიშრად გადახტა და როცა წყალში აღმოჩნდა, კუნთების მძლავრი მოქნევით, თვითდაჯერებულმა პირდაპირ უკანმოუხედავად თევზივით იცურა, ყური არ უგდო მთის წვერიდან ადამიანების ყიჟინას. ერთი საათის შემდეგ უკვე მდინარის მეორე ნაპირზე იყო და ტანთ იცვამდა. ათასფერა თავაზიანად გამოემშვიდობა მდინარის მეორე ნაპირზე მყოფთ, რომლებიც რისხვას ვერ ფარავდნენ, როცა დაინახეს, როგორ გადაცურა ათასფერამ მდინარე. ისინი გაცოფებულნი იყვნენ და შეურაცხმყოფელ სიტყვებსაც არ ერიდებოდნენ, მაგრამ ჭაბუკი მათ ლანძღვას აინუშშიაც არ აგდებდა და სიცილს ვერ იკავებდა. იგი გზას გაუდგა და ერთი საათის სიარულის შემდეგ ერთ გრძელწვერა, ორი მტკაველი სიგრძის ჯუჯა კაცს შეხვდა.

– ათასფერა ახალგაზრდავ, – კეთილი ინებეთ და ახლა მე გამომყევითო, – უთხრა ქონდრისკაცმა.

– სიამოვნებით ქონდრისკაცო, – დაეთანხმა ჭაბუკი. ორივენი გვერდი-გვერდ მიდიოდნენ და მიაღწიეს ერთ შავ, ღრმა ორმომდე. დიდხანს, დიდხანს მოუხდნენ შიგ ჩასვლას,

მაგრამ ჯუჯა, რომელიც მას უკან მისჩანჩალებდა, საგნებს ისეთნაირად ალაგებდა, რომ მის შემდეგ არავის შეძლებოდა იქ გავლა, ჩასვლა და ამოსვლა. როგორც იქნა, ჯუჯა და ათასფერა ჩავიდნენ სულ ქვევით და დაინახეს პატარა სინათლე. მაშინვე მისკენ გაემართნენ. რაც უფრო უახლოვდებოდნენ, სინათლე თანდათან ძლიერდებოდა. ბოლოს ისინი აღმოჩნდნენ ერთი დიდი კარების ზღურბლთან, საიდანაც საუცხოო სანახაობა იშლებოდა. იქვე იდგა დიდი კოშკი და ირგვლივ ასამდე მოზრდილი ფერმა იყო გაშენებული.

– ათასფერავ, მე შენ საჩუქრად გაძლევ ამ დიდ ციხე-კოშკს და ასამდე ქოხს. ამიერიდან შეეცადე ბედნიერად იცხოვრო მინის ქვეშ, რადგან დედამინაზე შენ ველარ იხილავ ვერცერთ სულიერსო. ჯუჯა უკან გაბრუნდა. ათასფერა გაეშურა დიდი კოშკისკენ. კარებზე დააკაკუნა. ვილაცის ხელმა მაშინვე გააღო კარები, მეორე ხელი კი დიდ დარბაზში გაუძღვა, სადაც მდიდრული სუფრა იყო განწყობილი. თორმეტი ხელი ემსახურებოდა მას, მაგრამ იქ არც ქალის და არც კაცის ჭაჭანება იყო სადმე. სადილობის შემდეგ ათასფერამ სარდაფიდან სხვენამდე გულმოდგინედ დაათვალიერა ციხე-კოშკი. სამზარეულოში ხელები მუშაობას არ წყვეტდნენ, წესრიგში მოჰყავდათ ოთახები და საერთოდ ყველაფერი. ეზოში ვეება რკინის გალია იდგა, მასში არწივი გამოემწყვდიათ, რომელსაც ერთ ფეხზე ბორკილი ედო. დღეში ორჯერ ხელები მას უმ ხორცს უზიდავდა. საჯინიბოში სამი კვიცი ება. ერთი – თოვლივით თეთრი, მეორე – ყვავივით შავი, მესამე – სისხლივით წითელი, სამივე ცხოველსაც ხელები ემსახურებოდა. ისინი მათ სამურველით წმენდნენ, ქვეშ საფენს უგებდნენ და ხვავრიელად აძლევდნენ თივას, ჩალას და შვრიას, მაგრამ ახლო-მახლო ხორციელი არ ჩანდა.

ჭაბუკმა მრავალი წელი ეულად დაჰყო ამ უზარმაზარ კოშკში, ბოლოს მოსწყინდა ასეთი ცხოვრება და დრო რომ მოეკლა, დილა-საღამოს საჯინიბოში ატარებდა. სამივე კვიცს რომ

მიხედავდა, შემდეგ გალიაში არწივისთვის მიჰქონდა უმი ხორცი. კვიციები და არწივი ისე დაუმეგობრდნენ პატრონს, აღარც სურდათ ხელები რომ მომსახურებოდათ. ერთხელაც იყო, არწივმა ენა ამოიღვა:

– ათასფერა ჭაბუკო! ვხედავ, ძალიან სევდიანი ხარ, რადგან ამ კოშკში ადამიანთაგან გარიყული, მარტოდმარტო ცხოვრობ. როგორ ფიქრობ, მე მსიამოვნებს ჯაჭვით დაბმული, გალიაში გამოკეტილი რომ ვარ?! ნუ დაიზარებ ჩემთვის სიკეთეს, გამათავისუფლე აქედან, მე გავფრინდები დედამინაზე იმავე ხვრელით, რომლითაც შენ აქ ჩამოაღწიე და ყოველდღე ცხელ-ცხელ ამბებს ჩამოგიტან ზევიდან.

ათასფერამ დატყვევებული არწივი გალიიდან გამოუშვა და უთხრა:

– არწივო! გაფრინდი ჩემს ქვეყანაში და გამიგე, როგორაა მამაჩემი, თან შეატყობინე, რომ მე მინისქვეშეთში ვარ გამომწყვდეული და ველარასდროს მნახავსო.

არწივმა ფრთები გაშალა, გაფრინდა და იმავე საღამოს დაბრუნდა.

– ათასფერავ, მე ვინახულე მამაშენი. იგი ძალიან დაბერებულა, მუხლებში ძალა აღარ ერჩის და მუშაობაც აღარ შეუძლია, შენი ძმები, როგორც შეუძლიათ, ეხმარებიან, მაგრამ, იმდენს ვერ შოულობენ, დავრდომილი მამა რომ არჩინონ. ამიტომ საცოდავი ბერიკაცი, ხანგამოშვებით ხურჯინგადაკიდებული კარდაკარ დადის მონყალების სათხოვნელად, როგორც ადრე, ჩვენი მზრდნებელი იესო ქრისტე რომ იქმდა. მე ყველაფერი მოვაგვარე ზევით, ამიერიდან მამაშენს ლუკმა-პური აღარ შემოაკლდება.

– გმადლობ, არწივო, – უთხრა ათასფერამ.

იმ დღიდან ათასფერა და არწივი დიდი მეგობრები გახდნენ. ეს უკანასკნელი ყოველ დღით მიემურებოდა თავის საქმეებზე და საღამოსათვის ახალ-ახალი ამბები მოჰქონდა მაღლა სამყაროდან. ერთ საღამოს მან თავის მეგობარს გაანდო:

– ათასფერავ! მინის ზევით ისეთი რამეები ხდება, ღირს მათზე ყურადღების მიქცევა; იქ

ცხოვრობს ერთი მეფე, რომელსაც ოთხი მზე-
თუნახავი ასული ჰყავდა. ჯუჯამ სამი მათგანი
მოსტაცა და არავინ იცის, სად დამალა. მამას-
თან ნაბოლარაა. ახლა კარგად მოისმინე ის,
რაც მეფის ბრძანებით ამ დილით გამოაცხადეს
მოქმედ სამრევლოებში ბუკის დაკვრით. ყვე-
ლა მამაცი ახალგაზრდა მამაკაცი და გულადი
რანდი მეფისგან გაფრთხილებულია, რომ მო-
მავალი თვიდან კვირაობით სამი დიდი დოლი
ჩატარდება. ჰოდა, ვინც ამ შეჯიბრში სამჯერ
მოიპოვებს გამარჯვებას, ერთ კვირაში მეფე
მას თავის უმცროს ქალიშვილს მიათხოვებს.

ათასფერა არწივის ნათქვამმა ძლიერ დააღ-
ონა. ერთ დილით სისხლივით წითელმა კვიცმა
შენიშნა, რომ მისი პატრონი ძალზე დადარდი-
ანებული იყო და გულამოსკვნილი ტიროდა.

– ათასფერა ჭაბუკო! ვიცი, რატომ ჩამოგ-
ტირის ცხვირ-პირი, მე შემიძლია სატანჯვე-
ლისგან გიხსნა. ჩემთან ერთად შენ მოიგებ
პირველ ჯირითს, აქედან გასასვლელი გზა
ჩემთვის ნაცნობია, მასზე მხოლოდ ერთჯერ
შემიძლია გავიარო და გამოვიარო, მაგრამ შენ
უნდა შემომფიცო, რომ ჩემთან ერთად დაბ-
რუნდები.

– სისხლივით წითელო ულაყო! გეფიცები
მთელი გულით, ასეც მოვიქცევი, – მიუგო
ათასფერამ.

– კარგი, მაშ გავემგზავროთ.

სისხლივით წითელი ცხენი ქარზე უსწრა-
ფესად გაფრინდა და ერთ საათში ბაბილონში
ჩავიდა. კვირა საღამო იყო. მწუხრის ლოცვები
ის-ის იყო დამთავრებულიყო და დაიწყო დო-
ლი, რომელსაც არ აკლდა ასპარეზობაზე მო-
პაექრე ვაჟკაცები. წითელი ულაყი ძალ-ღონის
დაუზოგავად მიაჭენებდა თავის პატრონს და
ის ფინიშზე იყო უკვე, როცა სხვა ცხენებს ასი
ნაბიჯიც არ ჰქონდათ გავლილი.

ხალხმა დაიქუხა:

– გაუმარჯოს ათასფერას!

მაგრამ წითელი რაში ისე სწრაფად მოს-
წყდა ადგილიდან, რომ ერთ საათში ჭაბუკი
უკვე მინისქვემ იყო, თავის დიდ ციხე-კოშკში.

ათასფერა ისევ დანალვლიანდა. დღედაღამ
იმაზე ფიქრი არ ასვენებდა, რაც არწივმა უთ-
ხრა. კვირის ბოლოს ყორანივით შავმა ცხენმა
ცრემლმორეული პატრონი შენიშნა:

– ათასფერა ჭაბუკო! კარგად გამეგება, რა-
ტომ მოგინყენია და ცრემლებად იღვრები. იც-
ოდე, მე შემიძლია ეს სადარდებელი მოგაცი-
ლო. ჩემთან ერთად შენ მეორე შეჯიბრებასაც
მოიგებ. მე ვიცი მინისქვემითიდან გასასვლე-
ლი, მაგრამ იქ მხოლოდ ერთხელ შემიძლია
გავლა, ნასვლა და უკან გამობრუნება. ოღონდ
უნდა შემომფიცო, რომ მალლა არ დარჩები და
ჩემთან ერთად დაბრუნდები.

– ყორანივით შავო ულაყო! გეფიცები მთე-
ლი გულით, როგორც შენ მეტყვი, ისე მოვიქ-
ცევი, – მიუგო ათასფერამ.

ულაყი ქარზე უსწრაფესად გაფრინდა
და მხოლოდ ორი საათის შემდეგ ჩავიდა ბა-
ბილონში. ეს იყო კვირა საღამოს. მწუხრის
ლოცვა უკვე დამთავრებული იყო. ჯირითში
პაექრობა კი ერთი საათის დაწყებული იყო.
შავი ულაყი უფრო სწრაფად მიჰქროდა, ვიდ-
რე – სისხლივით წითელი. იგი ფინიშზე მაშინ
აღმოჩნდა, როცა სხვებს ჯერ ნახევარი გზაც
არ გაევილოთ.

ხალხმა ისევ დაიქუხა:

– გაუმარჯოს ათასფერას! ათასფერას გა-
უმარჯოს!

შავი ულაყი ისეთი სიჩქარით მიაპობდა
გზას, როგორც არასდროს. უკვე ერთ საათში
ათასფერა მინისქვემითში, თავის დიდ კოშკში
დაბრუნდა. მაგრამ მის გულში კვლავ სევდას
დაესადგურებინა. დღისით თუ ღამით სულ
არწივის ნათქვამი აგონდებოდა.

მომდევნო კვირაში თეთრმა ულაყმა შენიშ-
ნა ცუდ გუნებაზე მყოფი პატრონი:

– ათასფერავ! ვიცი, რატომ ხარ დანალვლი-
ანებული და ასე მწარედ ტირი. თუ მომენდობი,
ამ ტანჯვას აგარიდებ. ჩემთან ერთად შენ მესა-
მე ასპარეზობასაც მოიგებ, რადგან ვიცი გან-
საკუთრებული გზა მინისქვემ, სადაც მხოლოდ
ერთჯერ შემიძლია გავლა და უკან დაბრუნება.

– მაშ, კარგი! მიხსენ დარდისგან, – სთხოვა ჭაბუკმა.

– ამის სურვილი მაინც და მაინც არ მაქვსო, – უპასუხა ცხენმა

– გთხოვთ გამინიო თანადგომაო, – ევედრებოდა ათასფერა. ბოლოს თეთრმა ულაყმა უთხრა, მაშინ უნდა შემომფიცო, რომ ჩემთან ერთად დაბრუნდები უკანო.

– თოვლივით ქათქათა, მშვენიერო ულაყო! გეფიცები მთელი გულით, ასეც მოვიქცევით.

თოვლივით თეთრი ცხენი ქარზე სწრაფად გაფრინდა. მხოლოდ სამი საათის შემდეგ ჩააღწია ბაბილონს. იგი ცოცხათი კოჭლობდა. ეს იყო კვირა საღამოს, მწუხრის ლოცვების დასრულების შემდეგ, დიდი თითქმის დამთავრებული იყო. ბედის მაძიებელი რაინდები ახლაც ბლომად მოსულიყვნენ. ულაყი ნელი სვლით დაიძრა, რადგან კოჭლობდა.

– ვაი, რა სამწუხაროა, ათასფერა ვერ გაიმარჯვებსო, – ისმოდა ხალხში.

ჭაბუკი სასონარკვეთილებაში ჩავარდა, რადგან სამ რაინდს მხოლოდ ასი ნაბიჯი-ლა უკლდა გამარჯვებამდე, – სწრაფად, სწრაფად იარე! თოვლივით ქათქათა ულაყო, – დაჰყვიროდა მხედარი.

– ამაზე მეტი არ შემიძლია, მე ხომ კოჭლი ვარო, – გამოეპასუხა ცხენი და მოულოდნელად ისე ძლიერ დაიჭიხინა და მარდად გაქანდა, რომ თვალიც ვერ მიაწვდინეს. მან სხვა ცხენებს გაუსწრო და პირველი მივიდა დათქმულ ადგილას.

– გაუმარჯოს ათასფერას, გაუმარჯოს ათასფერასო, – აღტაცებული გაჰყვიროდა ხალხი.

ამასობაში თეთრი ულაყი ისეთი სისწრაფით მიფრინავდა უკან, როგორც არასდროს. ერთ საათში ჭაბუკი ცხენთან ერთად დაბრუნდა მინისქვეშეთში. მაგრამ მალე ისევ დანაღვლიანდა. წამითაც არ ავიწყებოდა არწივის ნათქვამი. ერთი კვირის თავზე არწივმა შენიშნა თავისი პატრონი მწარე ფიქრებს რომ მისცემოდა და თვალეები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

– ათასფერა ჭაბუკო! მე ვიცი, რატომ ხარ

თვალცრემლიანი. ძალიან მინდა ამ სატანჯველისაგან გაგათავისუფლო, მაგრამ საუბედუროდ, გზები, რომელზედაც სამმა ულაყმა გაიარა, სამუდამოდ ჩაიკეტა. მხოლოდ ერთი ხვრელი დარჩა, საიდანაც შენ ჩამოდი ჯუჯასთან ერთად. შემომაჯექი მხრებზე და ვიფრინოთ მალლა. მაგრამ, ეს არაა ადვილი. ბოლომდე რომ მივფრინდე, კარგად უნდა ვიკვებებოდე. ამიტომაც არ უნდა მომაკლო უმი ხორცი, გზაში რომ დავნაყრდეთ.

ათასფერა წავიდა, იშოვა ხორცი და არწივს ზურგზე შეაჯდა.

– აბა შენ იცი, ჩემო არწივო! – და არწივიც მიაპობდა ჰაერს, მიფრინავდა პირდაპირ ძალის დაუზოგავად და ხშირ-ხშირად დაიჭყივლებდა:

– ხორცი ჩქარა, უმი ხორცი!

ათასფერაც მალ-მალე აწვდიდა ხორცს და თან დასძახოდა:

– აბა ყოჩაღად, არწივო.

მათ ასი ტუაზი განვლეს მინის ქვეშ, სადაც საძოვრებიც აღარსად ჩანდა.

– ხორცი! უმი ხორციო, – ისევ დაიჭყივლა არწივმა. მაშინ ათასფერამ ამოიღო დანა, ჩამოიჭრა ბარძაყზე ხორცი, არწივს პირში ჩაუდო და თავისი თბილი სისხლიც დააღვინა. სულ მალე ორივენი ბაბილონში ჩაფრინდნენ. დილის რვა საათი იქნებოდა. ხალხი საკვირაო ტანსაცმელში იყო გამონყობილი. ეკლესიებში მძლავრად რეკდა ზარები, მეფის ქალიშვილის მომავალ ქორწინებას აუწყებდნენ მრევლს.

– ჭაბუკო! შენ ჩემს ქალიშვილს მხოლოდ მაშინ შეგრთავ, როცა მისი სამი დის დაბრუნებას შეძლებო, – განუცხადა ბაბილონის მეფემ ათასფერას.

მაშინ არწივმა უთხრა ათასფერას, აქ დამელოდეთ. არწივი გაფრინდა. ერთ საათში დაბრუნდა და თან მოიყვანა ჯუჯა კაცი, ორი მტკაველი სიგრძისა, რომლისთვისაც თმებში ჩაველო კლანჭები.

ჯუჯამ მინაზე ფეხები მაგრად დააბაკუნა. სამივე ულაყი მაშინვე იქ გაჩნდა. ერთი იყო

თოვლივით ქათქათა, მეორე – ყორანივით შავი და მესამე – წითელი, როგორც სისხლი. ეს ულაყები მეფის უფროსი ქალიშვილები იყვნენ. ჯუჯამ ისინი ცხოველებად აქცია, უკეთ რომ დაემალა. ულაყები იმნამსვე ადამიანებად გადაიქცნენ.

– ათასფერავ, ახლა არაფერი საბაბი არა მაქვს, უარით გაგისტუმროთ, – უთხრა მეფემ და ახალგაზრდა წყვილის შეუღლებამაც არ დააყოვნა. ისეთი ქორწილი გაჩაღდა, მსგავსი რომ არავის ენახა დედამიწის ზურგზე. ქაბუკმა კაცი აფრინა მამისა და სამი ძმის ჩამოსაყვანად, რომელთაც შემდგომში მეფის დანარჩენი ასულები შეირთეს ცოლად.

სამი დღე და ღამე გაგრძელდა ქორწილი. სამი დღე და სამი ღამე იყო ქეიფი, მხიარულება და დროსტარება. როცა ქორწილი დამ-

თავრდა, არწივი ათასფერას მიუბრუნდა:

– მე შენ დიდიხანია გემსახურები, შენ კი ჩემთვის სამაგიერო არაფრით გადაგიხდიაო.


– არწივო, მთხოვე, რაც გსურსო, – მიუგო ათასფერამ.

– მიბოძე ბაბილონის ყველაზე მაღალი კოშკი, ზედ რომ ბუდე გავიკეთო და ეს ქონდრისკაციც მე გადმომეციო.

– არწივო, შენი თხოვნა სამართლიანია. მიიღე, რაც გსურსო. – მიუგო ათასფერამ

მაშინ არწივმა ხელი დასტაცა წვერებიან ჯუჯას, ორი მტკაველი სიგრძისას, აიყვანა ბაბილონის მაღალ კოშკზე, თვალები დათხარა და მერე ძვლებიანად გამოხრა.

ფრანგულიდან თარგმნა ნანა ახალაძემ




თამარ ახოლავა

პოეტის პოეტური ბიოგრაფია

„საქართველოში მგელსაც ვენდობი,
დე, მოძუნძულდნენ მშიერი მგლები“...

ნიგნი უსათაურო ლექსით იხსნება – „მწარეა შენი ტკივილი“. მე მომწონს ეს ლექსი, რადგან პოეტის ცხოვრების საზრისს გულწრფელად და სადად გამოხატავს; ბევრი პოეტი ვერ დაიკვებნის, მისი თუნდაც უაღრესად დახვეწილი სტრიქონი ან სტროფი იმდენად ღრმად შთამბეჭდავი იყოს, რომ ასე ამახსოვრდებოდეს მკითხველს. დავით თედორაძე არასოდეს ყოფილა მხოლოდ ვერსიფიკაციულ ძიებებს გამოდევნებული პოეტი და საკუთარი შემოქმედებითი ბედი ფორმალისტური ტრიუკებისათვის არ მიუხდვია. მის შემოქმედებაში ყოველთვის სათქმელი, განწყობილება იყო მთავარი და ამ პოეტური განწყობილების ეროვნულ-ზნეობრივი საფუძველი, იმდენად მთავარი, შეიძლება ვთქვათ – უმთავრესიც კი, რომ, შეუძლია, განგებ დაარღვიოს რიტმი, უარი თქვას ზუსტ და ორიგინალურ რითმაზეც, მოსაზღვრე სტროფებში ტაეპების თანაბარ რაოდენობაზეც, თუ გარეგნული ევფონიური წესრიგი, გარეგნული ესთეტიზმი განწყობილების შინაგან მთლიანობას ოდნავ მაინც დაუზიანებს და მკითხველის ყურადღებას გაუფანტავს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ოსტატობაც სხვა კი არაფერია, გარდა სათქმელისა და ფორმის სრული შესაბამისობისა – ესაა დავით თედორაძის პოეტური სტილის უპირველესი ნიშანი, ანუ – არა მხოლოდ „რა“ და „როგორ“, არამედ, რაც მთავარია, „რისთვის“ (სათქმელის პრიმატი, სათქმელის ხაზგასმული მნიშვნელოვნებით).



დიდი ხნის წინ, პირველად წაკითხვისთანავე ისე სახიერად აღმებეჭდა ამ ლექსის რეფრენი, რომ უამრავჯერ შეუხსენებია თავი („ნეტავ, მალამოდ მაქცია, შენს მკერდზე დასაფენად“ და მისი ვარიანტი – „ნეტავი, ვიყო მალამო, შენს მკერდზე დასაფენი“). ესაა ლიტერატურული ალუზია მოარული ხალხური ფრაზისა, ფიცისა, ოლონდ, იმდენად გათავისებული, უკვე პოეტისგან პირველნათქვამის სიმძაფრით, გულწრფელობითა და ღრმა ნუხილით დაღდასმული, საკუთარი პიროვნების მოწოდების სიმძაფრის არაორაზროვნად მანიშნებელიც;

„მწარეა შენი ტკივილი, გრძნობა ამუნჯებს ენას,
ნეტავ, მალამოდ მაქცია, შენს მკერდზე დასაფენად“.

აქ, შეიძლება ითქვას, ბენვის ხიდზე გადის პოეტი, ერთი მცდარი ნოტია საკმარისი, მტკივნეული, შთაგონებული განწყობა ტრაფარეტულ განაცხადად, ზერელე ცოდნით, განუცდელად დაწერილ სტრიქონებად იქცეს; მაგრამ დავით თედორაძის შემოქმედების დვრიტა, მაღლი სწორედ განცდის სიღრმეშია,

განცდის სიღრმე და სიმართლე აღბეჭდავს ალუზიით გაჩენილ სტრიქონსაც კი ერთადერთობისა და უეჭველობის ნიშნით.

ფინალში გამოჩნდება საფენელი, ბიძგი, რისთვისაც შეიქმნა ლექსი: ქვეყანაში ღირსება მივიწყებულია, ერი საშოვარსაა გადაგებული და სულიერება მოშლილია:

„მივიწყებულ ღირსებაზე, ჩემო ერო და ბერო,

ცრემლებით, გულისტკივილით, როდემდე უნდა ვწერო“.

ამ ლექსს თარიღი არ უზის (საერთოდაც, ამ ნიგნში ყველა ლექსი უთარილოდაა დაბეჭდილი) და ვერც ვიხსენებ, როდის დაინერა. ზოგადად, პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესასწავლად, თარიღი, დრო, შთამაგონებელი ბიძგი ლექსის შექმნისა ერთობ მნიშვნელოვანია („ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“), მაგრამ, მეორე მხრივ, თარიღმა, შესაძლოა, ლოკალურ სივრცეში ჩაკეტოს იგი, ერთ კონკრეტულ შემთხვევას მიაბას, განზოგადების ხარისხი შეამციროს. ამ შემთხვევაშიც, საინტერესო კია, როდის დაინერა იგი, კონკრეტული მიზეზი პუბლიცისტურ სათქმელს მართლაც გაამდიდრებდა, მაგრამ, მეორე მხრივ, შესაძლოა, თარიღისთვის მიება და შეეზღუდა, რადგან ის, რაც აქ ითქმება, მაინც მარადიული საწარმო და საცდელია პოეტისა – ხალხში მივიწყებული ღირსების აღდგენა: ასე იყო საბჭოთა დროშიც, 90-იანი წლებშიც, მერეც და ახლაც, მხოლოდ ხანდახან გამოერეოდა ხოლმე პერიოდები, როცა ერი შეიკვრებოდა, ერთი სულისკვეთებით, მოურეველი ღირსებით ივსებოდა, იბრძოდა და იმარჯვებდა, ოღონდ – მცირე ხნით: ასე აღივსო ღირსებით 70-იანი წლების ბოლოს მხოლოდ მისი ერთი ნაწილი – ახალგაზრდობა, 80-იანი წლების ბოლოსაც, მერეც, მცირე ხნით – 2010-იანი წლების დასაწყისში... იმარჯვებდა და, საუბედუროდ, იმავნამს იძინებდა თვითკმაყოფილი, ჰოდა, იმ ძილში ჩამოემხოზოდა ხოლმე თავზე, რაც ერთსულოვნების ჟამს მოეპოვებინა.

მე ვიცი, დავით თედორაძე მხოლოდ ლექსით არ შეუძახებს ხოლმე ერს, ახლა დროა

ისეთი, მკითხველი გაიშვიათდა და მოქმედი წინამძღოლი, ყოველდღიურ ცხოვრებაში შემდახებელი ჭირდება ქვეყანას, ღირსება რომ არ გადაითელოს.

ახლა დროა ისეთი-მეთქი, დავნერე და უნდა დავაზუსტო: საქართველოში მუდამ ასეთი დროა, მუდამ შეძახება, მუდამ ღირსების შეხსენება ჭირდება ერს, ესაა ჩვენი ბედი და უბედობა, ესაა, სამწუხაროდ, ჩვენი ზნე და ბუნება, ესაა დავით თედორაძის – პოეტისა და პიროვნების არსებობის თავიცი და ბოლოც, უამისოდ მის შემოქმედებაში არაფერია და არაფერი ხდება.

ახლა დროა ისეთი-მეთქი, ვთქვი და ამ ჩემ-მავე ფრაზამ მისი კიდევ ერთი ლექსი მომაგონა – „ახლა ერს უნდა ილია“. იგი გახსენებაა გერმანიაში, ქალაქ ჰანოვერში ქართველ ემიგრანტებთან ლხინისა. აქ, უცხოეთში გაშლილ სუფრასთან, ერთმანეთს ეფერებიან ქართველები, საქართველოში, შინ, ხატსა და პურს ვერ იყოფენ... ესეც ქართული ხასიათის ნიშანია, სამწუხარო ნიშანი. კიდევ მეტიც: კი, ჰანოვერში, სხვაგან და სხვაგან, ერთად არიან, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მათს ურთიერთობაში პოლიტიკა რომ ჩაერიოს, ის ლხინიც გამწარდება, იქაც აიშლებიან, ისევე, როგორც 20-იანი წლების ჩვენი ემიგრაცია გაჰყო იდეურმა შეუთანხმებლობამ, სხვისი თვალსაზრისის შეუწყნარებლობამ.

ეს ლექსი ბევრმა იცის, ზოგადად – ქართველმა მკითხველმა და დავით თედორაძის მკითხველმა – მითუმეტეს. იგი ერთი ამოსუნთქვით, ლამის ექსპრომტის სიმსუბუქითაა დანერგილი, არსად ეტყობა ლიტერატურული კეთების კვალიც კი, სიმსუბუქე განმსჭვალავს სათქმელს, რიტმს, ოღონდ ესეცაა – იმ სიმსუბუქეში თავიდანვე შემოიპარება სევდის ბურუსი და მკითხველიც იმთავითვე ბუნდოვნად გრძნობს, რომ ეს სალხინო თავყრილობა, თითქოს, ლხინიცაა და არცაა ლხინი, ლექსის რვამარცვლიანი ტაეპის ლხინისთვის ადეკვატურ სილალეს ბუნებრივად შეერწყმის პეიზა-

ჟის სიმძიმე და ბუნდოვანი, წინასწარმგრძობი მინორულობა: „ისეთი ცაა ჰანოვარს, გგონია, წვიმა წამოვა“... ეს ორტაეპედი რეფრენად გასდევს ლექსს და სამჯერ მეორდება, ყოველი ორი სტროფის შემდეგ ჩატეხავს სალხინო განწყობილებას, სევდის საფენელზე მიაბამს, ზედმეტად გამსუბუქების საშუალებას არ აძლევს; და ბოლოს – ფინალი, ლოგიკური დასასრული მკითხველის იმ ბუნდოვანი მოლოდინისა, იმ წინასწარმგრძობისა, რომ ეს მართლაც არაა სალხინო, სალალობო ლექსი:

„ისეთი ცაა ჰანოვარს,
გგონია, წვიმა წამოვა...
თბილისში მშეა, ამინდი,
როგორც ამბობენ, თბილია,
ამინდს გაუწყრეს გამჩენი,
ახლა ერს უნდა ილია“.

* * *

პოეტი, თუ ის პოეტია, ერის ჭირისუფლად და პატრონად ჩნდება ქვეყანაზე. დავით თედორაძის შემოქმედების თავი და ბოლოც სწორედ ეგ არის – ქვეყნის პატრონის ტვირთი:

„შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ,
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს“...

მე მომწონს ეს ლექსი („შენ ხარ მგოსანი“), მიუხედავად იმისა, რომ ვერ ვეგუები თავად ამ სიტყვას – მგოსანს (როცა პოეტებს ეძახიან), რადგან მიმაჩნია, რომ მგოსნობა პოეტისათვის მეორეული რამ არის, თუ არის საერთოდ, მთავარი ტვირთია, სიმძიმეა, სევდაა... მაგრამ დავით თედორაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია სწორედ იმას ადასტურებს, რისთვისაც უნდა იყოს მოწოდებული, ზოგადად, პოეტი და ამ ლექსშიც ეს სიტყვა იმდენად უპრეტენზიოა, ნაკლებად მიშლის ხელს.

პოტი ერის სულის პატრონია, შემძახებელია, შემფხიზლებელია (უნდა იყოს), მაგრამ სათავეში განოლილი უკეთურება, მოხვეჭის მგლური ჟინი, ძლიერთა ამა ქვეყნისათა რომ

დაუფლებიათ, ანგრევს სახელმწიფოს... ამ დროს, შეიძლება, პოეტიც დაეჭვდეს, ამოხომ არ არის მისი წყვეტება, ამოხომ არ არის მისი არსებობა, როცა ძალად ახუჭინებენ თვალებს, უმზეოდ ყოფნას აჩვენენ...

ეს ლექსი ერთ-ერთი გამორჩეულთაგანია დავით თედორაძის შემოქმედებაში – პუბლიცისტური თუ სოციალური სიმახვილითაც და, რაც მთავარია, ოსტატობის თვალსაზრისითაც, – პუბლიცისტური გამჭვირვალებითა და ღრმა პოეტური იდუმალების შერწყმა ქმნის ოსტატობის ამ ხარისხს:

„შენ გავიწყდება, რომ ხარ უმწეო,
როცა მგლებივით ძრწიან მზაკვრები,
შენ შენთვის ცოცხლობ სადღაც, უმზეოდ,
სულს ბორკილივით ადევს საზღვრები“.

შთამბეჭდავია უმზეოდ ცხოვრების მეტაფორა, შთამბეჭდავია ძალად დახუჭული თვალების მეტაფორა. თანაბარ, ხუთხუთმარცვლიან მუხლებად დალაგებული ათმარცვლიანი ტაეპების რიტმი მდორედ, თანაბრად ანაწილებს სუნთქვას, ოღონდ სუნთქვის სიმდოვრე მაინც მოჩვენებითია, რადგან თვითონ სათქმელია მძაფრი, ნერვიულად დაჭიმული, და ეს წარმატებული შენივთება დაძაბულობისა და სიმდოვრისა, მედიტაციურობისა, განაპირობებს სასურველ მთლიანობას. ლექსი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ქმნის ოსტატის გულწრფელობა გადამდებ და განზოგადებულ პოეტურ მუხტს, იმდენად გადამდებს, რომ მისი ცალკეული ტაეპები სულ სხვადასხვაგვარი განწყობისას, სულ სხვადასხვაგვარ გარემოში შეგახსენებენ ხოლმე თავს. იმის თქმა მინდა, რომ, თავად ეს ლექსი ხომ ერთი, კომპოზიციურად შეკრული მთლიანობაა, სადაც ყოველი აზრობრივი ნიუანსი ლოგიკურადაა გადაბმული ერთმანეთს, სათქმელი (შინაარსს არ ვიტყვი), თხრობითი ენითაც გადმოიცემა, იოლად განიმარტება, მაგრამ ცალკეულ ტაეპებსაც, ლექსის ერთიანი ქსოვილისგან დამოუკიდებლად, განზოგადების შთამბეჭდავი ძალა ენიჭებათ.

კიდევ განვმარტავ: ტაეპი – „გინდა, უშველო შენს საქართველოს“ – არაორაზროვნად ასახელებს ლექსის შექმნის ბიძგს, ნათლად მიუთითებს, რომ იგი ე. წ. „პატრიოტული ლირიკის“ ნიმუშია, მაგრამ მე ხშირად დამეინყებია ის პატრიოტული საფენელი, როცა ამ ლექსის ცალკეული სტრიქონი ან სტრიქონები ამჩემებია, და ამჩემებია თავისი იდუმალი ბუნების, მოუხელთებელი სევდისა და განზოგადების ღრმა ხარისხის გამო.

„შენ შენთვის ცხოვრობ სადღაც, უმზოდ“...

სულაც არაა აუცილებელი, რომ ამ დროს უმზოდ ყოფნის მეტაფორაში თვითონ ლექსში განფენილი ქვეყნის უბედობის გამო მოგვრილი სევდა დაინახო... ვერც და არც დაინახავ ამ კონკრეტულ მისამართს, თუ, უნებურად, მხოლოდ ეს ტაეპი ამოატივტივა მეხსიერებამ, და არა მთელი ლექსი – პირიქით, ბევრად უფრო ღრმა და ბევრად უფრო მრავლისმომცველად სევდიანი (ერთბაშად – ეროვნულიც, ფილოსოფიურიც, ზნეობრივიც) განწყობა გეუფლება, ამამალლებელი სევდა შეგიპყრობს, ან, ასეც შეიძლება ვთქვათ, ამამალლებელი სევდით შეპყრობილს მოგძებნის და თავს შეგახსენებს ხოლმე ის ტაეპი.

რა ვქნა, ძალიან მომწონს ეს უმზოდ ყოფნის მეტაფორა-მეთქი, ისევე, როგორც:

„გტკივა, ტკივილმა ლამის შეგშალა,

შენ ვისუჭავენ თვალებს გახელილს“...

ისევე, როგორც:

„სხვისთვის მზეს ნატრობ, თავად უმზოდ“...

ყოველი ეს სტრიქონი, ძალმოსილებისა და განწყობილების სიღრმის გამო, შეიძლებოდა, თითო, დამოუკიდებელი ლექსის საყრდენად ქცეულიყო, მაგრამ ის ლექსები ასე მდიდარნი და მრავლისმეტყველნი ვეღარ იქნებოდნენ.

ვერ ვიტყვი, რომ ეს ამამალლებელი სევდა გამოუთქმელი, განუმარტებელი სევდა იყოს – არა, გამოთქმულია, მძაფრი სიცხადითაა გამოთქმული და, ამავე დროს, ღრმა იდუმალეზით აღბეჭდილი; სწორედ ეს – სიცხადისა და იდუმალეზის ბედნიერი შერწყმა ქმნის პოეზი-

ას – გადამდებს, სულ სხვადასხვაგვარ სიტუაციაში რომ დაგაჭირვებს თავს და აქ მრავალ უმთავრესთაგან ერთ-ერთი უმთავრესი ისევ განზოგადების ხარისხის სიღრმეა: ის, რაც პოეტის ბიოგრაფიის ნაწილი იყო, ის, რაც რაღაც კონკრეტულმა ბიძგმა ათქმევინა, შენი – მკითხველის ბიოგრაფიის ნაწილადაც იქცევა, ანუ – შენი ხდება.

ასე გახდა ჩემი მისი კიდევ ერთი ბრწყინვალე სტროფი სხვა ლექსიდან. სტროფს ვამბობ იმიტომ, რომ, თავისთავად ლექსი ხომ კარგია („სამშობლოს გამო მქონდა ჭრილობა“), მაგრამ იქ მრავალთავის მოუხელთებელი, განსაკუთრებულად გამორჩეული პოეტური სიმალლეა მიღწეული. ამ ლექსზე თავის დროზეც ვწერდი, ჩვიდმეტი წლის წინ. ცოტა რამ არ წამიკითხავს, ცუდად არ ვიცნობ ქართულ პოეზიას, ოღონდ, არა მგონია, ვცდებოდე, მსგავსი მოულოდნელი შერწყმა ორი დიადი გრძნობისა, ეროვნულისა და ინტიმურისა, არსად, არავისთან მინახავს:

„სამშობლოს გამო მქონდა ჭრილობა,

წყენაც, ტკივილიც ვმალე,

ახლა შენ აკლდი ჩემს უძილობას,

დარდით დაბინდულ თვალებს“...

რასაკვირველია, არ ვგულისხმობ იმას, როცა ლიტერატურისმცოდნეები, ვთქვათ, აკაკის შემოქმედებაში, სატრფო-სამშობლოს სახეს განიხილავენ და იგაფურ-სიმბოლურ პლანზე მიუთითებენ, ანუ აკაკის უწერია ერთი (სატრფო) და იგულისხმება სამშობლო. მაგალითად: „მეგულები ციხეში, ცხრაკლიტულში მჯდომარე, შეთვისებას გიპირებს გაიძვერა მოყვარე“ (აკაკი, „სატრფოს“); არა, ეს სულ სხვა რამეა... მე იმის თქმას ვცდილობ, რომ აქ, დავით თედორაძის ლექსში, ამ თვალსაზრისით, საგულისხმებელი, სავარაუდებელი არაფერია – უნდა აღიქვა ისე, როგორც წერია;

დავაზუსტებ: პოეტის ცხოვრება მუდმივი ტკივილია. პოეტებს, მწერლებს ზოგადად, განსაკუთრებულად აქვთ გამძაფრებული მამულის უბედობის განცდა, ოღონდ ეს, ზოგ-

ჯერ, სამუხაროდ, მოდურ თემად იქცევა ხოლმე ლიტერატურაში და უამრავ უსახო სუროგატს შობს, ისეთ ლექსს, არავის რომ არაფერში არგია, მაგრამ როცა კაცი მართლაც პატრონია ქვეყნისა, ტკივილით საკეკლუცოდ არა სცალია, არც ჭირდება. დავით თედორაძეს ჭირისუფლის როლით თავმოსაწონებლად არასოდეს მოუცლია, უპირველეს – საკუთარი თავისთვის არ უკადრებია ეს და მერე – მკითხველისთვის.

სად, რას და რისთვის წერს პოეტი, ყოველთვის ჩანს (ვინც პოეზია იცის, დაინახავს); როცა სათქმელი შთაგონებულია, ის მოულოდნელიც არის და იმავდროულად – განსაცვიფრებლად ბუნებრივიც, რადგან მართალია, გულწრფელია, შეუვალი ცოდნით, ერთადერთობის, განუმეორებლობის მადლითაა აღბეჭდილი. დავუკვირდეთ, რა მშვენიერი პოეტური ხატი შეიქმნა – ესაა ორი სიყვარულის, ორი სევდის უჩვეულო შერწყმა. უჩვეულო იმიტომ, რომ, როგორც წესი, პოეტები ასე არ წერენ ხოლმე-მეთქი – ლექსს ან სამშობლოს გამო მწუხარება ათქმევინებთ, ან საყვარელი ქალის თუ სხვისი, ვისიც გნებავთ. უცხოა, უჩვეულოა, მოულოდნელია, მაგრამ არა – წინასწარგანზრახული, არამედ – იმპულსური, ამიტომაც – განსაცვიფრებლად მართალი, ბუნებრივი. სწორედამ ამ სიმართლეში, იმპულსურ, შთაგონებულ ბუნებრივობაშია წარმატების საიდუმლოც. ამ ორი საგნის ერთ ფოკუსში მოქცევა უფრო ანათებს, ხელშესახებს, უეჭველს ხდის პოეტურ სიმართლეს და მკითხველის ცხოვრების ნაწილად აქცევს. უფრო დანვრილებით ვიტყვი, რაც ადრეც მითქვამს: „სამშობლოს გამო მქონდა ჭრილობა“ – ეს მოსამზადებელი ტაეპი, ერთი შეხედვით, იმდენად ახლოა „პროზაულ“ შინაარსთან, შეიძლებოდა, ცალკე აღებული, „ნასწავლ“ (ცუდად ნასწავლ) პათეტიკურ განცხადებად მიგვეჩინა და მის გულწრფელობაშიც დავეჭვებულიყავით, თუ შესაფერისად არ განვითარდებოდა, მაგრამ მესამე ტაეპმა („ახლა შენ აკლდი

ჩემს უძილობას“) იმდენად გადასდო თავისი ინტიმი, მკითხველის ცნობიერებაში ხელახლა, მძაფრად-მეთქი, არ ვიტყვი და – მტკივნეულად შემოაბრუნა, სამშობლოს უბედობის, „ჭრილობის“ განცდა ასოციაციურად გაადევნა ლექსის მთელს ნაღვლიან და ამითაც შეკრულ განწყობილებას.

პოეტურმა ინტუიციამ აქ ზუსტად, შეუცდომლად მიაგნო ოქროს კვეთას: ეს ლექსი ადამიანის მრავალმხრივობისა და მთლიანობის უცნაური ნიმუშია.

* * *

იმის საჩვენებლად, რამდენად ერთიანი, მთლიანია პოეტის პოეტური ბიოგრაფია, ზემოთ მრავალგზის ნახსენებ „უმზეოდ ყოფნის“ მეტაფორას უნდა მივუბრუნდე ისევ და მკითხველის ყურადღება კიდევ ერთ, პატარა და მშვენიერ ლირიკულ ლექსს მივაპყრო (ესაა უსათაურო – „პეპელა უფრო დიდხანს ძლებს“).

„შენ შენთვის ცოცხლობ სადღაც, უმზეოდ... – თქვა ერთგან („შენ ხარ მგოსანი“); „სხვისთვის მზეს ნატრობ, თავად უმზეოდ“ – იქვე, იმ ლექსშივე შემოაბრუნა ეს მრავლისმეტყველი, სევდიანი და დრამატული ხატი. დამეთანხმებით, ათასგზის ნახმარ და პოეზიაში მეტისმეტად გაცვეთილ მზის სახეს აქ ახალი ღირებულება მიენიჭა. ასეა ყოველთვის, თუ ოსტატიცა ხარ და, რაც მთავარია, გულწრფელი, თუ სახე უხინჯოდ მართალი განწყობილებიდან იზადება. თუ პირველ ლექსში (პირობითად პირველ ლექსში – „შენ ხარ მგოსანი“) ეს მეტაფორა ხაზგასმულად სიმბოლური აზრისაა, გულისხმობს არა, სახელდობრ, მზეს, არამედ, ტრადიციულად – სითბოს, სიკეთეს, სიყვარულს და სულ სხვა დვრიტა აქცევს მეტაფორად (რაც, ეგვიც ვთქვით), ამ პატარა უსათაუროში უკვე ორივე შინაარსს იძენს და ისინი, ორივე, ბუნებრივად ერწყმიან ერთმანეთს, ერთი შინაარსი ძალდაუტანებლად, შეუმჩნევლად გადადის მეორეში,

ორივეს კი ამთლიანებს ენერგიული ლირიკულ-დრამატული სევდა. აქ კიდევ ერთხელ გაიბრწყინებს დავით თედორაძის პოეტური სტილის ნაცადი ხელწერა – იდიომისა და ლიტერატურულ-ფოლკლორული წყაროს მოთვინიერების უცდომელი ნიჭი. ამ უცდომელობის საფუძველთა საფუძველი, ოსტატობის საიდუმლო, განწყობილების ბუნებრივობაში, თვითნაბადობაშია:

„პეპელა უფრო დიდხანს ძლებს,
ვიდრე ბათუმში თოვლი
და მაინც, მაინც მიყვარს მზე,
უპირველესად ყოვლის.
მომწონს ქარების წივილი,
წვიმაც, სეტყვაც და ბარდნაც...
და მაინც, დიდი ტკივილით
დამამხო მზეზე დარდმა.
მზეო, ამოდი, გაბრწყინდი,
გამათბე, გამალაღე!
ბაღში ვდგავარ და დარდს ვყიდი,
მყიდველი დამანახე“.

პირველი ორი ტაეპი ექსპოზიციასა და დასამახსოვრებელ ლირიკულ სურათს ხატავს, ფონად რომ უნდა დაედოს არა გარეგნული სახოვანებითა და ორიგინალობით, არამედ შინაგანი ენერგიით დამკვიდრებულ მესამე-მეოთხე ტაეპს, მთლიანად კი სანყისი ექვსი ტაეპი სამზადისია რაღაც უფრო მნიშვნელოვნის, მოულოდნელის გასაცხადებლად, განწყობილების რადიკალური რაკურსით შემოსაბრუნებლად:

„და მაინც, დიდი ტკივილით
დამამხო მზეზე დარდმა“.

ეს მერვე ტაეპი – „დამამხო მზეზე დარდმა“ – უკვე აღარ იკმარებს მზის იმ ცნობილ შინაარსს – ციური ცდომილისას – და იგულისხმებს ბევრად მეტს, რასაც ჩამოთვლა, ჩამონუსხვაც არ ჭირდება, რადგან იმდენად მრავლისმეტყველია თვითონ, არც უნდა აიხსნას, ლოკალურ ჩარჩოში ჩასმულ ვიწრო მისამართად არ უნდა იქცეს – ეს ლექსის სათქმელსა და განწყობილებას დააკნინებდა. აქ ცხადად გამოიკვეთება ლირიკული „სიუჟეტი“:

ექსპოზიციას –

„პეპელა უფრო დიდხანს ძლებს,
ვიდრე ბათუმში თოვლი“...

აქედან დაწყებული, ნელ-ნელა, მდოვრედ აინევს სტრიქონების სუნთქვა, თანდათან ძლიერდება და კვანძს მეორე სტროფის ბოლოს, მეშვიდე-მერვე ტაეპებში შეკრავს:

„და მაინც, დიდი ტკივილით
დამამხო მზეზე დარდმა“...

რასაც ასევე თბილი, ენერგიული და სევდიანი, ლიტერატურულ-ხალხური ალუზიით შთაგონებული ამოსუნთქვა, ლოგიკური წერტილი დააგვირგვინებს და მახვილიც შესაბამისივე ენერგიით ჩამოინაცვლებს:

„ბაღში ვდგავარ და დარდს ვყიდი,
მყიდველი დამანახე“.

თვალსაჩინოდ იკვეთება ორი პლანი – ყოფითი, აღწერითი და ფილოსოფიური, უტყუარი პოეტური ინტუიციის წყალობით რომ ერწყმიან ერთმანეთს და კომპოზიციურადაც მთლიანდებიან. ამ ლექსში თვალსაჩინოდ იკვეთება განწყობილების იმგვარი სიღრმე, იმის იქით რომ კიდევ მეტი სიღრმე უნდა იგულისხმოდ, ოღონდ იმას („იმის იქით“) ძებნაც არ ჭირდება, საგულისხმო შინაარსი თავად პოულობს მიმხვედრ მკითხველს იმ მაღლისა და ჯადოს წყალობით, რასაც პოეზიის მაღლი და შეგრძნების ენა ჰქვია. პირველი, აღწერითი პლანი სწორედაც საფეხურებია იქამდე მისასვლელად.

მინდა, კიდევ უფრო ვრცლად მივაპყრო დაკვირვებული მკითხველის ყურადღება ლექსის დრამატურგიას: ჩემთვის ამ სამსტროფიანი ლექსის ყოველი სტროფი კიდევ ორ ნაწილად იყოფა: ლექსის ექსპოზიციას (პირველი და მეორე სტრიქონი), მიუხედავად იმისა, რომ ერთობ შთამბეჭდავ პოეტურ ხატს ქმნის და აშკარად გამოირჩევა თავისი სურათოვნებით, მაქსიმალურად მინორული რიტმით, სუნთქვის სიმშვიდით ინერება, ოღონდ თავიდანვე შემოაპარებს სევდიან ნოტსაც, შემდეგ რომ უნდა გაძლიერდეს და განვირცოს. მესამე-მე-

ოთხე სტრიქონებში მინორულ მდინარებას ერთბაშად, მკვეთრად ენაცვლება მაჟორული, როგორც ამოსუნთქვა, როგორც წამოძახება („და მაინც, მაინც მიყვარს მზე“);

ასევე განმეორდება მეორე და მესამე სტროფებშიც:

მეორე სტროფის პირველი-მეორე ტაეპიც მდორეა („მომწონს ქარების წივილი“), თხრობითია, გაშლილი, ოღონდ იმაზე სხარტი კია, ვიდრე ექსპოზიცია იყო, გარდა ამისა, მისი სუნთქვა დაბლა აღარ ჩამოინევს და იმ დონეზევე რჩება, როგორც პირველი სტროფი დასრულდა – ანეულად; მომდევნო, ამ სტროფის მესამე და მეოთხე ტაეპებშიც, ისევე, როგორც პირველი სტროფისაში, სიმდორეს უცებ ენაცვლება უფრო მაჟორული – როგორც წამოძახება რამ („და მაინც, დიდი ტკივილით დამამხო მზეზე დარდმა“);

მესამე სტროფის პირველი და მეორე ტაეპები, მიუხედავად იმისა, რომ, თითქოს, მოწოდებაა („მზეო, ამოდი, ამოდი“), სინამდვილეში, თხოვნა უფროა, ხოლო დრამა ამ სტროფისაც და მთლიანად ლექსისაც დამასრულებელ ორ ტაეპშია დაგვირგვინებული, ესეც ისევე, როგორც ამოსუნთქვა, როგორც ამოძახება, ოღონდ, რაკი ფინალია, ისეთი მჭახე აღარ არის, როგორც წინა სტროფების მესამე-მეოთხე ტაეპები, აქ აუცილებელი იყო შეფარულად დრამატული ნოტის შეპარება და ოსტატის პოეტურმა ინტუიციამ ესეც უცდომლად შეძლო:

„ბაღში ვდგავარ და დარდს ვყიდი,
მყიდველი დამანახე“.

სევდის ეს რომანტიკულ-აშუღური ალუზია კრავს ლექსის დრამატურგიას, იგი ორაზროვანი მინიშნებაცაა ამ დიდი სევდის მარადიულობაზე, ანუ იმაზე, რაც პოეტს და ქვეყანას სჭირდათ იმ საუკუნეშიც, იმაშიც, იმაშიც და სჭირთ დღესაც.

ცხადია, ამ ლექსის შექმნის იმპულსი ღრმად ინდივიდუალურია და ალუზია სადაც იწყება, იქვე მთავრდება.

ისიც ცხადია, რომ, სინამდვილეში, არც ყიდის ვინმე დარდს და არც ყიდულობს, ეს მხატვრული პირობითობაა და აქ თანამგრძობა, თანაზიარობა იგულისხმება: ერთმა, ვითომ, იყიდა („მე ახალი დარდი მიყიდა“), და „იყიდა“ იმიტომ, რომ თანამგრძობი ვერ იპოვნა; ეს „ყიდის“ („დარდს ვყიდი“), მაგრამ მყიდველი, თანამგრძობი (მთელი საზოგადოება ვიგულისხმობთ), გამქარვებელი არ ჩანს. ესეც ჩვენი დრამა. და ეს ის დრამაა, ან, ისეთი დრამაა, გენიალურმა გალაკტიონმა გენიალურად, სადად და მარტივად(?) რომ თქვა იმ ურთულეს ლექსში:

„ჯვარს ეცვი, თუ გინდა!
საშველი,
არ არის, არ არის, არ არის!“

* * *

სამოქალაქო-პატრიოტული ლირიკის ხაზს აგრძელებს „ვინც საქართველოს უორგულებს“.

„ვინც საქართველოს უორგულებს
ცაც გაუშავდეს, წყალიცა!
ვინც საქართველოს უორგულებს,
ცოლიც გაუბახდეს, ქალიცა!
.....
მადლი არ ეღირსოს,
უმადურმა
ყვავი და ყორანი კვების,
დედა გველს შეაჭამოს,
მამის სისხლით
თმა-წვერი შეიღებოს!“

და ასე შემდეგ. ეს არის მძლავრი ენერგიით აღბეჭდილი, პოეტი-ტრიბუნის ეფექტური ლექსი. მას უთუოდ აქვს პოეტური ხიბლიცა და პუბლიცისტური შემაგონებლობაც, ვერსიფიკაციულადაც გამორჩეული და ორიგინალურია ჩვენი პოეტის შემოქმედებაში. ყოველი სტრიქონი, მართალია, თანაბარი სიძლიერისა არ არის, მაგრამ კომპოზიციურად შეკრულია, მხატვრული მთლიანობა თვალსაჩინოა და მხატვრულ-პუბლიცისტური მიზანიც მიღწეულია.

რიტმი ლექსისა, როგორც სათქმელს შეეფერება, დაძაბული, მჟღერია, მაგრამ, ცხადია, მელოდიური არაა. რადგან სირბილე, მელოდიურობა ყველაფერს გააფუჭებდა, არაადექვატური, შეუსაბამო იქნებოდა, მსგავსი სირბილე რომ გამოირიცხოს, სათქმელი რომ არ გამსუბუქდეს უნებლიეთ, პოეტი რითმაზეც უარს ამბობს, ტოვებს მხოლოდ რითმაზე მინიშნებას (წყალიცა / ქალიცა / თვალიცა / ძვალიცა; ხანძრითა / ღვარძლითა), რაც, ცხადია, რითმა არ არის და ვერც იქნება... რითმაზე მინიშნებათა სიყრუე განზრახ ქმნის არასაკეკლუცო, არამელოდიურ რიტმულ სიმძიმეს; გავიმეორებ – ესაა რითმაზე მინიშნება და არა – რითმა, ყრუ დარტყმების ამ სიმძიმის ირიბი ეფექტის შესაქმნელად საჭირო და მინიმალური ეფფონიური წესრიგისთვის აუცილებელი.

ლექსი (ჩემთვის), კომპოზიციურად, სამნაწილიანია; მართალია, ყოველი მეორე ტაეპი პირველი ნაწილისა ორადაა გატეხილი ბოლო ტერფთან, მაგრამ, არსებითად, რიტმულადაც და დრამატურგიულადაც, ერთი ტაეპია; პირველი ნაწილი სწორედ ასე, ორტაეპედებადაა დაყოფილი (თუმცა, გრაფიკულად, თვალთ დასანახად – სამტაეპედებად); ტაეპების რიტმი ჩამოსხეპილია – 9:8, ან, თუ ისე დავაყურებთ, როგორც პოეტი დააღაგებს გრაფიკულად – 9:5:3 (ცხადია, ეს 9:5:3 იგივე 9:8 სქემას); ყოველი მეორე ტაეპის (ან, გნებავთ, ასე ვთქვათ – ყოველი ერთმანეთის მომდევნო ტაეპის) მეტრის შემოკლება ქმნის პოეტის ინტუიციით ნაგულისხმევ ეფექტს (მოდით, მაინც სამ ტაეპად ჩამოვწეროთ, ისე, როგორც თვითონ განიზრახა):

„ვინც საქართველოს უორგულებს, (9)

ცაგ გაუშავდეს, (5)

წყალიცა“... (3)

მეორე ნაწილში („მადლი არ ეღირსოს, უმადურმა ყვავი და ყორანი კვებოს“... და ა.შ.) ერთბაშად მდოვრდება რიტმი, მახვილები ოდნავ გადანაცვლდება და ის ზემოთ ნახსენები რითმაზე მინიშნებაც ქრება (მხოლოდ ბოლო

სტროფში გამოჩნდება ხელახლა მსგავსი მინიშნება – ხანძრითა / ღვარძლითა); სიმდორეს ტაეპთა მეტრი განაპირობებს (9:8:6:6:9 – ორი ცხრიანი, ორი ექვსიანი და ერთი რვიანი) და, ამასთან, თვით რითმაზე მინიშნების უარყოფაც; რითმაზე მინიშნება, როგორც ვთქვი, ისევე გამოჩნდება მომდევნო სტროფში და, შესაბამისად, რიტმიც ოდნავ აჩქარდება, პირველი ნაწილისას დაუახლოვდება; ამისი მიზეზია, აგრეთვე, ტაეპების მუხლების მეტრის კი არა მხოლოდ, ტერფებში მახვილებისა და მარცვლების ინტუიციური, ჭრელი გადაღაგება, არათანაზომიერება, რაც, გავიმეორებ, სიმკაცრეს, სიხისტეს ანიჭებს ტექსტს.

ბოლო, მესამე ნაწილი, საფინალო აკორდია, ლექსის პირველი, ერთადერთი ტაეპის გამეორებაა და ლოგიკური რკალის მოსხეპილად დასასრულებლადაა საჭირო. ცხადია, ამ ლოგიკურ, კომპოზიციის შემკვრელ სტრიქონამდე კიდევ უსასრულოდ შეეძლო პოეტს ჩამოთვლის გაგრძელება, მაგრამ კარგია, რომ აქ დასრულდება ტექსტი და იმაზე მეტ საფიქრალსა და საგულისხმებელს გკარნახობთ, რაც ითქვა. ლოგიკური წერტილის სწორედ აქ დასმაც დროულია და მნიშვნელოვანი.

* * *

დავითს აქვს ლექსები, რომელთა ცალკეული ტაეპები თუ სტროფები მთელ ლექსებად ღირს. ზოგი რამ უკვე ვახსენე ზემოთ, როცა ვთქვი, რომ ტაეპი ლექსის ორგანული ქსოვილისაგან დამოუკიდებლად შეგვახსენებს ხოლმე თავს და განსხვავებულ ემოციას აღძრავს. ეს არა მხოლოდ მისი შემოქმედების, არამედ, ზოგადად, პოეტური ღირებულების თვისებაა.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა მსგავს მრავალასოციაციურ ტევადობას, ფრაზის მრავალპლანიანობას კი არ ვგულისხმობთ, არამედ იმას, რომ თვითონ ლექსშია გამოკვეთილი რაღაც ისეთი, უმთავრესი, რასაც აღმატებული ღირებულება გააჩნია და მთელი დანარჩენი ტექსტი სწორედ მისთვის ფონის

შესაქმნელადაა გამიზნული. ასეთია, მაგალითად, ორტაეპედი „უკვდავებისთვის ეყოფა ცხრა ერს დავითის მეფობა“ (ლექსიდან – „აღმაშენებელი“). ეს მითუმეტეს თვალსაჩინოა, რადგან სწორედ ამ ორტაეპედით იწყება და დასრულდება ლექსი, იკვრება კომპოზიცია (ორტაეპედი აქ სხვადასხვა არის, ლექსის შუაში, მაგრამ ამდენად მიზანდასახული, ამდენად კატეგორიული – არა). სხვა რაც ითქმება შიგნით, აღწერა იმისა, რაც ვიცით და ემსახურება უმთავრესისთვის ფონის შექმნას (რაც ვიცით, ისიც უნდა გავიმეოროთ ხოლმე, ცხადია); მეორე აღწერით სტროფს, პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით, ჯობია მეორე სრული სტროფი (მეორე ორტაეპედის შემდგომი): „გადაირბინა ტაოსკარი თურქის ლაშქარმა“... მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ყოველივე მაინც თავში ნათქვამი და ფინალში გამეორებული ორი სტრიქონის აზრის გამოკვეთასა და დამკვიდრებას ემსახურება; მიზანი, ცხადია, მიღწეულია, რადგან მკითხველს სწორედ ის აღებეჭდება გამორჩეულად და ხანიერად ამას სოვრდება, რაც პოეტმა ჩაუთქვა. აქვე ვიტყვი, რომ დავით აღმაშენებლის სახე დავით თედორაძის ბიოგრაფიაში სხვაგანაც არაერთგზის გამოჩნდება, როგორც ღვთაებრივი და მითოლოგიზირებული სახე: „აქ, ჩემს სოფელში, ღმერთის ტოლს – მეფე-ბრძენს აუვლია, ჭროხი რიდით დამშრალა, სხვა წყლებსაც დაუკლია, ტყეს მოდებული ხანძარი შებერვით ჩაუქრია“ და სხვანი.

ამგვარ მიზანს, ხაზგასასმელ სათქმელს, რაც ლექსში, თავისთავად ცხადია, აშკარადაა გამოკვეთილი, ხანდახან სათაურადაც გამოიტანს ხოლმე (ამის გამოა ზოგი სათაური ასე ვრცელი), თუმცა ეს, ლექსის დამისამართება, ყოველთვის არცაა საჭირო, სწორედაც – პირიქით, რადგანაც, გინდა, არ გინდა, ამ სათაურშიც დამატებით ხაზგასმულმა აქცენტმა, შეიძლება, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი აქცენტები გადაგვიჩრდილოს. იქნებ, ასეთ დროს ლექსის უსათაუროდ დატოვებაც ჯობდეს.

* * *

თარიღის მიწერა არ ჭირდება უსათაურო ლექსს „ტბასთან ჩრდილია“ – ეს, უეჭველად, 2008 წლის აგვისტოა. იგი იმ რეალობის გამოძახილია, რომ, როგორც უნდა გერჩოდეს გული, იმოდენა იმპერიას ძალით, იარაღით ვერ მოერევი, თავს ვერ დაიხსნი, მაგრამ არც უამისობა იქნება. აქ ნახსენები „გადასარჩენი გზები გავა ხვალ ხანჯლის პირზე“, მხოლოდ იარაღის აუცილებლობას კი არ მიანიშნებს, იმასაც, რომ ხანჯლის პირი ბენვის ხიდადაც უნდა იგულისხმოდეს. აქედან მოდის ლექსში განფენილი ის სევდაც, რაც მხოლოდ ამ დღით და ამ მოვლენებით არ შემოიფარგლება, ტექსტი, კონკრეტული მისამართის მიუხედავად, სწორედ ამ კონკრეტულიდან ზოგადდება და არაორაზროვანი მინიშნებაა ჩვენს ტრაგიკულ ბედზე – ნარსულშიც და მომავალშიც.

„სარკობი საქმის ჩიხმაჟია,

ჩვენ ვიხოცებით“... –

ირონიულად წერს ერთგან. რაც მოჰყვა იმ „ჩიხმას“, ვიცით – რუსმა არ შეასრულა ის, რაზეც ხელი მოაწერა, უბრალოდ, ომი „დაამთავრა“ და დაამთავრა ისე, როგორც სურდა, მსოფლიომ აღიარა თუ არა შედეგი, ნაკლებად ანაღვლებს, თავისად დაინარჩუნა ის, რაც თავისთვის უნდოდა და შიშველი უკანალი აჩვენა (ვითომ არ ენახათ) ევროპას:

„რუსის უკანალს ევროპისკენ ვხედავ მიშვერილს,

ნახეთ, ბატონო, ხომ გინდოდათ რუსი მიშველი“...

ეს არაორაზროვანი ირონიაა იმ ვითომდა „სარგებელზე“, აქაოდა, ის მაინცაა კარგი, რუსეთი გაშიშვლდა და თავისი სახე გამოაჩინაო მსოფლიოს თვალში.

ამას გამოჩენა აღარ ჭირდებოდა, ისედაც ცხადი იყო და დამნახავი უამისოდაც კარგად ხედავდა.

იმისი ილუზია ნამდვილად არა გვაქვს, იმ ევროპელ პოლიტიკოსებს ამ ლექსს უთარგმნიან და წააკითხებენ – არა, ეს ჩვენთვისაა დაწერილი და ჩვენთვისაა ნათქვამი (უკვე მერამდენედ) – რა ხანია, მეფე შიშველია და ეგ არის...

* * *

როცა სამოქალაქო ლირიკაზე ვსაუბრობთ, უნდა ვთქვათ, რომ აქ ყოველთვის უაღრესად მნიშვნელოვანია პოეტის პოზიცია, უაღრესად მნიშვნელოვანია განწყობა, რაიც ლექსის საფუძვლად, შთამაგონებელ ბიძგად იქცა და კიდევ – წერტილის დროზე დასმის ნიჭი.

„პოეტი თუ არ დაობს, რა პოეტია იგი“... – წერს ერთ მშვენიერ, მაგრამ ნაკლებად ცნობილ ლექსში ზურაბ გორგილაძე.

„აჰყვა მეშჩანთა მოდას პოეტი კაცის ჯიშში“... – ამასაც ზურაბ გორგილაძე იძახის იქვე, იმავე ლექსში.

შემძახებელი არის, გამგონი – ნაკლებად.

და დავით თედორაძე, მსგავსად მისი უფროსი მეგობრისა, გამუდმებით დაობს – მეშჩანურ ყოფასთან, ხალხთან, უღირსობის სენი რომ თვალსაჩინოდ დაანახოს. ამას რომ ვწერ, მისი ერთი ბოლოდროინდელი ლექსი მახსენდება – „რას ვერჩი მედეას“.

მედეას პიროვნების შეფასება იოლი არ არის. ლევან სანიკიძემ სცადა ანტიკური ტრაგედიის შაბლონისაგან მისი დახსნა (სცადეს სხვებმაც). არა გვგონია, მართლა დაედო შვილების ცოდვა, მაგრამ უცხოტომელებს რომ სწორედ იმან გაუხსნა კარი, მისი წყალობით რომ დაკარგა სანმისი მისმა სამშობლომ (თუ რაც იყო), ეს უეჭველი ჩანს. ჩვენთვის მედეა ესაა, და მერე – მედიცინის დედა თუ რაღაც.

ის, რომ უცხოელებს სამშობლოს საიდუმლო გაანდო, შეიძლება, მამაკაცის სიყვარულს დააბრალო, ამით ახსნა, მაგრამ ამას ნამდვილად ვერ ჩათვლი სამშობლოს სიყვარულად.

ჩვენ გვახსოვს იმდროინდელი ხბოს აღტაცება, მედეას ძეგლი რომ დაიდგა ბათუმში (წინააღმდეგი, მოდავე ცოტა დარჩა). მედეას რას ვერჩი – თუ ეს ძეგლი ხელოვნების შედეგია, და თუ ასეთი მდიდარიც ხარ, კი, ბატონო, დადგი, მაგრამ საქმე ისაა, რომ იდეას ედგმება ძეგლი აქ და არა ღვანლს და არა ხელოვნებას..

ხელისუფლება იძახდა, ამით მსოფლიოს კიდევ ერთხელ უნდა დავანახოთ, რომ საქართვე-

ლოა სწორედ მედეას სამშობლო... მაშინ, სტალინის ძეგლებს რაღაზე იღებდით, უნდა აიღოთ კი არა, კიდევ უნდა დადგათ – აეროპორტებში, პორტებში, საბაჟოებში, შემოსვლისთანავე დაინახვენ და გაიგებენ, ვინცა ვართ...

ამ აქტს (ძეგლის დადგმას) ე. წ. „ინვესტიციების“ ნიაღვარი ნამდვილად არ მოჰყოლია საქართველოში, ხოლო ზნეობრივ-პატრიოტული მიზეზი სულაც განზე დარჩა, მიავიწყდათ. სწორედ ამას დაობს პოეტი – როცა თამარი გყავს, როცა ქეთევანი გყავს და ძეგლს მედეას უდგამ, ეს საკუთარი სურვილით თვალის დაბრმავებას ჰგავს.. რაც მთავარია, ძეგლი შენთვის, შენი ხალხისთვის უნდა დადგა და არა უცხოელისთვის.

„რას ვერჩი მედეას, იყოს თავისთვის,

უსაზღვრო ცოდვით და ხიბლით,

სამშობლოს გამყიდველს როცა ძეგლს უდგამენ

სამშობლოს ერთგულთა ჯიბრით,

ეს არის ტკივილი, ეს არის სირცხვილი,

ეს არის ღირსების აქნა...

ხალხმა რა იღონოს, ხალხმა რა ინაგროს,

იმედწართმეულმა რა ქნას“...

მედეას ფენომენის დავით თედორაძისეული შეფასება სულაც არაა ცალმხრივი, ამ ქალს, ცოდვასთან ერთად, უთუოდ აქვს დიდი ხიბლიც, მაგრამ ის ჩვენთვის, უპირველეს, სამშობლოს საიდუმლოს გამცემია და მერე – დანარჩენი. და რა უნდა იღონოს ხალხმა ამ დროს, ან რა ინაგროს – მიჰბაძოს?

* * *

ზემოთ დავით თედორაძის ერთი უმშვენიერესი ლექსი ვახსენე – „სამშობლოს გამო მქონდა ჭრილობა“ და ვთქვი, რომ ეს არის მეტისმეტად უჩვეულო შერწყმა ორი დიდი სიყვარულისა, პოეზიისთვის უჩვეულო შერწყმა, თორემ ცხოვრებაში სწორედ ასეა – ადამიანი მთლიანი, განუყოფელი არსებაა და მის განწყობილებაში ყველაფერი ერთმანეთს განაპირობებს – ოჯახიც, ქვეყნის ყოფაც, ქალიც და ა. შ., ოღონდ ახლა ეს ლექსი (უკვე მერამდენედ)

მედვას თემას არ შეუხსენებია, სულ სხვა ლექსმა მომაგონა („სამშობლოს დარდი მაცვია“), და მომაგონა იმიტომაც, რომ აქაც დავინახე მსგავსი მთლიანობა, ორი ნუხილის, ორი დარდის ერთმანეთში ჩანვანა, ერთმანეთით განპირობებულობა. თუ ერთგან სამშობლო და ქალი წყვილდებოდა, აქ მამის გარდაცვალების გამო ტკივილი და სამშობლოს გამო დარდი ერწყმის ერთმანეთს, ოღონდ ისეთივე მოულოდნელობით ვერა, რადგან იქ უფრო ჭარბობს ღვთისგან ნაბოძები, ვიდრე აქ, და მაინც, აქაც ყველაფერი ნამდვილია, ნაღვია, განწყობილება კი ორივეგან შეუთხზველია, შთაგონებული.

ნაბიჯ-ნაბიჯ, ტაეპ-ტაეპ მძაფრდება და მრავალფეროვნდება სათქმელი, ახალი დარდი, ახალი სევდა, ახალი ნუხილი შემოერთვის განწყობილების სიმძიმეს:

„ცრემლით ვისხენებ, მამაჩემო,
გულში ტკივილად ჩანაჭედო“...

ეს სევდა შეუთხზველობით, სინაღდით, ინტიმური სიღრმითაა მძლავრი.

გაჯავრებულ კაცს ხანდახან მოეჩვენება, რომ აღარავინ დარჩა ამ ქვეყანაზე, ვისაც მისი ესმის, აღარსად ჩანს თავის მისადრეკი ადგილი... ამგვარი დარდი, ამგვარი რწმენა, მადლობა ღმერთს, მარადიული არ არის, მაგრამ ჩნდება კი და როცა იგი პოეტის გულში თუნდ მცირე ხანს ისადგურებს, პოეტურ მშვენიერებას ბადებს – სადას, ფაქიზს, ნათელს, მარადიული სევდით განმსჭვალულს, რომელიც ლექსში იუკვდავებს თავს. ამგვარი განწყობილებებითაა გაჯერებული ხშირად ჩვენი გენიალური ხალხური პოეზიაც, იგი ბუნებრივი და დამახასიათებელია კაცის ყოველდღიური ცხოვრებისთვის და ამიტომაცაა ბუნებრივი პოეზიაშიც:

„არც ცოლის მჯერა, არც შვილის,
არც მეგობრების მჯერა,
ვზივარ და ვასამგზავრებელ
ჩოხა-ახალუსს ვკერავ.
სამოთხის კართან დამხვდება
ჩემიანების გუნდი,

მკერდზე ვემთხვევი მამაჩემს,
ამაყს, გულუხვს და გულდიდს.
–რამ მოგიყვანა? – წარბშეკვრით
საყვედურს მკადრებს დედა,
დედის გარშემო სულმნათი
ანგელოზები სხედან.
აუ, რამდენი ყოფილხართ
ჩემი სისხლის და ჯიშის,
ამაოდ მქონდა აქ მოსვლის
უქმურშეყრილი შიში“.

ზემოთ ვთქვი, რომ დავითმა იცის ნერტილის დროზე დასმა, ოღონდ ეს კია, ზოგჯერ დროზე ადრეც კი სვამს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს ლექსი აღმავალი სუნთქვით, ექსპრესიის სიმალლეზე იწყება და მთავრდება (რიტმი მხოლოდ მესამე სტროფის ბოლო ორ ტაეპში ჩამოივანებს), ამიტომ კიდევ რაღაცის, საფინალო აკორდის საჭიროების განცდას ტოვებს, შედარებით მინორულისას, ვთქვათ, ისეთისას, როგორც ოდნავაა ჩამონეული მესამე სტოფის ხსენებული ფინალი. ამგვარ შემთხვევაში, კომპოზიციის დასასრულებლად, სანყის ტაეპებს გაიმეორებენ ხოლმე, მაგრამ აქ ეს არ გამოგვადგებოდა, აზრობრივადაც არ იქნებოდა სწორი, ამიტომ დაასრულა პოეტმა ისე, როგორც დაასრულა. ზოგადად კი, ეს ერთ-ერთი უმშვენიერესი ნიმუშია მის პოეზიაში თავისი შინაგანი ენერგიით, სევდით და წარმავლობის დიდი თემის ახლებურად დამუშავებით.

ეს ორივე ლექსი („არც ცოლის მჯერა“ და „სამშობლოს დარდი მაცვია“) ბოლოდროინდელია, იმ ასაკის დროისაა, როცა წარმავლობის ბრძნული სევდა ადამიანის ყოველდღიური არსებობის ბუნებრივი თანაზიარი ხდება და პოეტის შემოქმედებაში ლიტერატურის ისტორიული გამოცდილებით კი არ იკვებება, არამედ საკუთარ – პიროვნულ აღქმასა და განცდას ეფუძნება, შეუთხზველი უშუალობით ამოიზრდება, ამდენად, ერთობ მართალია, შეუვალი ცოდნითა და წინასწარგრძობით აღბეჭდილი, ბიოგრაფიის – შემოქმედებითისაც და საყოველდღიუროსიც – განუყ-

რელი ნანილი. ამიტომაც მართალი ის ეჭვიც, თუნდ მხოლოდ იმნუთიერი განცდა იყოს და მერე სხვაგვარად იფიქროს, თითქოს აღარავინ დარჩა აქ ერთგული (როგორ არ დარჩა, მთელი მისი შემოქმედებაც ამის დასტურია) და გზა იქით მიუდის – მშობლებისკენ... აქ სათუთადაა დაჭერილი ის სევდიანი წამი და ამიტომაცაა ბუნებრივი და შთამბეჭდავი ამ განწყობის გაგრძელება სხვა ლექსშიც – „მამაჩემი“ (ნაკლებად მნიშვნელოვანია, რომელი უფრო ადრე დაინერა):

„მენატრება მამაჩემი,
გზაც მოკლდება მამისაკენ“...

არაერთგზის სევდით შეუხსენებია ჩემთვის თავი ამ ორ შთამბეჭდავ ტაექსს, რადგან იგი ჩემი ბიოგრაფიის, ჩემი არსებობის ნანილიცაა უკვე, უამრავი სხვა მკითხველისაც ალბათ და ესაა მისი სიცოცხლისუნარიანობის გარანტიაც, ესაა შთაგონებული პოეზიის მაღლიც. რაც ამის შემდეგ მოდის ლექსში – „როგორც გულს და როგორც თვალებს, ვუფრთხილდები მამის სახელს... მამა გვზრდიდა რაინდებად“... და ა. შ. – უკვე, რამდენადმე, უფრო პიროვნულია, კონკრეტული ადამიანების, კონკრეტული მამა-შვილის თავისთავად მშვენიერი პოეტური ბიოგრაფიაა, ისიც ზოგადდება, ოღონდ არა იმდენად და იმ მასშტაბით, ოდნავ დისტანცირებულია, ხოლო ის, ექსპოზიცია, პიროვნულიცაა ერთბაშად და უზოგადესიც.

* * *

ახლა კიდევ ერთი მშვენიერი ლექსი უნდა გადმოვწერო („ნეტა ამ დღეებს მკვდარი ვენახე“):

„ჩემს წუხილს, ალბათ, გაიგებს სხვებიც,
ალბათ იმათმა სულმაც იწვალა,
როცა ოცნებას შეაჭრეს ფრთები,
როცა იმედი გარდაიცვალა.“

მე ხშირად ვგავარ შვილმოკლულ მამას, ცრემლს რო შალავს და სულში ეღვრება, ყოველდღე ახალ ტკივილით მშხამავს, ქვეყანა ხელთ რომ ივდეს რეგვნებმა.

ყურთა დახშობა სჯობს მის ძაგებას,
თვალთა დათხრა სჯობს ახალ ბაბალებს,
მაინც რა მოხდა, ძმობის მაქებართ
ასე ერთურთი რით შევაბართო.

დარდმა გამხრა და სისხლიც გახევდა,
ნეტა, ამ დღეებს მკვდარი ვენახე,
ოღონდ, მამულო, ყრმა რომ გხედავდი,
ისე მყოლოდი და შემენახე“.

თვალდათვალ, სტრიქონ-სტრიქონ მძაფრდება სათქმელის სიმწვავე და, შესაბამისად – ექსპრესია, ყოველი სტროფის პირველი-მეორე ტაეპი ექსპოზიციური შინაარსისაა, მაგრამ მძაფრი, მესამე-მეოთხე ტაეპებში ექსპრესია იმატებს და მომდევნო სტროფის დასაწყისს, ახალ ექსპოზიციურ რკალს ამ აწეულ სიმაღლეზე გადაეცემა. ამ თვალსაზრისით, ერთადერთი გამონაკლისი მესამე სტროფია, სადაც ლექსის ქსოვილში რიტორიკული შეკითხვა გამოჩნდება („მაინც რა მოხდა!“), თანაც ექსპოზიციაში კი არა, არამედ მის დასასრულს და აღმავალ რიტმს ოდნავ შეაყოვნებს სათქმელზე, აზრზე აქცენტირების გამო (იქნებ მაინც ჯობდა მესამე სტროფის ამ ტაეპების გადანაცვლება, პირველი-მეორე მესამე-მეოთხეზე ასულიყო, მაგრამ პოეტის არჩევანი სწორედ ასეთია, თავად უკეთ გრძნობს); რაც შეეხება მეოთხე, საფინალო სტროფს, აქ განსაკუთრებულად მძაფრდება რიტმიცა და განწყობილებაც, აქ პოეტი ხანჯლის პირზე გადის, რომ ასე კარგად დაწყებული სათქმელი შთაგონებულად დაასრულოს, ღირსეული ლოგიკური წერტილი დასვას.

ცხადია, ასაკოვანი კაცი ისე ველარ დაინახავს ქვეყანას, როგორც ყრმა ხედავდა, ეს შეუძლებელია, მაგრამ საოცნებო კია, ანუ, თავი მოიტყუოს კი არა, ნამდვილად იყოს მისი სახელმწიფო ისეთი, ყრმობისას რომ წარმოიდგენდა. ლექსის სააზროვნო და ექსპრესიული გვირგვინი სწორედ ის ტაეპია, რაც სათაურადაცაა გამოტანილი – „ნეტა, ამ დღეებს მკვდარი ვენახე“.

იგივე განწყობილებას და, რამდენადმე, სათქმელსაც აგრძელებს – „იქნებ, არმოსვლა მერჩია“. ესაა წინასწარგანზრახული ალუზია ვაჟას (და მისი ასულის – გულქანის) გენიალური ნათქვამისა – „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმად“ – ალუზიაცა და შეპასუხებაც, რადგან დღეს ქვეყანას იმაზე ნაკლებად როდი უჭირს, ვაჟას დროს რომ უჭირდა, ისტორიული ფონი შეიცვალა, თორემ ლიქნა, უღირსობა, ნახვეჭით ტკბობა – დარჩა და დარჩა, სწორედ ამიტომ ითქმება, რაც ითქმება:

„შე დალოცვილო, მე რა ვთქვა,
ვის ამოვუდგე გვერდშია,
იქნება არ მოვსულიყავ.
იქნებ არმოსვლა მერჩია“...

გავიმეორებ, ეს წინასწარგანზრახული ალუზიაა (ამიტომაც გამოაქვს ვაჟას სტროფი ლექსის ეპიგრაფად), მოურჩენელ გასაჭირზე ხაზგასასმელად გამიზნული და დაუსრულებელი მანკიერების გამო ტკივილით დაღდასმული.

* * *

თუნდაც სტილური მრავალფეროვნების საჩვენებლად, არ მინდა გამოვტოვო და გაკვირით მაინც არ ვახსენო ფოლკლორულ-იგავურ აქცენტებზე დაფუძნებული ერთი ლექსიც („წამო, ბიჭო, წყალი ვნაყოთ“). ადრეც მითქვამს, როგორ ათვინიერებს იგი იდიომებს, ცნობილ ფოლკლორულ ნიუანსებს, ხელახლა ამოაბრუნებს და ახალ შინაარსს მიანიჭებს... ამჯერად, ამ ლექსში, ეს, ცხადია, ირონიულ-გროტესკული მიმართებაა სათქმელისადმი. საერთოდ, ირონიულ-გროტესკული ნაკადი დავით თედორაძის ლექსის ჩვეული მდინარეა არ არის, მისი პოეტური ნატურა მკაცრად, მაგრამ უფრო პირდაპირ, სუსხიანად თქმას ამჯობინებს, ან, სულაც – სევდით გასენილ სტრიქონს და არა მსგავს რამეს, მაგრამ თუ სათქმელი მოითხოვს, ოსტატის ხელი ამგვარ რამესაც მოიხდენს და მშვენივრადაც:

„წამო, ბიჭო, წყალი ვნაყოთ,
გამოვხადოთ რახი წყლისგან,
გვეტყვის ალბათ, ბრძენი ვნახოთ,
რითი ვცდუნდით, რა ხილისგან“...

და ასე შემდეგ. ეს შესაძლებლის შეუძლებლობაზე, ან, პირიქით – შეუძლებლის შესაძლებლობაზე ირონიული ხაზგასმაა, ჩვენი ქვეყნისა – ზოგადად და, კერძოდ, მოაზროვნე, გულშემატკივარი ადამიანის ყოფის აბსურდულობაზე პირდაპირი, ირონიული მითითებაა, ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო ამძაფრებს ხედვის სიმახვილეს, სიმწვავეს. ძმრის სმისა და წყლის ნაყვის მეტაფორა საერთო-საქვეყნო ჭირის მეტაფორაა, აბსურდულობის ზეობის მახვილი და შთამბეჭდავი მეტაფორა.

„ძმარი ვსვათ და წყალი ვნაყოთ,
გამოვხადოთ რახი წყლისგან,
ბრძენი გვეტყვის, ბრძენი ვნახოთ,
რითი ვცდუნდით, რა ხილისგან“.

საერთო-სახალხო ჭირი მრავალგვარია. უბედურებაა, რომ ქვეყანაში სამიდან ორი ყვარყვარეა და გმირობად ის გეთვლება, თუ პატიოსნად იცხოვრე და პატიოსნად დაბერდი („გმირობაში ჩაგეთვლება“), ხოლო ამ ჭირის მრავალთაგან ერთი მიზეზი ისაა, რომ ქვეყანა სწორ გზას ასცდა, სადღაც გადაუხვია („სამშობლო ასცდა“).

ცხოვრება გართულებულია, სიცოცხლე გართულებულია, მომავალი ბუნდოვანია, გაურკვეველი, მაგრამ ეს დღევანდელი დღის გამო არ არის მხოლოდ – ამისი მიზეზი წარსულშიც დაღლილი დუმილია, გულგრილობაა, უმოქმედობაა („თენგიზ აბულაძის „მონანიების“ ნახვის შემდეგ“):

„ცხოვრება გართულდა, სიცოცხლეც გართულდა,
მომავალს სხვანაირს ვხედავ,
ცრემლებმა გამრიყა ცრემლგამძრალ წარსულთან,
შვილო და მშობელო დედავ!
ბევრი მაქვს სათქმელი მრევლთან და მოძღვართან,
და თუკი აუგი ვკადრე –
ეს გული ტირანთა დაფდაფში ოხრავდა,
ეს გული კვდებოდა ადრე...“

ვის უნდა ლოცვა და ცოდვილი სტრიქონი,
თაყვანი ვის უნდა ქირით,

მეც ვკიცხავ, ძვირფასო, ჩემს დაღლილ დუმელს და
მდულარე ცრემლებით ვჭირი“.

საგულისხმოა ამ ლექსის არაორდინალურ მეტრზე დაფუძნებული შინაგანი მდინარება (12:8:12:8), რაც კიდევ უფრო ამძიმებს ნალვლიან განწყობილებას და თანამღმობ კრიტიკულ პათოსსაც გამოჰკვეთს.

ნალვლიანობისა და თანამღმობი კრიტიკულობის (თვითკრიტიკულობისაც) თანაზიარ გარემოს, გარდა შინაარსისა – სიტყვების სემანტიკისა, არაორდინალური მეტრიც ქმნის-მეტეი. მართალია, დედანში ლექსის ტაქტები ასე არ არის ჩამონერილი, როგორც აქ წარმოგიდგინეთ, არამედ მუხლებთან და ტერფებთანაა დატეხილი, ანუ ლოგიკურ მახვილებთან, მაგრამ მკითხველი მას მაინც სწორედ ასე აღიქვამს (12:8). უფრო დაწვრილებით თქმაც შეიძლება: ყოველი კენტი ტაქტი ორ თანაბარ მუხლად და, შესაბამისად, ოთხ ტერფად იყოფა (3:3:3:3), ლუნი, რვამარცვლიანი ტაქტები სამტერფიანებია (3:3:2), ანუ ყოველ ორ მოსაზღვრე სტრიქონში, ჯამში, ექვსი სამმარცვლიანი ტერფია (4+3) და მათგან მხოლოდ ერთი, დამასრულებელი, მეშვიდე ტერფია უფრო მოკლე – ორმარცვლიანი, თანაც, ეს ორმარცვლიანები სარითმო სიტყვებიცაა... რითმა (სარითმო სიტყვა) ხომ თავისთავად იკრებს ყურადღებას ჟღერადობის გამო, ამას ემატება სწორედ ამ ტერფის (სარითმო სიტყვის) სიმოკლაც (აქედან – სიმახვილაც) და სწორედ ეს ქმნის კრიტიკულობის სიხისტეს, წინააღმდეგ ექვსი თანაბარზომიერი ტერფისა, მახვილების თანაბრად, ზუსტი პროპორციით გადანაწილებისა...

მაგრამ ეს ვერსიფიკაციული წიაღსვლები, ალბათ, ზედმეტიცაა ასეთი ხასიათის წერილისთვის, კაცმა რომ თქვას, ამგვარ რამეებზე პოეტი არც არასოდეს ფიქრობს წერისას, მთავარი სულ სხვა რამეა – პოეზიაა მთავარი, რისი მიღწევაც ასეც შეიძლება და ისეც.

ბევრი რამაა შესანიშნავი ამ ლექსში, ბევრი რამაა ცალკე გამოსაყოფი თუ დაწვრილებით სალაპარაკო, მაგრამ, ამჯერად, მინდა, იგი, მის წინ ნახსენებ ორ ლექსთან ერთად, სულ სხვა ლექსთან დავაკავშირო („SOS“) და ზოგადად დავით თედორაძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მთლიანობაზე კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ მივანიშნო, გთხრათ, რომ თემები, განწყობილებები, პრობლემები ლექსიდან ლექსში გადადიან, ზოგჯერ ფრაზათა მსგავსებასაც კი იპოვნიან. ეს შემოქმედებითი ნატურის მთლიანობის გამოა, იმის გამოა, რომ გამუდმებით ფიქრობს და წუხს ამ პრობლემებზე, თავმოუბმელ საქვეყნო ჭირსა თუ უბედობაზე.

უამრავ საამსოფლიო სატკივარს ამჯერად გაუცხოების სენი მიემატა (ლექსი „SOS“), ეს მეოცე საუკუნის ჭირი, რაც დიდი სიღრმითა და სიმძაფრით აისახა მსოფლიო ლიტერატურაში, რაზეც ჰუმანისტური მსოფლიო წუხს, მაგრამ ბევრს ვერაფერს შველის. ეს არის მხოლოდ საკუთარ ჯამში ჩახედვის, გულგრილობის სენი, ნალეკვით რომ ემუქრება გრძნობას, სიტბოს, ადამიანურ ურთიერთობათა ფასს. იგი არც ადრე ყოფილა უცხო ქართული საზოგადოებისთვის, მაგრამ მაშინ მხოლოდ მისი ნიშნები ჩანდა, ახლა და ახლა გამძაფრდა და ლამის ცხოვრების ყველა სფეროს მოედო:

„უბოროტესი ყოვლის,
სულის დამხშობი წყენით,
მოდის ევროპის მოვლით
გაუცხოების სენი.
მოდის, სიცივე მოაქვს
და ერთგულება ქირით,
შენც შენსას ივსებ სტომაქს,
შენს მიცვალებულს ტირი“...

და ასე შემდეგ... მინდა, ყურადღება მიაქციოთ ერთ ტაქტს, ამ ბოლო (ჩვენთან ნახსენებ ბოლო) ორ სხვადასხვა ლექსში რომ მეორდება, უფრო სწორად, ერთი სათქმელის ორ ვარიანტს:

იქ –

„ვის უნდა ლოცვა და ცოდვილი სტრიქონი,
თავი ვის უნდა ქირით“...

აქ –

„მოდის, სიცივე მოაქვს
და ერთგულება ქირით“...

ფულის, მოსახვეჭის, ქირის სანაცვლოდ – თავიანი, მოსახვეჭის, ქირის სანაცვლოდ – ერთგულება... ზნეობის ამაზე მეტად დაცემა, იმ ღირებულებათა ამაზე მეტად გაუფასურება, წარუვალი ღირებულებანი რომ გვეგონა, ძნელად წარმოსადგენია.

პოეტს მსგავსი სიმახვილის ბევრი ლექსი აქვს, სულ სხვადასხვაგვარი განწყობილები-სა და თემატიკისანი, მაგრამ, ცხადია, ყველას ვერ შევხებით, იმათი სათაურების მხოლოდ ჩამოთვლაც მნიშვნელოვანს არაფერს ეტყვის მკითხველს, ამიტომ აქ შევჩერდები. იმისი პრეტენზია ნამდვილად არა მაქვს, რომ, რასაც აქ ვწერ, ამით დავით თედორადის შემოქმედების ამომწურავად შეფასებას შევძლებ – სრულიადაც არა, მხოლოდ მისი პოეზიის უმთავრეს თვისებებზე მითითება მინდოდა და საამისოდაც ვრცლად გამომივიდა ნათქვამი.

* * *

თითქმის არ მიხსენებია ერთი უმშვენიერესი ნაკადი, რასაც ქალი ჰქვია სახელად, თუ არ ჩავთვლით იმ ლექსს, თავშივე რომ მოვიხმე და პატრიოტულისა და ინტიმურის უჩვეულო შერწყმად მივიჩნიე:

„სამშობლოს გამო მქონდა ჭრილობა,
წყენაც, ტკივილიც ვმალე,
ახლა შენ აკლდი ჩემს უძილობას,
დარდით დაბინდულ თვალებს“.

მიუხედავად ჯვარედინი რითმებისა, იგი მაქსიმალურადაა დაზღვეული ყალბი მაჟორულობისაგან, მდორეა, სევდიანი და კეთილხმოვანი. ოთხივე სარიტმო სიტყვაში დომინანტი „ლ“ ბგერაც განაპირობებს ალბათ ამ სიმდოვრეს. ესეც ზუსტი პოეტური ინტუიციის წყალობითაა მიგნებული, არსად ჩანს ლიტერატურული კეთების კვალი, იმპულსურია

და ამდენად – უჩვეულოდ ბუნებრივი.

მართალი, შეუთხზველი სევდა – აი, რა არის კიდევ ერთი უმთავრესი ნიშანი დავით თედორადის ცხოვრებისა და შემოქმედებისა.

პოეტისთვის ქალი შეიძლება იყოს, უბრალოდ – ქალი, შემთხვევითი გამვლელი, მდედრი, მისი დანახვისას რომ კეფაში „ბერდანკის დახლას“ გრძნობ, შეიძლება იყოს წარსულის მოუცილებელი ნაწილი და გაუმქრალი სევდა, ვინმე სასურველი, შენი რომ აღარ არის და აღარც იქნება, შეიძლება იყოს, ზოგადად – ქალი:

„განსასჯელია ღვთის სასწორით ივდიითს მგერა,

მარტივი ქალი არ არსებობს, არ თქმულა ჯერაც“...

დავითი პატრიარქალური წყობის კაცია, ეს ამ რკალის ნებისმიერი ლექსიდან ამკარად ჩანს, მოდური გენდერული ინილო-ბინილოებით არ თამაშობს, ამიტომაც:

„წარმომიდგება (სჯობს, დავბრძავდე),

ქალს ყვავარ მცველად,

ხელში ჯოხს ვიდებ,

ბეთლემისკენ მივდივარ ბერად“.

მისთვის, რა თქმა უნდა, ქალი სათნოებისა და სილამაზის განსხეულებაა – თბილის, მომფერებლის, ნაზის, მარადიულის, ერთადერთის, ვისაც სიცოცხლესაც დაუნანებლად მისცემს, მაგრამ ეს შეიძლება იყოს წამიერი გახსენებაც გარდასულისა, დავინწყებულისა, თითქოს – გაუგებარი, თითქოს – აუხსნელიც, მაგრამ უაღრესად მართალი და გულწრფელი გრძნობა:

„მას ახლა სძინავს ქმრის მკლავზე ტკბილად,

მეუღლეს უთბობს მხარს გაშლილ თმებით,

ფიქრობ და გულის სიღრმეში გტკივა

ესეც და ისიც – ცოლთან რომ წვები“.

ამგვარი განცდა ყოველი მამაკაცისთვის ნაცნობი იქნება (ალბათ, ქალისთვისაც), ეს ის პატარა წერტილებია ჩვენს ცხოვრებაში, ჟამი-ჟამ რომ გამოკრთება და სევდით ალამაზებს ყოველდღიურობის დილეგში მოქცეულ არსებობას-მეთქი, ვთქვი თავის დროზე ამ ლექსზე საუბრისას.

და ბოლოს – ჩემთვის ერთობ ძვირფასი „სველი ზღარბები“ – პოეტის ერთ-ერთი სა-

უკეთესო ლექსი, მისი შემოქმედებითი ნატურის სრულფასოვანი გამოვლინება ნოველური სინყნართ, სახიერებით, კინემატოგრაფიული სიცხადითა და სურათოვნებით. ეს სველი ზღარბები წვიმიან ღამეულ ქალაქს შემორჩენილი ადამიანები არიან, კერძოდ, მათ შორის – პოეტი, მოზუზული და ძილგატეხილი რომ მიაბიჯებს შინისაკენ – ერთადერთი ნაღდი სადგურისკენ, სადაც შეუძლია, თავი მიიდრიკოს, იქით, სადაც ის, ერთადერთი, თბილი და განუმეორებელი სიყვარული ელოდება:

„რაღა ამაღამ ამიტერა წვიმამ პალმები,

დალახვროს ღმერთმა, არ მინდოდა წვიმა სრულებით, მოვიფარე შენთან, საყვარელო, სველი ზღარბით, ამავეს ცრემლით, უძილობით, საყვედურებით“...

* * *

სწორედ ახლა ჩემი ადრინდელი, 1999 წელს დაწერილი ესეი გადავიკითხე, „შეჯამება“, დავით თედორაძის საორმოცდაათწლისთავოდ გამოცემულ წიგნს რომ მივუძღვენი. დღემდე განგებ არ მივბრუნებია, ის შთაბეჭდილებები რომ არ გადმომყოლოდა აქ და მეცადა, ხელახლა, დღევანდელი თვალთ დაშინახა პოეტის შემოქმედება.

სულ ტყუილად – წავიკითხე და მივხვდი, თუმცა საგანგებოდ ვარიდებდი თავს, მაინც ბევრი რამ გამიმეორებია.

მაგრამ ეს ცუდი არ არის – პირიქით, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არც მაშინ გამომიგონია რაიმე და არც ახლა – იმას ვწერდი, რასაც ჩემი მეგობარი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ვხედავდი, იმ განცდას გამოცემდით, რასაც მისი უამრავი ლექსი იწვევს ჩემში, რის გამოც წარუშლელად მახსოვს და ხშირად შემახსენებენ ხოლმე თავს ჩვენს საწყალ ყოველდღიურობაში მარტო დარჩენილს. ისიც მენიშნა, რომ, თურმე, იქაც, მაშინაც პიროვნებისა და პოეტის ბიოგრაფიის მთლიანობაზე მივანიშნებდი.

მაშინაც გამომირჩევია ლექსი „ნეტა ამ დღეებს მკვდარი ვენახე“ – შვილმკვდარ მამა-

სავით შეძრწუნებულის დაღადისი იმის გამო, რომ ქვეყანა რეგენებმა იგდეს ხელთ. გამიხარდებოდა, ეს განცდა, ეს წუხილი იმ ლექსთან ერთად რომ ჩარჩენილიყო წარსულში და მხოლოდ მოგონებად, მხოლოდ ობოლ პოეზიად შეეხსენებინა ჩვენთვის თავი, მაგრამ არა; გამომირჩევია ტრაგიკულ განცდამდე ამაღლებული სიყვარული ლექსის ფინალში:

„დარდმა გამხრა და სისხლიც გახვედა,

ნეტა, ამ დღეებს მკვდარი ვენახე,

ოღონდ, მამულო, ყრმა რომ გხედავდი,

ისე მყოლოდი და შემენახე“.

ქვეყნის უბედურების ასე ტრაგიკულად განცდა დავით თედორაძის ნატურის – პოეტისა და პიროვნების არსებობის უმთავრესი ნიშანია, აქედან გამომდინარე გულწრფელობა, გამოუგონებელი, შეუთხზველი სევდაა ის დედო, რაც ბუნებრივ, სალაპარაკო მეტყველებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ ამ ტექსტს აქცევს თავად მეტაფორად – მამულიშვილის დრამატული სახის შთამბეჭქდავ მეტაფორად.

მაგრამ ერის ისტორია მხოლოდ გლოვა არ არის – დიადი ჟამიც გვექონია, ძლიერი მტერიც დაგვიმარცხებია და არსებობის უფლება დავიმტკიცებია. სწორედ ამიტომ გადავირჩინეთ თავი.

დიდი ნიჭი გვაქვს, მეტისმეტად რომ გაგვიჭირდება, მაშინ შევიკვრებით, დასაძლევს დავძლევთ, არსებობის უფლებას კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ, მაგრამ დიდი ჭირიც გვჭირს – როცა ყოველივე უნდა დალაგდეს, სწორედ მაშინ მივიძინებთ და ასე ვართ ღირსების მორიგ გამოღვიძებამდე, მორიგ აფეთქებამდე.

პოეტი წარსულში, ასწლეულების მიღმა ხედავს იმ დიდ და საამაყო ნიშანსვეტს, ჩვენს დიდ ორიენტირს, ერის ღრმა და ყოვლისმომცველი ნიჭიერებით აღვსების ხანას, როცა თავს იმის უფლებასაც აძლევ, დამორჩილებული მტერიც შეგებრალოს (სიბრალული ვაჟკაცობისა და სიმამაცის ერთი დიდი თვისებაა), მოგენონოს, ვაჟკაცობა დაუფასო... ესეც მნიშვნელოვანი ორიენტირია ერისთვის – ამ

დროს პოეტმა, შეიძლება, იცოცხლევ კი უთხრას ძლეულ მტერს, რადგან სწორედ მასზე „ძლევაი საკვირველი“ გვეკვებავს აგერ რამდენი საუკუნეა და სიამაყის, ღირსების მაგალითით ზრდის მომავლის ქართველს:

„ცხოვრება ჩემთვის არასოდეს ყოფილა ლელო, მე შევხვდი ლომებს, უძლეველნი ჩანდნენ შორიდან, შენ მილამაზებ საქართველოს -

იცოცხლე, მტერო,

ბასიანითა, დიდგორითა თუ შამქორითა“.

ეს – თავის გაიგივება რვაასი-ცხრაასი წლის წინანდელ ქართველთან, ისევე, როგორც, ცხადია, დღევანდელთან – მეომართანაც და თვითკმაყოფილთანაც, ერთ-ერთი საფუძველია პოეტის ცხოვრებისა, ამიტომ იძახის, რომ სწორედ ის შეხვდა ლომებს იმ ჩვენს დიდ წარსულში („მე შევხვდი ლომებს, უძლეველნი ჩანდნენ შორიდან“), იქ იყო, იქ იცხოვრა და დღეს აქ არის.

მახსენდება „უშთაგონებო ლექსი“:

„კაცს, შეიძლება, დააბრალო (რაჭომღაც ვჯერა) გაძარცვა ბანკის, კაცის მოკვლა, საჩივრის წერა, აღება ქრთამის...

მაგრამ ნიჭი და რაინდობა – ვერა და ვერა.

ზღვისპირა პარკი იძირება ღამეულ ბინდში,

„სალხინოს“ ეზოს ბინადარნი კონიაკს სვამენ,

სვამენ, არჩევენ ქვეყნის ამბავს,

და შერე წვავენ

კოცონზე იმედს მგლის და ცხვარის დამძობილების.

მივდივარ ჩუმად, მაქვს ბინა და მაქვს ჩემი ჭერი,

ვჯდები, გრილ ოთახს ეფინება თამბაქოს ბოლი,

რუსთველის ქუჩა ჩაიარა ლოთმა სიმღერით,

„საქართველო“ – ლოთის ხმა ისმის.

ვარ ბედნიერი ოჯახით და ცოლ-შვილის ყოლით...
გარეთ წვიმს, ზღვაზე

გულს იოხებს ფეხმძიმე ნისლი“.

გულს იოხებს ფეხმძიმე ნისლი“.

მინდა, ყურადღება მიაქციოთ, როგორ არის შენივთებული ერთმანეთთან სევდიანი გარემო და სევდიანი ყოფა ადამიანისა. ესაა უფუნ-

ქციო დროში ადამიანის ცხოვრების დრამა – ნალვლიანი, მძიმე, თუმცა გარეგნულად ბედნიერი („ვარ ბედნიერი ოჯახით და ცოლ-შვილის ყოლით“), მაგრამ შინაგანად დამანგრეველი. ნისლი ისედაც მძიმეა და როცა პოეტი იტყვის – „ფეხმძიმე ნისლი“ – კიდევ უფრო მეტი სიმძიმის განცდით ტვირთავს განწყობილებას, ოღონდ ეს სიტყვა – ფეხმძიმე – გარდა გულისმომწყვლევი სიმძიმისა, დაბადების ბუნდოვან წინათგრძნობასაც გულისხმობს, რასაც სახელის დარქმევა არც ჭირდება, ისეთი პოეტური სიცხადით შემოდის მკითხველის შეგრძნებაში და ასოციაციის ენით მკვიდრდება.

ნახევარტონებით მინიშნებული სათქმელი – რომ კაცს ვერ დააბრალებ ნიჭს, ვერ დააბრალებ რაინდობას – არაორაზროვნად (ჩემთვის არაორაზროვნად) ხატავს ჩვენს უფუნქციო დროს, ლაპარაკში გამოლულ მძიმე დროს.

აქ შემთხვევით არ შემოდის ნოველური დეტალი (და, საერთოდაც, ეს ნოველური განწყობილებებითა და ასოციაციებით გაჯერებული ლექსია) – ლოთის (თუ მთვრალის) ხმა, საქართველოზე რომ მღერის და, ალბათ, სიმღერაში სიყვარულის გამოცხადების გარდა აღარაფერი შეუძლია; შემთხვევით არ შემოდის, რადგან ბუნებრივად უკავშირდება იმ გარემოს, რაც „სალხინოს“ ბაღშია – იქაც მხოლოდ ლაპარაკი, გულის მოოხება და მეტი არაფერი. ეს უნაყოფო ყოფა, ამ დროის უფუნქციობა, ან, უფრო უკეთ თუ ვიტყვით, ამგვარი ადამიანების უფუნქციობის დრამა ამ დროში (თორემ, თავისთავად, უფუნქციო დრო არც არსებობს) აქცევს ამ ლექსს ჩვენი ყოფის ნალვლიან მეტაფორად, ამიტომაც ჰქვია „უშთაგონებო ლექსი“. აქ მაქსიმალურადაა დამძიმებული რიტმი, ნოველური დეტალის სიჭარბის აუცილებლობა გამორიცხავს მჟღერი რითმის საჭიროებას. მხოლოდ ალაგ-ალაგ, რიტმის მინიმალურად მოსანესრიგებლად გაბნეული სარიტმიო სიტყვები გამორიცხავს, აგრეთვე, ტაეპის დაჭიმულ სიმახვილეს. პოეტური ინტუიციით ზუსტი მიგნებაა მეორე სტროფის ბოლოკიდური

სიტყვის სავსებით განთავისუფლება სართ-
მო საჭიროებისგან – სიმძიმის აქცენტის გა-
საძლიერებლად.

თითქოს ზუსტი მისამართი არა აქვს უსა-
თაურო პატარა ლექსს „მე ვთამაშობდი“, მაგ-
რამ ჩემთვის ეს მისამართიც ცხადია: უფუნ-
ქციო დროის (დროში მოაზროვნე ადამიანის
უფუნქციობის) ქარაგმა (თუმცა, შეიძლება,
მისი შექმნის საფუძველი, იმპულსი სრულიად
ინტიმური შემთხვევაც იყოს):

„მე ვთამაშობდი ბედნიერი კაცის ცხოვრებას
და სავსე ვიყავ ზიზღით ყელამდე...“

მემახსოვრება, უსათუოდ მემახსოვრება

ხატება შენი –

ვარსკვლავების ჩამოცვენამდე.

მე ვთამაშობდი ბედნიერი კაცის ცხოვრებას“.

ეს ლამის აფორისტული ტაეპი, რომელიც
ინყებს და დაასრულებს ამ ლექსს, კიდევ ერთი
მძაფრი მეტაფორაა ჩვენი დრამატული ყოფი-
სა. ახსნა არ ჭირდება იმას, რომ „ვარსკვლავე-
ბის ჩამოცვენამდე“ – სიკვდილია. იმ ხატებაში,
რაც ვარსკვლავების ჩამოცვენამდე გვახსოვს,
რასაკვირველია, უძვირფასესი ადამიანიც შე-
უძლია იგულისხმოს მკითხველს და ქვეყანაც –
თავისი ბედითა და უბედობით, ეს მისი საქმეა,
უფრო – მისი განწყობილებისა და შთაბეჭდი-
ლების სიღრმისა, მთავარია, რომ ლექსი ამის
საშუალებას იძლევა სევდიანი იდუმალების
წყალობით, ჩემთვის კი იგი იმ უფუნქციობის
მეტაფორის დრამატული გაგრძელებაა ნების-
მიერი, ამ თუ იმ მიზეზით (გაგრძელებაა თუ
წინამძღვარი, – არ ვიცი, რომელი უფრო ადრე
დაინერა), გაგრძელებაა, მაგრამ არა დასას-
რული, რადგან ადამიანის ცხოვრება გოდება-
ში ვერ გაივლის, მითუმეტეს – ბედს დაუმორ-
ჩილებელი კაცის ცხოვრება, ჰოდა, ასეთ დროს
დალღაც, მელანქოლიური განწყობაც ბუნებ-
რივია ხოლმე და ისევ ხალისით აღვსებაც.

მისამართი და თარიღი არა აქვს არც იმ
ლექსს – „მტკივა, აბა, არ მტკივა“, მაგრამ
იგიც ხსენებულ მოტივს აგრძელებს და განავ-
რცობს. მიუთითებლადაც ცხადია, რა დროა

ეს – ორიათასიანი წლების საქართველო, ყო-
ფის აბსურდულობა, თავნებობის თარეში და
მოქალაქის, ქვეყნის ნამდვილი პატრონი ვინც
უნდა იყოს, მამულიშვილის ნუხილი, რომ სინ-
მინდისკენ აღარ მივდივართ.

დროს აკონკრეტებს არაორაზროვანი მი-
თითება: ლექსი სწორედ იმ დროს დაინერა,
როცა პიარისთვის, ხალხისთვის თვალში ნაც-
რის შესაყრელად, ქუჩებში, ეზოებში, მშენე-
ბარე სახლების სახურავებზე იმართებოდა
მთავრობის სხდომები, თითქოს ჭერი არ ჰქო-
ნოდათ, თითქოს მილიონები არ ეხარჯოთ
ბრწყინვალე აპარტამენტების მოსაწყობად.
ამ ლექსს აღარ ამოვწერ, მკითხველი თავად
იპოვნის.

ადამიანის ცხოვრება დარდას და თვითგვე-
მაში ვერ გაივლის-მეთქი, თავლიც სჭირდება
და ქვამარილიც:

„ვიდრე ობლის კვერთხით ჩაგვეკვრები

და ცრემლი – ცოლის ცრემლი დამდინდება...“

წუთისოფლის თაფლი და ქვამარილი მინდა“.

მინდა, მკითხველმა ყურადღება მიაქციოს
ფინალს, ბოლო ორ, გამოყოფილ ტაეპს – პოე-
ტური ოსტატობის ნიმუშს, შთაგონებულსა და
შთამაგონებულს, მოკლეს, სხარტს და უაღრე-
სად ზუსტს:

„ვიდრე ობლის კვერთხით ჩაგვეკვრები მდუმარი,

როგორც შინაქებიდან გაპარული სტუმარი“...

ეს მირაჟებში ნაშობი წუთისოფლის სტუმ-
რის შორეული აღსასრულის წინაგრძობის
მშვენიერი პოეტური მეტაფორაა.

მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა – ამ სიტყ-
ვას, „მეტაფორას“, ისე არ ვხმარობ, როგორც
ლიტერატურისმცოდნენი ასწავლიან და გან-
მარტავენ, სხვა, ბევრად სავსე შინაარსს ვგუ-
ლისხმობ.

* * *

მე განგებ ვჭრი ერთმანეთში სხვადასხვა
დროს დაწერილ ლექსებს, არა წინასწარი გან-
ზრახვით, ცხადია – თავისთავად გამოვიდა
ასე, პოეტის ბიოგრაფიაში დაუსრულებელი

საფიქრალის, უპირველესად – მამულის თემის სისავსის, მსგავსი ხატების ერთმანეთთან დაკავშირების აუცილობლობის, ურთიერთგანპირობებულობის გამო. ნაკლებად მნიშვნელოვანია, რომელი ლექსი ადრე დაინერა, რომელი რომლის განწყობილებას იწყებს ან განაგრძობს – ისინი ერთმანეთში გადადიან და ერთმანეთს ავსებენ, როგორც ადამიანის ბიოგრაფიას ავსებს გუშინდელი, დღევანდელი და შეავსებს ხვალისდელი, რადგან ეს განუყოფელი, მთლიანი პიროვნების დაუშლელი სახეა. ამიტომაც ცხადი და გასაგები ის შეძახილი ლექსიდან „საბა-სულხანის ცრემლში“:

„უარი ვარდებს,

კომფორტებს და დაფნებს დაფნისლს“...

ცხადია და გასაგები დროც, თითქოს დაკონკრეტებული, მაგრამ იგი, ეს დრო, ერთ კონკრეტულ მონაკვეთში მაინც ვერ ჩაეტევა, ისევე, როგორც ფინალი ამ ლექსისა ნებისმიერი მწარე დროისთვისაა ადეკვატური, ღრმა სევდითა და სიბრაზით გასენილი (ფილოსოფიურადაც ღრმა) და ვერც ის ჩაეტევა ერთი რომელიმე მოკლე დროის ჩარჩოში:

„ამ სამოთხეში, მეტ-ნაკლებად,

ყველა მარტვილობს,

ძალღში გაგცვლიან,

ცხოვრება რომ გაიადვილონ“.

თუ პირდაპირ გავიგებთ ნათქვამს, სწორხაზობრივად, მაშინ ტექსტი ასე განიმარტება: ამ სამოთხეში, საქართველო რომ ჰქვია, ყველა წვალობს, ყველა მარტვილობს, დღევანდელი დღე დამალონებელია და აქედან გამომდინარე – ბუნებრივია ნატვრაც – „აღმაშენებლის... ხმა გამაგონეთ“... თუ ამ ხაზს გავყვებით, სწორედ იმ მემარტვილეებს ემუქრებათ ძალღში გაცვლა ან ძალადაც არჩაგდება;

მაგრამ ეს ლექსი ბევრად უფრო ღრმა და მდიდარი, ვიდრე ეს ხსენებული შინაარსი დაიტევდა, სინამდვილეში, სხვაგვარად, უფრო მწარედ, უფრო მამხილებლად ნაკითხვა შეიძლება და მე, ჩემთვის, სწორედ ასე ვკითხულობ, სწორედ ამ ნაკითხვაში ვხედავ პოეზიას:

ეს ბოლო ორი სტრიქონი მაიძულებს, პირუკუ ნავიკითხო წინა ორიც და „მარტვილობაში“ არა მართლა მარტვილობა, არამედ, ვითომდა მარტვილობა, მოჩვენებითად მარტვილობა ვიგულისხმო, ყვარყვარული პოზა. მაშინ გამოვა, რომ ჩვენ, ყველანი, ხშირად, მარტვილობას ვთამაშობთ, და თუ ამისი თამაში შეუძლია კაცს, თუ საზოგადოება ასეთია, რა დაუშლის, ძალღში გაგცვალოს, და თუ ასეა საქმე, თუ ქვეყანა, ქვეყნის ზნეობა თავზე გექცევა, რა დროს ვარდისა და დაფნის გვირგვინებია, რა გეზივდება.

თავად ლექსი, როგორც უნდა ავხსნათ, თავისთავად ღირებულებად რჩება, მისი ბოლო სტროფი კი, პირადად ჩემთვის, გამორჩეულ ღირებულებად. იგი უამრავჯერ მომგონებია თავისი სწორედაც პოეტურ-ფილოსოფიური სიღრმის გამო და იმ დროს არც გამხსენებია, რომ მისი შექმნის იმპულსი სრულიად კონკრეტული რამაა – სოციალურ-პოლიტიკურ-ზნეობრივი პროტესტი. სწორედ განზოგადების ამგვარი ხარისხი და ძალაა სანატრელი პოეზიაში საერთოდ, როცა ტაეპსა თუ სტროფს შეუძლია, თავისი თვითნაბადობისა და სიღრმის წყალობით, მრავალგვარი ასოციაცია მოიცვას და აღძრას. ჩემთვის ეს ისაა, რაც ვთქვი – პოეზიის მაღლით შთაგონებული დამოუკიდებელი, წარუვალი ღირებულება.

ამ განწყობილებასვე ებმის სულ სხვა დროს (1981) და სხვა გარემოებათა გამო დაწერილი ერთი უსათაურო – „შენ მეძახოდი“...

უამრავჯერ წამიკითხავს ჩემი მეგობარი პოეტის წიგნები, მაგრამ ეს ლექსი დღემდე არ შემიმჩნევია (არადა, ახლა რომ დავუკვირდი, გამოცემიდან გამოცემაში მეორდება) – ვნანობ, რომ არ შემიმჩნევია. პოეზიის შეფასებისას მხოლოდ ობიექტური თვალი არ კმარა, მკითხველისა და პოეტის სუბიექტურ შეგრძნებათა დადარებაც აუცილებელია;

იგი, გითხარით, ადრინდელია – ახალგაზრდობისდროინდელი. აშკარაა, ჯერ კიდევ მაშინ იკვეთება პოეტის შემოქმედებაში ის ორი-

ენტირები, მერე და მერე უფრო რომ უნდა გაიშალოს და მხატვრული აზროვნების მეთოდად დამკვიდრდეს.

„შენ მეძახოდი,
ვიყავ დაღლილი, როგორც აფთარი,
შენი ხმის ექო ირეკლებოდა ჩემს სულში დიდხანს.
არავინ მკითხავს,
რა მალავიძებდა შუალამისას,
არავინ მკითხავს,
ცოლ-შვილის გარდა.

ჩემს ერთ მეგობარს ძაღლები ჰყავდა
და ჩემზე მეტად უყვარდა ძაღლი.
მე კი მინდოდა, მეგობრის სულში
ულამაზესი ამეგო სახლი –
სახლი, რომელშიც შედიან ხოლმე
ყოველდღიური პრობით დაღლილნი.

რისთვის მეძახდი?!
მე დაღლილი ვარ, როგორც აფთარი,
მე ვკვდები ჩემი სამებისათვის –
უნეტარესი სიკვდილით ვკვდები...

საქართველოში?
საქართველოში მგელსაც ვენდობი,
დე, მოძუნძულდნენ მშიერი მგლები“...

ამ ლექსის ნაკითხვაც ორგვარად შეიძლება – სიტყვასიტყვითაც და შეგრძნებათა ენიტაც (მე ის უფრო მაინტერესებს, შეგრძნებათა ენაზე რას მეუბნება პოეზია, თუ რაიმეს მეუბნება).

ტექსტი სიტყვასიტყვით, ლოგიკურად, შეიძლება, ასე „ვთარგმნოთ“: ეს არის სამშობლოს იდუმალი ძახილი, ძილშიც რომ ჩაესმის და აღვიძებს კაცს; არავინაა მისი გამგონი, არც ამბის მკითხველი – რა უჭირს, ცოლ-შვილის გარდა, არც მეგობარი, სხვათა შორის; მეგობარსაც ძაღლები უფრო უყვარს, თანაც – საკუთარი ძაღლები... ლექსში არსად სამშობლო არაა ნახსენები, მაგრამ უეჭველია, ეს მამულის უბედობის გამო ნუხილია (არა მხოლოდ), ძილშიც რომ არ ასვენებს აფთარივით დაღლილს (რატომ აფთარივით?), სამშობლოს

გამო ნუხილია იმიტომ, რომ ქვემოთ გარკვევით წერია – „მე ვკვდები ჩემი სამებისათვის“ (იგულისხმე: ენა, მამული, სარწმუნოება). ყოველივეს დაასრულებს ბრწყინვალე, შეიძლება ვთქვა – მაგიური შინაარსის ორტაეპედი:

„საქართველოში მგელსაც ვენდობი,
დე, მოძუნძულდნენ მშიერი მგლები“...

არადა, ნესით, თუ მეგობრის იმედი არა გაქვს, მგელს რატომ უნდა ენდო? თანაც – მშიერ მგელს! მაგრამ ეს მგელიც მართლა მგელი ხომ არ არის – ადამიანია, და თუ ეს ადამიანი ქართველია, პოეტს სურს, ქართულ საქმეში მაინც ენდოს, ოღონდ ეგ ახალგაზრდული წარმოდგენა უფროა, წარმოდგენა, რასაც ნაკლებად კვებავს ის ცხოვრებისეული გამოცდილება, ასაკმა რომ უნდა მოიტანოს...

ეს ერთი პლანია ლექსისა, საინტერესო, მაგრამ ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი.

ახლა ჩემებურად, შეგრძნებათა ენით ნაკითხვა უნდა ვცადო: ცხოვრების წყვეტებაში აფთარივით (იგულისხმე – გააფთრებით) ნაბრძოლი და დაღლილი კაცია, უამრავჯერ განირული და ნალალატევი, ჰოდა, რაკი უაზროდ არ უცხოვრია, მისი სიკვდილიც ნეტარის სიკვდილია...

აქამდე ორივე ნაკითხვა, თითქოს, ერთმანეთს ემთხვევა – დაახლოებით ერთნაირია და ლოგიკური.

მაგრამ პოეზია ყოველთვის არ ემორჩილება ამგვარ მწყობრ ახსნას, ამგვარ ლოგიკას: რაც ლოგიკური ჩანს ზედაპირზე, მუდამ ლოგიკური ვერ იქნება შეგრძნებათა ენაზე: მგლის ნდობა ნამდვილად არ შეიძლება და რაკი არ შეიძლება, ჩემი შეგრძნება იმ სტრიქონსაც უკუღმა ამოაბრუნებს; წერია: „საქართველოში მგელსაც ვენდობი“ და უნდა ნაკითხო – ვიცი, მგელი ხარ და ამიტომ არ გენდობი, მეგობარიც არა ხარ, რაკი ჩემზე მეტად ძაღლი გიყვარს.

ახლა, სანამ მაგიურ საფინალო ორტაეპედზე საუბარს განვაგრძობ, ზემოთ დამონმებული სტროფი უნდა გავიხსენო (ლექსიდან „საბა-სულხანის ცრემლში“) ამ თვალსაზრისით

და, როგორც გითხარით, ერთმანეთს დაუკავშირო:

„ამ სამოთხეში, მეტ-ნაკლებად, ყველა მარტვილობს, ძალში გაგცვლიან, ცხოვრება რომ გაიადვილონ“.

როგორც იქ, ზემოთ, „უკუღმა“ ნავიკითხეთ „მარტვილობა“ (მოჩვენებითად მარტვილობად), ისე უნდა დავინახოთ აქაც „მგელსაც ვენდობი“ – „მგლის ნდობა არ შეიძლება“; აქვე მეორე პარალელიც ისევ იმ სტროფთან: ერთგან – „ძალში გაგცვლიან, ცხოვრება რომ გაიადვილონ“; მეორეგან – მეგობარს კაცზე მეტად ძალლი უყვარს (ესეც შენი ძალში გაცვლა)...

საგანგებოდ მოვძებნე და დავაკვირდი: ამ ორ ლექსს სულ ერთი წელი ამორებს (ერთი, ვთქვით, 1981 წელს დაინერა, მეორე, „საბასულხანის ცრემლში“... – 1982 წელს) – ესეც თქვენი ერთიანი სულიერი მდგომარეობა, ერთიანი, იქნებ ბოლომდე გაუცნობიერებელი, ბოლომდე ჩამოუყალიბებელი, მაგრამ პოეტური ინტუიციით დანახული ზნეობრივ-ფილოსოფიური კონცეფციაც: ესეც ჩვენი შეგრძნებათა ენაც, რომელიც ლოგიკურზე, თვალთ ასო-ასო წანაკითხზე უფრო ზუსტი და ღრმა აღმოჩნდა.

...და ფინალური აკორდი: „დე, მოძუნძულდნენ მშიერი მგლები“ – ყველაფრისთვის მზადყოფნა ზნეობრივი პრინციპების დასაცავად, თავისთავადობის შესანარჩუნებლად – ცოლ-შვილისთვის, ქვეყნისთვის, უბრალოდ – მამაკაცური ღირსებისთვის.

არ ვიცი, როგორ გადმოგეცით ჩემი შეგრძნებები, მიგანიშნეთ კი. ეს არ არის სახელდახელოდ წასაკითხი ლექსი. გული მწყდება, თავის დროზე რომ გამომრჩა და ვერ დავინახე, გამორჩა, ალბათ, სხვასაც.

მთელ ლექსად ღირს ფინალი, არა მხოლოდ ლექსად, – მრავლისმთქმელი და მრავლისდამტევი იდუმალების, ასოციაციათა ჯაჭვის წყალობით, მთელს კონცეფციადაც. მართალია, იგი მხოლოდ ერთ მხარე მოიცავს და გამოჰკვეთს დავით თედორაძის შემოქმედებითი ნატურისას, მაგრამ მაინც სწორედ იგი გავიტა-

ნე ჩემი ესეის ეპიგრაფად – როგორც პოეტის კიდევ ერთი და მრავლისმეტყველი, კრიტიკისაგან ნაკლებად შემჩნეული მეტაფორა, მაგიური შეგრძნებებით დატვირთული პოეტური ფორმულა.

ამისი მსგავსი და ნათესავი შეგრძნება მახსოვს ზურაბ კუხიანიძის ერთი ლექსიდან, არც ერთ ჩემთვის ხელმისაწვდომ წიგნში რომ არ შეუტანია პოეტს, მერე მე ვიპოვე ის ლექსი ზურაბის არქივში და 2010-ში, გარდაცვალებიდან წლების მერე გამოცემულ რჩეულში შევიტანე: „ნამიც... ვერ ვიგრძნობ, ხროვა ნადირთა ჩემს დახრულ ძვლებზე როგორ გადივლის“...

ნადირთა ხროვისა და ცხოვრების მეტაფორა ანათესავებს ამ ორ ბრწყინვალე ლექსს... თუმცა, რატომ მხოლოდ ამათ – უფრო შორს წასვლაც შეიძლება – ვაჟას გენიალურ „ამოდის, ნათდებამდე“, ამ კიდევ ერთ მაგიურ და ნათესავ მეტაფორამდე – განა ტოტია მხოლოდ მგელია და კაცი არ არის?!

* * *

თავის დროზე ვწერდი, დავით თედორაძის ლამის ყოველი ლექსი ქვეყნის გასაჭირით შენუხებული მამულიშვილის ხელით იწერება, ქვეყნის განაკიდეს, ბათუმსა და ერგეში მცხოვრები კაცის ხელით-მეთქი.

სხვა რამეც უნდა გავიმეორო იმ წერილიდან, რადგან ამისი თქმა აუცილებელია და უკეთესადაც ვეღარ ვიტყვი: ხომ ცნობილია, როგორა აქვთ ხოლმე გამძაფრებული მამულის შეგრძნება იმათ, ვისაც არა მხოლოდ მამულიშვილობა ზოგადად, საზღვრის მცველობაც დააკისრა დამბადებელმა. აჭარის გმირული და ტრაგიკული ისტორია მითუმეტეს იძლევა მტკივნეულად გააზრების საფუძველს, აქედან მეტად თავისებურად, ხელშესახებად ჩანს ხოლმე (როგორც ზღვა წვეთში) პოეტის თვალთ დასანახი სრულიად საქვეყნო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, როცა მის წიგნს კითხულობ, თითქოსდა მხოლოდ ხანდახან თუ

მოუცლია ამქვეყნიურ სიამეთათვის, მძაფრ პუბლიცისტურ ნაკადს ჟამიჟამ თუ შემოერევა ინტიმური ლირიკის მშვენიერი ბურუსი.

არ მავინყდება მისი ცნობილი „ტირილი იყო სარფში“, გამუდმებით მახსენებს თავს. როცა ამ ლექსზე და, საერთოდაც, ამ თემაზე ვფიქრობ, ნეტარხსენებული დომენტი ახობადის ერთი მშვენიერი, მინიატურული ლექსიც აუცილებლად მაგონდება, გამორჩეულად კი – პირველი და მეორე სტრიქონი: „ბასრი ხანჯლით გაპობილი სისხლის ნვეთი, აი, ლაზო, ერთმანეთის რა ვართ ჩვენ“...მაგრამ ეს მაინც იმერეთიდან დანახული სარფი იყო და არის, ქართული, ზოგადქართული ტკივილი. დავით თედორაძის სარფი სულ სხვაა – მისი სანათესაოა, მისი სამეზობლოა, თვითონაც აქაურობიდან იწყება და იმიტომ, აქედან შეერთვის ზოგადქართულს.

ლექსი 1980 წელსაა დაწერილი, საბჭოთა დროში, გადაღმა გასვლა კი არა, ლამის იქით გახედვაც რომ იკრძალებოდა, სასაზღვრო მავთულხლართებთან ძაღლებიანი რუსი და თურქი ჯარისკაცები იდგნენ. იგი ელეგიური-სა და საამბობლის შერწყმაა, განსჯა კი ძლივს შესამჩნევად გაიელვებს ზედაპირზე, ქვეტექსტშია ჩატანილი. იმ ელეგიურ სურათოვნებას ყოველ მეორე სტროფში ჩაენაცვლება მკაცრი ხაკისფერი სურათოვნება და მავთულხლართის ხსენებითაც ჩალობავს მელოდიურ მდინარებას.

სარფის – კონკრეტული სოფლისა და ტკივილის მეტაფორა სხვაგანაც მრავალგზის გახშიანდება, თუნდაც ის გვიანდელი ლექსი გავიხსენოთ – „მე გუშინ, ძმებო, სარფში ვიყავი“ – უფრო პირდაპირი, უფრო ხისტი მისამართებით. ამ მისამართებს აგრძელებს და, ამასთან, წარმავლობის მარადიული სევდით გაანათებს ბევრი სხვა ლექსი, სტროფი, ტაეპი – პოეტის უამრავი მწუხარე დღის შესაბამისი, თუნდაც – „საქართველოსთვის ვიცოცხლებ“ (ეს ლექსი უსათაუროდ მიჩვენია, უფრო მეტს მეუბნება):

„დრო მიდის, მეც გიბერდები,
ვერც მე მიხილავ გეიმზე,
წყურვილი მომკლავს სიცოცხლის,
ჩაესვენება ჩემი მზეც.
ოღონდ შენ კარგად დამირჩი,
შეწუხებულო რჯულითა,
ჯავრისგან გამოსახსნელად
შვილებს გიტოვებ გულითადს“... და ა. შ.

გავიმეორებ, რაც ადრეც მითქვამს ამ ლექსზე: აქ ახლებური ჟღერადობა, ახლებური სიცოცხლე აქვს მინიჭებული იდიომებს, ამ ათასგზის გამოყენებულ ხატოვან გამონათქვამებს, და ეს ყოველივე – ლამის პირველად ნათქვამის ძალას იკრებს; აქ შემთხვევითი არ არის არც ერთი მუხლი, არც ერთი ტაეპი... რაოდენ ზუსტია და მრავლისმეტყველი თუნდაც – „ოღონდ შენ კარგად დამირჩი, შეწუხებულო რჯულითა“...

წარმავლობის სევდა ყოველი ადამიანის განუყრელი სევდაა, მითუმეტეს – მოაზროვნე ადამიანისა და, მითუმეტეს – პოეტისა. ამ რკალში ჩაინერება ის ტაეპიც ცნობილი ლექსისა „მამაჩემი“, ზემოთ რომ ვახსენე: „მენატრება მამაჩემი, გზაც მოკლდება მამისაკენ“... აქვე გაკრთება უკვე ნახსენები დაეჭვებაც, ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ და მისივე ალუზიით შთაგონებულ ლექსშიც: „იქნება, არ მოვსულიყავ, იქნებ არმოსვლა მერჩია“... და კიდევ: „როცა გვიან არის და როცა ვულთან მარტო ვარ, წარსულს, აწმყოს, მომავალს და ჩემს საფლავს ვუყურებ“...

საფლავი იქით და პოეტი რომ ამაზე ფიქრობს, გასაკვირი არაა – ეს ასეც უნდა იყოს, მთავარია, რომ ეს ფიქრი ნასწავლი არ არის, განცდილია, საკუთარი ცხოვრების ნაწილია და ამიტომ მკითხველისთვისაც ბუნებრივია, დასამახსოვრებელი, შთამაგონებელი, გადამდები განწყობით მომხიბვლელი, თუკი შეიძლება, სიკვდილი მომხიბვლელი იყოს... მაგრამ აქ მომხიბვლელია გადამდები სევდა, რაიც გაიძულებს, საკუთარი არსებობის არსზე დაფიქრდე.

როცა ამ წიგნის შედგენას შევუდექი, იმთავითვე ვიფიქრე, კრებული სწორედ ამ რკალის ერთი ადრინდელი უსათაურო ლექსით დამესრულებინა:


„დილა, შუადღე, საღამო, დღე ჩვეულებრივ გავიდა,
ჩემში ხარ დაუსაბამოდ და მაინც გნატრობ თავიდან.

.....

მიმწუხრის ფერი ედება ქუჩას, ბინას და აივანს,
მოვა წამყვანი ყოველთა და მეც ამ ქუჩით წამყვანს.
დღე ჩვეულებრივ გაიარს – დილა, შუადღე, საღამო...
სიცოცხლე ისე კაია, დამტოვე დაუსაბამოდ“.

დაუსაბამოდ, ცხადია, არავინ რჩება, დაუსაბამო მხოლოდ შემოქმედებაა – ის, რასაც ტოვებ, დაუსაბამო მხოლოდ შენი შთამომავლობაა – ვისაც ტოვებ, ისევე, როგორც შენა ხარ შთამომავალიც და დაუსაბამოცა დი-

დი წინაპრებისა, დიდი ქართველებისა. დიხ, სიცოცხლე „კაია“, მითუმეტეს – ღირსეული სიცოცხლე. ის, რაც დაუსაბამოდაა პოეტში („ჩემში ხარ დაუსაბამოდ“), ერთდროულად, სიცოცხლესა და არყოფნის სევდაც, ცოლიცა და შვილიც, მამაცა და დედაც, სამშობლოც, საიდანაც იწყება და სამყაროს შეერთვის, და რადგანაც „კაია“, იმიტომაც ღირს. ამ ღირებულებებისთვის არსებობაა პოეტის მთელი სევდიან-სიხარულიანი ცხოვრება და შემოქმედება, მთელი ბიოგრაფია, მკითხველის ბიოგრაფიის ნაწილადაც რომ იქცევა, ამიტომაც ერთიანი და მთლიანი, როგორც პოეტი და როგორც პიროვნება, ამიტომაც მისი პოეტური შემოქმედება და ბიოგრაფია მოღვაწე კაცის ცხოვრების დრამატული რომანი.



ფურცლები

საბაძე

უმისამართოდ და უსათაუროდ

ლამაზი ქალი თვალს ახარებს,
კეთილი – სულის სიტკბოებაა.
პირველი – სათამაშოა, მეორე – საუნჯე.

ნაპოლეონი

სკოლაში ვიყავი ძალიან ცუდი მოსწავლე. თუმცა ჯიშს უაიტი და ვალტერ სკოტი სკოლაში დეგენერატებად ითვლებოდნენ. ჰელმჰოლცის მასწავლებლები გონებაჩლუნგობაში ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, ვალტერ სკოტზე უნივერსიტეტში დაფიქსირებულია მისი პროფესორის აზრი: „ის სულელია, დარჩება სულელად სიცოცხლის ბოლომდე“. მაგალითი ბევრია, რომელიც მესადაგება სამწუხაროდ, მაგრამ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მაინც ვერ ავირჩიე, თუ ვისთვის უნდა მიმეძღვნა ჩემი „საბრალო წერილები“ და მაინც: დულსინეასავით და ფუფალას შიოლასავით ვერც მე გავეჭეცი ჩემივე მოგონილ პიროვნებას, რომელიც არ არსებობს! ტყუილად ნუ იფიქრებს მავანი, მე მეკუთვნის ავტორის ნაცოდვილარიო, რადგან ეს მოგონილია მხოლოდ. ოღონდ რეალურიდან დანახული, ირეალურში გადატანილი, ვითარცა ბმანება ჩემივე გატარებული წუთისოფლისა.

მაშ, ამდენი ტყუილების ქვეყანას ჩემი ერთი ტყუილიც შეუერთდეს!

* * *

ბალზაკმა წამოაყენა ახალი რეალისტური თეორია: ადამიანის ბიოლოგია ისევე საინტე-

რესოაო, როგორც მისივე სული.

მე მიფიქრია იმის შესახებ, თუ დიდი მწერლები, მეცნიერნი, ხელოვანნი თუ პოეტები, რატომ არა ერთ ქალს მიუძღვნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს, მაგრამ ვერ ამიხსნია, ამჯერად კი დამარწმუნა შენმა გარეგნობამ იმაში, რომ სანამ არსებობს ამ ქვეყნად სიცოცხლე, ყოველთვის გაჩნდება ახალი გმირი. გახსოვს? „ბარათები მახშვის კოშკიდან?“

„ძვირფასო თამარ!

გახსოვს, საქართველოს მუზეუმში რომ გიჩვენე პალიმფსესტები? შენ იმ დღეს უყურადღებოდ მისმენდი. პალიმფსესტი ისეთი ეტრატია, რომელზედაც ოდესღაც რაღაც ნაუნერიათ, მერმე ეს ნაუშლიათ და სხვა ნაუნერიათ. ასეთ ეტრატს სინათელში რომ გახედავ, ძველსაც შეამჩნევ და ახალსაც.

ასე, ჩემო ძვირფასო, ასეთი პალიმფსესტია ჩვენი სულიც“.

ვიღაც მოდის, აწერს და შლის, აწერს და შლის, გახსოვს მე უკვე ვეღარ ვამჩნევო, რომელია ახალი, რომელია ძველიო, ამბობს თარაშ ემხვარი, იმდენი მათრიაო წუთისოფელმა.

მშვენიერ სხეულში მშვენიერი სული როდი ბუდობს ყოველთვის. ეს განცდა ძილფხიზლობს. დარი იყო მუდამ ჩემთვის, ვინაიდან ბალზაკისავე გმირების მსგავსად როდი ამთავრებენ სიცოცხლეს, ისინი ისევე გადადიან ერთი რომანიდან მეორეში და აგრძელებენ თავიანთ ქმედებას, როგორც თვითონ შემოქმედმა დააკისრა მათ. ეს ისეთივე უწყვეტელი მეტამორფოზაა მარადიული სიცოცხლისა, რომელსაც ადამიანის ცვალებადობასთან აქვს განგების მიერ შთაგონებული პირდაპირი კავშირი. ჯორჯ სანტაიანა ერთგან ასე ისხენიებს ძველი ბერძნების ანდაზას – „ნახევარი მთელზე უმჯობესიაო“. როცა ცხოვრება გადატვირთულია, მხოლოდ და მხოლოდ ქვეტექსტია

მნიშვნელოვანი; არაფერია უფრო მჭერმეტყველი, ვიდრე აბსტრაქტული პოზა, ერთადერთი, უმოდრაო ჟესტი. დაე, ხელოვნებამ მიატოვოს გადმოცემა და მხოლოდ მინიშნებად იქცეს, რატომ? იმიტომ, რომ შიშველი ჭეშმარიტება უაზრობაა. არ ღირს პათეტიკური თავგამოდება აშკარა ფაქტისთვის, რომელიც არსებობის მოპოვებას იმ შეუზუმბლავი წინილასავით ცდილობს გამოსვლას, კვერცხიდან რომ გამოსწივის. ნურც იმას გაიკვირვებ და თუნდაც ნუ დაიჯერებ იმასაც, რომ მე თამარ შერვაშიძეს არ გადარებ. ერთი ძველი ჩინური პოეზიისა არ იყო:

„ის რასაც კაცნი როშავენ და ლაქლაქებენ ხოლმე,

სულ სიცრუეა იცოდე, არ დაიჯერო გთხოვ მე!“

მაგრამ არსებობს მსგავსება, რომელიც თითქმის „ხშირად პირველს სჯობს“. თამაზ ჭილაძის ლექსიც აღძრავს ხოლმე ჩემში მსგავსებისადმი უსაზღვრო ვნებას, როცა თვითონვე ვკითხულობ.

„მერე რამდენი შენ მიგამსგავსე

რხევით, ღიმილით, ხმით და სიცილით,

მომინდა უცებ შენი სიცივეც...

სულ ერთმა ჭიქამ დამათრო ასე“.

ჩვენ ვეძებთ ჩვენს თავს ბუნებასა და საკუთარი არსების წიაღში, მაგრამ კაცობრიობის ამ კატორღული შრომის ძალისხმევით მაინც არ არის სამყარო ჯეროვნად ამოხსნილი, ასევე ბოლომდე ამოუხსნელია ადამიანის არსებაც, რომელიც ხშირად მეტად მოულოდნელი ფორმით გვიმხელს საიდუმლოებებს. მართალია, არ არის საიდუმლო ჩემი გრძნობა შენს მიმართ და ამიტომაც მოვიშველიე ლექსი, რათა უფრო კარგად გადმოეცა ლექსს ის გრძნობა, რასაც შენთან ყოფნის დროს განვიცდი და ამ განცდას კარგი მაორგანიზებელი სიტყვა სჭირდებოდა. ამავე დროს, თავისებური საპატიო ადგილი სჭეროდა შენში, ვინაიდან თავისებურებას მუდამ ეჭირა განსაკუთრებული ადგილი ადამიანთა გულებში. ტიცინან ტაბიძეზე უთქვამთ, ისე წერდა ლექსს, ითქვამს მინას

ხნავსო, მაგრამ ერთი რამ კი უეჭველი იყო, რომ მის გუთანში წმინდა სისხლის პეგასი იყო შებმული. ვინ იცის, როდის შევაბამ მეც ჩემს გუთანში წმინდა სისხლიან ინგლისურ ულაყს, რადგანაც არაბული ცხენის გულის ფეთქვა უცხო არ არის ჩემთვის, როგორც „არჩიბალდ მეკემის გულის ფეთქვა“.

მე ხშირად დიდი და პატარა ავტორიტეტები მომყავს მაგალითებად. იცი რატომ – მე მეს ძახილი ისეთი დამაჯერებელი ვერ იქნება შენთვის, თუმცა არც ის იქნება კარგ თხასავით სულ მევე იძახო, მაგრამ მთლიანად ვერც მაგას გაექცევა კაცი. იცი რა მინდა, რომ იცოდე აქაური პოეტების უმრავლესობა ჩემი მეგობრებია. მიუხედავად მეგობრობისა, მე იმათი წიგნები გამოვიტანე და ეზოში დავწვი თავის ავტობიოგრაფიებიანად, იცი რატომ? იმიტომ რომ ისინი დიქტატორის მაქებარნი იყვნენ. განა როდისმე პოეტი იყო მეხოტბე დიქტატორისა? გახსოვს ისევ ფილმი სპარტაკი როგორ გაეპარა ანტონიო მარკუს კრასუსს, როცა იგი აბაზანიდან ამოდის, მის ტუნუკას მიაერთმევს დიდგვაროვანს, მერმე იგი რომის სიძლიერეზე ესაუბრება, მოიხედავს და ვერსად დაინახავს პოეტს.

ალბერტ შვეიცერი წერს: „ხელოვანის სული ძალიან რთული ერთეულია, რომელშიაც ნიჭი პოეტისა, მხატვრისა და მუსიკოსისა იხლართება მუდმივად ცვალებად პროპორციებში“. შეიძლება ცვალებადობა არა მარტო ხელოვანის სულისა სხვებსაც ახასიათებდეს, მაგრამ არასოდეს არ უნდა ჰგუობდეს მლიქვნელობას, ჩემის აზრით მანკიერებათა შორის ყველაზე საშინელ დაავადებას ადამიანის ბუნებაში პრეტენზია თავისი თავის მიმართ უნდა ჰქონდეს ადამიანს, ვიდრე სხვების მიმართ, მაგრამ როცა საქმე ეხება საქართველოს და ქართველი ხალხის ბედ-ილბაღს, არ უნდა ჩაუვარდეს ხელში სადავეები ისეთ კაცს, რომელიც ქვეყანას უფსკრულში გადაჩეხავს. ხომ გახსოვს მეფე გიორგის სიკვდილი! „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამ ქვეყნად როგორც

მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავი და მშინარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია, პიპა“. ბუნებრივია ისმება კითხვა, გამსახურდიამ ისიც ხომ თქვა: „მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტინთ, როგორც დაკოდილ ძერას ყვავებიო?“ მართალია, მაგრამ იყო დიდი კაცები ჩვენს დროში? და თუ იყვნენ, ისინი არ მჯდარან საქართველოს მეფეების ტახტზე, რაც კარგადაც მოჩანს მათი სკიპტრის ქვეშ როგორ გმინავს ქვეყანა. მე მყავდა ისეთი მეგობრები, რომელთა არსებაში სიკეთე სჭარბობდა ბოროტებას, მაგრამ კუჭის პრობლემამ სძლია სიკეთეს და ეშმაკს მიჰყიდეს სული. ეს მთლად უმეცრებით არ მოსვლიათ, არც საქართველოს სიძულვილით, არა, თბილად ყოფნა არჩიეს. მე მათ სახელებს შეგნებულად არ დავასახელებ. ზოგიერთს შენც კარგად იცნობ. დიდკაცობაში ეჭვი ყოველთვის მეპარებოდა, მაგრამ გაუგებრობა ერთია, დამცირება მეორე. ანტონ კათალიკოსს მგონი მიეტყვება, რადგანაც ქრისტიანობა მუდამ თავისი დომებით ზომავდა ყველაფერს, თუმცა თანამედროვე ქართველი მღვდელმთავრები ცოტა სხვაგვარადაც ფიქრობენ რუსთაველზე. ნიჭიერებას ჭკუაც უნდა ახლდეს, არ ვაპირებ იმის თქმას, რომ თემურ ჩხეიძემ რატომ გაათეთრა შექსპირის „ოტელო“, თუმცა მთავარი შექსპირის ამ პიესაში მავრი ამოსავალი ქვაკუთხედი და მისი სიშავე კანისა, გავიხსენოთ დედემონა.

„მე მავრი მიყვარს და მსურს მუდამ ვიცხოვრო მასთან. ეს მე ვაცნობე მთელ ქვეყანას, როს გულახდილად და შეუპოვრად ავყევ უცნობ ბედის ქარიშხალს. ოტელოს ნიჭსა დაგუმონე მე გული ჩემი და სული მისი მის სახეზედ გამომეხატა; მის ვაჟკაცობას, ძლიერს სახელს შევწირე მსხვერპლად ნიჭიერება სულიერი, იღბალი ჩემი“. ხომ გესმის „და სული მისი მის

სახეზედ გამომეხატაო“, ესე იგი სახე მას მავრის ჰქონდა და არა თეთრკანიანის, რომელმა სულმაც დაჩრდილა შავკანიანის უხეში და ულამაზო ნაკვთები, აქ შინაარსი ზუსტად იმაზეა დაფუძნებული, რომ სულიერება ჩრდილავს ყველაფერს. იმათი რიცხვი შორს ნავიყვანდა, ვინც სამართლიანდ აფასებს ჩვენს კულტურას.

არცოდნა არცოდვავაო, მაგრამ ეს მიმტევებლური სიბრძნე ამ შემთხვევაში არ გამოდგება, რადგან ლიტერატურაში და ჩვენს ეროვნულ საგანძურში როცა ერევა მავანი, მაშინ კეთილი უნდა ინებოს და უნდა ჩანდეს ღრმად ჩვენს სულიერებას, თუ როგორ ან რამ მოიყვანა ქართველი კაცი დღემდე და სამიათასწლოვანი ისტორიის მქონე ხალხი მიუხედავად თავისი კუთხური სიჭრელისა, რამ გადაარჩინა. ხოლო სიკეთის სახელით მოქმედი ბოროტება გაცილებით ძნელი გასარჩევიცაა და გაცილებით ძნელი მოსარევიც. ვერ ვიტყვი, რომ სხვების „საამებლად“ და არც ჩვენს სულში ჩასაფუთხებლად წერენ ასეთ რამეებს. ვერც უმეცრებას დავაბრალებ, მაგრამ, აბა რას უნდა დააბრალოს კაცმა ამგვარი განცხადებანი? მართალია, მიხეილ ჯავახიშვილმა ქართველ თავადაზნაურობას მართლაც სულში ჩააფურთხა „ჯაყოს ხიზნების“ დაწერის გამო, არამედ ქართველი ხალხი ყოფილიყო ფხიზლად. ამით გამოაფხიზლა ჩვენი საზოგადოება და რატომ დაეცა იგი ასე თეიმურაზ ხევსთავის სახით. ეს რა თქმა უნდა, სხვა ამბავია, აქ სხვა ტიპი ვილზეა საუბარი და არა თავადაზნაურობის ლანძღვაზე.

ჯერ კიდევ წარმართული რელიგიური ტრადიციები ქმნიდნენ საფუძველს საქართველოში ქალის კულტისთვის მზის მდედრობითი ასპექტის აღიარებაში (ნანას) ბუნების დედის კულტი, დედა უფლის კულტი.

„თამარიანზე“ საუბრისას აკ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ „თამარი მიუწვდომელია პოეტისათვის, როგორც თვით ღმერთი, იგი თვით ღვთაებაა“. ასე რომ, თამარის დეეფიკაცია

უმუალო დადასტურებაა XII საუკუნის საქართველოში არსებული ქალის კულტის რელიგიური ხასიათისა. „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნათქვამია „ქართველთა ღმრთისა, დავითის ვის მზე მსახურებს სარებლად, ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკმათებლად“. ზვიად გამსახურდია თავის წერილებში ასე ამბობს: „ნ. მარმა არასწორი ინტერპრეტაცია მოგვცა ამ სტროფში სიტყვა „ღმრთისა“ და თარგმნა რუსულად „Богиня“. დედანში კი ნახსენებია „ღმერთი“, და არა „ღმერთქალი“. რუსთაველი კი თამარ მეფეს ღმერთად აღიარებდა პირდაპირი გაგებით“. მაგრამ ჩემის აზრით, ზვიადი მთლად არა მგონია მართალი იყოს, იმიტომ რომ, ვაჟაც ასე სწერს თავის „გველის მჭამელში“ – „ადიდეს დიდი თამარი, ის ღმერთთან წილნაყარია“. წილნაყარი შესაძლოა მთლად ღმერთს არ ნიშნავდეს და ამით არაფერს ჰკარგავს თამარი, ამით არ კნინდება მისი ღვთაებრიობა. დღეს კი ლამის ბოზი უწოდონ, როგორც ქეთევან ნამებულს. როცა პორტუგალიელმა მისიონებერმა ქეთევანის ფერფლი იქ ჩაიტანეს და პატივით დაკრძალეს, იმ ტაძარს „სვიატაია კეტუანტა“ უწოდეს. ჩვენებს ადვილად უბრუნდებათ ენა პირში აუგად თქმისთვის, იმის ფონზე მაინც, როცა რუსთაველისათვის თამარი იყო ღვთის მიწიერი ინკარნაცია. პოეტისათვის საღვთო მიჯნურობა ერთი მთლიანობაა. სავარაუდოა, რომ მეთორმეტე საუკუნის საქართველოში არსებობდა ფარული საღვთისმეტყველო მოძღვრება, რომლის მიხედვითაც თამარ მეფე იყო ინკარნაცია ღვთის ერთ-ერთი ჰიპოსტაზისა და რაც მისი რელიგიური კულტი გადავიდა მითოლოგიასა და ფოლკლორშიც.

იცი რა მინდა ვთქვა? ჩვენი ქვეყანა რატომ ჯერჯერობით ფეხზე ვერ დგება იცი? ჩემის აზრით, ჩვენივე ხალხის ბრალია, ჩვენი უპირველესი საზურნავი სამშობლოს გადარჩენა უნდა იყოს.

ორფობა ნამებული!!!

„უცხო ქვეყნების კარად, –
ცაში, ხმელეთზე, ზღვაზე, –
მე შენზე ვფიქრობ მარად, –
და არაფერზე სხვაზე!“

მურმან ლებანიძე

იმ დღეს კარგად ილაპარაკა ეკამ, ეს გოგო ხელოვნებათმცოდნეობაზე სწავლობდა თურმე, მე მას შორიდან ვიცნობდი, შენი „ანგელოზი“ ძალიან მოეწონა, შენ რომ არა, ვაჩუქებდი კიდევ. მაგრამ არა! რაც შენთვის განკუთვნილია, ის არის შენი. მერე იმას – ვაჟა ფაშველას „მინდია“ ვაჩუქე: „ველარას ვხედავ, ბეჩავი გამიქრენ წვერნი მზისანი, ვაჰმე ველარა მწვდებიან სათბობლად სხივნი მზისანი“.

მეც მხოლოდ როდის მწვდება მზის სხივნი, საკითხავია. ისე ყველაფერი ცივია ამ ქვეყნად ჩემთვის. ერთხელ რეჟისორმა რეზო ესაძემ მითხრა, მე მიყვარს ცივი ხელოვნებაო. აი ისეთიო, გარინდებულ ტყეში როცა შედიხარო, მიდიხარ, ასეთ სიჩუმეშიო და ხეს ფოთოლი რომ მოწყდება და დაარღვევს სიჩუმეს, თითქოს ზურგიდან ვილაცამ დანა ჩაგცაო. მე თითქმის ვერ მივხვდი მაშინ რა ჰქონდა მხედველობაში. სხვათა შორის რეზო კარგად ხატავს. მე იგი ბათუმში გამაცნეს. იქაც, თბილისშიც მოდიოდა ჩემთან კუკიის სასაფლაოზე, ნმ. ეკლესიაში ჩემს ფრესკებს ათვალიერებდა, რეზო ძალიან ნიჭიერი კაცია, ხომ გახსოვს მაგის ფილმი „ნეილონის ნაძვის ხე“, იგი როცა საუბრობს, ბუმბერაზი მოგეჩვენება. პროფესიით ფიზიკოსია. მერე გადაერთო ხელოვნებაში. გუშინ იქ ჩემთან ერთი ექიმიც იყო ლეილა ჩხეიძე და იმას ვეუბნებოდი სადღეგრძელოში, რომ თქვენც ძველ ბერძნებს ხელოვნების სფეროში შეჰყავდით – აქიმობაც და ისტორიაც, ასე რომ, თქვენაც ხელოვანი ხართ-მეთქი. მერე ისეთი კარგი ნახატი მაჩუქებინეს, რომ ძალიან გული დამწყდა. ჩიტი მყავდა დახატული, გურიის ოდა-სახლის ფონზე, ვარდებში

ჩასმული. ალბათ გავიმეორებ, ცოტა სხვაგვარად ოდესმე. მაგრამ ამოდიოდეს უნდა ნათება. სინათლე, როგორც ვაჟა იტყოდა თავის ერთ ლექსში „ვედრება“ – „გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა, მნათობს ტრფობისა შეშითა“. ვაჟა იმასაც სწერდა: „მანცდამანც წერის უფლებას ჩვენ ვერავის წავართმევთ, ყველას ნება აქვს წერისა და ფიქრისა, როგორც სიყვარულისა, სიხარულისა, სიცოცხლისა და ხიერიანის ცხოვრებისა. მაგრამ ყველას კი ვერ დავაჩემებინებთ მწერლის სახელს, მით უმეტეს, უსულგულო ადამიანს. დიახ, სიყვარულის ნებას არ ითხოვენ არავისგან, არც მწერლობის ნებას არ სთხოვენ არავის. იგი თავად შეგანუხებს კაცს, რათა სიტყვასთან მორკინალი რაინდი გავხდეთ, უქნარა კაცს კი არ ანუხებს უსაქმურბა, უქნარობა, იგი განიცდის დროის მომდინარეობას. იმიტომ რომ, თვითონ არ მოკვდეს, მხოლოდ ჭეშმარიტი შემოქმედი არ უთვლის ქვეყანას ნუთებს.

მახსენდება ერთი ფილმი „შეხვედრა მთაში“. იქ კი ასეთი აზრი წარმოთქვა ფილმის ერთ-ერთმა გმირმა: – „ისედაც ხანმოკლე ნუთისოფელს დღეებს რად უთვლი ალუდავ“. დღევანდელ ახალგაზრდობას უნდა რცხვენოდეს იმისათვის, რომ უქმად ატარებენ ნუთისოფელს. მთავრობამ შეგვამცირაო, ხშირად გაიგონებ აქა-იქ. მთავრობას თვითონ უნდა შესთავაზო სამსახური, კაცმა თვითონვე უნდა იპოვოს სამსახური. დღეს ქალები შრომობენ და ქმრებს ცოლები არჩენენ, რაც ერის ტრაგედიაა.

არ იფიქრო, თითქოს ვამართლებდე დღევანდელ ხელისუფალთ, მაგრამ არც ხალხია მართალი. ვაჟა ამბობდა: – მე რომ არ მიყვარდეს და არ მებრალებოდეს ვინმე, თავს არ ვიცოცხლებდი, შენც დამეთანხმები რომ არც სასიცოცხლო ვიქნებოდი მეც.

– ყოველ კაცსა აქვს საკუთარი მისწრაფება და პატივმოყვარეობა, ხოლო ბრიყვისა და ჭკვიანის პატივმოყვარეობა განსხვავდებიან. ბრიყვის პატივმოყვარეობას მხოლოდ ის შეადგენს, კარგი ბედაური ჰყავდეს, კარგი ეტლი ჰქონ-

დეს, შინაც კარგად იყოს მოწყობილი და გარეთაც კარგად ჩაცმულ-დახურული დაიარებოდეს. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ყოველ კაცს შეუძლია შეიძინოს, ვისაც ფული აქვს, რადგან ეს ყველაფერი თავისუფლად იყიდება. ხოლო გონიერი და წესიერი კაცის პატივმოყვარეობა იქითკენაა მიმართული, რომ თავისი კარგი სახელით ყველას მიერ გამოირჩეოდეს, თავისი ცოდნით, სიმართლითა და კეთილშობილებით ყველასაგან დაფასებული იყოს; ამ თვისებებს კი ვერსად იყიდი, იმათ მხოლოდ ნათელი გონება და სიკეთით სავსე გული შეგძენს. ასეთი პატივმოყვარეობა მოსდგამს სპარტანელებსა და რომაელებს და იმიტომაც გაითქვეს სახელი ყველა ხალხზე მეტად. თუმც მათი მსოფლმხედველობა უტოპიურიც იყო. ეტლი დღეს ავტომანქანებმა შეცვალა, მაგრამ ძალიან მდიდარ კაცს თუკი ცოტათი მეტი გემოვნება აქვს, იგი ოსტატს ლუჩანო პავაროტივით შეუკვეთავს საგანგებო ეტლს და შეაბამს შიგ თეთრ რაშებს. ისე კი მინდა გითხრა, ის რომ ყაჩაღის არასოდეს არაფერი არ მშურდა, არც მათი „ლიმუზინების“ და არც მათი „მერსედესების“. პირიქით, იმათთან შედარებით მე მიჩვენია „მაცი ხვითიას“ მდგომარეობა, თუმცა ისიც ყაჩაღია. მაგრამ ყაჩაღსაც გააჩნია და ყაჩაღსაც.

ამ გახსენებაზე მინდა ორიოდ სიტყვით ისიც მოგწერო, რა დიდებული მელოდია და სიმღერა მიაცილებს მაცის, როცა სვანეთში ადის. „მაფშალია“ – მეგრული სიმღერა ხომ თავისი მელოდიურობით კოსმიურ სივრცეებში გადის. გაჭირვებული ხალხი შექმნის მხოლოდ ასეთ მელოდიას. უსაზღვროდ მიყვარს. საქართველოს ეს კუთხე, ეს შესანიშნავი ხალხი ღირსეული მამულიშვილებით, თავიანთი აკაკი ხორავათი, სიმონ ჩიქოვანით, კ. გამსახურდიათი, ლეო ქიაჩელით, თამარ აბაკელიათი, ვლადიმერ გრიგოლიათი, და სხვებით. მაპატიონ იმ დიდებულმა ხალხმა, ვინც ვერ ჩამოვთვალე იმიტომ, რომ მეტად ბევრნი არიან, როგორც ხელოვნებაში, ისევე მეცნიერებასა და სპორტში. ღია ელიავა და მედიკო ჩახავა

ხომ მშვენებაა ქართული კინემატოგრაფიისა და სცენისა.

კაცი მის ირგვლივ მყოფთა პატივისცემასა და სიყვარულს მაშინ მოიხვეჭს, თუ იგი პატიოსანი და კეთილშობილი იქნება. ვაჟა ამბობდა, სიბრალულს სიყვარული სჯობიაო. რა უფლება მაქვს მებრალეობდეს ვინმეო, იქნება თვითონვე ვიყო შესაბრალისი? ნუთუ ეს იმას არ ნიშნავს, მე ბატონი ვარ და შენ კი ბეჩავი, ჩემი ყმაო. არ ვიცი, აქ შეიძლება კვერი არ დაუჭკრა ვაჟას. ჯერ ერთი, იგი მართლაც ბატონი იყო, რადგან გენიოსი იყო, მეორეც, გენიოსები ყოველთვის იბრალეებდნენ ხალხს. გავიხსენოთ რუსთაველი: „შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები, მიწყვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“. განა აქ არ გამოსჭვივის უსაზღვრო სიყვარული ავთანდილისა თავისი ხალხის მიმართ? მაგრამ აკი ვაჟა ამბობს:

„ერთხელაც ვნახავთ იქნება, ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა“.

და ღმერთთან ახლოს მდგომ ადამიანს უნდა ებრალეობდეს მეფეც კი, უბრალო მდაბიოს რომც დავანებოთ თავი.

მხატვარიც ასე ამბობს თითქმის – ღმერთებს მუდამ ადამიანის სახით ვხვტავდით, ადამიანებს – ღმერთის იერითო!

ეს იგივეა ღმერთთან ახლოს მდგომი პოეტივით რომ იფერებს ამ მაღალ მისიას, როგორც უზენაესი ქურუმი. მაგალითად მხატვარ ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში მრავლადაა წარმოჩინებული დევები, ეშმაკები, ჭინკები, მაგრამ ისინი ყველა მოთვინიერებულია მხატვრობის მიერ. ესეც იგივე სიბრალულია იმისა, რომ მხატვრის ვალია ის, რომ ბოროტებაც სიკეთესთან წილნაყარი გახადოს. ამიტომაც სომეხმა მოქანდაკემ და მხატვარმა ასეთი შეფასება მისცა ლადო გუდიაშვილს: „არიან ისეთი ადამიანები, ვისი ბიოგრაფიაც შეუძლებელია დაინეროს ჩვეულებრივი სიტყვებით, ცხოვრებისა და შემოქმედების თარიღთა ჩვეულებრივი ჩამოთვლით. ისინი განუყოფელნი არიან თავიანთი ქვეყნისგან, ისინი არიან მისი ისტო-

რიისა და გეოგრაფიის ნაწილი, ისინი ერწყმიან თავიანთ სამშობლოს“.

დაუჯერებელი იქნება იმის თქმა, რომ მრავალტანჯული ქართველი ერი მთელი თავისი ნაკლითა და ღირსებით ბალანსირდება და რაფინირებული ხდება გამონაკლისი ადამიანებით. ბევრი მიზეზი არა მაქვს მაგალითების ჩამოთვლისა.

არიან მხატვრები, რომლებიც შეიძლება ითქვას ბრწყინვალე ოსტატებია, მაგრამ ნაკლებად ემოციურნი, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან.

ვუბრუნდები ისევ სიბრალულის მცნებას. კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდია“ როცა ეუბნება თავის ძმისწულს – ძერამ რომ იპოვა ყვავის ბახალა, გაზარდა და მერე შეჭმა რომ დაუპირა დედობილს, – გაიგონეო მტერი არ დაიზავება. ესე იგი არ შეიცოდება. ეგ მხოლოდ მტერზეა ნათქვამი, თუმცა არც ზოგიერთი ქალი არ უნდა შეიცოდო, იგი ცუდად გადაგიხდის სიკეთეს უთუოდ. მაგრამ იზადება ასეთი კითხვა – რამდენადაც გვეცოდება, იმდენად არ გვიყვარს კი, მაგრამ, ჩემი აზრით არც ეს „რეცეპტი“ გამოდგება ყველგან.

გამოუყენებლობა ქალური საწყისის საყოველთაო გამოცანაა. შეიძლება სხეული გააშიშვლო როგორც მხატვარმა. თვისება რომელიც ფარავს მინიერს გულისთქმათა განსულიერების საიდუმლოს. იმის ხელოვნება ჯერჯერობით არ არსებობს, რომ ხმამიზნედილი სიმღერით, მაგალითად იტალიური რომანსის „დაბრუნდი სორენტოში“, რომელიც მე სიგიჟემდე მიყვარს, ყველა ქალი ისევე აღიქვამდეს და მოსწონდეს. ანდა ბაკხური განცხრომა, თუნდაც ხელოვნების არსში მამაკაცური ტრადიციებისადმი ხარკის მიზღვავეების ტოტალიზაცია, ხორციელების ამაღლება სულის შფოთვამდე. რასაკვირველია, არ არის ყველა ქალისადმი საყვარელი და არა თუ საყვარელი, მისაღებიც კი. ჩემი იმედგაცრუება ის იყო, რომ მე ჩემს სულიერ ანარეკლს ვხედავდი ყველა ქალში. თუმცა სხვაგვარად არც შემეძლო. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მე ისინი

არ მყვარებია ძალიან მცირედი გამონაკლისის გარდა.

მაგრამ ამჟამად სხვა რამე უნდა ვთქვა. მთელი ლირიკის წყარო და ტრფიალი შენი ნიჭი და თვალეზია ჩემი სულიერი სარკე და გუნება-განწყობილების ელფერთა კალეიდოსკოპური ცვალებადობის მომხიბლველი ციმციმი დავლანდე მხოლოდ მეთქი, რომ ვთქვა, არ ვიქნები მთლად გულწრფელი, მაგ თვალთა უძირო სიღრმეში სურვილების გაუბედავი აჩრდილების და ზმანებების ლაბირინთებიც კი ირეკლება შენი ფიქრის წყალობით და იმ სულიერი სარკის მიღმა, რაც იფარება. განა შეიძლება ამოცნობა? შეიძლება ნაწილი შეიმეცნო ან იგრძნო, მაგრამ მთლიანად წარმოუდგენელია.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს დროში რამდენიმე მშვენიერი ჭაბუკი დადის ამ ქვეყნად და როცა დაილაპარაკებს, მისი არსებიდან გამოსჭვივის მერკანტილური და მანიაკალური სულისკვეთება. თავი რომ დავანებოთ ლორმუცელობას და ამავე დროს სულიერ დეგრადაციას, რა არის მიზეზი იმისა, რომ ამ სინანულის მეტაფიზიკური მიზეზი დარღვეული ჰარმონიაა – სამწუხაროდ ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობა, ტრაგიკული ხარვეზი იდეალის შინაგანი დამხობა-გაუფასურება მოჩანს მხოლოდ.

ჰელვეციუსის აზრით, ადამიანს არ შეუძლია ბედნიერებისაკენ არ ისწრაფვოდეს და იგი დგამს მის წარმოდგენაში ბედნიერების სპექტაკლს, მაგრამ როგორია ამ „დადგმული“ ბედნიერების სტრუქტურა? რასაკვირველია როგორც მას ესმის ისეთი. ყოველ ასაკში იცვლება იგი. სასურველი და რეალურის ურთიერთშეკავშირება, ანუ იდეალური ჰარმონიის ძალით კი არ უნდა ხდებოდეს ცხოვრების ტახტრევანზე დასმა, არამედ ობიექტის შთაგონებით ან მოქცევით. ვფიქრობ შენ არ გჭირდება მოქცევა, რადგან ვგრძნობ, რომ სავსებით რეალურად უყურებ მოვლენებს. ქართული ხასიათი თავდავიწყებით ელტვის სულიერებას და ეს იდეალური პრიმატი ზოგჯერ დიდხნას ვერ ძლებს. ცოდვა გამხელილი სჯობია, იცი

რატომ? სადაც დიდი სიყვარული არ არის, იქ სისხლი ეყინებათ და მიწიერის დარდი ალონებთ. იმიტომ ამბობს გალაკტიონი „სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა“. მაგრამ მზაკვართა ღიმილს მაინც სჯობია სევდანარევი ბედნიერება. სევდანარევეს რატომ ვგულისხობ იცი? აბსოლუტური ბედნიერება არ არსებობს. კატონ უფროსი ამბობს: – რომ გაჩნდა იგი არა თავისთვის, არამედ მთელი კაცთა მოდგომისთვის. ჰოდა, როგორ გგონია, რისთვისაა ადამიანი გაჩენილი, იმისათვის, რომ თავის თავს მოუტანოს სიკეთე და თავისი თავი მოიმკას, თუ მისი ვალია არგოს რაღაცა საზოგადოებას, სადაც ის ცხოვრობს. სიკეთე უყოს მთელ კაცობრიობას, დიახ, ამკარაა, რომ ყოველ კაცს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ის ამბავი, საზოგადოებაში რომ ცხოვრობს. მარტო რომ ეცხოვრა, ეს უპირატესობა არ ექნებოდა. ხოლო რახან ასეა, განა ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოების წინაშე რაღაც ვალი ადევს? განა მოვალე არაა სხვებისთვის ის გააკეთოს, რასაც ისინი მისთვის აკეთებენ?

მართალია, გამწარებული ქართველი ხალხი ბევრ ცუდ საქმეს ჩადის, ტანჯვა-ვაებას აუბნია გზა-კვალი და მიტომაც ვერ ჩამდგარა ყალიბში, მაგრამ ჩადგება უთუოდ და ბევრს ხომ მოეკითხა კიდევაც, მოეკითხება ცხვრის ტყავში გამოხვეულ მგლებს და ონავარ კბილებს დააძრობენ სათითაოდ. „საბრალო ჩვენი ქვეყანა, ყურს გიგდებთ გულის ძგერითა და თქვენ კი იმას ატყუებთ, მომხიბლავ სიტყვა-წერიტა“. აკაკის ეს მადლიანი სიტყვა ყოველთვის უნდა ახსოვდეს ჭეშმარიტ ქართველს. ისე კი, საქართველოს სადღეგრძელო ყველას უყვარს, თითქოს მხოლოდ წარმოსათქმელად. დიდების კეთილშობილური წყურვილით ატანილ იულიუს კეისარს არაერთხელ უთქვამს: ის მირჩევნია სოფელში მერქვას პირველი კაცი, ვიდრე რომში მეორეო. ერთხელ კიდევ იტირა ალექსანდრე დიდის ქანდაკების წინ, როცა დაფიქრდა რა ბევრი რამ მოასწრო და რაოდენ დიდ დიდებას მიაღწია ოცდაათი წლის ალექსანდრემ, ვიდრე მან შუ-

ახნის კეისარმა. ასეთი გრძნობები დიდებული რამაა კაცთათვის, ვინც ცდილობს, ყველას აჯობოს, მას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ უმრავლესობას მაინც აჯობებს.

დიახ, დრო უღმობელია. მხოლოდ დიდნი ხელოვანნი არ ნაღვლობენ ჟამთასვლის უმკაცრეს მდინარებას. ისინი როგორც სალესი ქვა, ისე გაცვდნენ და გაილიენ ჟანგიანი ფოლადის ლესვაში. ლეო ქიაჩელი კარგად აღწერს მაიას სევდას დროის მიმართ. გავიხსენოთ: – მე ვჭვრეტ ჩემს დაკარგულ ახალგაზრდობას, რომელიც თითქოს დაბრუნებულაო, ისე მივსებს გულს იმედებით; თითქოს მეძახის, მიხმობს სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის სწორედ ისე, როგორც ოდესღაც იყო სინამდვილეში... და შენც ხომ ჩემთან ხარ, ბონდო! ჩემთან ხარ, აქ ჩემი გულისთვის ჩამოსული, ჩემს სიყვარულს დანატრებული... მაშ ასე: ზღვაზე ვარ. და შენც ჩემთან ხარ... ასე ვიყოთ მარტო, სულ ერთად, ბონდო. ზღვა, რომელიც დიდია და ლურჯი, შენ, რომელიც მზე ხარ ჩემი ცხოვრების და მე, რომელსაც სწყურია შენი სითბო! ასე ვიყოთ სამნი: ზღვა, შენ და მე. მართალი არის მწერალი. დრო მართლაც მაშინ ბრუნდება, როცა სიყვარული დაგიბრუნდება და გენვევა, რა ასაკისაც არ იქნება კაცი. ასევეა ქალიც. სიყვარულს არ აქვს ასაკი. „მართალია მე ის არა ვარ, ბონდო, რაც ვიყავი... მაგრამ ჯერ კიდევ არ მოვხუცებულვარ და ჩემი სიყვარული ახლა უფრო მძაფრია, ვინემ ოდესმე იყო... თუ ჩემი ტანის სურნელი აღარ გაგონებს ახლად მონველილი, გაუნურავი რძის სურნელს, რომელიც ოდესმე ასე გხიბლავდა, სამაგიეროდ, მას ხომ ძველი ღვინის ძალა აქვს ახლა, რომელიც ნამდვილი ვაჟკაცის სასმელია, ვაჟკაცის ნამდვილი დამთრგუნველი. თუ ჩემი პირის ბაგე ვარდის მორცხვი კოკორივით აღარ ფშვინავს, მას ხომ, სამაგიეროდ, მოუკლავი ნდომის ძალა აქვს შემატებული, რომელიც ყოველი მორცხვობის საზღვრის გადამლახველია და ისეთი ვნების აღმძვრელი, რომელიც სიცოცხლესა და სიკვდილს მიჯნავს. თუ ჩემს

აღწერს მოკრძალება არა აქვს, როგორც ტანგადმოშლილი სავსე მთვარის, თუ მან გამოუცდელობის აცახცახება არ იცის და ვაჟის წინაშე თვალთა მინაბვაც მისთვის უცნობია, – სამაგიეროდ მოურიდებელია იგი და ყველა წესის დამრღვევი, როგორც უკანასკნელი ტრფიალის გიჟური წყურვილი და ხორცის აღტყინება ვნების მინურვის წინ... არა, ბონდო, შენ კი არ იცი ძალა ჩემი სიყვარულისა, თორემ ასე ადვილად მას ვერ დათმობდი“. იცი რა გამახსენდა ამ სტრიქონების კითხვისას? მე რომ პირველად შემოვედი შენს ოთახში და შენს მაგიდაზე სიგარეტი დავლანდე, და რომ გთხოვე: ავილო? შენ არაფერი გითქვამს დასტურის ნიშნად.

შემდეგ ფეხზე წამოდექი როგორც ინგლისის დედოფალი, მაშინ ვიყნოსე უძვირფასესი სუნამოს სურნელება ისეთი დამათრობელი, როგორც მაია ამბობს „ვაჟკაცის დამათრობელი“. რა კარგია ლიანა ასათიანი ამ ფილმში. იგი ბევრად ხნიერია დაფინოზე, მაგრამ ჩემთვის ბევრად უკეთესი. ბრაზი მომდიოდა სულ ოთარ მეღვინეთუხუცესზე, რატომ არ დარჩა მასთან, რომ მაია ეუბნება: – ჩემზე იყოს! აკი გითხარი, ის დრო სად არის, თავადის ქალო, როდესაც გემოვებოდა. კარგი, ორ დღეში დავბრუნდები შენ მზესა ვფიცავ!“ ამიტომ ამბობს მ. გორკი – „Любимая женщина не стареет“. შენ ეგ სიტყვები ჯერ არ გეკუთვნის. ეს ალბათ იმ ასაკობრივ ქალებს ეკუთვნის, მაია რომ იყო იმ დროს. როგორ ჩურჩულებდნენ სოფლის დედაკაცები: – ვინ თქვა, მოხუცდაო! რომ არ ტყდება? – ისეთ ნამლებს ხმარობს თურმე... და როგორც ამბობენ, თილისმაც უნდა და ჰქონდეს ხნიერობის წინააღმდეგ. თორემ რა ხნისაა! დედაჩემისგან გამიგონია, მე იმ წელიწადს გამათხოვესო, როცა სააფხაზოდან მაგის მამას მთავრის შვილმა მოციქულები მიუგზავნა, შენი ქალი მომათხოვეო“.

რა საინტერესო სახე აქვს ლიანას, ოდნავ თავნალუნული რომ მიდის ზღვის ფონზე. მაია შენა ხარ, მე კი, მე ზღვა! ზღვასავით სავსე მაქვს სული შენი სიყვარულით. ათასგვარ

ზღვის მარგალიტებითა და ზღვის ყვავილებით მსგავსი შენი ტანის სურნელებისა.

თავადის ქალივით შენ ვერ მოიქცევი და ვერ იტყვი: „მუდამ ალერსით სავსე ჩემი ვეფხი ჩიჩუას ტრფიალს მაგონებსო მისი შეხება„. ზღვაზეა საუბარი, რადგან ვეფხი მას უყვარდა, ძალა სიყვარულისა ადამიანს ყველაფერს შეაძლებინებს, მაგრამ ვშიშობ, ეგ სიყვარული არ იყოს მოჩვენებითი და ცალმხრივი ან გატაცება. მაგრამ არა, გატაცება რომ იყოს, მაშინ სხვაგვარად მოვიქცეოდი. შენ კი არ უნდა შეურაცხყო სიყვარული. ხომ გახსოვს ბონდოს რომ ეუბნება მაია: „შენ შეურაცხყავი თავადის ქალი მაია, რომელმაც პატიება არ იცის!“ – გაბრაზებული ზარის ხმაზე დაასრულა მან და ბონდოს წინ შედგა.

– ნუ მელაპარაკები ასე მაია, არ შემიძლია!
– ბრაზით შეუტია ბონდომ.

მაია დადუმდა.

– კარგია რომ ბნელა კარავში და შენს სახეს ვერ ვხედავ, ბონდო!

– მე კიდევ შენსას, ქალბატონო!“

თითქოს ერთმანეთი ტყვიით დაჭრესო და მერე იარა გაისინჯესო, ისევ დადუმდნენ“.

გუშინ მწერალი თამაზ ჭილაძე გამაცნეს. მე მას ვუთხარი: შენს ლექსებს სადღეგრელოებში ზეპირად ვკითხულობ და ავტორს კი არ ვიცნობდე შეიძლება?“ მერე მისი ლექსის სტრიქონი ვუთხარი, ისიც ამყვა და მითხრა, ოო, ეს რამდენი ხნის უკან დავწერეო. ამ ლექსის ნაკითხვა რომ დავასრულე, ერთი ექიმი ფეხზე წამოდგა და თქვა, ამ ლექსს ფეხზე უნდა წამოუდგეს ადამიანიო. ხომ გახსოვს ექიმი როსტომ ქიქავა.

გაიღიმა, გაუხარდა რა თქმა უნდა. მერე ჩემმა მეგობრებმა უთხრეს, ეს ის მხატვარია, რომელზეც ხშირად გელაპარაკებითო. მერე მე ვუთხარი მეგობრებს, მასტუმრეთ ერთი ჩემს სახელოსნოში ეს კაცი. მერე ვკითხე სად იყო თქვენი სახლი, სად იდგა ბათუმში, რომელ ადგილას. მან აღფრთოვანებით მიპასუხა, აი აქო, ჯაფარიძის დასაწყისთან, იცი სად?

კინოთეატრი „კომკავშირელი“ რომ იყო, იმის მოპირდაპირე მხარეს. იცი რა მინდა გითხრა? მე გამიკვირდა ის, რომ მეც მასე ვგრძნობდი ინტუიციებით და როცა გამართლდა ჩემი ვარაუდები, გამიხარდა. ახლა კი იმ ლექსს გთავაზობ, მას რომ წავუკითხე.

გავაღე კარი... მეძახდა ვილაც,
ვერ მივხვდი უცებ – ხმა იყო ვისი.
ნითლად მოჩანდა შარაზე თიხა,
და წვიმდა როგორც აპრილში იცის.
ვიფიქრე, იქნებ დღეს დაბრუნდები,
მერცხლის ბუდეს რომ გინახავ ჭერთან,
ქარს კოკებივით მძიმე ღრუბლები
თებრონესავით მოჰქონდა ჩემთან.

9.06.2005 წ.

„ქალო საქმარეს მოგიკლავ
ნაგებსა ბასრის ქვისასა,
ციხეს მარჯვენას მივაკრავ
შენის უფროსის ძმისასა.
ჩამოდიოდე ნანვეით,
ლიბოს აღნობდეს ქვისასა“.

იმათ სქესობრივი ორგიების, ოქროს, ტყუილების და გარყვნილების გარდა არაფერი სწამთ. ისინი ზნეობრივად გამოფიტული არსებანი არიან. აბა ვნახოთ, როგორია თამარი? „ერთი მითხარი თარაშ, რამდენი ქალისთვის გითქვავმს იგივე სიტყვები?

ეს უთხრა და ყვავილის თასი განზე გადადო.

– რას ამბობ მაგას, თამარ?

– ასე ამბობენ შენზე გულარძნილიაო!

– მართლია, მე გრძნობა მრავალგზის გამიფლანგავს სხვათა ქვეყანაში, მაგრამ ისეც ხდება ჟამიდან ჟამზე, გული ხანდახან შავ ზღვასა ჰგავს“.

დიახ, მეც მითქვამს ქება სხვათა და სხვათა. ზოგს ლექსებს ვუწერდი, ზოგს ნახატებს ვჩუქნიდი, მაგრამ, ალბათ არც მთლად ამაოდ. რადგან „სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი“. დავიმონმებ გალაკტიონს, რომ ხშირად პირველს სჯობს. რატომ? იმიტომ რომ, შინაგანი ინტე-

ლექტი მოიკოჭლებდა მათი, ზოგისაც შინაგანი სამყარო დასავლური სუპერტრადიციული, სნობისტური ცივილიზაციით იყო დაბინძურებული. თუმცა ქრისტიანობამ შემოიყვანა ქალის პერსონა და აქედან დაიბადა უმაღლესი დანტესებური, გოეთესებური, ან რუსთაველისეული „მარად ქალური“ გადაჭარბებული მეზობტეობა.

ისე კი, არაფერია იმაზე უფრო სიამოვნების მომგვრელი, როცა შესანიშნავ ქალს უძღვნი დითირამებს, თუ იგავმიუნვდომელ ხობტას, რასაც ემპიდოკლესეული ნიშატი აზის თითქმის როგორც პლატონთან. სიყვარული ბიოლოგიური გრძნობითი სანყისი როდია, არამედ მშვენიერის სიძველის ჭვრეტის და შეცნობის ეროსი. ეროსი იდეალური სამყაროსაკენ მიეზიდება სულს. რადგან იდეალური არ არის ის მწერლისადმი აღწერილი ყოველი ნიუანსი, რომელიც თამარს ეხება. გავიხსენოთ თუნდაც ერთი, როცა თამარი ფოთლებს აცლის ოქროსცოცხას ნერვიულობისგან, თარაშთან ყოფნის დროს. ეს ნერვიულობა როდი ჰგავს ჩვეულებრივ ეროტიკულს ეკრანისას.

ევროპის კულტურის ორიათასი წლის ისტორია ჰელინიზტური წარმართული მშვენიერების იდეალი სხვა იყო. ხოლო ასკეტური ქრისტიანულისა, მეორე. წარსულში ხელის ფათური როდია ჩვენი მწერლების ნაწარმოებებში გაბნეული თუ ჩაგვირისტებული წარმართული კულტურის ზოგადსაკაცობრიო. ამის მაგალითები შორს წაგვიყვანდა. ამჯერად ამირანისა და ეთერიანის ეპოსებიც საკმარისია. უკვდავი სიყვარულისათვის „საყამაროსა კაბასა შვიდი დღე უნდა გზიანი“. განა რუსთაველი გაექცა წარმართულს? ასმათი როგორ კერავს ვეფხის ტყავს ტარიელისათვის, მართალია კაბა არ არის, მაგრამ იგივე სამოსია. ასევე ჰელადაში ატარებდა ჰერაკლე ლომის ტყავს, ასევე უბრალო ღარიბნიც ჰქსოვენ ტალავარს თუ წინდებს თავიანთი საყვარელი ახლობლისთვის.

„ზემოდან ჩამოვიარე შენ რომ ჭრელს ჰქსოვდი წინდასა, შენ გათხოვება გავიგე სამჯერ ჩავკბიჩე მიწასა, ვინ იყო შენი მარჯაკელ მზეზემც ნუ ივლის დიდხანსა“.

მე აქაც წარმართულ შრეებს ვხედავ. ისე კი, ადამიანი წარმართი და ქრისტიანიც ერთნაირად განიცდის სატრფოს დაკარგვას. მიუხედავად იმისა, დიდი ადამიანები – ამბობდა არისტოტელე, – „ბუნებით ყოველთვის დარდიანები არიან“.

ესაა აბსტრაქციისაკენ მიდრეკილი გონების ჩვევა, რაც აურაცხელ ნაყოფს იძლევა. მათ არ აფიქრებთ, ვაი თუ ჩვენი ნალაპარაკები ვინმეს არ მოეწონოსო და არასოდეს სათქმელს წინასწარ არ ალაგებდნენ. ისინი არას მთქმელებს უფრო აფასებენ, ვიდრე თავის მოკანტურებს; მაგრამ ჩვენი აზრით, გააჩნია რა შემთხვევაში არისტოტელესეულად და დიონისი ბრძენი ეზრასავით ვეფხის-ტყაოსანის ავტორი ხშირად მიმართავს მათივე მსოფლმხედველობით კონცეპციებს. ასევე აღმოსავლეთის ფილოსოფიას, რაც სიბრძნის კონგლომერატია უთუოდ. „დიაცსა წყენა შეატყო, ნახა შესვლითა შე-ვითა“. „მაშინ თქვენ ჩემი გენყინათ“ და ასე შემდეგ. საკმაოდაა წყენა პოემაში, მაგრამ უფრო მეტია, ქება. ყველას უყვარს და უხარია, მხოლოდ გააჩნია ვისგან. ერთხელ ათენში პლატონს ჰკადრა ვინმე პლებეიმ ქება, პლატონი ჩამოჯდა და ტირილი დაიწყო. გაიკვირვა მონამ, თუ რა გითხარიო ეგეთი, ბრძენო. პლატონმა მიუგო, მე იმაზე ვტირი, სად დავუშვი შეცდომა, რომ შენი შესაფასებელი გავხდით, აი ამაშია ჩემო კარგო, ჭეშმარიტება. „ლომო ქებანი შენიმცა ჩვენ ვითა ვადიადენით“. როცა ფატმანი ავთანდილს აქებს, ავთანდილს ეამებოდა იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ფატმანით იყო გატაცებული და მერე მეორე – ფატმანი არ იყო უბრალო მდაბიო, ის თუ არ უტოლდება თავის მიჯნურს, ვაჭართა წრიდანაა და ვაჭარნი არიან დამცირებულნი პოემაში.

თარაშ ემხვარიც დარდიანია, როცა იგი პლატონის „ფედროს“ კითხულობდა, ისევე თამარი, „რატომ ხარ თამარ ყოველთვის მონყენილი? რა მოგივიდა ქალო? თამარი ისევ სდუმდა, – იცი რას გეტყვი, ჩემო კარგო? ყველა ადამიანი შეიძლება იყოს მასტიმულირებული ცხოვრებაში, უარყოფითიც, ისევე როგორც დადებითი, მაგრამ უარყოფითი იმიტ-

ომ, რომ გახსოვდეს როგორ არ იცხოვრო ისე, როგორც თვითონ იცხოვრა ამ ქვეყნად, ხოლო დადებითიც იმიტომ, რომ მისგან ბევრი კარგი რამ ისწავლო და განავითარო.

ისე როგორც სხვა ბევრმა ღირსეულმა მოახერხა. ამიტომაც ქრისტეს მთავარი მიზანი მისი მოღწეობისა არის მარტოსული ცხოვრების დანერგვა და სიყვარულის დამკვიდრება ამ დედამიწაზე. მართალია, ქება ცოტათი სხვა რამეა ვიდრე სიყვარული, მაგრამ საქებარი ყოველთვის საყვარელია. ოღონდ, ვიმეორებ, გააჩნია ვისგან, რადგან შეიძლება არ გიყვარდეს ასეთი სტრიქონების ავტორი, როგორც რუსთაველია?

„ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული“.

კირკეგორი ამბობდა: „ბედნიერების კარი გარედან რომ იღებოდეს, შევალბდით და შევცვივდებოდით შიგ, მაგრამ სამწუხაროდ, შიგნიდან იღება, ამიტომ ვერაფერს გააწყობ“.

მათემატიკოს თამაზ ბუთხუზს მოხსენიებული აქვს ერთი იგავი:

ერთი სახელმწიფოს მეფე ავად გახდა. მისი ავადმყოფობა იყო მოწყენილობა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ჰქონდა, არაფერი ახარებდა. ვერაფრით შველოდნენ, რადგან ვერ დაადგინეს, რა იყო მიზეზი. მხოლოდ ერთმა ექიმმა დაასკვნა, რომ მას მხიარული მოლექულები აკლდა. მან მეფეს ურჩია, რომელიმე ბედნიერი ადამიანის პერანგი ჩაეცვა, რათა მისი ბედნიერი მოლექულები მეფის სხეულში გადასულიყო და ეს გაამხიარულებდა. სასწრაფოდ გაგზავნეს მსახურები ბედნიერი ადამიანის საძებნელად, მაგრამ ასეთს ვერსად მიაგნეს. ბოლოს ვიღაცამ მიახსნავლა: ერთი ასეთი კაცი ტყეში ცხოვრობსო. მსახურებმა ხეში ტყის ფულუროდან თავგამოყოფილი მხიარული კაცი იპოვეს და ჰკითხეს:

– ბედნიერი ხარ?

– რა თქმა უნდა, – იყო პასუხი.

– მეფე ავად გყავს და გვიკვდება. გვათხოვე შენი პერანგი, მეფე ჩაიცვამს, მხიარული მოლექულები მის სხეულში გადავა და მორჩება.

– სიმოვნებით გათხოვებდით, მაგრამ პერანგი რომ არა მაქვს – შენუხდა კაცი.

ალმოჩნდა, რომ მთელ სამეფოში ერთადერთ ბედნიერს პერანგიც კი არ ჰქონდა.

თუმცა შენზე ვერ ვიტყვი რამეს, ვინაიდან ბედნიერება სხვაგვარია.

დღეს შენგან რომ დავბრუნდი, სალამოს ტელევიზორის ეკრანზე უცებ ველასკესის ვენერას მოვკარი თვალი. გადაცემა საკმაოდ გაგრძელდა ამ დიდ ესპანელ ფერმწერზე. სახლში მოვძებნე გოია ლეონ ფოიხვტანგერის და გადავშალე 225-ე გვერდზე, იქ კი ცოტა სხვაგვარად სწერია ბედნიერებაზე: „ბედნიერება წამიერია, შემდეგ კი ადამიანები კვლავ ძირს ენარცხებიან და მხეცებად იქცევიან“. მე კი გამახსენდა შოთა ნიშნიანიძის ერთი ლექსი. საჭიროდ მიმაჩნია მისი თავიდან ბოლომდე ჩაწერა, რადგანაც ისე ვერ გაიგებ:

„ქუჩაში ქალი შემომხვდა,
არ დამენახა ნეტავ,
მიცნო და ფეხი აებნა,
ტუჩის აუტყდა კვნეტა.
ცვიოდა ჭადრის ფოთოლი,
დაფარფატებდა კენტად,
ფეხებზე ეცვა სანდლები,
ლამაზი გოგოს დედას.
ოხერო სიღარიბეო,
ვინ გაგაჩინა ნეტავ,
გულქვა და შემზარავი ხარ,
სიკვდილზე უფრო მეტად.
არ ვიცი, ყელში ვის ვეცე,
ან ვის ვაგინო დედა,
რომც მივდგე-მოვდგე მერე რა,
ქვეყანა ჩამთვლის ყბედად,
ფეხებს და თვალებს მალავდა,
მზეთუნახავის დედა.
მე ის ოდესღაც მიყვარდა,
ამის თქმას ახლა ვბედავ.
მეგონა წამი ყოველი
გულს მეყრებოდა ბელტად,
ის იყო ცოდვის მდინარე
მე კი იმის დელტა“.

ბარბქალეა შემდეგ ნომერში

გაიყვანა თუ არა დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია სხვადასხვა ასპარეზზე ზნეობამ?

რომან „დათა თუთაშხიას“ მთავარი მთხრობელი – გრაფი სეგედი ნანარმოების დასაწყისში სხვასთან ერთად ამგვარ დასკვნასაც აკეთებს: „განგებამ ისინი (დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია – ა.ბ.) თანაბრად მდიდარი შესაძლებლობებით მოუვლინა ქვეყანას, მაგრამ ზნეობამ სხვადასხვა ასპარეზზე გაიყვანა“.

აღნიშნული დასკვნა, ცხადია, ზოგადია, ამიტომ იგი დაზუსტებებს მოითხოვს, განსაკუთრებით კი, მისი მეორე ნაწილი – გაიყვანა თუ არა დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია სხვადასხვა ასპარეზზე ზნეობამ? ეს იყო სხვადასხვა (ზოგადად) თუ ურთიერთსაპირისპირო (კონკრეტულად) ასპარეზი? ამკარაა, რომ იგი ურთიერთსაპირისპირო იყო. შესაბამისად, თავიდანვე დასმული კითხვა, ამ დაზუსტების შემდეგ, ასეთ სახეს იღებს: გაიყვანა თუ არა აღნიშნულ ურთიერთსაპირისპირო ასპარეზზე ბიძაშვილ-მამიდაშვილი ზნეობამ?

თავიდან გავარკვიოთ, თუ რა გარემო პირობებში წარიმართა თუთაშხიასა და ზარანდიას მიერ ცხოვრების გზების არჩევა, შემდეგ კი ზნეობრივი კუთხითაც შევხედოთ საკითს.

ნანარმოებიდან ცნობილია, რომ დამოუკიდებელი ცხოვრების საწყის ეტაპზე დათა თუთაშხია მეჯოგე იყო და აბრაგად ათას რვაას ოთხმოცდახუთ წელს გავიდა, როცა ცხრამეტი წლისა იყო. ხაზგასმით უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ დათა თუთაშხიამ მეჯოგეობა იძულებით, შემთხვევის (პორუჩიკ ანდრიევ-

სკის გრძნობისმიერი ნაბიჯი) გამო მიატოვა. ამ მომენტისთვის მუშნი ზარანდია აქციზის მოხელედ მუშაობდა და დამატებითი შემოსავლის მისაღებად ზემოხსენებულ ანდრიევსკის (რომელიც მოსკოვის გუბერნიის ტახტის აზნაური და გადამდგარი პორუჩიკი იყო) დანესებულებაში გადამწერად მუშაობდა.

ათას რვაას ოთხმოცდაათ წელს, ანუ თუთაშხიას გააბრაგებიდან ხუთი წლის შემდეგ, მუშნი ზარანდია აქციზიდან ჟანდარმერიაში გადადის (საკუთარი ნება-სურვილით) და იქ აგრძელებს კარიერას უმცროსი ჟანდარმის რანგში.

რატომ შეიცვალა ზარანდიამ სამსახური? რატომ გადავიდა იგი იმ სიბრტყის (ასპარეზის) საპირისპირო სიბრტყეში, რომელშიაც თუთაშხია თავიდან უნებლიეთ, საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ აღმოჩნდა? რატომ დასჭირდა მას ამისთვის ხუთი წელი? ლოგიკის ძალით, თუთაშხიას რეაქციას ანდრიევსკის გრძნობისმიერ ნაბიჯზე ზარანდიას მხრიდან მხარდაჭერა თუ არა, სიმპათია მაინც უნდა მოჰყოლოდა, თუმცა ამგვარი რამ ნანარმოებში არსად ჩანს. ნაცვლად ამისა, გვხვდება მისი დასაბუთებული წერილი არსებული იმპერიული სახელმწიფო წყობილების, როგორც გარკვეული სოციალური სისტემის დაცვის თაობაზე, მასში განსახორციელებელი აუცილებელი ცვლილებების და, საერთოდ, ყოველგვარი სიახლის მიუღებლობაზე, რომლითაც იგი წარსდგა ჯერ ნათლიის – გრიგოლ ფალავას, ხოლო შემდეგ, ამ უკანასკნელის მეშვეობით, გრაფი სეგედის წინაშე.

აქვე საჭიროა ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხში სიცხადის შეტანა: რატომ გავიდა დათა თუთაშხია აბრაგად? რატომ არ დაკმაყოფილდა იგი პორუჩიკ ანდრიევსკისთან გამართული დუელის (თუმცა სასიკვდილოდ დაჭრილი ოფიცერი ამ დაპირისპირებას დუელად არ

თვლიდა) შემდეგ მიმალვაში ყოფნით? სეგედის ერთ შეფასებას კითხვად თუ ვაქცევთ, იგი ასეთ სახეს მიიღებს: რატომ ეხუმრებოდა და ეთამაშებოდა აბრაგი გაუგებარი თავგამოდებით სახრჩობელას თუ არა, კატორღას მაინც?

გრაფი სეგედი იქვე იძლევა ამ კითხვის ერთ სავარაუდო პასუხს: „თუთაშხიას, ეტყობა, ეხალისებოდა პოლიციასთან და ჟანდარმერიასთან ამგვარ დამოკიდებულებაში ყოფნა, რაც, იქნებ, იმიტაც აიხსნებოდეს, რომ ხალხში ყოველი მისი პატარა ნარმატებაც კი დიდ გამოხმაურებას პოულობდა, ამალლებდა მის ავტორიტეტს, აკმაყოფილებდა მის პატივმოყვარეობას“.

შეიძლება ითქვას იმის შესახებაც, რომ ახალგაზრდა თუთაშხიას უარი სასამართლოს წინაშე წარსდგომისა და მისი გადაწყვეტილება აბრაგად გასვლისა, არა მხოლოდ საკუთრივ მისი, ინდივიდუალური გადაწყვეტილებაა, არამედ ოჯახის (მამა) და საზოგადოების მხრიდან ჩაგონებული და მხარდაჭერილი. ცხადია, იგი ამ ფასეულობებით (ეროვნული) იყო აღზრდილი. აქ ასევე შეიძლება მოვიგონოთ მაგალი ზარანდიას შენიშვნა, რომელიც მან მეუღლის, თამარ ზარანდიას მისამართით გააკეთა, გააბრაგებული შვილის ერთ-ერთი სტუმრობის დროს მათსავე ოჯახში: „...არც მამა-პაპა ჰყოლია მაგას, გარემოებას რომ ურიგდებოდა, ისეთი, და არც ჩვენ გაგვიზრდია ეს კაცი დამოშმინებული და მშვიდი ცხოვრებისთვის“.

ამგვარად, დათა თუთაშხია უნებლიეთ, საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ აღმოჩნდა ჩათრეული დუელში, თუმცა აბრაგად გასვლა მისი შეგნებული, გაცნობიერებული ნაბიჯი გახლდათ. შეიძლება ითქვას, რომ დუელი თუთაშხიასთვის ერთგვარი საბაზი იყო აბრაგად გასასვლელად; შესაბამისად, დუელამდელი მისი ცხოვრება – ესაა მოსამზადებელი პერიოდი, არსებული ნყობილების (იმპერიული) წინააღმდეგ მიმართული.

რამდენად ზნეობრივი იყო დათა თუთაშხიას ცხოვრების გზა მეჯოგეობიდან აბრაგად

გასვლამდე და რა ძირითადი მომენტები შეიძლება გამოიყოს ამ გზის დასახასიათებლად?

ა) ანდრიევსკის დუელში გამოწვევა (არა შურისძიება, ან სხვა რამ): „მკადრა რაღაც, არც მე, არც ჩემს ოჯახს და არც თვითონ რომ არ ეკადრებოდა, ისეთი. ვერც მე ვაპატიე, არც მან დაუნყო ძებნა შერიგებას“. აქ უნდა ითქვას ისიც, რომ ეს დაპირისპირება ურთიერთთანხმობის საფუძველზე მოხდა, რასაც დაჭრილი პორუჩიკი თავადვე ადასტურებს დაკითხვის ოქმში. ბ) თუთაშხიას პირველი გასროლის უფლება ჰქონდა, მაგრამ მან ამ შესაძლებლობით არ ისარგებლა – განგებ ააცილა მეტოქეს. გ) პორუჩიკ ანდრიევსკისგან მკლავში დაჭრილმა, მეტოქეს შეშინების მიზნით მარჯვენა თვალში დაუმიზნა. იგრძნო რა გადამდგარმა ოფიცერმა, რომ უეჭველი ხვდებოდა ტყვია, თვალი გაარიდა ლულას. ამის შემდეგ, თუთაშხიამაც მკლავში ესროლა, მაგრამ ვერ ივარაუდა საკუთარი დაჭრილი მკლავის სისუსტე და ტყვია მუცელში მოახვედრა, რითაც სასიკვდილოდ დაჭრა ტახტის აზნაური. შეიძლება ითქვას, რომ თუთაშხიას ანდრიევსკი შემოაკვდა. რამდენად ზნეობრივი იყო მეჯოგისგან პასუხისმგებლობაზე თავის არიდება? როგორც ითქვა, დაპირისპირება ურთიერთთანხმობის საფუძველზე მოხდა. ამასთან მომაკვდავი ოფიცერი კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდა თუთაშხიას მიმართ რაიმე სახით საქმის აღძვრისა. გარდა ამისა, მომავალი აბრაგის ამ საქციელს ის გამართლება აქვს, რომ იგი არ დაემორჩილა კანონებს, რომლებიც დამპყრობელ სახელმწიფოს ეკუთვნოდა. შესაბამისად, დათა თუთაშხიას გადაწყვეტილება აბრაგად გასვლისა, იყო საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი ხალხის საკეთილდღეოდ გადადგმული შეგნებული, თუმცა პირად ასპექტში დიდი საფრთხის შემცველი გადაწყვეტილება, რაც, უდავოდ, ზნეობრივი საქციელი იყო მისი მხრიდან.

ახლა დავუბრუნდეთ მუშნი ზარანდიას და გავარკვიოთ, თუ რამდენად ზნეობრივი იყო

მისი ცხოვრების გზა, აქციზის მოხელეობიდან უმცროსი ჟანდარმის ჩინამდე და რატომ აირჩია მან იმ ასპარეზის საპირისპირო ასპარეზი, რომელზეც მისი ბიძაშვილი ხუთი წლის გასული იყო?

ზოგადად შესაძლებელია იმის თქმა, რომ ასპარეზი საზოგადოებაში მრავალია. ერთ-ერთზე ზარანდია უკვე იყო თუთაშხიას გააბრაგების მომენტისთვის – აქციზის მოხელე. უნდა ითქვას იმის თაობაზეც, რომ მომავალ ჟანდარმს გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და პორუჩიკ ანდრიევსკის დღიურების მიხედვით, მას ჰუმანიტარული მეცნიერებები, განსაკუთრებით კი, სამართალი აინტერესებდა და ეხერხებოდა კიდევ. თუმცა აქვე იმაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომ სამართლის სფეროც ზოგადია და იქაც მრავალი მიმართულება შეიძლება აირჩიოს დაინტერესებულმა პირმა. მიუხედავად ამისა, ზარანდია ირჩევს იმის საპირისპირო ასპარეზს, რომელზედაც მისი ბიძაშვილი უკვე ხუთი წლის გასული იყო. ცხადია, მას ამის უფლება ჰქონდა, თუმცა მისი ასეთი გადაწყვეტილება სათანადო ანალიზს და შესაბამის შეფასებას საჭიროებს.

როგორც უკვე აღინიშნა, პორუჩიკ ანდრიევსკისთან გამართული დუელის შემდეგ თუთაშხიამ უარი თქვა იმპერიული სახელმწიფოს სასამართლო წესებზე, რაც ამ კანონების და მათი დამდგენელი ინსტიტუტის უარყოფას ნიშნავდა. ამ ფონზე კი ზარანდია სწორედ აღნიშნული კანონების და მისი შემომღები სახელმწიფოს იდეურ დამცველად გვევლინება და იღებს გადაწყვეტილებას პრაქტიკულად განახორციელოს ის აზრები, რომლებიც მან ნათლისადმი გაგზავნილ წერილში ჩამოაყალიბა.

ზემოაღნიშნული ხუთწლიანი პერიოდის შესახებ (1885-1890წწ.) ნაწარმოებში მწირი ცნობები მოიპოვება, თუმცა რაც არის, ისიც რეალურ სამსახურს გაგვინებს დასახული მიზნის მიღწევაში. მთავარი ინფორმაცია კი ნაწარმოების დანარჩენ, ძირითად ნაწილშია, რომლის ექსტრაპოლაციაც ასევე უნდა დაგ-

ვებმაროს აღნიშნული მიზნის მიღწევაში.

მუშნი ზარანდია თავის ნათლიას, თავად გრიგოლ ფალავას, ზემოხსენებულ წერილში სწერდა, რომ მის შექმნას მან სრული ერთი წელი მოანდომა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზარანდიამ ჟანდარმად 1890 წელს დაიწყო მუშაობა, მაშინ გამოვა, რომ წერილის წერას იგი 1889 წელს უნდა შესდგომოდა. სეგედის ცნობითვე, 1889 წელს აბრაგი თუთაშხია უკვალოდ (ჟანდარმებისთვის) გაქრა, ანუ მან დაასრულა საქართველოში აბრაგობის ოთხწლიანი პერიოდი და გაუჩინარდა. სეგედის შეფასებით – თუთაშხიას ჟანდარმებთან თამაში მობეზრდა, ვინაიდან ისინი სუსტ მოწინააღმდეგებად მიიჩნია.

შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ მუშნი ზარანდიას კალამი ხელში სწორედ თუთაშხიას გაუჩინარებამ ააღებინა? ამ ფაქტმა ხომ არ აღუვსო მას „მოთმინების“ ფილა, ხომ არ იქცა იგი მისთვის იმ ბოლო წერტილად, რომლის შემდეგაც ხელი მიჰყო ზემოაღნიშნული წერილის წერას, ანუ იმას, რის მეშვეობითაც ჟანდარმერიაში საკუთარი გადაბარგება იდეოლოგიურად უზრუნველყო?

ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა რთულია, ვინაიდან მასთან დაკავშირებით ნაწარმოებში მხოლოდ წლებზეა საუბარი და არა თვეებზე, თუმცა, ვარაუდის დონეზე, სწორედ აბრაგის გაუჩინარება უნდა ქცეულიყო წერილის შექმნის ერთ-ერთ უპირველეს საბაზად. ზოგადად შეიძლება იმის თქმაც, რომ თუთაშხიას მოუხელთებლობამ და იმპერიული სახელმწიფოს, როგორც მდევნელის უძღურებამ უზარმაზარი თავისუფალი (ცარიელი) სივრცე გააჩინა (შექმნა), რომელიც ვილაცას უნდა შეევესო, დაეკავებინა. ასეთი ვინმე კი აღმოჩნდა მუშნი ზარანდია – აბრაგის მამიდაშვილი, პატარაობიდანვე მასთან თანაშემზრდილი და, შეიძლება ითქვას, მისი პიროვნების ყველაზე დიდი მცოდნე.

როგორ შეიძლება გავიგოთ ზარანდიას მიერ ზემოაღნიშნული წერილის შექმნის ფაქ-

ტი? უპირველეს ყოვლისა, ესაა სახელმწიფოს (იმპერიულის) სასარგებლოდ, მის მხარდასაჭერად გადადგმული კონკრეტული, დასაბუთებული ნაბიჯი. რას უნდა გამოენვია მისი მხრიდან ასეთი საქციელი? პირველ რიგში, იმ რეაქციასა და შედეგებს, რომლებიც მოჰყვა თუთაშხიას გააბრაგებას:

ა) მშობლების (განსაკუთრებით მამის) ღია თუ ფარული სიმპათია, რომელიც აბრაგის მხარეს იყო;

ბ) საზოგადოების დიდი ნაწილიც აბრაგს თანაუგრძობდა;

გ) სახელმწიფოს მხრიდან აბრაგის ხანგრძლივადიანი მოუხელთებლობა;

გ) ამ ფონზე დასაცავი და მხარდასაჭერი თავად სახელმწიფო (იმპერიული) იყო, რომლის ჟანდარმებთან ურთიერთობას თუთაშხია (ზარანდიას გამოჩენამდე) „საუკეთესო გასართობს“ ეძახდა.

აქ კი ისმის სხვა კითხვა: რატომ თავადაც არ იქცა ზარანდია ძმის, ოჯახის, იმ საზოგადოების ფასეულობების გამზიარებლად, რომელსაც თავადაც ეკუთვნოდა? რატომ გამოვიდა იგი თავის წერილში არსებული მდგომარეობის (რომელიც მისსავე ქვეყანაში უცხო იმპერიამ შექმნა) დამცველად და მისი შეცვლის მოწინააღმდეგედ? ამ კითხვას მოგვიანებით ვუპასუხებთ, ახლა კი სხვას გავცეთ პასუხი: რისთვის (ან ვისთვის) უნდა დასჭირვებოდა ზარანდიას აღნიშნული წერილის შექმნა?

ჯერ ერთი, მან დასაბუთებული, წერილობითი (ანუ ფაქტობრივი) პასუხი გასცა (გაემიჯნა) იმ ფასეულობებს, რომლებიც მამის, მაგალი ზარანდიას ოჯახში იყო გაბატონებული და რომლებითაც აღიზარდნენ „სახლი სათნოებისა და სახლი სიყვარულის“ შვილები. უფრო ზუსტად: მაგალი ზარანდიას ოჯახში ეროვნული და ზოგადკაცობრიული ფასეულობები ისე ძლიერი იყო, რომ სხვაგვარი ქცევა (მათგან გაქცევა) ღრმა დასაბუთებას მოითხოვდა. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ მოანდომა ზარანდიამ წერილის შექმნას სრული ერთი წელი.

მეორე, მუშნი ზარანდიას აღნიშნული წერილი ერთი რიგითი (თუ არარეგითი) თანამდებობის დასაკავებლად ან განსხვავებული ხელფასის მისაღებად არ სჭირდებოდა. მან ამ წერილით თავიდანვე ამცნო იმპერიულ სახელმწიფოს მასთან სულიერი წილნაყარობის ამბავი და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ სხვა გზას (იმპერიის ერთგულქვეშევრდომობა) სამომავლოდ აღარ (და ვეღარ) აირჩევდა. მესამე, ზარანდიამ აღნიშნული წერილით წინდანინ გაითვალისწინა ის სიტუაცია, რომ ჟანდარმერიაში სამსახურის დაწყებისას და მით უმეტეს, კარიერული ზრდის გზაზე მას ალალი ბიძაშვილის უკანონო ცხოვრება შემაბრკოლებელ გარემოებად ამოუტივტივდებოდა (პრევენცია).

რატომ აირჩია მუშნი ზარანდიამ იმის საპირისპირო ასპარეზი, რომელზეც მისი ბიძაშვილი უკვე ხუთი წლის გასული იყო? რა უნდა ქცეულიყო მისთვის მამოდრავებელ ძალად? კავკასიის მეფისნაცვალთან გამართული ერთი მნიშვნელოვანი თათბირის დამთავრების შემდეგ, მუშნი ამ შეხვედრის მასპინძლის დასმულ კითხვას: „...თქვენს უფლებებსა და მოვალეობებს თქვენს ბიძაშვილზე, ყაჩაღ თუთაშხიაზედაც გაავრცელებთ? მშვიდად პასუხობს: „... დიახ, თქვენო მაღალაღმატებულზე! გამოგიტყდებით, ერთგვარი აზარტითაც, რადგან იგი ღირსეული მოწინააღმდეგეა...“.

ვფიქრობთ, რომ სწორედ აზარტი იქცა იმ მთავარ ძალად, რომელმაც ზარანდიას წერილის შექმნა გადააწყვეტინა და იმპერიულ სახელმწიფოსთან ერთად თუთაშხიას მადევრად აქცია. ჟანდარმერიაში გადაბარგებამდე და თუთაშხიას უშუალო დევნამდე ზარანდიასთვის ძნელად აღსაქმელი უნდა ყოფილიყო აბრაგის მრავალწლიანი მოუხელთებლობა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის მხრიდან, განსაკუთრებით კი იმ ფონზე, რომ დევნილს იგი პატარაობიდანვე იცნობდა. შესაბამისად, აქციზიდან ჟანდარმერიაში ზარანდიას გადაბარგების საფუძველი უფრო აზარტი იყო, ვიდრე სხვა რამ ფასეულობა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუშნი ზარანდიას ზნეობას ამ პერიოდში აზარტი განსაზღვრავდა, რომელიც კარიერული ზრდის კვალობაზე პატივმოყვარეობაში გადაეზარდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზარანდიას ცხოვრებაში რაღაც სხვა გარემოებებიც უნდა არსებულებოდა, რომლებიც მის მიერ გადადგმული რადიკალური ნაბიჯის საფუძვლად იქცნენ. მუშნის ნაბიჯი სწორედ რომ რადიკალური იყო და ჩვენი ვალთა გავარკვიოთ: მისი მხრიდან ეს იყო სულიერი მდგომარეობის ბუნებრივი გამოვლინება, თუ რეაქცია იმ გარემო პირობებზე, რომლებშიაც აღიზარდა-ჩამოყალიბდა? ავიჩქარდებით და ვიტყვი, რომ აქ უადგილოა შეფასება, რომელიც საყოველთაოდაა ცნობილი აკაკის „გამზრდელიდან:“ „...მაგრამ მარტო წერთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?“

ნაწარმოების დასაწყისში გრაფი სეგედი მკითხველს წინდანინ ამცნობს იმ მიღწევებს, რომლებიც ჰქონდა ჟანდარმერული კარიერის გზაზე ზარანდიას. იგი ამბობს: „მუშნი ზარანდიამ ჟანდარმერიაში ოცდასამი წელი იმსახურა და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ფიასკო, ხუთი ორდენი, სამი რიგსგარეშე ჩინი, პეტერბურგში სამსახურის პერიოდში მისი უდიდებულესობის აუდიენცია პირადი საჩუქრითა და ჟანდარმერიის პოლკოვნიკის წოდება. თუნდ რიგიანად განათლებული, მაგრამ მდაბიო წარმოშობის კაცისთვის ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო“.

ამრიგად, დათა თუთაშხიას უკანონო ცხოვრების მიუხედავად, მისი მამიდაშვილი მუშნი ზარანდია ჟანდარმერული კარიერის ოცდასამწლიანი პერიოდის მანძილზე აღწევს ამ სფეროსთვის და მისი წარმომავლობის მქონე ადამიანისთვის უპრეცედენტო წარმატებებს, ანუ აბრაგის კანონგარეშე ცხოვრება ჟანდარმისთვის კარიერული წინსვლის გზაზე დაბრკოლებად ვერ იქცა. მიუხედავად ამისა, ზარანდია იღებს გადაწყვეტილებას დათა თუთაშხიას ფიზიკური განადგურების შესახებ,

რის თაობაზეც იგი გაკვრით ამცნობს გრაფს მასთან სახლში სტუმრობის დროს. სეგედიმ ვერ შეძლო დაემალა გაოცება იმის გამო, რომ „ – დათა თუთაშხიას საქმეს ზარანდიასთვის სადღეისოდაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა..“. უფრო მეტიც, მან სტუმრად მყოფ ჟანდარმთან საუბარში გამოთქვა „...გაკვირვება იმით, რომ ზარანდიას საგანგებოდ მოუცლია თუთაშხიას საქმისთვის, და ეჭვიც, თუ რამდენად გამართლებული იყო დათა თუთაშხიას ესოდენ დაჟინებული დევნა და ისიც საკუთარი მამიდაშვილის მხრივ“. ამ საუბრისას სეგედიმ ზარანდიას ახალი განზრახვა გამოარკვია-დააზუსტა, რომელიც ჟანდარმს აბრაგის მიმართ გასჩენოდა – კარიერული წარმატებების გამდიდრება საკუთარი ბიძაშვილის მოკვლით და მისგან ზნეობრივი გმირის შექმნით.

უნდა ითქვას იმის თაობაზეც, რომ მუშნი ზარანდიას გადაწყვეტილება დათა თუთაშხიასაგან ზნეობრივი გმირის შექმნის შესახებ (მისი მოკვლის გზით) არ გახლდათ იმპერიულ სახელმწიფოსთან, მის ორგანოებთან შეთანხმებული ოპერაცია ან მათგან წამოსული ინიციატივა, როგორც ეს მოხდა „კილიკის“, აბრაგის ციხეში ჩასმის, თუ სხვა შემთხვევებში. ეს გახლდათ ზარანდიას არსებაში გაჩენილი, საკუთრივ მისგან წამოსული იდეა-გეგმა. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ უნდა აერჩია მას სეგედისთან შეხვედრისას საუბრის მინიშნებითი ფორმა.

დავუბრუნდეთ პასუხგაუცემელ კითხვებს. რატომ არ იქცა თავად მუშნი ზარანდია ძმის, ოჯახის, იმ საზოგადოების ფასეულობების გამზიარებლად, რომელსაც თავადაც ეკუთვნოდა? რატომ გამოვიდა იგი თავის წერილში არსებული მდგომარეობის (რომელიც უცხო სახელმწიფომ მის ქვეყანაში შექმნა) დამცველად და მისი შეცვლის მოწინააღმდეგედ?

რატომ უნდა შესდგომოდა „სახლი სათნოებისა და სახლი სიყვარულის“ ღვიძლი შვილი მამის და, საერთოდ, ოჯახის საპირისპირო გზას? რას უნდა გამოეწვია მუშნი ზარანდიას

„გაქცევა“? ნანარმოების დასაწყისში გრაფი სეგედი მკითხველს მოუთხრობს ელე თუთაშხიას ისტორიას და ამბობს: „...თუმც ღმერთმა მშვენიერება ყოველგვარი სიკეთისა და სათნოების წყაროდ დასახა, მაგრამ წესს გამონაკლისიც უნდა ჰქონდეს, და ამჯერად მშვენიერებამ (ელე თუთაშხიას – ა.ბ.) უბედურება შვა“. რა მოხდა მუშნი ზარანდიას შემთხვევაში, რა გამონაკლისს ჰქონდა ადგილი, რატომ უარყო მან ახალგაზრდობაშივე მამის (საერთოდ მშობლის), ოჯახის, საზოგადოების ფასეულობები და რატომ ჩადგა იგი დამპყრობლის სამსახურში, ანუ რატომ იშვა „სახლი სათნოებისა და სახლი სიყვარულის“ გარემოში ძმის (შესაბამისად მამის) მკვლეელი?

ხომ არ დაედო მუშნი ზარანდიას საქციელს (მოუხელთებელი ძმის მოხელთების მიზნით იმპერიის სამსახურში ჩადგომა) საფუძვლად ის გარემოება, რომ მას დათა თუთაშხიას სახით ბავშვობაშივე (პატარაობიდანვე) გამოუჩნდა მშობლის სიყვარულის მოცილე? ხომ არ იქცა მოზარდი თუთაშხია იმ ფასეულობების უკეთ ამთვისებელ-გამზიარებლად, რასაც ოჯახი (განსაკუთრებით მამა) ქადაგებდა, ვიდრე ღვიძლი შვილი – მუშნი ზარანდია? ნანარმოებში ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, როცა თუთაშხია და ზარანდია მამის ოჯახში ხვდებიან ერთმანეთს, სადაც ჟანდარმი აბრაგ ძმას და საკუთარ მშობლებს ციხის ვარიანტს გაუხმოვანებს. ამ შეხვედრაზე თამარ და მაგალი ზარანდიები აშკარად დაუპირისპირდებიან მეფის სამსახურში მყოფ შვილს და პირდაპირი ფორმით გამოხატავენ სიმპათიას აბრაგ შვილის მიმართ. დათა თუთაშხიასადმი განსაკუთრებული მოპყრობის ფაქტებს აღმზრდელი მშობლების მხრიდან ნანარმოებში სხვაგანაც ვხვდებით, თუმცა აქ უფრო უპირიანი მოვიგონოთ რომანის ერთ-ერთი მთხრობლის, ზარანდიების ოჯახის შვილობილის, შალვა ზარანდიას (გოგნიაშვილი) ნაამბობი, როცა იგი მკითხველს იმ წესის შესახებ ამცნობს,

რომელიც მაშინდელ სამეგრელოში არსებობდა: „აყვანილი შვილი ამყვანს საკუთარი შვილებისგან არ უნდა გამოერჩია, სირცხვილად ითვლებოდაო“. შესაძლებელია, სწორედ ამ წესმა იქონია გარკვეული ტიპის გავლენა (გამონაკლისი) მოზარდი ზარანდიას აღზრდა-ფორმირებაზე.

დათა თუთაშხიასთან დამოკიდებულებაში ბავშვობიდან გამოყოფილი წყენის გამო ანგარიშსწორების მცდელობის სხვა მაგალითი გახლავთ ძობა ძიგუა (მისი საქციელი), რომელიც მთელი შეგნებული ცხოვრება ემზადებოდა აბრაგთან შესახვედრად (თუმცა შეიძლება ღიმილის მომგვრელი იყოს, მაგრამ შეხვედრისას ძობას იარაღი არ აღმოაჩნდა). აქ საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ შეიარაღებული დაპირისპირების მომენტამდე დათა თუთაშხია ძიგუასთვის პირადი მტერი იყო. ძობას მხრიდან ეს გახლდათ პირად წყენაზე დაფუძნებული ანგარიშსწორების მცდელობა მაშინ, როცა მუშნი ზარანდიასთვის თუთაშხიასთან დაპირისპირებამ პირადულობისა და პიროვნულობის საზღვრები გადალახა და ოჯახთან და საკუთარ ხალხთან, მათ ფასეულობებთან დაპირისპირების ფორმა მიიღო.


ნანარმოებიდან ცნობილია, რომ როგორც დათა თუთაშხია, ისე მუშნი ზარანდია თავიანთი ცხოვრების ბოლო ეტაპზე ბოროტების სიკეთედ გარდაქმნის იდეამდე მიდიან (ზარანდია, სავარაუდოდ, ამ იდეამდე თუთაშხიასგან უნდა მისულიყო, ვინაიდან მან აბრაგის შესახებ ყველაფერი იცოდა, მათ შორის ისიც, თუ ვისთან როდის რა თქვა ან რა აზრი გაახმოვანა). აღზევებული ჟანდარმი ბოროტების სიკეთედ გარდაქმნას დათა თუთაშხიას მოკვლასა და მისგან ზნეობრივი გმირის შექმნასთან აკავშირებს მაშინ, როცა აბრაგ თავის ბალყარელ ძმადნაფიცთან, ბილალ ზანკპისთან შეხვედრისას ასე აყალიბებს ამ იდეის არსს: „ბოროტის ნამოქმედარს უნდა ხედავდესო აბრაგ და სიკეთედ უნდა აქცევდესო მას“.

ბოროტების სიკეთედ გარდაქმნის ზარან-

დიასეული გაგება, რომელიც მან სეგედისთან საუბრისას გაახმოვანა, უნაყოფოა და ლოგიკას მოკლებული. ჟანდარმმა თავისი კარიერის სანყის ეტაპზე ძლიერ შეარყია აბრაგის რეპუტაცია ხალხის თვალში, შემდეგ ხუთი წლით გადაუმალა იგი მას და მხოლოდ ამის შემდეგ დააყენა აბრაგისგან ზნეობრივი გმირის შექმნის იდეა. ზარანდიას ქცევის ალოგიკურობა სწორედ იმაშია, რომ სახელგატეხილი და საკუთარი ფეხით იმპერიული სახელმწიფოს ციხეში მისული აბრაგისგან ზნეობრივი გმირის შექმნა ძალზე რთულია. ამიტომ ამ ფორმალური განცხადებების უკან შურისძიებას მოწყურებული ჟანდარმი იკვეთება, – არა ზნეობრივი იდეის ავტორი და მისი შესაძლო განმახორ-

ციელებელი. სწორედ ამიტომ იყო, რომ სეგედიმ პოლკოვნიკის აღნიშნული იდეა, როგორც ულოგიკო, დაუფარავი გაბრაზებით გახმოვანება-მოსმენისთანავე გაანადგურა: „შეშკოვსკის ეტყობა ეს რწმენა (ბოროტების სიკეთედ გარდაქმნის ზარანდიასეული გაგება – ა.ბ.) არ გააჩნდა, თორემ პუგაჩოვს და რადიშევს ჯერ ოცდაათ ვერცხლად გაჰყიდდა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიძიებდა მათ საქმეებს“.

აი, ზოგი მოსაზრება იმ „ზნეობის“ შესახებ, რომელმაც მუშნი ზარანდია გააბრაგებული ოჯახიშვილის საპირისპირო ასპარეზზე გაიყვანა, იმპერიულ სახელმწიფოსთან ერთად მის მადევრად და, საბოლოო ჯამში, მკვლელად აქცია.



თამარ ბუნაძე

ქართული მუზეუმი

„მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალების“ გაცნობა და მათი ფოტოების დათვალიერება ნაბისმიერ მსურველს შეუძლია ინტერნეტის წყალობით. რეიტინგი ყოველწლიურად იცვლება – ზოგს უმართლებს და მომდევნო წელსაც რჩება ათეულში, ზოგსაც მივიწყების ჩრდილი ფარავს და მეხსიერებიდან სწრაფად იშლება. მაგრამ არიან ლამაზმანები, რომელთაც დროის მდინარე ვერაფერს აკლებს, რადგან ისინი თავიანთ შემოქმედებაში უკვდავყვეს პოეტებმა და მხატვრებმა. ეს ქალბატონები მათი შედეგების ქართველი მუზეუმი არიან და რაოდენ სასიამოვნოა, რომ მათზე წერენ უცხოელები.

პუბლიკაციას „ქართველი მუზეუმი“, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ერთ-ერთ რუსულ საიტზე შემთხვევით წავაწყდი. შეიძლება ითქვას, ეს ოდაა ქართველ ქალებზე, მათ სილამაზეზე, ნიჭსა და გონზე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მისი თარგმნა და მკითხველისთვის შეთავაზება. იმედია, მას დიდი ინტერესით და სიამოვნებით გაეცნობა საზოგადოება.

საქართველო ოდითგანვე იყო ცნობილი როგორც ლამაზი ქალებისა და მუზეუმების ქვეყანა. „საქართველო – ეს ხორცშესხმული გალათეაა, ქალად გარდასახული“, – წერდა ალექსანდრე დიუმა.

ქართველი ქალის ნიჭი, ეს არა მხოლოდ მისი სილამაზე, არამედ მისი სათნოებაა. საუკ-

უნეების განმავლობაში ქართული პოეტური ტრადიცია მუზად აღიარებდა რუსთაველის თინათინს (თამარ მეფის სახეხას), როგორც მარადიული ქალურობის და ბუნების შეუცნობელი სილამაზის განსახიერებას. 1768 წელს, საქართველოში ყოფნის დროს, აბატი იოსებ დელაპორტი წერდა: „არაფერია აქაურ ქალებზე მშვენიერი. ამ მინას შეიძლება სილამაზის სავანე უწოდო. ძნელია წარმოიდგინო უფრო ლამაზი ნაკვთები, უფრო წერწეტი ტანი. ეს ლამაზი ქართველი ქალები, როგორც ჩანს, იმისთვის არიან შექმნილები, რომ უყვარდეთ და სხვებიც სიყვარულით დამუხტონ“.

ცოტამ თუ იცის, რომ ივან კრამსკოის პორტრეტზე „უცნობი ქალი“ ბარბარე თურქისტანიშვილია გამოსახული, ქართველი თავადის ქალი, იმპერატრიცა ელისაბედ ალექსის ასულის ფრეილინა. მისი ცხოვრება ტრაგიკულად წარიმართა. ბარბარე თურქისტანიშვილი ალექსანდრე I-ის ფავორიტი იყო და მალულად გააჩინა შვილი მარია. მაგრამ იმპერატორმა მისდამი ინტერესი დაკარგა და ყურადღება ახალ ფავორიტზე გადაიტანა.



ბარბარე თურქისტანიშვილი

თავადის ქალი ბარბარე თურქისტანიშვილი ცნობილი გვარის შთამომავალი გახლდათ. მისი ბაბუა საქართველოს მეფის, ვახტანგ VI-ის მრჩეველი იყო. რა თქმა, უნდა პორტრეტი იხატებოდა არა თავად ბარბარეს მონაწილეობით, არამედ მისი გამოსახულება იხატებოდა კამეადან, რომელიც ალექსანდრე I-მა მას აჩუქა მათი რომანის დასაწყისში. ბარბარე ალექსანდრე I-ზე ადრე გარდაიცვალა (1821 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მშობიარობის შემდეგ თავი მოინამლა).

XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისის ქართველი ლამაზმანების აღწერისას, რუსი ოფიცერი, დიპლომატი თედორე ტორნაუ აღნიშნავს, რომ მათ შორის „როგორც ორი ვარსკვლავი, ანათებდა ნინო გრიბოედოვა (ჭავჭავაძე) და მისი და ეკატერინე (სამეგრელოს თავადის დავით დადიანის მეუღლე)“. მემუ-



ეკატერინე ჭავჭავაძე

არისტი კორნელი ბოროზდინი წერს: „ორივე შესანიშნავი ქალბატონი იყო და თავბრუს ახვევდნენ მაშინდელ თბილისელ ახალგაზრდობას. თავად ალექსანდრე გრიბოედოვი თავის ცოლს „მადონას“ უწოდებდა იმ არამინიერი კეთილშობილებისა და სილამაზის გამო, რომელსაც მისი თვალები ირეკლავდა. ნინის ბრწყინვალე კონტრასტი იყო მისი და – იმპულსურობის, მხიარულების, მახვილგონიერების განსახიერება. ამასთან, მის თვალებში ცეცხლი ბრწყინავდა. მიხეილ ლერმონტოვმა ეკატერინე ჭავჭავაძეს ორი ლექსი მიუძღვნა:

...
 Она поет – и звуки тают,
 Как поцелуи на устах,
 Глядит – и небеса играют
 В ее божественных глазах;



ნინო ჭავჭავაძე

...ქართველი ლამაზმანი ანასტასია ორბელიანი თავადი ალექსანდრე გაგარინის ცოლი იყო, რომელიც ქუთაისის გუბერნატორად იყო დანიშნული. მათ ერთად ძალიან ცოტა ხანი იცხოვრეს, მხოლოდ 4 წელი. 1857 წელს ალექსანდრე გაგარინი სვანმა თავადმა კონსტანტინე დადეშქელიანმა მოკლა. მკვლეელი სიკვდილით დასაჯეს, თუმცა ამან ნაკლებად ანუგეშა ტასო. რამდენიმე კვირა ის არავის ელაპარაკებოდა და არ გამოდიოდა ოთახიდან, შემდეგ უცებ მიიღო გადაწყვეტილება, სამუდამოდ დაეტოვებინა კავკასია, რომელმაც მას საყვარელი მეუღლე წაართვა და გამგზავრებულიყო იმ ადგილებში, რომელიც მის მეუღლეს ძალიან უყვარდა – ყირიმში, ქუჩუკ-ლამბატის მამულში.

თავადის ქალ გაგარინას მას შემდეგ მამული არ დაუტოვებია, მან მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თითქმის 50 წელი იცოცხლა, თუმცა არ გათხოვილა. ადგილობრივ პარკში აიშენა პატარა სახლი, გრძელი კიბე, რომელიც სანაპიროზე გადიოდა, გააკეთა შემოვლითი ბილიკები და ბრძანა საფუძველი ჩაეყარათ ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიისთვის, სადაც მისი დანაბარებით, სიკვდილის შემდეგ დაკრძალავდნენ. მოხუცებულმა თავადის ქალმა, რომელსაც უკვე მოვლა სჭირდებოდა, თავისთან საცხოვრებლად მიიწვია არც ისე ახალგაზრდა ნათესავი ელენე თარხან-მოურავი. სამოცდაათი წლის ასაკში თავადის ქალი იწყებს ელეგანტური სასახლის მშენებლობას, რისთვისაც იყენებდნენ ყველაზე ძვირად ღირებულ უცხოურ სამშენებლო მასალებს – გერმანულ კრამიტს, ვენეციურ მინას, იტალიურ მარმარილოს, ფრანგულ იატაკის ფილებს... მაგრამ ის ვერ მოესწრო მშენებლობის დასრულებას – 1907 წელს გარდაიცვალა. სასახლე უკვე ელენე თარხან-მოურავის დროს მოაპირკეთეს, რომელსაც გაგარინამ თავისი არც თუ დიდი მემკვიდრეობა დაუტოვა. ელენე თარხან-მოურავი მამულის უკანასკნელი მეპატრონე იყო. 1921 წელს ქუჩუკ-ლამბატის ნაციონალიზაცია მოხდა.



ანასტასია ორბელიანი-გაგარინა

...ბარბარე შერვაშიძე, იგივე ბაბო, როგორც მას უწოდებდნენ, დაიბადა ლიხნში, აფხაზი თავადის, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ოჯახში. მისი პირველი ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა. განქორწინების შემდეგ ქუთაისიდან პეტერბურგს გაემგზავრა, იქ იგი იმპერატრიცა მარია ალექსანდრეს ასულის ფრეილინა და პრინცესა ევგენია ოლდენბურგელის (იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი და ჟოზეფინა ბოგარნეს – ნაპოლეონის ცოლის შვილთაშვილი) კომპანიონი გახდა. ერთხელ მეგობრებმა ბაბო საციგურაოდ მიიწვიეს, სადაც მისი ყურადღება ახალგაზრდა მოხდენილმა მამაკაცმა მიიპყრო. გაცნობა ქორწინებით დაგვირგვინდა. ბაბოს რჩეული ბარონი ალექსანდრე მეიენდორფი – ეროვნებით ბალტიისპირელი გერმანელი. დედის მხრიდან პეტრე სტოლიპინის – რუსეთის ყველაზე ცნობილი პრემიერ-მინისტრის ბიძაშვილი იყო. ბარონი, ისევე როგორც მისი ბიძაშვილი, აქტიურად იყო პოლიტიკაში ჩართული. იყო ორი მონვევის სახელმწიფო დუმის წევრი და მეოთხე მონვევის დუმის თავჯდომარის მოადგილე.



ბარბარე (ბაბო) შერვაშიძე

ოჯახი, ძირითადად პეტერბურგში ცხოვრობდა. ბაბო მეიენდორფი პეტერბურგელი გრანდ-ქალბატონის ცხოვრებით ცხოვრობდა. ბარონესას ნაცნობების წრეს რუსეთის იმპერიის მაღალი საზოგადოება წარმოადგენდა – ის ცეკვაავდა ალექსანდრე II-სთან, მეგობრობდა ალექსანდრე III-სთან, ესწრებოდა ნიკოლოზ II-ს უკანასკნელ მიმართვას დუმისადმი. ზაფხულში იგი მეუღლესთან ერთად ყირიმში გადადიოდა, მათ ფეოდოსიაში აგარაკი ჰქონდათ. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ მეიენდორფები ბალტიისპირეთში გადავიდნენ, ხოლო შემდეგ ინგლისში. ბარონი ლონდონის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, ხოლო ბარონესა თავისი მემუარების ხელნაწერებზე მუშაობდა. ბაბო მეიენდორფი 1946 წელს გარდაიცვალა. მას შემდეგ ბარონმა კიდევ 18 წელი იცოცხლა.

პოეტებს ყოველთვის იზიდავდა საქართველო და ვინ იცის, რა უფრო მეტად: ოქროს საწმისი თუ მკურნალი მედეა, დიპლომატიური

სამსახური თუ „წინანდლის ვარდი“? ლამაზი ქალი, გრიგოლ რობაქიძის აღიარებით, „ლეგენდის ნამსხვრევად“ რჩებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისშიც. ახალგაზრდა მხატვრებმა და პოეტებმა თბილისური სარდაფები ფანტასტიკურ კაფეებად გადააქციეს, სადაც დუდუკის და არღნის ხმაზე იმართებოდა ცხარე კამათი ხელოვნების შესახებ. ამ პერიოდის თბილისი პარიზს მოგაგონებდა, სადაც ლიტერატურის მფარველთა სალონები იზიდავდა ფუნჯისა და კალმის, მუსიკისა და თეატრის ახალგაზრდა ნოვატორებს.

თბილისში ქართველი მუზები ამეტყველებდნენ იმათ გულებს, ვინც რევოლუციისა და ომის გრიგალმა რუსეთის იმპერიის განაპირას გადაისროლა. მხატვარ საველი სორინს ქართველი ქალების პროფილები „ლამაზი ხაზებით“ ტილოებზე გადაჰქონდა, მშვენიერი ქალბატონები – მუზები და პოეტესები – „მეფობდნენ“ სერგეი გოროდეცკის „პოეტების საამქროში“ და თბილისის სხვა ლიტერატურულ-სამხატვრო სალონებში. ქართველი სიმბოლისტების შემოქმედების ლაიტმოტივი იყო აჩრდილისებრი, მიუღწეველი სიყვარულის თემა, სამყაროს ირეალურობა. „ცისფერყანწელების“ პოეზია იქცა ახალი მითოლოგიის კაშკაშა განთიადად, ხოლო კოლომბინა (ასე მას პაოლო იაშვილმა უწოდა) იყო წინა მაცაშვილი. იგი ითვლებოდა ტიცინან ტაბიძის მუზად. თხელი, სათუთი, პოეზიაზე შეყვარებული, გულწრფელი და თავგანწირული წინა ყველგან სიყვარულით სარგებლობდა.

მხატვარმა სერგეი სუდეიკინმა, რომელიც პოეტური კაფე „ქიმერიონის“ კედლებს ხატავდა, ერთ-ერთ კომპოზიციაში მოაქცია მისი მეუღლე, მშვენიერი ვერა, რომელიც მადონას თეთრ სამოსელში ასახა, და წინა მაცაშვილი – კოლომბინას სახით, მათ გვერდით კი ესპანური ჩაცმულობით დახატა პოეტები პაოლო იაშვილი და ტიცინან ტაბიძე.

მშვენიერი თამარ ყანჩელი ბალმონტისთვის იყო ერთ-ერთი ის „სულიერი მოკავში-

რე“, რომელმაც რუსი პოეტის ყურადღება რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნისკენ“ მიაპყრო. მისმა ნაადრევმა გარდაცვალებამ ბალმონტი სულის სიღრმემდე შეძრა:

Для меня опустела Картвелия
Мой светильник погас, догорев.
Для кого же принёс Руставели я,
Облачив его в русский напев.

მე-20 საუკუნის პირველი ათწლეულები ნოვაციებით იყო დახუნძლული და მგზნებარე ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც – ყველაფერი დუღდა, ყველაფერს აფასებდნენ აღმატებით ხარისხში. ილია ზდანევიჩი ღმერთს ევედრებოდა: „Дай найти мне любовь среди исканий, очаруй, увлекая, пьяня“. ფუტურისტ ვასილი კამენსკის აღმოხდა: „Я звал её кавказской ланью и пел чаруйно ей стихи“. ეს „აღმატებითი ხარისხები“ ეხებოდა თავადის ქალს სალომეა ანდრონიკაშვილს (დედამისი იყო პოეტ ალექსეი პლეშჩეევის ნათესავი). იგი იყო იმ ეპოქის ერთ-ერთი სილამაზით ცნობილი ქალბატონი, განთქმული ჭყუით, მომხიბვლელობით, მახვილგონიერებით. მისი მეგობრების რიცხვში იყვნენ იმ დროის ცნობილი პოეტები და მხატვრები, ტიცინან ტაბიძე და პაოლო იაშვილი მის ალბომში ჩანანერებს აკეთებდნენ. 18 წლის ასაკში სალომეა მშობლებთან ერთად პეტერბურგში გაემგზავრა. ცოტა ხნის შემდეგ იგი ცოლად გაჰყვა რუს ვაჭარს ანდრეევს და მოიკაზე დაქირავებულ სახლში შექმნა საკუთარი ლიტერატურული სალონი. ცნობილია სალომეას პორტრეტი, შესრულებული სერგეი ჩეხონინის მიერ 1916 წელს. ახალგაზრდა სალომეას მშვენიერი პორტრეტი შექმნა პეტროვ-ვოდკინმა (შემდეგ ანდრონიკაშვილმა იგი ტრეტიაკოვსკის გალერეას უსახსოვრა). პეტერბურგში სალომეა მეგობრობდა პოეტებთან ახმატოვასთან და მანდელშტამთან. ანა ახმატოვამ მას თავისი კრებულები „Чётки“ და „Белая стая“ აჩუქა შესაბამისი წარწერით. ოსიპ მანდელშტამმა უკვდავყო სალომეა ლექსში: „Соломинка“ კრებულიდან „Tristia“ და „მადრი-

გალში“: „Дочь Андроника Комнена, Византийской славы дочь!“

ყირიმში, სადაც სალომეა 1917 წლის ზაფხულში ისვენებდა, მხატვარმა ვასილი შუხაევმა დახატა პეტერბურგელი ლამაზმანის პორტრეტი. რევოლუ-



სალომეა ანდრონიკაშვილი

ციის შემდეგ სალომეა კვლავ თბილისში აღმოჩნდა, სადაც იგი შეხვდა ზინოვი პეშკოვს (მაქსიმ გორკის აყვანილ შვილს), რომელმაც დაიყოლია იგი პარიზში წასვლაზე. ასე აღმოჩნდა თავადის ქალი, ლიტერატურული ქალბატონი და საზოგადოების სული ემიგრაციაში, სამშობლოსგან შორს. პარიზში იგი მუშაობდა ვოჟელის მოდების ჟურნალში. 1921 წელს სალომეას პორტრეტი დახატა მხატვარმა ბორის გრიგორიევმა. მან იგი გამოსახა ფართოფარფლიანი შლაპით და ხაზი გაუსვა მისი ნუშისებრი თვალების გამჭოლ და იდუმალ მზერას, რომელსაც ახმატოვამ ლექსი მიუძღვნა: „Дарьяльских глаз струится нежный свет“. პარიზში მან გაიცნო ცნობილი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი, ხვდებოდა ილია ზდანევიჩს, რომელსაც ჯერ კიდევ თბილისიდან იცნობდა. ეს ნაცნობობა შემდეგ პეტერბურგში გაგრძელდა. ზდანევიჩი მუდამ გატაცებული იყო მისით. იგი ითვლებოდა ნიგნის გამოცემის კარგ მცოდნედ და სალომეას ანდობდა ყველა სიახლეს მისი შემოქმედებითი ცხოვრებიდან. სალომეა პარიზში ასევე მეგობრობდა მარინა ცვეტაევასთან. იგი მორალურად და მატერიალურად ედგა მხარში პოეტესას. ცვეტაევამ სალომეას უწინასწარმეტყველა: „თქვენ ყოველთვის ეყვარებით სუსტებს, ძლიერებისადმი სუსტების მიზიდულობის ბუნებრივი კანონის თანახმად“.

1925 წელს სალომეა ადვოკატ გალპერინის ცოლი გახდა და ცოტა ხნის შემდეგ საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა, სადაც მისი მეუღლე ინგლისის საელჩოში მსახურობდა.



მელიტა ჩოლოყაშვილი

სალომეას ახლო მეგობარი იყო მელიტა ჩოლოყაშვილი – პაოლო იაშვილის მუზა. მელიტა გატაცებული იყო მუსიკით, პოეზიით, ცეკვით, ენების შესწავლით. თბილისში მას ლიტერატურული სალონი ჰქონდა, აწყობდა საღამო-

ებს. მელიტა იყო პოეტური შეხვედრების მონაწილე „ფანტასტიკურ დუქანში“ და „ფარშევანგის კუდში“. იგი კარგად იცნობდა მწერალ გრიგოლ რობაქიძეს და პოეტ იოსებ გრიშაშვილს, რომელმაც მას ლექსი მიუძღვნა. ლიზა ორბელიანთან (ლერმონტოვის „დემონის“ მთარგმნელი ფრანგულ ენაზე) გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე მელიტამ გაიცნო სერგეი რახმანინოვი. იგი ალექსანდრე ყანჩელის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, სადაც იმართებოდა იმპროვიზებული საღამოები: მღეროდა ბრწყინვალე ვანო სარაჯიშვილი, თამარ ყანჩელისთვის მიძღვნილ ლექსებს კითხულობდა ბალმონტი:

Мы встретились с тобой на
Радостной тропе,
Но был уж поздний час,
И были пламенны, но богомольно
строги
Изгибы губ твоих и зовы чёрных
глаз

მელიტას პირველი ქმარი იყო კონსტანტინე ზელენსკი, აზნაური, რომელიც პეტერბურგში ადვოკატურით იყო დაკავებული. იგი ასევე იყო მწერალი და ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას. 1918 წელს მელიტა დახატა

მხატვარმა საველი სორინმა, რომელიც თბილისში ყირიმიდან ჩავიდა. აქ მხატვარი მიიზიდა ქართველი თავადის ქალების სილამაზემ და აღმოსავლურმა გრაციათ. იგი არ ხატავდა შეკვეთით, მხოლოდ შთაგონებით მუშაობდა.

თბილისში მელიტას ხატავდა ახალგაზრდა ზიგმუნდ ვალიშევსკი, შემდგომში განთქმული პოლონელი ფერმწერი (პორტრეტები ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდში). 1922 წელს მელიტა ჩოლოყაშვილი გაემგზავრა საფრანგეთში, ემიგრაციაში.

მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში სილამაზით კიდევ ერთი მუზა – ელისო დადიანი ბრწყინავდა. ელისო საუბრობდა რამდენიმე ევროპულ ენაზე, იყო განათლებული და ნაკითხი. დადიანების სახლი სტუმარმოყვარეობით იყო ცნობილი. იქ იკრიბებოდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რუსი მხატვრები: ს. სორინი, ს. სუდეიკინი, ი. შარლემანი. ცნობილია ელისოს პორტრეტი, რომელიც სორინმა დახატა. მხატვარმა შექმნა მისი რომანტიკული სახე ანტიკურ სამოსელში: სურათი ისეთ ქალურობას ასხივებს, რომ უნებლიეთ პუშკინის სიტყვები გახსენდება:



ელისო დადიანი

„Чистейшей прелести чистейший образец“.

1922 წელს ელისო დადიანი ოჯახთან ერთად საფრანგეთში ემიგრაციაში გაემგზავრა. პარიზში მან გაიცნო ინგლისელი დიპლომატი არნოლდ ზარბი და მალევე გაჰყვა მას ცოლად.

მხატვარმა სორინმა უკვდავყო კიდეც ერთი ქართველი ლამაზმანი – მერი შერვაშიძე. მერი შერვაშიძე-ერისთავი (1890-1986) გენერალ-მაიორის თავად პროკოფი შერვაშიძის (აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ბიძაშვილი და იმპერატრიცა მარია თედორეს ასულის სახლის მმართველის გიორგი შერვაშიძის ნათესავი, რომლის შესახებაც ამბობდნენ, რომ ქვრივ იმპერატრიცასთან სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფებოდა) ქალიშვილი გახლდათ. თავადი პროკოფი შერვაშიძე რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრი იყო, ამიტომ ოჯახი პეტერბურგში ცხოვრობდა. მერი და მისი და თამარი, ასევე ლამაზი ქალბატონი, ყოველთვის იყვნენ პეტერბურგის საზოგადოების ყურადღების ცენტრში. თამარი ცოლად გაჰყვა გრაფ პეტრე ფონ ზარნეკაუს, ხოლო მერი – გიორგი ერისთავს, იგივე ერისტოვს (1875-1947), რომლის დიდი ბაბუაც იყო მეფე ერეკლე მეორე. თავადის ქალი იმპერატრიცა ალექსანდრა თედორეს ასულის ფრეილინა იყო. ნიკოლოზ II-მ, რომელიც აღფრთოვანდა მისი სილამაზით, ერთხელ ახალგაზრდა ფრეილინას უთხრა: „ცოდვია, იყოთ ასეთი ლამაზი“.

სამი დღით ადრე, სანამ მერი შერვაშიძე ქუთაისში ჯვარს დაინერდა გუცა (გიორგი) ერისთავზე და ახალგაზრდები პარიზში გაემგზავრებოდნენ, გალაკტიონ ტაბიძემ მას დაუწერა და გაუგზავნა ლექსი „მერი“:

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი,
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა.

ლექსზე „მერი“, რომელიც მაშინვე იქცა ქრესტომათიულად, პოეტის თანამედროვე მოგვითხრობს: „იმ დღეს გალაკტიონი მხიარული იყო, ხმამაღლა და გადამდებად იცინოდა და

წვერზე ხელს ისევამდა. ამ კეთილგანწყობით ვისარგებლე და ვკითხე, მართლა თუ არსებობდა ასეთი ქალი, მერი? გალაკტიონი დიდხანს იყო მდუმარე, მას, როგორც ჩანს, რაღაც აკავებდა, ხოლო შემდეგ თქვა,



მერი შერვაშიძე

რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი გაცილებით უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე თვითონ, რადგანაც იგი მუდამ ეკატერინე ჭავჭავაძის წრეში ტრიალებდა, ხოლო მას ესეც კი არ ჰღირსებია. მერი შერვაშიძე, რომელიც იმპერატრიცა ალექსანდრა ფიოდოროვნას ფრეილინა იყო, ერთხანს ქუთაისში, ბარონესას სახლში ცხოვრობდა და უნდა გითხრათ, რომ ეს სახლი ჩემთვის ქაჯეთის ციხესავით იყო“.

1921 წელს მერი შერვაშიძის ოჯახი ბათუმიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა. პარიზში იგი კოკო შანელთან მოდელად მუშაობდა. მოხუცი მერიც კი ლამაზ ქალად ითვლებოდა.

...დაახ, იყვნენ საქართველოში მშვენიერი ქალბატონები! მიუხედავად ომისა, რევოლუციისა, გაურკვეველი მომავლის შიშისა, ამ ახალგაზრდა ქალბატონებს, პიროვნებებს, ჰქონდათ საინტერესო ცხოვრება, პოეტებს მათ მიმართ კეთილად განაწყობდნენ მოსმენის, შეფასების და შთაგონების უნარით და, რაც მთავარია, მუდამ და ყოველთვის ინარჩუნებდნენ ქალურობას. მათი, რომანტიკით შეპყრობილი ცხოვრების სტილში, ისევე, როგორც წყლის წვეთში, აისახა მემამბოხე ეპოქის რბოლა, რომელმაც ეს ახალგაზრდები თავიანთ ნიჭიერებით, განშორებისა და ემიგრაციის ორომტრიალში მოაქცია. თუმცა ისინი – მუზეები და მათი თაყვანისმცემლები, რომლებიც მგზნებარენი იყვნენ მეგობრობაშიც და შემოქმედებაშიც, ცხოვრობდნენ, ქმნიდნენ და უყვარდათ...

ოთარ კობოლიშვილი კაქა მაკარაძე

სამართალწარმოება ბათუმის ოლქში

1878 წელს რუსეთის იმპერიამ შექმნა ბათუმის ოლქი, რომელიც ჩაერთო იმპერიის ცხოვრებაში. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხო მართლმსაჯულებას. რუსეთმა აქ შემოიღო მართლმსაჯულების რუსული სისტემა, თუმცა რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა მაჰმადიანი იყო, სამართლიანობის ზოგიერთი მუსლიმანური (თურქული) ინსტიტუტი ძალაში დატოვა.

აღსანიშნავია სიტყვიერი სასამართლოების უფლებები და მოვალეობები, რომელიც დაამტკიცა კავკასიის ჯარების მეთაურმა, გენერალ-ადიუტანტმა სვიატოპოლ-მირსკიმ. ამ დებულების თანახმად ბათუმის ოლქში მოქმედებდა სიტყვიერი სასამართლოები, რომელთაგან ექვსი საუბნო სიტყვიერი სასამართლო იყო, კერძოდ: 1) კინტრიშის, 2) გონიოს, 3) ქვედა აჭარის, 4) ზემო აჭარის, 5) არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის, 6) ართვინის. რაც შეეხება უმაღლეს სასამართლოს, ეს იყო ბათუმის ოლქის უმაღლესი ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, მთავარი სასამართლო.

საუბნო სიტყვიერი სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვრებოდა შემდეგი წევრებით: თავმჯდომარე, უბნის ხელმძღვანელი, სამი დეპუტატი, ყადი და შტატიანი მწერალი.

დეპუტატებს მოსახლეობა ირჩევდა სამი წლის ვადით. არჩეული დეპუტატები თანამდებობაზე მტკიცდებოდნენ კონკრეტული ოკ-

რუგის ხელმძღვანელთა მიერ. სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ტარდებოდა ახალი არჩევნები. ხოლო რაც შეეხება ყადს და შტატიან მწერალს, ისინი ირჩეოდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ და მტკიცდებოდნენ იგივე წესით, როგორც დეპუტატები.

ექვსი საუბნო და ართვინის ოკრუგის სასამართლოები განიხილავდნენ მხოლოდ იმ დავებს, რომლებიც წარმოიშობოდა ართვინისა და მისი ოკრუგის მცხოვრებთა შორის. ეს სასამართლოები წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს. ბათუმის ოლქის მთავარი ანუ უმაღლესი სასამართლო წარმოადგენდა მეორე ინსტანციის სასამართლოს, ხოლო ბოლო ინსტანციას წარმოადგენდა კავკასიის სამეფისნაცვალს სამოქალაქო ნაწილის უფროსი. მას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მიეწოდებოდა გასაჩივრებული საქმეები, რომელსაც თან ერთვის ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის განსაკუთრებული აზრი (ასე უწოდებდნენ მის მოხსენებით ბარათს).

პირველი ინსტანციის ანუ საუბნო სიტყვიერი სასამართლოების კომპეტენციას განეკუთვნებოდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები. ხოლო ისეთი საქმეები, რომლებიც შეეხებოდა ქორწინებას მუსლიმანებს შორის, დავას მეუღლეებსა, მშობლებსა და შვილებს შორის, განეკუთვნებოდა შარიათის წესების განხილვას, ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთ საქმეებს ყადები განიხილავდნენ სიტყვიერ სასამართლოებში. [1]

საქმეები პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში, როგორც წესი, მიმდინარეობდა ზეპირად და საჯაროდ. დახურული სხდომა

იმართებოდა ისეთ საქმეებზე, რომლებიც შეეხებოდა საოჯახო ურთიერთობებსა და ქალთა საკითხებს, მათზედ გადაწყვეტილება მიიღებოდა ხმათა უმრავლესობით. საინტერესო ის იყო, რომ გადაწყვეტილებები მიიღებოდა ადგილობრივ ადათებზე დაყრდნობით, მაგრამ სასჯელის გამოტანისას, სასამართლოებს უნდა ეხელმძღვანელათ იმპერიის საერთო კანონებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები არ ჩაითვლებოდა საბოლოოდ და შესაბამისად არ ხდებოდა აღსრულება თუ: 1) თავმჯდომარე არ ეთანხმებოდა სასამართლოს წევრების აზრს, 2) თუ ბრალეულს მიესჯებოდა 14 დღეზე მეტი ან დაეკისრებოდა ჯარიმა 50 მანეთამდე და ასეთ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმებოდა ერთი მხარე, 3) თუ ერთ-ერთი მხარე ან სასამართლოს თავმჯდომარე არ დაეთანხმებოდა იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღებოდა შარიათზე დაყრდნობით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვიერი სასამართლოების კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა საქმეები, რომლებიც ეხებოდა უძრავ ქონებას და რუსეთის იმპერიის სამოქალაქო სამართლის ზოგიერთი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს.

გარდა ზემოთხსენებული სასამართლოებისა, არსებობდა აგრეთვე სასოფლო სასამართლოები ანუ „მეჯლისები“. მეჯლისი განიხილავდა მხოლოდ ისეთ საქმეებს, რომლებიც ეხებოდა ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას, ხოლო ისეთი სასამართლო საქმეები, რომელთა ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა არამაჰმადიანი მოსახლეობა, განეკუთვნებოდა მხოლოდ იმპერიის საერთო სასამართლოების პრეროგატივებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთის იმპერიის მესვეურებმა, ბათუმის ოლქის ძირეულ მოსახლეობად მიიჩნიეს ის ხალხი, რომლებიც არ გადავიდნენ საცხოვრებლად თურქეთში ბერლინის კონგრესის მიერ (შედგა 1878 წლის ივლისში) გათვალისწინებულ სამწლიან ვადაში. ამავე დროს, სომხები და ბერძნები, რომ-

ლებიც თურქეთიდან გადმოვიდნენ ბათუმის ოლქში და დასახლდნენ სოფლებში (ამათგან ზოგს ჰქონდა ნებართვა, ზოგს კი არა), ითვლებოდნენ თურქეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომებად მიუხედავად იმისა, რომ მათი გვარები შეტანილი იყო 1886 წელს რუსეთის იმპერიის მიერ შედგენილ ბათუმის ოლქის საოჯახო სიებში. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დავებს, რომლებშიც მხარეებს თუ მხარეს წარმოადგენდა პირების ეს კატეგორია, უნდა განხილულიყო სიტყვიერი სასამართლოების მიერ. [2]

ბათუმის ოლქის მთავარი ანუ უმაღლესი სასამართლო განიხილავდა მხოლოდ პირველი ინსტანციის (იგივე სიტყვიერი სასამართლოების) სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ამავე დროს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება არ ითვლებოდა საბოლოოდ: 1) თუ საქმე ეხებოდა სასამართლოს წევრების მიერ ჩადენილ დანაშაულს, 2) იმ სამოქალაქო საქმეებს, როცა სასარჩელო მოთხოვნა აღემატებოდა სამი ათას მანეთს, 3) როცა საქმე განიხილებოდა შარიათის წესებით და თავმჯდომარე არ ეთანხმებოდა ყადის გადაწყვეტილებას.

მთავარი ანუ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების აპელაცია ეგზავნებოდა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსს. ამ აპელაციას თან უნდა დართოდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის განსაკუთრებული აზრი. კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსის გადაწყვეტილება იყო საბოლოო მხარეებისთვის და შესასრულებლად სავალდებულო. [3]

გამოყენებული წყაროები

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 234, აღწ. საქ. 45, ფურც. 20.
2. იქვე, ფურც. 35.
3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. I-82, აღწ. 1. საქ. 108, ფურც. 8-9.



სიზონ პოპიციძე

მუჰაჯირობა კირნათის თემის სოფლებში

ხალხთა გადაადგილებას ყველა ეპოქაში ჰქონია ადგილი. გამონაკლისს ამ მხრივ არც საქართველო და შესაბამისად აჭარა წარმოადგენდა, რომლისთვისაც მიგრაციის თემა არასდროს ყოფილა უცხო. XIX საუკუნეში კავკასიის სხვადასხვა რეგიონებიდან ოსმალეთში გადასახლების დიდმა ტალღამ იფეთქა, რაც ისტორიოგრაფიაში განსხვავებული ტერმინით – მუჰაჯირობა – დამკვიდრდა და ასე იწოდება ეს მოვლენა დღესაც. მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და სამშობლოდან სხვა მხარეში იშულებით წასვლას, გადასახლებას ნიშნავს. თავისი შინაარსით მუჰაჯირობა გულისხმობს უპირველეს ყოვლისა მუსლიმანი მოსახლეობის ძირითადად იძულებით და არა ნებაყოფლობით გადაადგილებას თავისი საცხოვრებელი ადგილიდან.¹

თურქთა დაახლოებით 300-წლოვანმა ბატონობამ აჭარაში, მათ შორის ბათუმის ოლქზე და საზღვრისპირა სოფლების მუჰაჯირობამ გააჩანაგა ეროვნული კულტურა, ეკონომიკა, ხალხის სულიერი სამყარო. მოსახლეობას შეუცვალეს სარწმუნოება, ქართული გვარები და სახელები. საბოლოო ანგარიშით აჭარა და განსაკუთრებით კირნათისა და მარადიდის,

მისი მოსაზღვრე სოფლები მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა თურქეთში მაჰმადიან ქართველთა გადასახლების პროცესმა. მუჰაჯირობის სახელით ცნობილი ამ მოვლენის გააქტიურებას დიდად შეუწყო ხელი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა, რომლის შედეგადაც სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული რეგიონები კვლავ დაუბრუნდა დედამამშობლოს.

ცნობილია, რომ 1879 წლის 27 იანვარს სტამბოლში დადებული ტრაქტატის საფუძველზე მუჰაჯირობის ოფიციალური ვადებიც იყო დამტკიცებული 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე. შემდგომში ეს ვადა 1884 წლამდე გააგრძელეს. თუმცა ეს მტკივნეული პროცესი არც შემდეგ შეწყვეტილა.

სამწუხაროდ ამ რეგიონის გამაჰმადიანებული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, იმის შიშით, რომ ახალი ხელისუფლება მათ ძალით გააქრისტიანებდა და დაიმონებდა, მშობლიური მიწა-წყლიდან აიყარა და თურქეთის სხვადასხვა პროვინციებში გადასახლდა. ამ პროცესის გააქტიურებას მნიშვნელოვანწილად უწყობდნენ ხელს თურქების მიერ საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში მიზანმიმართულად შემოგზავნილი სასულიერო პირები და აგენტები. ისინი რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილ მოსახლეობაში ადვილად პოულობდნენ დასაყრდენსა და მხარდაჭერას. დწერეთლის აზრით, ოსმალეთში მაჰმადიან ქართველთა გადასახლების მიზეზთაგან უმთავრეს და არსებით როლს პირველ ყოვლისა სწორედ სასულიერო წოდების წარმომადგენლები ასრულებდნენ. ისინი მასახლეობას არწმუნებდნენ იმასი, რომ ადამიანი, რა გინდ „კეთი-

¹ ი. ბარამიძე. საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ., 1999, გვ.

ლი მუსულმანიც არ უნდა ყოფილიყო“, თუ იმ ქვეყანაში დაიმარხებოდა, რომელიც „გიაურს ეკუთვნოდა, მაშინ ის არ ცხონდებოდა, როგორც გიაური“.²

ი. ბარამიძის აზრით, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომთან დაკავშირებული მუჰაჯირობის მიზეზების ახსნისას აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: მოსახლეობის მუჰაჯირობაში წასვლაზე გადამწყვეტი სიტყვა თქვა რუსეთის იმპერიის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ, რომლის შინაარსაც წარმოადგენდა: მუსლიმანთა ტრადიციული ცხოვრების ნორმების უგულვებელყოფა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება (ომგადახდილ მოსახლეობაზე გადასახადების შეწერა, ადგილობრივი მოსახლეობის დაუსაქმებლობა და ა. შ.), ცარიზმის მოხელეების თავაშვებულობა და ა. შ.³

რაში სჭირდებოდა ოსმალეთის იმპერიას მოზღვავებული რაოდენობა მუჰაჯირებისა? მ. სვანიძის აზრით, „ოსმალეთის მთავრობა დაინტერესებული იყო ქართველი და საერთოდ, კავკასიელი მუჰაჯირების თურქეთში ჩასახლებით. ამ დროს მცირე აზიის მოსახლეობა ძალზე შეთხელებული იყო ომებისა და ეპიდემიების შედეგად... ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა მომთაბარე თურქი ტომები გადაეყვანა ბინადარ წესზე. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, მათ გვერდით ასახლებდნენ ქართველებს, რომლებიც ოდიტგანვე მისდევდნენ ინტენსიურ სოფლის მეურნეობას. ოსმალეთის მმართველი წრეები იმედოვნებდნენ, რომ ქართველების სამეურნეო კულტურა, გარჯა და მიწის სიყვარული კარგ მაგალითს მისცემდა მომთაბარე ტომებს და ხელს შეუწყობდა მათ გადასვლას ცხოვრების ბინადარ წესზე და აღძრავდა მათში მიწის დამუშავებისა და სოფ-

ლის მეურნეობის წარმოების სურვილს“.⁴

მაჭახლელებმა (მაშინ აქ შემოდინდნენ კირნათის სოფლები: გვარა, ნაკირნათევი, კირნათი, შუშანეთი, კობალეთი, მეელე, ოლაური) 1879 წელს იწყეს გადასახლება ანუ მუჰაჯირობაში წასვლა. ეს სოფლები ისე დაცარიელდა ხალხით, რომ რუსეთის მთავრობამ აქ უფროსის სამმართველო გააუქმა და მაჭახელი ზედა აჭარას შეუერთა. დღეს მაჭახელში მხოლოდ 700 კომლიდა ითვლება. როცა გადასახლების წინ ამ ხეობაში 1500 კომლი ყოფილა, ე.ი. მუჰაჯირობაში 800 ოჯახი წასულა. ამოდენა მხარის სოფლები სულ ვერანად ქცეულა. გაოხრებულა სოფლები, სახლები. მის მნახველს გულს ცეცხლი ედებოდა – გადმოგვცემდა ზ. ჭიჭინაძე.⁵

მუჰაჯირობამ თითქმის მთელი „სამაჰმადიანო საქართველო“, ანუ თურქთა ბატონობის ქვეშ მოქცეული ის ქართული რაიონები მოიცვა, რომლებიც რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დედამამშობლოს დაუბრუნდა. მუჰაჯირობა იყო საქართველოს დიდი ტრაგედია, რის შედეგადაც ათასობით ქართველი აჭარიდან, ჭოროხის მხრიდან, სამცხე-საათაბაგოდან, ჯავახეთიდან და სხვა კუთხეებიდან მოწყდა მშობლიურ მიწა-წყალს და თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში გადაიხვეწა.

ბერლინის ხელშეკრულებით, ქართველ მუსლიმანებს უფლება მიეცათ 3 წლის განმავლობაში 1879-1881 წლების ვადაში მუჰაჯირად წასულიყვნენ. თურქმა მოხელეებმა ხელშეკრულების გაფორმებამდე მოსახლეობა ძალდატანებით გარეკეს ოსმალეთში. ისინი აგიტაცია-პროპაგანდის მეშვეობით მოსახლეობას სულს უხუთავდნენ: რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა არ შეიძლება, რადგან თქვენ მუსლიმანები ხართო, ვინც აქ დარჩება, იგი სამოთხეში ვერ შევაო. ხოჯები და მოლები ქადაგებდნენ რელიგიის მოტივებით: რუსები

² ვ. ნიკოლეიშვილი. ავ. ნიკოლეიშვილი და „ოსმალის საქართველო“, ჟურ. მაჭახელი, 2011, 5, გვ. 17; დამონმებულია: დროება, 1879, 37.

³ ი. ბარამიძე. საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გვ. 76-77.

⁴ მ. სვანიძე. ქართველები თურქეთში, თბ., 1996, გვ. 8.

⁵ გ. კალანდია. მაჭახელი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ჟურნ. მაჭახელი, ბათ., 2009-2010, გვ. 15.

თქვენ ციმბირში გადასახლებენ, ქონებას წაგართმევენ, ცოლს წამუსს ახდიან, ბავშვებს გააქრისტიანებენ, რელიგიას მოგისპობენ, ქალებს აღწერენ, რუსეთში წაიყვანენ და იქედან სამაგიეროდ მოგიყვანენ „რუსულ ქალებსო“.⁶

ზ. ჭიჭინაძეს თავის წიგნში „ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში“ გადმოცემული აქვს ბევრი მაგალითი იმ გაჭირვების შესახებ, რაც განიცადა გადასახლებულმა მოსახლეობამ. ერთ-ერთი აჭარელი მუჰაჯირი თავის ძმას წერდა: „ძმავო რეჯებ, ღმერთის ნებით იყოს, რომ შინ დაგვიბრუნდე. ქალ-ბაღანას პური არა აქვთ, ტანთ არაფერი აცვიათ, ფარა არა გვყავს, გვიშველეთ რაიმეთი. ჩვენ სულ კვდებით შიმშილით და სიცივით. ჩვენი ქვეყანა კარგია, აქეთ ნუ მოხვალთ, ჩვენი თხოვნა ეს არისო“.⁷ მსგავსი წერილი არაერთი გამოუგზავნიათ მუჰაჯირობაში წასულ ქართველ კაცს.

ბერლინის ხელშეკრულებით სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას უფლება ფქონდა თურქეთში გადასახლებისა. სარგებლობდნენ რა იმით, მონინალმდევე ელემენტები – ვაჭრები და მოხელეები კიდევ უფრო აღიზიანებდნენ ხალხს, რომ წასულიყვნენ და მათი ქონება და მიწები ხელში ჩაეგდოთ. მუჰაჯირების ქონებასა და მიწას ყიდულობდნენ ჩალის ფასად. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ბათუმის ოლქიდან მუჰაჯირობაში წასულა 10-15 ათასი კაცი, თანაც მხოლოდ, ამ გადასახლებების პირველსავე წელს. საერთოდ ტრაქტატით გათვალისწინებულ ვადაში ბათუმის ოლქიდან წასულა 38 ათ. მცხოვრები. მაჭახლის ხეობის ზოგმა სოფელმა დაკარგა მოსახლეობის 40%, ზოგი სოფელი მთლიანად გავერანაბლდა. გაზეთ დროების მონაცემიდან ჩანს, რომ ამ ტრაგედიას ბოლო არ უჩანდა: „ბათუმიდან გვაცნობეს, რომ ამ დღეებში მაჭახლიდან ჩამოსულა 200 მოსახლე, რომლების ტრაპიზო-

ნის გემს უცდიდნენო. „საცოდაობა იყო ამათი ნახვაო, მშიერ-მწყურვალე დედა-კაცები და ბავშვები რამდენიმე დღე ეყარნენ ზღვის ნაპირას და გემს ელოდებოდნენ“. ამ მოვლენას აბრალებენ ადგილობრივ ბეგს სული-ბეგსო, რომელიც თვითონ იყო ადრე გასახლებული, ახლა ჩამოვიდა და არია ხალხიო.

ტრაპიზონის იქით უნიემდე დასახლებულან აჭარლები, მაჭახლელები, რა თქმა უნდა კირნათ-მარადიდელებიც და ძალიან ცოტა ქობულეთლები. ეს ადგილებია: თირიბოლე – 800 სული, პირესინი – 500 სული, ორდუსა და უნიეში ძალიან ბევრი დასახლებულა, უფრო კი უნიეში 4000 სული. სულ გადასახლებულთა რიცხვი დერვის ფაშას მიერ, ძალით გაყვანილი თუ მერე ნებაყოფლობით წასულთა რიცხვი 788 არის, რაც ტრაპიზონის ახლო-მახლოა. ამას გარდა ჭანეთსა და ტრაპიზონის გარშემო გაფანტულები ბევრი არიან. ისინი განიცდიდნენ უსახლობას, ავადმყოფობას და სიღარიბეში ცხოვრობდნენ. ძალიან ბევრს ყმანვილები, დედ-მამა, ან ქმარი დახოციათ. საერთოდ ძალიან მწუხარებაში არიან და ნანობენ გადასახლებასო. მოგვიანებით ისინი გაასახლეს თურქეთის რაიონებში.⁸

ერთ-ერთი ცნობით, მაჭახლელები მუჰაჯირები აჭარის სხვა რაიონების მოსახლეობასთან ერთად თავდაპირველად დაუსახლებიათ დღევანდელი თურქეთის შავიზღვისპირა ქალაქებში – თირიბოლში, გირესუნში, ორდუსა და უნიეში. აქედან მოხდა მუჰაჯირთა გასახლება თურქეთის სხვადასხვა პროვინციებში. მუჰაჯირთა მრავალი სოფელი გაჩნდა ბურსის მახლობლად, ინეგოლის რაიონში. მაჭახლისა და კირნათის მცხოვრებლები კომპაქტურად დასახლებულან სოფელ ჰაირიეში. ეს ფართომასშტაბიანი გადასახლება თურქეთში უნდა მომხდარიყო 1878 წელს.

ადგილობრივ კირნათელთა გადმოცემით, ნაკირნათევის პირველმა მოსახლემ შააბაზ

⁶ ხ. ახვლედიანი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1987, გვ. 186-188.

⁷ Газ. «Тифлиский вестник», 1879, №184.

⁸ ნ. კახიძე. მუჰაჯირი ქართველები, ჟურნ. მაჭახელი, ბათ., 2012-2013, გვ. 14.

ჯიხაძემ 1914 წელს გაყიდა აქაურობა და გაიქცა თურქეთში.

მუჰაჯირად წავიდნენ ნაკირნათევიდან წითელაძეები, ჯიხაძეები, შუშანიძეები, ფოთელიძეები ჩარჩამბაში და სხვაგან. ზოგიერთი მათგანის ოჯახი უკან დაბრუნდა 1921 წლამდე. როცა ისინი აქ დაბრუნებულან მიწასთან იყო გასწორებული ყველაფერი, სახლები გადაეწვით და ბოსელ-ნალიებიც.

ქ-ნი ნათელა წითელაძე-კახაბერიძის გადმოცემით: ბაბუაჩემი, ლათინური ენის მასწავლებელი ისმაილ წითელაძე ოჯახით 1914 წელს წავიდა თურქეთში, ორდუში. დაბრუნდნენ 1916 წელს. სახლ-კარი გადამწვარი დახვდათ. იგი გარდაიცვალა 1965 წელს 85 წლის ასაკში. მუჰაჯირობაში იმავე დროს წასულან წითელაძე შუქრის, მუსტაფის, ოსმანის ოჯახები, რომლებმაც იქ დაყვეს 4 წელს. ზურაბ (მუხამედ) წითელაძის გადმოცემით (დაბ. 1938) 1914 წელს მუჰაჯირობაში წასულან წითელაძეები: მოლან ზაინი, მოლა ხასანი, მოლა აამედი. ამედის შვილიშვილი ხუსეინი ახლაც ადარბაზარში, სოფ. ნურიოს მანში ცხოვრობს. ინერება ხასან გუნაი. ხასანის გადმოცემით, თურქეთში ბევრი წითელაძე არის, მაგრამ სხვადასხვა ადგილზე.

აბაშიძე ხასან შუბანის ძის გადმოცემით 1914 წელს მუჰაჯირად წასულა ყველა აბაშიძე: შებანი, ხელილი, ჰაჯერი, ინფორმატორის ბებია გულსუნი და სხვები, სულ 14 სული; მათგან დაბრუნებულა მხოლოდ 4, დანარჩენი დაღუპულა. გადასახლებაში იყვნენ ტრაპიზონში, შეასახლეს თურქეთში რეპრესირებული სომხების ბინებსა და სახლებში. ამავე წელს (1914) წავიდა ჰაჯომერი, მისი შვილები: ოსმანი და ჰურიე. ჰაჯომერი გარდაიცვალა თურქეთში, შვილები დაბრუნდნენ.

1928 წელს თურქეთში, სამსუნში წასულა ხელილ აბაშიძე. თან ახლდნენ 2 ქალიშვილი, ვაჟი იქ შეეძინა, 1930 წელს. შთამომავლები იქ ცხოვრობენ. ხასან აბაშიძის გადმოცემით თურქეთის ადგილობრივი ხელისუფლება პროპაგანდას

ენეოდა: აშინებდნენ კირნათის მოსახლეობას გიაურები (რუსები, ყაზახები) მოვლენ და ქალბალანას მთლად გაჟლიტავენო. თურქებმა ჩეთე შექმნეს და გადაწვეს იმათი სახლები, ვინც წასული იყო მუჰაჯირობაში. ადგილზე დარჩენილებს, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ და არც მათ სახლებზე ხელი არ უხლიათ.

კახაბერიძე მერაბის (დაბ. 1954 წ.) გადმოცემით, კირნათელ კახაბერიძეთა წინაპრების 3 შტოს წარმომადგენლები ცხოვრობენ თურქეთში: ურანოლლები, კამაჯები და ოზტაშები:

ერთი შტო (ურალოლლები) ბინადრობენ ქალაქ ტრაპიზონში, ახლოს მდებარე სოფელშიც, რომელიც მსგავსია ჩვენი აჭარელი კახაბერიძეების ბუდე სოფლისა კობალეთისა. ამათი მოდგმისა არის რამდენიმე ათეული ოჯახი.

მეორე შტო არის კამაჯები. მათგან გამოირჩევა ჯემალ კამაჯი ევროპის ჩემპიონი ბოქსში, მსოფლიოს პრიზიორი. ამჟამად ცხოვრობს სტამბოლში. ამათი მოდგმისა არის დაახლოებით 40 ოჯახი.

მესამე შტო ოზტაშები, თუ იუსტაშები სტამბოლთან ახლოს ადაბაზარში ცხოვრობენ. ესენიც ბევრნი არიან.

ურალოლლები (კახაბერიძეები) მუჰაჯირად თურქეთში სიდექსარში 1877 წელს (ურალოლლების გადმოცემით 1875 წ.) წავიდნენ. სოფელი სიდექსარი 45 კმ. მანძილითაა დაშორებული ქალაქ ტრაპიზონს. მათი ნამრავლია ტრაპიზონში, ანკარასა და იზმირში. ამ შტოს უფროსის სულეიმანის (რომელიც თურქეთში გადასახლდა) შვილი ილიასი თურქეთის ჯარში მსახურობდა. 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის პერიოდში, რუსების მიერ უძველესი ქართული ქალაქის ტრაპიზონის დაკავებისას იგი დაიღუპა. მისი შთამომავალი ტურანი ტურალოლი ამჟამად მუშაობს სოფლის მეურნეობის განვითარების მენეჯერად ანკარის ერთ-ერთ ბანკში.

1879 წელს მუჰაჯირად წასულა მთელი სოფელი. მათ შორის ქესუმოლლები... ისინი რუსების შიშით გაიქცნენ. ქესუმოლლები წავიდ-

ნენ თურქეთში, მაგრამ როცა დანყნარდა ყველაფერი, ისინი დაბრუნებას აპირებდნენ. ამ მიზნით მათ შვილი გამოგზავნეს, მაგრამ სახლი დამწვარი დახვდა, რის გამოც მინა გაყიდა და ისევ დაბრუნდა თურქეთში.

1914 წელს მუჰაჯირობაში წასული გზიდან დაბრუნდა ქოსეფენდოლი მემედი, ხოლო თავისი 4 ძმა მამასთან ერთად წავიდნენ. როცა მოსულა მის მამულში სახლი დამწვარი დახვედრია. ვარაუდია ასეთი, რომ იგი რუსებს კი არ დაუნვაავთ, არამედ მოსულ მოხუციგნო ელემენტებს. მემედმა პატრონობა გაუნია მეელეს ტერიტორიაზე არსებულ სამ სახლს, რომელთა მცხოვრებლები მუჰაჯირობაში წასულიყვნენ. ესენია: ხასან გაბიტაძის, იბრაიმ მუთეველოლის (თამაზ ცინცაძის) სახლები.

ამავე წელს მუჰაჯირობაში წასულა უსუფ ფოთელიძის მამის ხუსეინის ოჯახიც, ყარალა დიდმანიძის ოჯახი. ჯემალ დიდმანიძის გადმოცემით, დედამისი ფიქრიე იხსენიებდა, რომ 1915 წლის მუჰაჯირობისას 2-3 წლის ვიყავი, როცა ხუსეინბიძას კესერზე ვიყავი შემომჯდარი. თან გვახლდნენ დედ-მამაც.

ქემალ შუშანიძის მოთხრობით (დაბ. 1946 წ.) მისი ბაბუა მემედი შუშანიძე და მისი ძმა შერიფი (დაბ. 1914 წ.) ოჯახით წასულან მუჰაჯირობაში, ჩერჩამბეში. ბაბუაჩემს მემედს (დაბ. 1867 წ.) წაუყვანია ცოლი ჯევაილი ალის ასული კახიძე (დაბ. 1870 წ.). 1921 წელს ისევ დაბრუნდნენ გვარაში ბაბუას გარეშე, რომელიც იქ გარდაიცვალა. ბაბუას კიდევ ჰყოლია 2 ძმა ახმედი და შაჰ-ისმაილი.

თურქეთში, ბურსის ვილაეთში, ინეგოლში მცხოვრები ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმაძის) გადმოცემით, 1888 წელს მისი წინაპრები მაჭახლის ხეობიდან წამოსული ხალხის თოხუმიანა. ისინი თავდაპირველად მოსულან ისტანბულში. რამდენიმე წელს გემებზე ცხოვრობდნენ. შემდეგ ისინი მისულან ფადიშაჰთან და უთქვამთ, რომ ჩვენ გურჯის მუჰაჯირები ვართ და საცხოვრებელი ადგილი გვინდაო. სულთანს უთქვამს ბურსას მი-

დამოებში გამოძებნეთ ადგილებიო. ჩვენს წინაპრებს ამ მხარეში მოუძებნიათ ადგილები, დაბლობ ადგილებში კოლოები ყოფილან და იმიტომაც იქ არ დასახლებულან. ბოლოს ისინი ჩიქუნეთის მსგავს ადგილებზე დარჩენილან საცხოვრებლად, შემდეგ აქედან აყრილან და 60 ოჯახით სტამბოლში წასულან. ისინი ჩიქუნარები, ჩხუტუნარები, მილისელნი და კირნათელნი იყვნენ. ხალხი უბნებით დასახლებულან. 100 წლის შემდეგ 60 კომლი 530 ოჯახი გამხდარა. ხეირიდან (მაჭახელი) სხვაგან წასულებიც ბევრი არიან.

„ეს სელიმ ძიაი კირნათელია, ცინცაძეები არიან. დედა ჰყავს აკრიიდან. ესაა ალიბეგი მაიროღლია. მაჰირაი ყარალა ცინცაძეა, კირნათელი. შეიძლება არიან ცინცაძეები თქვენსა, მაგრამ კირნათელები არიან. გვინდა ვნახოთ ეს, კირნათელების უბანში ზიან... აქ არის სელიმ სერთი. თურქეთის მარადიდშიც არიან სერთოღლები“.⁹

თურქეთში მაჭახლიდან 60 ოჯახი მოსულა, 1887-1888 წლებში, დიდი მუჰაჯირობის დროს. მათ შორის ისეთი გვარებიცაა, რომლებიც ჩვენი აზრით, შეიძლება კირნათელი იყოს: აბაშიძე, გურგენიძე, ჯინჭარაძე და სხვა.¹⁰

თურქეთში მცხოვრები სხვა ჩვენებურების გადმოცემით, საბანჯეში ბევრი კახაბერიძე ცხოვრობს, ერთი მოლოგნიძეც იყო. სხვათა განმარტებით: „ჩემი დედი აჭარიდან ამოსულია, მუსლიმან გურჯია. მურადოღლები არიან ჩუენი. შოთაძე არიან ბათუმში, კირნათში ზიან... მუსტაფა დედის ხანუმი ცოცხალი ყოფილა. დიდნენი ცოცხალი ყოფილა. შარშან აქა ნუნუი გადმოიდა. დიდნენეს გამუუგზავნია: ართვინა გეხვიდე, ჩემი მაზლიო, აპმედიო, მელეგოღლი ნახეო“...¹¹

1878 წელს რუსი შემოვიდა, მაშინ ქედის მაზრის უფროსი იყო თუფან-ბეგ შერვაშიძე.

⁹ შ. ფუტყარაძე. ჩვენებურების ქართული, I, ბათ., 1993, გვ.340

¹⁰ იქვე, გვ. 346.

¹¹ იქვე, გვ. 143, 322.

მაშინ კირნათი ქედის მაზრაში შედიოდა, ხოლო ოღლაური მარადიდის მაზრაში. კირნათიდან ქედის მაზრაში ყადად (მოსამართლე) იყო ქოსეფენდოლი (ცინცაძე, მუთველოლები) ახმედეფენდი.

ახმედეფენდი 1930-1935 წლებში წავიდა კირნათიდან თავისი შვილებით. ერთი შვილი მემედ ცინცაძე დარჩა აქ. ახლა მისი შვილები აქ ცხოვრობენ. ყადის შთამომავლობა ცხოვრობს თურქეთის ქართულ ზონაში; წავიდნენ ცინცაძეებიც (კლაიჯოლები). წავიდა 3 ძმა, ხოლო 2 აქ (კობალეთში) დარჩა.

1893 წელს მაჭახლისა და ნიგალის ხეობიდან გადასახლებულნი: გვარადან – 40 ოჯახი, ქედქედიდან – 35, ჭანივრიდან – 30, საფუტკრეთიდან – 35, მაჭახლისპირიდან – 20, კირნათიდან – 30. ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს, რომ მთელი მაჭახელი დაიცალა მოსახლეობისაგან. აქ ცხოვრობდა 30 ათ. კაცზე მეტი, ხოლო გასახლების შემდეგ 700 ირიცხებოდა.¹²

1914 წელს ცინცაძე ზივერი (დაბ. 1907 წ.) თავის ოჯახთან ერთად მუჰაჯირობაში წავიდნენ სოფელ ეშმაში, საფანჩესთან ახლოს. იქ ყოფნის დროს მამამისი ხუსეინი გარდაიცვალა და თურქეთშია დაკრძალული. იქედან დაბრუნდნენ დედა 4 შვილთან (3 ვაჟი და 1 ქალიშვილი) ერთად. ზივერის ვაჟიშვილის ზურაბ ცინცაძის გადმოცემით, მამამისი ძმებში უფროსი იყო.

სამშობლოში დაბრუნებულებს კობალეთში სახლი დამწვარი დაუხვდათ. გამგზავრების წინ ტყეში მიტოვებული საქონელი არ დახვდათ (ერთი მენველი თავად წაიყვანეს). ნალია გადარჩენილიყო და ამიტომ მასში შევიდნენ საცხოვრებლად მთელი ოჯახი.

ზივერის ბიძა მოლა ხასანი და მამიდა იქ თურქეთში დარჩნენ. მოლა ხასანი იქ დაოჯახდა და მისი შთამომავლები ამჟამადაც ეშმაში ბინადრობენ. ამჟამად მათგან დარჩენილა ერთი ვაჟი მუსტაფა და 4 თუ 5 და. მუსტაფასაც

ჰყავს 5 შვილი, მათგან 2 ვაჟი და 3 ქალიშვილი. ყველა დაოჯახებულია; ისინი ჩაბმული არიან ბიზნესში.

წითელაძე მუსტაფი (ახმედ-ამირანის მამა) მუჰაჯირობაში წავიდა ოჯახით 1914 წელს. თან ჰყავდა 4-5 წლის ბიჭი ახმედი (მომავალი კოლმეურნეობის თამჯდომარე). ისინი შეჩერდნენ ორდუში. ორდუდან 3-4 კმ. მოშორებით, მთისკენ. მათ მისცეს დიდი ტერიტორია (დაახლ. 15 ჰექტარი) შემოღობილი ქვემოთ. ტერიტორიაზე განფენილი იყო თხილის ნარგავები, მოდიოდა საუკეთესო წყაროს წყალი, აგებული იყო სახლი, წისქვილი და სახელოსნო.

ერთი სიტყვით მუსტაფას ოჯახი აქ კარგად მოეწყო, დაიწყეს ცხოვრება, მაგრამ ბაბუას გული სამშობლოსკენ უძგერდა – გადმოგვცემს რევაზი წითელაძე. იგი ხშირად კითხულობდა ბათუმისა და კირნათის ამბებს. მათ აქ გაატარეს წელიწადნახევრამდე დრო.

ამასობაში (1914-15 წლებში) რუსებმა კირნათის უძრავ-მოძრავი ქონებისა და მოსახლეობის აღწერა დაიწყეს. როცა ჯერი მუსტაფას სახლზე (ორსართულიანი, პირველი ქვისა, მეორე ხის) მიდგა, რუსებმა იკითხეს ვისიაო. ადგილობრივებმა უპასუხეს რუსები არ უნდოდან და გაიქცნენო. გასცა ბრძანება დაწვითო.

მუსტაფი, როცა დარწმუნდა მის ოჯახს საფრთხე არ ემუქრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა სახლის დაწვის ამბავი, იგი მაინც წამოვიდა სამშობლოში. ლოგინები, საბნები, მუთაქები შეკრა და ურმით ჩამივიდა ორდუში, ხოლო შემდეგ გემით გონიოში ჩამოვიდნენ. ბარგი-ბარხანა გადააწყეს ნავებზე და ჭოროხში აღმა კირნათისკენ წამოვიდნენ. შემდეგ ბარგი ცხენს აკიდეს და წითლათურში ავიდნენ. მეორე დღეს მათ ფაცხა გააკეთეს და იმაში შევიდნენ, შემდეგ სახლიც ააგეს და ასე განაგრძეს ცხოვრება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წითელაძე მუსტაფის მამა, იგივე ახმედის (ამირანის) ბაბუა ახმედ წითელაძე იყო მუსლიმანური სკოლის პირველი მასწავლებელი.

¹² ზ. ჭიჭინაძე. ქართველთა მამადიან დიდი გადასახლება ოსმალეთში, თბ., 1914, გვ. 137-138.



ანდრო ლორთქიფანიძე

პალიასტომისა და ტომაშეთის ეტიმოლოგია

(ციკლიდან: ტომონიმები და ხალხური
ლეგენდები მათი სახელების შესახებ)

პალიასტომის ტბა მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, ქალაქ ფოთთან. ეს ტბა ფართობის (17, 3 კვ. კმ.) სიდიდით მესამეა საქართველოს ტბებში, როგორც აღნიშნულია „საქართველოს სსრ გეოგრაფიის ქრესტომათიაში“ (შ. გოგატიშვილი, 1986 წ.).

ამ ჩემს ნაშრომში განვიხილავ პალიასტომისა და ტომაშეთის (სოფელი შუახევის რ-ში) სახელწოდებების ეტიმოლოგიის საკითხს. დავინყოთ პალიასტომით:

პალიასტომის შესახებ არსებობს როგორც ხალხური ეტიმოლოგია, ასევე მეცნიერულიც. ხალხური ლეგენდის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი ქართველი მწერალი ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) თავის ცნობილ მოთხრობაში „პალიასტომის ტბა“: „ეხლა რომ ტბაა, იმ ადგილას უნინ, თურმე, ხმელეთი იყო. ზედ ხალხი იდგა და ამ ხალხს „პავლიას ტომს“ ეძახდნენ. ერთ დღეს ხმელეთმა ძირს დაინია, ერთ ადგილას მიწა გაირღვა, უცბად წყალი ამოვარდა დედამიწიდან და მთელი სოფელი დაფარა. აქაური ხალხიც და ყოველივე სულდგმული დაირჩო. მხოლოდ ერთმა დიაკვანმა მოასწრო, გაიტაცა მთავარანგელოზის ხატი,

აიტანა ჯუმათის მთაზე და იქ შემდეგ ამ ხატს ეკლესია აუშენეს. ეს დიაკვანიც, გვარად დარჩია, დეკანოზად დააყენესო. ჯუმათის მთაზე ეკლესია (მონასტერი) დღესაც არსებობს. ხალხი, გვარად დარჩია, დღესაც ცხოვრობს სოფელ ჯუმათში და ბევრი მათგანი სასულიერო წოდებისაა, მაგრამ ლეგენდაში მოყვანილი ამბავი რამდენად მართალია, ამისი კი რა მოგახსენოთ. პალიასტომის ტბა უფრო მის მახლობლად მდებარე მთებიდან მონანრეტსა და დაბლობში შეგროვებულ წყალსა ჰგავს, მინამ მიწისძვრისაგან ამონახეთქსა, თუმცაღა შეუძლებელი კი არც ამ უკანასკნელშია რამე“.

რა თქმა უნდა, ცნობილი მწერალი ლეგენდის მართებულობის შესახებ ეჭვს გამოთქვამს და გარდა ამისა აყენებს ლოგიკურ და მეცნიერულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „პალიასტომის ტბა უფრო მის მახლობლად მდებარე მთებიდან მონანრეტსა და დაბლობში შეგროვებულ წყალსა ჰგავს, მინამ მიწისძვრისაგან ამონახეთქსა“.

როგორც ეტიმოლოგიური ძიება სახელწოდებისა და მონათხრობი შ. გოგატიშვილის მიერ შედგენილ წიგნში პალიასტომის ტბის წყლის სიმტკნარე და მასში მტკნარი წყლის თევზების დიდი რაოდენობით არსებობა მანამდის, სანამ თვითონ ტბამ ზღვისგან გამოსაყოფი ხმელეთის ზოლი არ გაარღვია და არ გაიმლაშა ზღვის წყლით პალიასტომის ტბის წყალი, რამაც გამოიწვია მტკნარი წყლის თევზების შემცირება – ყოველივე ეს ადასტურებს პალიასტომის ტბის წყლის ხმელეთის წყლებით დატენვას ანუ შეგროვებას.

რაც შეეხება პალიასტომის ტბის წყლის გამლაშებას, მას ილია აფხაზავა ასე აღგვიწერს: „პალიასტომის ტბა შავ ზღვასთან დაკავშირე-

ბულია მდინარე კაპარჭინით, რომელიც ტბის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან იწყება, პარალელურად გაუვლის მის დასავლეთ ნაპირს და დასაწყისიდან მეცხრე კილომეტრზე შეერთვის ზღვას. ქვიშის სერი, რომელიც კაპარჭინას ტბიდან გამოყოფს, ტბის წყლებმა ორ ადგილას გაარღვია და ტბიდან მდინარისაკენ უფრო მოკლე გზა ნახა. 1933 წლის დეკემბერში ტბის წყალმა გაარღვია ქვიშის ზვინული, რომელიც კაპარჭინას ზღვისგან გამოყოფდა და ტბა უშუალოდ შეუერთდა ზღვას. ამ არხის გაჩენამ ძლიერ შეცვალა ტბის წყლის მარილიანობა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მანამდე ტბის წყალი წლის განმავლობაში ცვალებადი მარილიანობით ხასიათდებოდა. წვიმების დროს წყალი მტკნარდებოდა, ხოლო გვალვების დროს მლაშდებოდა. არხის გაჩენის შემდეგ ტბაში ხდება ზღვის მლაშე წყლის შემოჭრა, განსაკუთრებით დასავლეთის ქარების დროს, რაც ტბის წყლის მარილიანობის ძლიერ გაზრდას იწვევს (შ. გოგატიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 80).

როგორც ილია აფხაზავა აღნიშნავს, „პალიასტომი თევზით მდიდარი ტბაა. მასში ცხოვრობს ორმოცამდე სახეობის თევზი, რომელთაგან სარენაო მნიშვნელობა ჰქონდათ მტკნარი წყლის თევზებს – ფარგას, კობრას და კაპარჭინას. დიდი სარენაო მნიშვნელობა ჰქონდა კეფალს. მტაცებელი თევზებიდან აქ ბევრი იყო ლოქო და ქარიყლაპია, რომელსაც ადგილზე წერს ეძახიან. უკანასკნელ 4-5 ათეული წლის განმავლობაში თევზის რაოდენობა ტბაში ძლიერ შემცირდა, რაც გამოიწვია ზღვის წყლის შემოჭრამ და ტბის წყლის გამარილიანებამ. თევზის სახეობათა რაოდენობა ტბაში იკვივა, რაც წინათ იყო, მხოლოდ მნიშვნელოვნად შემცირდა მტკნარი წყლის თევზის რაოდენობა. ახლა დგას საკითხი ამ ტბის ხელოვნურად გამტკნარებისა და მისი პროდუქტიულობის აღდგენისა“ (იქვე, გვ. 80).

რა თქმა უნდა, ჩემი ნაშრომის მიზანი არაა პალიასტომის ტბის წყლის თვისებასა და მისი

თევზის სარენაო მნიშვნელობასა თუ სხვა საკითხების შესახებ მსჯელობა, მაგრამ რამდენადაც ეს საკითხები უკავშირდება სახელწოდება პალიასტომის ეტიმოლოგიას, ამდენად საჭიროდ ჩავთვალე მათ შესახებ შ. გოგატიშვილის წიგნიდან ციტატების მოტანა.

ახლა კი სახელწოდება პალიასტომის ეტიმოლოგიის შესახებ. ამ საკითხზე მეცნიერული ეტიმოლოგია შ. გოგატიშვილის მიერ შედგენილ წიგნში გვხვდება ილ. აფხაზავას ნაშრომში „პალიასტომი“. მართალია, ეს ეტიმოლოგია მეცნიერული თვალსაზრისით თითქოს დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ ბერძნული ენის მიხედვით იხსნება და უფრო მსგავსების შედეგადაა აღმოცენებული, ვიდრე რეალურ საფუძველზე. ამაზე ქვემოთ მექნება მსჯელობა და ახლა მოვიტან ილ. აფხაზავას ეტიმოლოგიას, რომელიც – როგორც აღვნიშნე – ზედაპირულად არ გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეს მაინც არ შეესატყვისება: „ქალაქ ფოთთან, იქ, სადაც შავ ზღვას დასავლეთ საქართველოს უდიდესი მდინარე – რიონი ერთვის, ზღვის პირს მიტმასნებია პალიასტომის ტბა. ზღვისგან იგი ორ კილომეტრამდე სიგანის ქვიშის ზოლითაა გამოყოფილი. როგორც ფიქრობენ, ეს ტბა წარსულში შავი ზღვის უბეს წარმოადგენდა, მხოლოდ ისტორიულ პერიოდში გამოიყო იგი იმ ნალექების დაგროვების შედეგად, რომელიც ზღვაში მდინარე რიონს შეჰქონდა და ახლაც შეაქვს. იმასაც ფიქრობენ, რომ ოდესღაც ამ უბეში თვითონ რიონი ჩაედინებოდა. აქედან უნდა წარმოდგებოდეს მისი სახელწოდებაც – „პალეო“ ანუ „პალეოს“, რომელიც „ძველს“ ნიშნავს ბერძნულად, ხოლო „სტომა“ – „პირს“ – „შესართავს“ (პალესტომი – ძველი შესართავი).

რა თქმა უნდა, იმის უარყოფა, რომ პალიასტომი ისტორიულ წარსულში შავი ზღვის უბე უნდა ყოფილიყო, სწორი არ იქნება ჩემი მხრიდან. შესაძლოა მდინარის შესართავიც ყოფილიყო აქ, თუმცა ამ ვარიანტში მაინცდამაინც დარწმუნებული არ ვარ და უფრო

სარწმუნოდ მიმაჩნია, რომ მდინარე რიონი, ალბათ, მის გვერდით ჩაედინებოდა შორეულ წარსულშიც, როგორც ამჟამად და მისი ჩამოტანილი ქვიშა ზღვის ღელვის დროს და საერთოდაც გვერდით გადაჰქონდა მდინარისა და ზღვის წყალს ურთიერთ შეხებისას და ჭიდილისას, რომლითაც ზღვის მხრიდან ანუ დასავლეთიდან თანდათანობით ორი კილომეტრის სიგანის ნაპირით ანუ აჭარულ-გურული დიალექტური სიტყვით ოროკით (შდრ.: ოროკო – „მინა ბაქან-ბაქნად მოვაკებული“ – საბა; ოროკი-ი – „(თ. ორუქ? ქ. – აჭ.) ხელოვნურად ან ბუნებრივად დასაფხურებულ-დაკიბერებული (დატერასებული) სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი. ოროკის კედელი შეიძლება შემაგრებულიყო ქვა-ყორით, მონწული ღობით ან ძელით. ოროკი ჩვეულებრივ გამოყენებული იყო დაქანებულ, „კაპან ადგილებში“; ოროკნალი – ადგილის სახელია მაჭახლის ხეობაში, – შ. ნიჭარაძე; ოროკი-ი – „(გურ.) ნარიყალი ნიადაგი, სახნავ-სათესი მიწა“ – ალ. ლლონტი) უნდა გამოყოფოდა ზღვას პალიასტომი სანაპირო ქვიშიან-სილიანი ოროკით. სხვათა შორის, გურიაში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ზღვისპირა კურორტი ურეკი, რომელიც, ცხადია, სიტყვისაგან ოროკი-ი უნდა იყოს წარმომდგარი. ქართულ ენაში, გარდა სიტყვისა ოროკი, დასტურდება სიტყვის ფორმები ურაკი ანუ ურაკპარაკი, რომლებსაც სულხან-საბა ასე განმარტავს: „ურაკპარაკი – საჩინო წარსავალი ადგილი, გინა უბანი, გინა თეატროთა ზედა წარჩინებულთა სადგომი“. ჩემი აზრით ურაკ-პარაკი-ი კომპოზიტი უნდა იყოს და პარაკი უნდა მომდინარეობდეს სიტყვისგან ბარაკი-ი („(ფრ.) ხის სახელდახელო ნაგებობა (დროებით საცხოვრებლად)“ – ქეგლი). როგორც ჩანს, ყრუ კ-სთან მჟღერი ბ დაყრუვდა პ-დ. თუმცა ასევე არის ფრანგული წარმომავლობის მეორე სიტყვაც პარკეტი-ი („ფრ. სხვადასხვა ფორმის პატარ-პატარა ფიცრებით დაგებული იატაკი“ – ქეგლი). მართალია, ბარ-აკი-ი და პარკ-ეტი-ი ფრანგული სიტყვებია, მაგრამ სა-

წარმოო ფუძეძირები ბარ || პარ ქართულია და ხის სემანტიკური მნიშვნელობით არაერთ ქართულ სიტყვებში გამოიყოფიან: ბარ-ი, ბარ-ულ-ა („ბოსტნეულის საოშავი იარაღი“ – ქეგლი), ბარ-ცაკ-ალ-ი („ხის საწოლის ნაწილი: თავთან გარდიგარდმო გეზად დაყენებული ფიცარი თავის მისადებად (ბალიშის მისადებად) – სასთუმალი“- ქეგლი), ბარ-ქ-ამ-ი („პატარა გობი“... ქეგლი), ბარ-ტყ-ი („...პ. ხის ძირის ამონაყარი ან გამონაზარდი მთავარი შტოს გვერდით“- ქეგლი), ბარ-ჯ-იკ-ი („რისამე გასამაგრებლად შეყენებული კაპიანი სარი, ბოძი, – ბიგა, ლარძაყინი“... შ. ნიჭარაძე), ბერ-კეტი-ი, პარ-კ-ი, პარკ-ოსანი, პარ-მ-ალ-ი („აივანი, დერეფანი“ – ქეგლი)... მართალია, ზოგი იფიქრებს, რომ ქართული სიტყვა პარკი ინგლისური წარმომავლობის სიტყვის მსგავსად – პარკი-ი („1. დიდი ბალი, რომელშიც მონყობილია ხეივნები, ყვავილნარები... ქეგლი) ხეს მატერიალურად არ გულისხმობს, მაგრამ, ჩემი აზრით, ხის ქერქს უნდა გულისხმობდეს, რადგან თავდაპირველ პარკებს ანუ კალათებს (რუსული კარზინკას ანალოგიურს) ჩვენი წინაპრები ხის ქერქისაგან და ხე-მცენარისგან ქსოვდნენ, ალბათ.

ასე რომ, თუ ორ-ოკი-ი და ურ-ეკი-ი (სულხან-საბა ურაკს არ განმარტავს და მიუთითებს ურაკპარაკზე, რომელსაც განმარტავს) მიწის ტერასებია, როგორც ბუნებრივად დაოროკებული, ასევე ხელოვნურად, ხოლო ურაკპარაკი თეატრის პარტერის უკანა კიბის საფეხურებივით თანდათან რიგრიგობით ამალღებული სკამების საჯდომები ან ძელსკამებია ელიტისათვის ანუ „წარჩინებულებისთვის“.

ამრიგად, პალიასტომის ზღვისპირა ნაპირი ანუ ოროკი მდინარე რიონის მიერ ჩამოტანილი სილა-ქვიშაა. მილიონი წლების განმავლობაში შეყრილ-შეზვინული შავი ზღვის მიერ ღელვის დროს. ასეთი ქვიშის შეყრა-შემალღება ახასიათებს აგრეთვე ქალაქ ბათუმის ზღვის-პირა პარკის სანაპიროს ზღვის ღელვის შედეგად, რის გამო ამ პერიფერიაზე ბოლო

30-40 წელია მოხდა ქვიშა-ქვიანი სანაპიროს ამალღება-გაგანიერება და ზღვამ რამდენიმე მეტრით უკან ჩაიწია. ყოველ შემთხვევაში 40 წლის წინათ მე აქ რომ დავდიოდი საბანაოდ, სანაპირო ზოლი ანუ პლაჟი ასე ფართო არ იყო. ასე რომ, პალიასტომის ტბამ, როგორც ჩანს, ავდარში, ლელვის დროს, გაარღვია სანაპირო ზოლი მდინარე კაპარჭინას კალაპოტამდე და შემდეგ ზღვამდეც არხით ანუ სრუტით შეუერთდა შავ ზღვას, რამაც მისი წყლის გამარილიანება გამოიწვია და გამარილიანებამ კი მტკნარი წყლის ძვირფასი სარენაო თევზების შემცირება. ისე კი, როგორც ილ. აფხაზავა მიუთითებს, პალიასტომის ტბას ზღვასავით ძლიერი ლელვა ახასიათებს, ვინაიდან ეს ტბა დაბლობში მდებარეობს და არა მაღალი მთა-ქედებით შემოზღუდულ დუბე-ღრმულში, განსაკუთრებით ზღვის სანაპირო დასავლეთის მხრიდან, საიდანაც ქრიან დასავლეთის ქარები. ამის შესახებ ილ. აფხაზავას მოაქვს ეგნატე ნინოშვილის მოთხრობიდან „პალიასტომის ტბა“ ციტატა: „თითქოს შავ ზღვას უმზითვებია ამ პატარა თავისი ნათესავისათვის შფოთიანობა, გახელება, ადამიანის მტრობა, როცა ქარი ამოიჭრება, პალიასტომიც გაშავდება, გაპირკუპრიანდება, წამოიქოჩრება, პირზე თეთრ ღრუბელს მოიყენებს და ცასა და ქვეყანას ჩაყლაპავს უპირებს ეს პატარა ვეშაპი“. ეგ. ნინოშვილის ამ დახასიათებას ილ. აფხაზავა დასძენს, რომ „მართლაც დიდებულად არის ნათქვამი“ და მას თავის მხრივ ასე აქვს აღწერილი პალიასტომის ტბის ლელვიანობის მიზეზი: „პალიასტომი წყალმარჩხ ტბათა რიცხვს მიეკუთვნება. მისი მაქსიმალური სიღრმე სამ მეტრამდე აღწევს, რის გამო ტბის მნიშვნელოვანი ნაწილი წყლის მცენარეულობით იფარება. ტბის ზედაპირის მნიშვნელოვანი ფართობი, მისი სიღრმე, ნაპირების სრულიად დაუნაწევრებლობა და დაუცველ დაბლობზე მდებარეობა განსაზღვრავენ დიდი ლელვის განვითარებას ტბაზე. ტბის ეს დამახასიათებელი თვისებაც არ გამოორჩენია ეგ.

ნინოშვილს“. მართლაც ეგ. ნინოშვილმა თავისი მოთხრობის „პალიასტომის ტბის“ შესაქმნელად გამოიყენა ტბის ლელვიანობის თვისება მოთხრობის ტრაგიკული ფინალისათვის, როცა მამა-შვილი ივანე და ნიკო ტივის გადაცურებისას აღელვებული პალიასტომის ტალღებში ჩაიხრჩვენ. მართლაც დიდი მწერალია ეგ. ნინოშვილი – „ჩვენი ქვეყნის რაინდის“, „გოგია უიშვილის“, „ქრისტინეს“, „პალიასტომის ტბის“, „ჯანყი გურიისა“ და სხვათა ავტორი (დაიბადა 1859 წელს, გარდაიცვალა 1894 წელს). თქვენ წარმოიდგინეთ 35 წლის სიცოცხლის მოკლე მანძილზე რამდენი შედეგრი შექმნა ამ ქლექით დაავადებულმა და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებულმა უნიჭიერესმა მწერალმა. აი, როგორ ახასიათებს ეგ. ნინოშვილის შემოქმედებას დიდი ქართველი პედაგოგი და მწერალი იაკობ გოგებაშვილი: „ნინოშვილი ბუნებით დაჯილდოებული იყო ნამდვილი ხელოვნური, მხატვრული ნიჭით და ამ ნიჭის ბეჭედი ცხადად აზის ყველა მის მოთხრობასა, ამავე დროს ეს მოთხრობები სავსენი არიან ხალხის სიბრალულით, თანაგრძობითა, სიყვარულით, გაჟღენთილი არიან ნამდვილი დემოკრატიზმით“.

გთხოვ მაპატიო, მკითხველო, მეცნიერული თემისგან ლიტერატურულ თემაზე გადახვევა, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ მე ამ ნაშრომის დაწერა შთამაგონა სწორედ ეგ. ნინოშვილის მოთხრობამ „პალიასტომის ტბა“. გარდა იმისა, რომ უცრემლოდ ვერ ვკითხულობ „პალიასტომის ტბის“ ფინალს მამა-შვილის ტრაგიკულად დაღუპვისას სტიქიასთან ბრძოლაში, სწორედ დიდი მწერლის მეცნიერულმა და ლოგიკურმა დაკვირვებამ პალიასტომის ტბის ბუნებრივი წარმომავლობის შესახებ, რომ „პალიასტომის ტბა უფრო მის მახლობლად მდებარე მთებიდან მონაწრეტსა და დაბლობში შეგროვებულ წყალს ჰგავს, ვიდრე მიწისძვრისგან ამოხეთქილს“ – მომცა ბიძგი პალიასტომის ეტიმოლოგიისათვის მას შემდეგ, რაც გ. ელიავას მეგრულ-ქართულ

ლექსიკონში გავეცანი სიტყვას პალუა – „ტენვა“ და გურულ დიალექტურ სიტყვას ტომონი – „ჭაობებს“, ჩემთვის ნათელი შეიქმნა, რომ სიტყვას პალიას-ტომი კომპოზიტი და მისი ორივე კომპონენტი ქართული და ქართველური ენის (ზანურის) ნაჯვარი სიტყვების ტოპონიმია და არა ბერძნული სიტყვებისა: პალეო – „ძველისა“ და სტომა – „პირისა“. მართლაც უფრო რეალური ისაა, რომ კოლხეთის დაბლობზე, რომელიც ჭაობებიანია, ჭაობებიანი სანაპიროების მქონე ტბისთვის „დატენილი ტბა“ ანუ სიტყვასიტყვით „დატენილი ჭაობი“ ეწოდებინათ ქართველ ტომებს – მეგრელებსა და გურულებს, რომლებიც ოდითგანვე მეზობლებად მოსახლეობდნენ აქ, დასავლეთ საქართველოში, და სწორედ ამ შერეული თანაცხოვრების შედეგია ის, რომ არა მარტო ქართველი ტომების (აჭარლების, გურულების, იმერლების, რაჭველ-ლეჩხუმელების, მეგრელ-ლაზების, სვანების) ტერიტორიულ არეალში შერეული მოსახლეობა და ქართველური ენების ურთიერთშერეული ტოპონიმები, არამედ არაქართველი ერის – აფხაზების ტერიტორიულ არეალშიც, სადაც ასევე ოდითგანვე შერეულად მოსახლეობდნენ და მოსახლეობენ ამჟამად აფსუები ანუ აფხაზები და ქართველები – ძირითადად მეგრელები და სვანები, ხოლო დასავლეთ საქართველოს ქართველ ტომების არეალში აფსუა-აფხაზების წარმომადგენლები და აფხაზური ენის ტოპონიმური დანაშრევებიც. მაგალითად: აჭარაში ჰიდრონიმის სახელწოდება კვარი-ათ-ი უნდა წარმოდგებოდეს აფხაზური სიტყვისაგან, რომელიცაა ა-კვარა („ღელე, მდინარე“).

მაშასადამე, პალიას-ტომ-ი წარმოებულია მეგრული სიტყვისაგან (სანყისისაგან) პალუა („ტენვა“ – გ. ელიავა) და გურულ დიალექტურ სიტყვისაგან ტომ-ონ-ი „ჭაობი“. ამრიგად, პალიას-ტომ-ი „დატენილ-ჭაობს“ ნიშნავს, მაგრამ ტბა და ჭაობი მსგავსი ცნების სიტყვებია და ჭაობის განმარტება და ტბის განმარტებანი ამას ადასტურებენ: ჭაობ-ი („დამდგარ-

წყლიანი ადგილი დაბლობში“- ქეგლი) და ტბა („ბუნებრივი წყალსატევი, რომელიც არ უკავშირდება ზღვას ან ოკეანეს“- ქეგლი). შდრ. აგრეთვე ტბორ-ი („დაგუბებული წყალი; გუბე“ – ქეგლი). ე. ი. ტბასა, ტბორსა და ჭაობს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, ტბის ფართობი დიდია და აგრეთვე ღრმა, ხოლო ჭაობისა მცირე და თხელი. როგორც ილ. აფხაზავა მიუთითებს, პალიასტომის „ტბას მეტად დაბალი და დაჭაობებული ნაპირები აკრავს“. მასვე მოაქვს აგრეთვე ამონარიდი ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან: „პალიასტომისა და გურიის სოფლებს შუა რიგ-რიგად უშველებელი ზოლებით მდებარობს ჯერ სოფლების ბოლოს, საყანე და საბალახე ადგილები, მერე დიდი, თუმცაღა ჭაობიანი, მაგრამ სხვადასხვა ხეებით მდიდარი ტყე“. როცა ტბასთან შედარებით შორს მდებარე ტყეც კი ჭაობიანია, ტბის სანაპირონიც ჭაობიანია, რომელსაც „გურულები – ნინოშვილის თქმით – ეწერს ეძახიან. „ეს ეწერიო, – განაგრძობს ნინოშვილი – თვალს იტაცებს, მაგრამ კიდევ ატყუებს: იქ, სადაც თვალს ხავერდით მოფენილი ჰგონია არემარე, ჭაობსა და დამპალ წყალში გეფლობა ფეხიო“. ასე რომ, სახელწოდება „პალიას-ტომი“ ზედგამოჭრილია ამ ტბისთვის. ცხადია, დაბალნაპირებიან ტბაზე ქარები ადვილად იწვევენ წყლის ღელვას და, ალბათ, 1933 წელს კოკისპირული წვიმისა და ღელვის გამო ტბიდან გამომდინარე მდინარემ ველარ შეძლო წვიმის შედეგად მომატებული წყლის განტვირთვა და მღელვარე პალიასტომმა სხვაგან გაარღვია ნაპირი. ტბისგან გადმოხეთქილმა ნიაღვარმა არა მარტო ტბის გასწვრივ მდინარე კაპარჭინამდე გაარღვია ნაპირი, არამედ მდინარის მეორე სანაპიროზეც ზღვამდე, ვინაიდან კოლხეთის დაბლობზე ტბებსა და მდინარეებს ნაპირები დაბალი აქვთ.

რაკი დაბლობებში მდინარეებს განი, ვაკე სანაპიროები აქვთ, სწორედ ამიტომ ასეთ სანაპიროებზე მდებარე დაბებსა და სოფლებს ეწოდათ მერე („წყლის სანაპიროზე მდებარ-

რე ვაკე ადგილი“ – ქეგლი; „მდინარის პირას მდებარე ვაკე ადგილი, საყანედ გამოსადეგი მინა“- შ. ნიჟარაძე). მაგალითად, მდინარე რიონს კოლხეთის დაბლობზე ვაკე ანუ მერე სანაპიროები აქვს და ამან განაპირობა, რომ ვრცელ მხარეს დასავლეთ საქართველოსას ეწოდა ი-მერ-ეთ-ი. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ქვემო იმერეთს, მერე კი ზემო იმერეთსაც, რომელიც შედარებით ქვემო იმერეთთან, ცხადია, მთაგორიანია და ამიტომ საკუთრივ იმერეთის ამ რეგიონს ეწოდებოდა და ეწოდება ამჟამადაც არგვეთ-ი, რომელიც თავის მხრივ ასევე მდინარის სანაპირო რელიეფს გამოხატავს, მაგრამ მთაგორიანს: ა-რგვეთ-ი. ამ ტოპონიმში ფუძეძირი რგვ, ხოლო ა-ეთ კი პრეფიქს-სუფიქსი. ა- პრეფიქსი წარმომავლობით უკავშირდება ა || აღ ზმნისწინებს; თავის მხრივ ეს ზმნისწინები მზეს მიემართებიან. შდრ.: ძველინდური ჰა „მზე“; სპარსული აჰურა „სინათლე || ცეცხლი“ (ეს ფუძე ფიგურირებს ძველსპარსული ღვთაების სახელში აჰურამაზდა ანუ ორმუზდი – სინათლის ღმერთი); სომხური ჰურ „ცეცხლი“; ქართული არ-ილ-ი („მზის შუქი რამეზე დამდგარი“ – ქეგლი) და ხალხური მისამღერები: ჰარ-ი || ჰარ-ალ-ე || ჰარ-ალ-ო; ჰარ-ალალ-ე || ჰარ-ალალ-ი || ჰარ-ალალ-ო (ჰარ-ა-ლალ-ი კომპოზიტია. შედგება კომპონენტებისგან ჰარ-ი და ა-ლალ-ი. მეორე კომპონენტიც მზეს, მზის ღვთაებას უკავშირდება და ქართული სიტყვები ალალ-ი, ლალ-ი „ნითელი“ უკავშირდებიან სვანურ ლილე-ს „მზე“).

ამრიგად ა- პრეფიქსური ნაწილაკი, რომელიც გამოიყოფა სიტყვებსა და ტოპონიმიაში, როგორც საზედაო სიტუაციას, ასევე ზემო მიმართულებას და რაკი მზე დილით ამოდის და ზევით მიემართება შუადღემდე (შდრ. ქართული ზე, ზენ-ა, ა-ზნ-აურ-ი || ა-ზენ-აურ-ი, მ-ზ-ე) და გვინათებს, ამიტომ ა|| აღ ზმნისწინებიც მზეს მიემართებიან. ამიტომ ტოპონიმებში ა-რგვეთ-ი ჰიდრონიმში ა-რაგვ-ი, სოფლის სახელში ა-რაგვ-ა და სხვა, თუ ა- პრეფიქ-

სი საზედაო სიტუაციას გამოხატავს, რაგვ || რგვ ფუძეძირი მიემართება რიყეს, ნაპირს, ფერდობს, მაგრამ, ცხადია, დამრეც ნაპირსა და რიყეს ანუ ფერდობს. თავის მხრივ რ-გვ ფუძეძირი დადის მინის სემანტიკაზე და თუ რძირი მომდინარეობს სიტყვისაგან რუ, გვ მინის მნიშვნელობით უკავშირდება ქართულ სიტყვებს აგარა, გორი... (შდრ. სვანური გიმ „მინა“ და ზანური გა „სერი“, გოლა „მთა“, გონი „ბორცვი“). ასე რომ არგვეთის ანუ ზემო იმერეთის სახელწოდება, მართალია, ძირეულად უკავშირდება ეთნონიმ მარგალს (მა-რგ-ალ-ი მეგრელების თვითსახელდებაა და ისევე როგორც მა-კრ-ონ-ი „ლაზი“, – რომელიც მომდინარეობს ლაზური სიტყვისგან აკრა „ნაპირი“, – ნიშნავს „ზღვისპირელს“, ცხადია ამასვე ნიშნავს ე-გრ-ის-ი ანუ „ზღვის სანაპირო“ და ქართული სახელი მე-გრ-ელ-ი), მაგრამ თუ მა-რგ-ალ-ი „ზღვისპირელს“ ნიშნავს, არგვეთ-ელ-ი ანუ ძველქართული მ-არგვ-ელ-ი თუ არგვ-ელ-ი მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროსა და საერთოდ ლიხის ქედის ფერდობების იმერეთის მცხოვრებ იმერელს, ხოლო კოლხეთის ბარის ანუ მერეს მცხოვრებს ეწოდება იმერელი (შდრ.: ი-მერ-ი და ი-მერ-ელ-ი). ამდენად მცდარია პროფესორ ზ. ჭუმბურიძის ის აზრი, რომ „არგვეთი იგივეა, რაც „სამეგრელო“ (ეგრისი, აგრეთი)“ (ზ. ჭუმბურიძე, „დედაენა ქართული“).

ამრიგად, დავასკვნათ: ტბის სახელწოდება პალიას-ტომ-ი კომპოზიტია და „დატენილ ტბას“, ანუ „ჭაობს“ ნიშნავს. საერთოს ტობ || ტომ ფუძეძირები მინის თავდაპირველი სემანტიკიდან ამოდიან, წყლიან მინას, ჭაობს აღნიშნავენ. მინა და წყალი, ცხადია, ბუნებრივად ერთად არსებობენ და უწყლო მინა უსიცოცხლო მინა ანუ უდაბნოა. უდაბნო „დაუსახლებელ“, უსიცოცხლო მინას ნიშნავს და წარმოებულია მინის მნიშვნელობის სიტყვისაგან დაბა, რომელიც საერთოქართველური ფუძის სიტყვაა. შდრ.: ქართული დაბ-ა „მინა, დასახლებული ადგილი, სოფელი“; მეგრული დობ-

ერ-ა || დობ-ირ-ა „სახნავი მინა“; სვანური დაბ „ყანა“, დაბ-არ „ყანები“. ეს დაბ || ტაბ || ტბ ფუძეები მინის თავდაპირველი მნიშვნელობით გამოიყოფიან დედამიწის ღრმულების, ტაფობებისა და საერთოდ დაბლობი ადგილების აღმნიშვნელ სიტყვებში, ტოპონიმებში, როგორც წყლიან, ასევე უწყლოებში, სადაც სოფლებია, დაბებია, ტბებია და მისთანანი.

რაც შეეხება შუახევის რაიონის სოფლის სახელს ტომ-აშ-ეთ-ი, მასში ორი სუფიქსი გამოიყოფა -აშ და -ეთ. ტომ ფუძე ტობ ფუძის ვარიანტია. ტ-ობ || ტ-ომ ფუძეებში ძირეულია ტ. თ || დ || ტ ძირები გამოიყოფიან მინის აღმნიშვნელ სიტყვებში: ქართული თი-ხ-ა, მეგრული დი-ხ-ა „მინა“, ქართული ტ-ალ-ახ-ი,

მეგრული ლე-ტ-ა „ტალახი“, დიალექტური ლო-თ-ომ-ი („ღრმა, საფლობი ტალახი“... შ. ნიჟარაძე). ტლ: ტლ-აპ-ო („თხელი ტალახი, ლაფი“ – ქეგლი) და სხვა. ტ-ლ ფუძე ხმოვან-შეკრული ფორმაა ტალ ფუძისა, ტლ-აპ-ო კომპოზიტია და ტლ კომპონენტი მინას მიემართება, ხოლო აპ კომპონენტი წყალს (შდრ. აპ „წყალი“ და ობ-ი „ნესტი“).

ასე რომ, ტომ ფუძეძირი, რომელიც გამოიყოფა ტოპონიმში ტომ-აშ-ეთ-ი „მდინარისპირა დუბე ადგილს, სოფელს“ ნიშნავს. ეს ტომ ფუძე გამოიყო აჭარულ დიალექტურ სიტყვაში ტომ-პოყ-ო („ორმო წყლიანი“ – შ. ნიჟარაძე). ტომაშეთი მარეთის ხეობის სოფელია.

2013 წელი



ცისანა ანთაძე

ღმერთის მოსაწონ კაცს გაუმარჯოს

(ანუ სიტყვა რეზო სტურუას ლექსების გამო)

რეზო სტურუა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლექსის ჰორიზონტზე 2014 წელს გამოჩნდა. მკითხველმა დიდი სითბოთი მიიღო მისი ლექსთა კრებული – „მზე, რომელიც წვიმამ გადაიყოლა“. რამდენიმე თვე და ამას მოჰყვა პოეტურ განცდათა ახალი თავანკარა შენაკადი, რომელსაც „ფიქრების ფანჯარა“ ჰქვია.

ამ ორი მშვენიერი ლექსთა კრებულით აშკარად იკითხება, რომ პოეტი თავმოსანონებლად კი არ წერს, არამედ რომანტიკული ბუნება და სათქმელის ლექსად გადმოცემის თანდაყოლილი ნიჭი აძლევს ბიძგს საასპარეზოდ.

ლექსები, თავისი განცდებით იმდენად გულწრფელი და ახლობელია, რომ მათი დაბადების თარიღს მკითხველი თავად გრძნობს. ასე იფიქრებ ისინი, წინა ათეულ წლებში აღმოცენებულნი, მწიფდებოდნენ და თავთავდებოდნენ. ლექსის მოსავალი, რატომღაც XXI საუკუნის მკითხველს შემოუნახა ავტორმა. ესაა უახლესი ტექნიკური მიღწევებით სულგაფაქიზებული „მიზეზიანი“ მკითხველი ინტელექტზე და ინტერნეტზე დაყრდნობილი, „ვირტუალური კოცნის“ მაძებარნიც და ტრომბონის მოთქმით აღძრული ვნების მატარებელნიც,



„ქცევის პრაქტიკოსებსაც“ და ალაზნის ჭაღვლემოსაკლისებულნიც, „სიტყვის შეფუთვის“ „მასტერ-კლასებიც“ და რივიერას „სვეტური“ მეხოტბენი.

სანამ უშუალოდ „ფიქრების ფანჯარას“ ჩავუღრმავდებოდე, წინა კრებულიდანაც გავიხსენებ წიგნის რედაქტორის, პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილს მაღალპროფესიულობით გამორჩეული წინასიტყვაობიდან ერთ საგულისხმო ფრაზას – „აქ, ამ წიგნში, გალაქტიონი პოეზიის დიდი მეტაფორაა“-ო. გალაქტიონი პოეზიის მეტრიცაა და მეტაფორაც რეზო სტურუასათვის. ეს იგრძნობა წინამდებარე კრებულშიც, რომელსაც ეპიგრამად აქვს ნამძღვარებული მთანმინდის მთვარის მომღერალი პოეტისადმი მიძღვნილი კრძალვის სტრიქონები.

გალაქტიონის ნაფეხურებზე
მარტი რომ მარტობს თავქარიანი,
ცოტა არ იყოს უხერხულია,
ლექსს შეეჭიდოს ადამიანი.

ვფიქრობ, არ მიწყენს ბატონი თემური, თუ დავძენდი, რომ რეზო სტურუას პოეტურ სამყაროში არის კიდევ ერთი დიდი და ულამაზესი მეტაფორა – არწივი. უფრო მეტიც – აქედან

დანახული არწივი, ქართული ლექსის (რალა-
ცით ვაჟა მაჩერებს) ულამაზესი მეტაფორაა.

კრებულში („მზე, რომელიც წვიმამ გადა-
იყოლა“) ორი ლექსითაა დახატული არწივის
მეფური ბუნება და სული. ერთგან, მომაკვდა-
ვი, მშიერი არწივი, თავთან დაგდებულ ლემს
ხედავს და აყოვნებს ჩანისკარტებას. ამ დროს
გავარდება ტყვია და არწივი კვდება. აქ არ-
წივის გამარჯვება პოეტის გამარჯვებაცაა.
„წყობილსიტყვადტქმის“ ოსტატმა არწივი არ-
წივად დატოვა –

არც ოდეს ლემი ეჭამა,
არც უცხოვრია შავადო,
მადლიერია, რომ მოკვდა
არწივად, არა სვავადო.

მეორე ლექსში („ნანლობა“) პოეტმა, პირ-
ველად ქართულ პოეზიაში, არწივს არამარტო
ფრინველთ მეფობა, არამედ სიყვარულის უზ-
ენაესობაც დაუკანონა – სიყვარულის ფრთე-
ბით მოსილი ფრინველთა მეფე სიყვარულის
ნეტარებას ზეცაში ეძლევა:

ამბობენ, ერთადერთია
არწივი ფრთოსანთ მხარესო,
ვინც ცაში ვნებას არ თოკავს,
ეძლევა სატრფოს ალერსსო.

თუმცა მიმტკიცებს მრავალი,
ნანლობის ვნება გავნებსო,
ძალუმად ვემორჩილები,
მახვილი უნდა ავლესო.

ნეტავ არწივის სამიზნეს
ტყვია არ გაუვარდესო,
ჩვენს შორის ფხიზლად ჩანოლილს
ხმაღს პირი დაუბლაგვდესო.

ნანლობა მიწიერი, პლატონური სიყვარუ-
ლის მეტაფორაა. არწივს სიყვარულის უზენ-
აესობა გადაატარებს ნანლობის ზღვარს. ხო-
ლო სიყვარულის ნებას მიყოლილი ზეცასაც
უშინაურდება.

რეზო სტურუა ფიქრის პოეტია. სათქმელს
ჰაიპარად, თათარიხად არ წარმოთქვამს;

ათასჯერ გაზომავს, სულის წიაღში გამოატ-
არებს და ისე მიაქვს მკითხველთან. იგი მე-
ტად საინტერესოა იმითაც, რომ არ ეთამაშება
ლექსს ბრჭყვიალა სიტყვებით.

ნაივური პოეზია – ასე ასოცირდება ჩემს
წარმოსახვაში რეზო სტურუას უსაყვარლე-
სად სადა (საუკეთესო გაგებით) ლექსები. მათ
დასახასიათებლად პირველი სიტყვა თვით პო-
ეტს მინდა მივცე. მართალი გითხრათ, ჯერ
არსად შემხვედრია საკუთარი ლექსის მსგავსი
შემფასებელი –

ეს ჩემი ლექსი მაგონებს
თავნებას, თავისნებელას,
ხანდახან, როცა ისურვებს,
ფრთებზე აჯდება პეპელას.

ხან კიდევ მხრებზე არწივის
ცაში შემოკრავს კამარას,
იმორცხვებს მოფერებაზე,
თან კის ამბობს და თან არას.

„ჩემი ლექსი“

რეზო სტურუას მრავალთა შორის აქვს ერ-
თი საოცარი ლექსი – „უნდა გითხრათ სიმარ-
თლე“. იგი პოპურით იკითხება – გადადის
ერთი სათქმელიდან მეორეზე, მეორედან მე-
სამეზე... და ასე ქმნის მხატვრული ეფექტების
წარმომქმნელ მოულოდნელ გრადაციებს.

პოეტი კარგად იცნობს გარემომცველ ბუ-
ნებას, მის მოვლენებს, იცის მისი ხასიათი და
შესაძლებლობები. უპირველესად დიალოგის-
ათვის წვიმას დაიგულებს, მაგრამ კი არ ედ-
იდგულება, თხოვნით მიმართავს – „მინას ისე
დაეცით, არაფერი ატკინოთ“-ო.

მეორე სათხოვარიც მინის სიყვარულითაა
განპირობებული. ამჯერად საქმე მესაფლა-
ვესთან აქვს.

მესაფლავებს, ასევე,
ვთხოვ, რომ იმეცადინოს,
მინა ისე გამიჭრას,
სისხლი არ მოადინოს...

და აი, მოულოდნელი ფინალი ლექსისა –
პოეტი მინას ესათუთება და ემადლიერება იმ-

ის გამო, რომ „სილამაზის ზეიმად“ ქალი მოუვლინა წუთისოფელს. ქალში ხედავს მელექსე მადლის შემცნობელ უმაღლეს, მშვენიერ არსებას –

შენ კი, სამადლიეროს,
აშოლტილი ფეხებით,
თითქოს ისე დადიხარ,
მინას არც კი ეხები.

მაგრამ ამავედროულად, ასეთ მოფრთხილებაში ევას ცდუნების ანალოგიასაც ხედავს პოეტი. ჩემი აზრის გასამყარებლად ისევ პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილს დავიმონებ: „რეზო სტურუას მხატვრულ სამყაროში, პოეტურ განცდაში ორი „რეალობა“ თანაარსებობს. ერთი ისაა, რომელშიც პოეტი თავის – თავს ფიზიკურ – სხეულებრივად იცნობიერებს, მეორე... ადამიანურ ცოდვათაგან შეუმღვრეველი, მართალი და სუფთა“.

ასეთ ზღვარზე მდგარი პოეტი, მიწიერი სილამაზის ზეიმის მოსაწყობად მოვლენილ მშვენიერ არსებასთან მონოლოგს მოულოდნელი ფინალით ასრულებს.

უნდა გითხრა სიმართლე,
შენგან ეს მოფრთხილება,
მამაკაცთა ვნებების
არის მონადირება.

რეზო სტურუას უშუალობა ძირითადად დამყარებულია წმინდა პოეტურ განცდებზე. მისი სევდა თუ სიხარული გამოგონილი არასდროს არაა. ამიტომაც არ უჭირს სიტყვის დამორჩილება და ლექსის უღელში შებმა.

აღარ მხიბლავს ლურჯი ცა
და არც თეთრი ვარდები,
შენ რომ დამიბრუნდები,
მაშინ დავიბადები –

ამბობს თავის ერთ-ერთ ლირიკულ ლექსში პოეტი და სტრიქონებს შორის ისეთი თბილი, მუსიკალური ჟღერადობა ისმის, იფიქრებ სასიმღეროდ შეუქმნიაო ლექსი მწერალს.

რეზო სტურუა – ქართული ხატოვანი სიტყვის ოსტავი, ამკობს ლექსს ორიგინალურად ნაძერწი მეტაფორებით და შედარებებით.

მკითხველის სულში სამარადისოდ იკირება გაპარული მზე, რომელმაც „ლურჯ ცას მიაფარა საზაფხულო ნაბადი, აღარ ფეთქავს შემოდგომის ასფალტი – „ნაფერები ქალივით ვნებადაგრილებული“, წუთისოფლის ერთგულებაში ნაცადი დღე – „ძალღვივით კართან წევს“, უქონელი კაცი „საყდრის თავგვივით ღარიბია“, „შიშველია არყის ხესავით“...

რეზო სტურუას ლექსის ხერხემალი უფლის სიყვარული და შთაგონებაა. ღვთიური სიყვარული აღონიერებს ილია მართალის, ქეთევან დედოფლის, უნმინდესისა და უნეტარესისადმი მიძღვნილ ლექსებს. პოეტის ლექსი მომწოდებელიცაა, რათა იაროს ერმა უფლის გზით. ამასთან, შეახსენებს ღვთისმოსავს, რომ „უფლის გზაზე მარტო მარხვის ვინრო ხიდი ვერ იარს“.

პოეტი წუთითაც არ ეგუება იმ რეალობას, რომელსაც უღმერთობა უდევს საფუძვლად. წესებს უწუნებს გლობალიზაციის საუკუნეს, რომელიც უღმერთობამ მოიტანა და ცეცხლივით ნაუკიდეს პოეტურ ლექსიკას სიტყვები – კრედიტი, პროცენტი, იპოთეკა, ჩალომბარდება, TV-ს ყუთი, ეშმაკის მანქანა, ლგპტ-ს „ბიჭები“...

საუკუნის უმსგავსობასთან მეგრძოლი პოეტის სული „სხვა საქართველო“-დან მოუხმობს ანა კალანდაძეს გულახდილი აღსარებისა თუ საუბრისათვის –

„ქარს დაავიწყდა სიმღერა,
ჭადარს არ ახსოვს ზღაპარი,
ასე რომ ძლიერ გიყვარდა,
ის საქართველო სად არის.

ლალატით ნაავდარი
გული გასკდომად მზად არის,
ცოდვებით დამძიმებული,
სხვა საქართველო სად არის“.

რეზო სტურუას ლექსები ტყუპისცალივით ჰგავს პოეტს. ამიტომ წიგნის წინასიტყვაობა არ საჭიროებს მის ავტობიოგრაფიულ პასუხებს. მკითხველი თვით ლექსებიდან ეცნობა

მათ. მთავარია, გულისხმევით მოისმინო და გამოაცალკევეო პოეტის პირადი მეს ამსახველი „გრაფა“.

„ფიქრის ფანჯარას“ თუ გამოაღებთ, ცხადად დაინახავთ, რომ რეზო სტურუას არ მოსწონს მონის მორჩილებით ქვემოდან ცქერა; არა აქვს სიკვდილის შიში, მაგრამ ისტერიულად ეშინია სირცხვილის; ჰყავს შვილიშვილი, რომელმაც ბაბუა ბავშვობაში დააბრუნა. პოეტს ოთხფეხა მაგობარიც ჰყავს – რონი, რომელსაც არ ავინყდება ძველი ფიცრული, თავის რჩეულთან პირველი საალერსო ალაგია...

დიდ ცოდვასავით აღიარებს ჩვეულებრივ მოკვდავთათვის თითქმის უმნიშვნელო ფაქტს, – ვაშლის გამყიდველს იმედი გაუწილა, როცა დახლთან მოსულმა გვერდი აუარა...

დროდადრო ჰაჯი-უსუფიც ახსენდება და ვედრებასავით აღმოხდება –

– თქვენ კარგად ხედავთ იმასაც,
ნლები ბევრი რომ არ დამრჩა,
ჩემო გაზრდილო ბიჭებო,
არ მასროლინოთ დამბაჩა.

ჰყავს ერთგული ძმა და მეგობარი, მდინარეში სალი კლდიდან მოტეხილი ლოდივით ჩანოლილი, რომელიც შუბლით იჭერს მღვრიე ტალღებს, რათა „უბედურად ატეხილმა“ მეგობარს ზიანი არ მიაყენოს. რეზო სტურუა უფლის მადლობელია „ნაჩუქარ დღისათვის, ლამაზი მიწის და მონმენდილ ცისათვის“.

უნდა იყოს, აბა რა! – პოეტი ჯველის იერსახითა და ულტრათანამედროვე აზროვნებით, შემოდგომის ულამაზეს ბაღში, გაზაფხულიდან შემოპარული გეგონება! აკი, ძირითადად, ახალგაზრდებისათვის ლაპარაკობს სალექსო სტრიქონებით!

...თუმცა თავისი თაობაც არ ავინყდება –

„ჩვენ უკვე თითქმის გავინაპირებთ, უფრო ვიხსენებთ, ვიდრე ვაპირებთ“ – მიმართავს თანატოლთ, მაგრამ სიყვარულისათვის მაინც მზადაა. ამიტომ სიტყვა – განაპირება მხოლოდ რითმის ტყუპისცალად რჩება.

ჩვენ უკვე თითქმის გავინაპირებთ,

მაგრამ სიყვარულს მაინც ვაპირებთ!

ასეთია მოკლე პოეტური ბიოგრაფია კაცი-სა, რომელსაც თავზე მეტად უყვარს უფალი, მამული, ლექსი, ადამიანი ადამიანი! თავის სადროშოდ და კაცობის აკვნად გპი-ს და იქ აღზრდილ „მზის არნივებს“ დაიგულებს.

ვიტყოდი, პოეტის წინაშეა მყარად აღმართული რწმენის კედელი, პოეტური ხედვითა და ლოგიკური აზროვნებით განონასწორებული. რწმენის კედელი პოეტის ლექსის გამოსაფენად! აი, ეს ლექსიც –

მსაყვედურობ ღიმილით,
ოდნავ ყელის მოღერით,
რომ სიგარეტს ვენევი,
ლოთი ვარ და ოხერი.

რა ვქნა, ბევრი ვილოცე,
მინდა გამოსწორება,
რომ წესიერ კაცებზე
დავიჭირო სწორება.

ღმერთმა არ შეისმინა
ჩემი თხოვნა არც ერთი,
ალბათ მასაც მოვწონვარ,
როგორც ვარ ასეთი.

„ახლობელს“

ღმერთის მოსაწონ კაცს გაუმარჯოს!..



ნაოზი მიქალაქა

ვახტანგ ლლონეტის კოეჯის გობიერთი ნიმუში

ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – ვახტანგ ლლონეტის შემოქმედება ყოველთვის გამოირჩევა ეპოქის სუნთქვითა და მაღალი მოქალაქეობრივი იდეალებით.

ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიპყრო მის საიუბილეო თარიღთან (60 წლისთავთან) დაკავშირებით 2014 წლის ჟურნალ „ჭოროხის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულმა რამდენიმე ლექსმა.

პოეტი, ხედავს რა თანამედროვე საქართველოს სულისშემხუთველ გარემოს, გადატანითი მნიშვნელობით, მეტაფორულად, ზოგჯერ კი სრულიად დაუფარავად, მაგრამ შთამბეჭდავად გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისადმი.

დღის წესრიგში მდგარი თემის – უმჯობესია თუ არა რუსეთთან ურთიერთობის ნაცვლად ევროპასა და ამერიკასთან კავშირი – მწერლისათვის დასავლეთის სასარგებლოდ საკითხის გადანყვეტა ნიშნავს: „ჩავანაცვლეთ საბჭოური ევროპული კომკავშირით“, რასაც მოჰყვება „სამკვიდროს დაკარგვაც“. მართალია, ქვეყანა დარჩება თავისი „მთებით, ველებით“, მაგრამ ისეთი, „რომელსაც ყველა თავზე უშვება, მტერიც, მოყვარეც“ და „ის ქართველებიც, რომ გამოზარდეს ბუმის ბუმებმა“. ღირსება შელახულია ქართველი კა-

ციც და ქალიც, უღმერთობას და სიცრუეს მოუცავს ყოველივე:

ასე იცის უღმერთობამ,
უკაცობამ. უქალობამ,
ცრუ მოძღვრის და ცრუ პოეტის
ცრუ სიტყვამ და ცრუ გალობამ.

პოეტის ღრმა რწმენით, უძველესი კულტურული ტრადიციების მქონე ერისათვის სრულიად მიუღებელია ე.წ. „კაზანტიპის“ მსგავსი შოუების გამართვა, რომელიც ღია ბორდელის სახით ჩატარდა გასულ წელს საქართველოში – ანაკლიაში. სჯობდა იქ თავმოყვარე ქართველების ლაშქარი მდგარიყო, – შენიშნავს ავტორი:

ჩანს, რომ „ვაი ჭკუისაგან“
ან მეტი აქვს, ან აკლია...
ვისაც ღია ბორდელად სურს
საზღვრისპირა ანაკლია...
სად ლაშქარი უნდა იდგეს
თავმოყვარე ქართველების.

ვინც იცნობს ამ ლექსების ავტორს, დარწმუნდება, რომ იგი თავისი ინტელექტით, პიროვნული ღირსებით წარმოადგენს ჭეშმარიტ დარბაისელ ქართველს, რომელიც კარგად ხედავს, თუ რა გამხრნელი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია „კაზანტიპის“ მსგავს ორგიებს ჩვენს ახალგაზრდობაზე, ამიტომაც არ ერიდება ავტორი უხამსი ენობრივი ფორმებით გამოსატოს თავისი სათქმელი:

რას გვახარბებს ნეტავ კლიპით?!
ქალს (ხსნილი აქვს ქვედაბოლოც,
ქვეტიქსტიც და ქვედაჭიპიც!).

როგორც პროგრესულად მოაზროვნე მწერალი, ბატონი ვახტანგი უსაზღვროდ განიცდის იმასაც და შეშფოთებას ვერ მალავს იმის გამოც, რომ ქვეყანაში იყიდება ყველაფერი, ქართული მიწები, მთელი საქართველო და ამას აკეთებს არა გარეშე მტერი, არამედ თვით ქართველი:

შენ, ვინც ქართულ მინას ჰყიდი,
რის ქართველი, – კაცი არ ხარ!
ცოტა მაინც დაიტოვე,
დაგჭირდება დასამარხად.
თუმც რად გინდა, შენი შვილი
იმ საფლავსაც გაგიყიდის...
„იყიდება საქართველო!“
ვიყიდებით... ჰაი გიდი!

ჯერ კიდევ როდის ამბობდა ამას ცნობილი მამულიშვილი და მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე! ეს საშიშროება ქვეყანას შეუქმნა წინა ხელისუფლებამ და ამჟამადაც გრძელდება ახალი მთავრობის პირობებში. მწერალი ქვეყანაში შექმნილი ვითარების მიზეზს „ნაც-მოდრობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის არსებულ ე.წ. კოჰაბიტაციაში ხედავს, რასაც, თავის დროზე, ახალი ხელისუფლებისაგან დასავლეთი მოითხოვდა. მაგრამ ასეთი შეთანხმების გაგრძელება, რომელიც, პოეტის განმარტებით, ეშმაკთან დამეგობრების ტოლფასია, ქვეყანას უბედურებას მოუტანს:

აღარ გათავდა მართული
ქართული განამანია,
როცა ძნელია გარჩევა
ვინ ქალია და კაცია,
ეშმაკს რომ დაუმოყვრდება
ქრისტეს მბაძველი ნაცია
თუ ნიშნავს თავისუფლება
არაქართველიზაციას
როცა მკვლელი და ტაცია
ითხოვს კოჰაბიტაციას –
ხალხთან, რომელსაც ამდენი
უბედურება ანია...

პოეტი აფრთხილებს თანამემამულეებს, თუ ქართველი თავის ფესვებს მოსწყდება, დაიღუპება:

გზა არა მხოლოდ ჯვარცმაში,
იმ ჯვრიდან გარდმოხსნაშია.
და, თუკი ფესვებს მოვწყდებით,
ყველა იმედი ხავსია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფართო და

სიღრმისეულია ბატონ ვახტანგის, როგორც მწერლის, თვალსაწიერი. თავისი მახვილი კალმითა და შემოქმედებითი ნიჭით ეხმაურება იგი ჩვენი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს და იჭერს პროგრესულ პოზიციას. მას ამჯერადაც ყურადღების მიღმა არ დარჩენია უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის მქონე ისტორიული განძის – საყდრისის საკითხიც.

აგერ ჩვენს თვალწინ საყდრისიც
ჩვენივე ხელით დამინდა,
წინაპრის ჩონჩხებს სადგისი
ბევრჯერ ვაძგერეთ ლავინთან...

საანალიზო ლექსები საყურადღებოა ენობრივი თვალსაზრისითაც. უპ. ყოვლისა, სადაა და მიმზიდველი. ერთმანეთს ენაცვლება 8 და 10 მარცვლიანი სტროფები.

შეინიშნება სიტყვის წარმოების ახალი მოდელების შექმნის მისწრაფებაც, მაგ.:

„ცისნულები“, „ტყესტრადა“, „სამექსპირო“ და მისთ., რომელთა გააზრება კონტექსტის მიხედვით ადვილად მისახვედრია. აქა-იქ გამოყენებულია ხალხური ლექსიკის ნიმუშებიც, მაგ.: შუკა (ვინრო გზა), პონტები (მაქინაციები), მაზავს (შეფარვით თავისკენ გადაჰყავს) და სხვ. არც თუ იშვიათად გვხვდება გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი შეხამებები, მეტაფორები: „ჩავანაცვლეთ საბჭოური ევროპული კომკავშირით“, „ტყესტრადაზეც ქართულ ბულბულს ჩაგრავს ჩვენში უცხო ყვავი“, „სანამდე უნდა გვეძინოს გამოღვიძებულ ვულკანზე?“, „შენ რომ დედა გეტირება, მე იმაზე მეტირება“ და სხვა. ეს უკანასკნელი, მართალია, ქართულ უწმანურ გამონათქვამს მიეკუთვნება, მაგრამ კონტექსტულურად კარგად გამოხატავს სათქმელს.

და ბოლოს, ბატონ ვახტანგს გულწრფელად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს – შემოქმედებითი ცხოვრების შუადღეს! კვლავაც მრავალჯერ გაეხარებინოს ქართველი მკითხველი თავისი ენამზეობითა და პროგრესული აზროვნებით.

გორაკი 2 2015

გორაკი



2 2015

ISSN 0134-3459



9 770134 345001

15002



მალხაზ ფალავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა

2015

malkhaz.pagava@mail.ru